

1970
2015

ტექსტების და
ხონსტექსტების
ფენიანი

№ 2 (20)

თბილისი, 2015 წელი
ფასი 2,5 ლარი



საყნაყ

საყნაყ

ნომრის ავტორები
ჯაბა ზარქუა & ლიუდმილა ულიცაია

პოეზია
თა თოფურია

პროზა
ლაშა ბულაძე
თონა დოღუაშვილი
დმიტრი ნიქლაური
თემო ჯავახი

ბიოგრაფიული პროზა
ვიტოლდ შახლოვსკი
ნაიბ ვიქმათა

კრიტიკა
გიორგი ხარიბაიაშვილი
ოთარ ჯირკვალისვილის „კამეოტა“

Людмила Улицкая

13



- ახალი თარგმანები
- ჩინთა ჩანსრები
- არტი
- დავით ანდრიაძე
- მერაბ აბრამიშვილი
- ბია ეძგვირაძე
- შვილეს მიდმოკერძორმანსა

ქურნალი „ასალი საუფა“ 2015 წლიდან
შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებოძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;
2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ქურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით



ქურნალი
სასანი

ნომრის ავტორები

ჯაბა ზარქუა

ექვ ძეგანიშვილი – ჯაბა ზარქუა: მბრძანებელი კითხვებს არ სვამს 3
მალხაზ ხარბეიძე – „მკითხველი უნდა მოკვდეს“
(ამონარიდები წერილიდან) 9
ჯაბა ზარქუა – ნეტარ არიან თვითმკვლელნი, რამეთუ მათია სასუფეველი
ცათა (მოთხრობა) 10

ლიუდმილა ულიცკაია


პიობრაფია 16
ლიუდმილა ულიცკაია: „კულტურა ქმნის პოლიტიკას“ (ინტერვიუ)
(ესაუბრა ნინო ბექიშვილი) 17
ლიუდმილა ულიცკაია – საშიში მგზავრობის ისტორია (მოთხრობა)
(რუსულიდან თარგმნა ნინო ბექიშვილმა) 21
ვერონიკა შაროვა – ლიუდმილა ულიცკაია: ეპოქისაგან დამოუკიდებ-
ლად, მუდამ შემოქმედებითად უნდა იცხოვრო
(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 24
ლიუდმილა ულიცკაია – ქალაქის გამარჯვება (მოთხრობა)
(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 27

აოაზია

თეა თოფურიანი 30

პროზა

ლავა ბუღაძე – დედა ჩვენს მკვლევლობას თამაშობს 33
თეონა დოლინჯაშვილი – მორჩილება 36
დიმიტრი ნიკლაური – ყარანგოზის ფარა 43
თეიმო ჯავახი – იპონური ტრადიციები ანუ სველი ლექსები 50



ბიოგრაფიული პროზა

ვიტოლდ შაბლოვსკი – ნაზიმ ჰიქმეთი
(პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშკაშვილმა) 52

კრიტიკა

ბიორბი ხარიზბაშვილი – ოთარ ჯირკვალიშვილის
„კანფეტი“ ანუ დიალექტიკური აზროვნება
ყოფიერებაზე 64

ასალი თარგმანები

ჩისტა იასრები – ლექსები
(სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ) 70

არტი

დავით ანდრიაძე – მეძავეები სამოთხიდან
(მერაბ აბრამიშვილის აბრეშუმის გზამკვლევი) 73

ბია ეძვერაძე – სლიკინა ტრაკი და კულტურულ-
შემოქმედებითი ნიშნების, მათი
კავშირების ეკონომია 77

გამომცემლობა – „საუნჯე“

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje_saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>

www.saungeo.ge

პროექტის ავტორი:
ვაჟა წონაძე

4

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

5

დიზაინი და დაკაბადონება:
ნია სვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე

ბია ეძვერაძე

დათო ტურაშვილი

ეკა ქვენიშვილი

ზაზა შათირიშვილი

დავით ჩიხლაძე

ბია ხაღური

6

ნომერზე მუშაობდნენ:

ეკა ქვენიშვილი

ჯაბა ზარძუა

ნინო ბაქიშვილი

თამარ კოჭრიკაძე

თეა თოფურია

ლავა ზულაძე

თეონა დოღანავაშვილი

დიმიტრი ნიკლაური

თეიმო ჯავახი

ამბროსი გრიშკაშვილი

ბიორბი ხარიზბაშვილი

ბიორბი ლობჯანიძე

დავით ანდრიაძე

ბია ეძვერაძე

7

1

ნომრის ავტორები

ჯაბა ზარქუა: მბრძანებელი კითხვებს არ სვამს

ეკა ქევანიშვილი



„ნამდვილი მწერალი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, რომელიც გაბედავს და მტარვალ მკითხველს საბოლოო ეტყვის: ტრაკში გაიკეთე შენი მოთხოვნები, ძვირფასო“

ჯაბა ზარქუა

რატომ? პასუხები არსებობს. ამისთვის ჯაბა ზარქუას „მკითხველი უნდა მოკვდეს“ უნდა წაიკითხოთ. ამ ორი უნდას შემდეგ კი თავად გადანყვიტოთ „ნამდვილი მწერალია“ თუ არა ჯაბა ზარქუა. ეს ისე, სიტყვებით თამაშისა და ცოტა ინტრიგისთვის და ცოტაც, დასაწყისისთვის. ვნერ მწერალზე, რომელსაც ფანატიკურად უყვარს თავისი საქმე... მედიცინა.

საძიებო სისტემა გუგლი კი მამცნობს, რომ 2009 წელს ჩატარებულა ლიტერატურული კონკურსის „ალუბლობა 2009“ პირველი პრემიის მფლობელი ჯაბა გამხდარა. 2010-ში ლიტსახელების კონკურსში „მეტრო“ – ასევე პირველი ადგილი დაიკავა. რომანმა „მკითხველი უნდა მოკვდეს“ ილიაუნის ლიტერატურუ-

ლი პრემია აიღო – წლის საუკეთესო რომანი-სათვის. იქით „15 საუკეთესო“ კრებული იყო, აქეთ „წერო“. მის ანგარიშზეა მოთხრობების კრებული „ვარმშტადული პარადოქსი“, რომანი უკვე ვახსენე, კიდევ ბოლო დროს გახმაურებული აქცია, რომელიც ჯაბას იდეა იყო და მერე მთელ ქვეყანას მოედო – „მოხეტიალე წიგნები“... ვისაც მასზე არ გსმენიათ, ამ რამდენიმე მინიმუმებით შეგიძლიათ მეტი გაიგოთ. მანამდე კი, ჩვენ ვილაპარაკებთ – ეს ამბები გუგლმა ჯერ არ იცის.

1988 წელს, 9 თებერვალს, თბილისში, თემქის სამშობიარო სახლში (როგორც თავად გადმოცემით იცის) დაბადებულა. დიდთოვლობა ყოფილა და სამშობიაროში ჯერ კიდევ მუცელში მყოფი, „ნივის“ მარკის მანქანით აუყვანიათ. თურმე ისე თოვდა, სასწრაფოებს გადაადგილება უჭირდათ. პირველი შვილი იყო. ცხადია, უხაროდათ: „მამაჩემს ახსოვს, როგორ გადმომახედეს ფანჯრიდან და როგორ ენია სიხარულით ცას“, ამბობს. ეს ამბავიც არაერთხელ მოუსმენია, როგორც ალბათ უმრავლესობას – საკუთარი დაბადების, მერე მასთან დაკავშირებული ზეიმების. თუმცა, როგორც თავად ჯაბა ამბობს, „განსაკუთრებული არაფერი ამ ამბებიდან – „ხრუშოვკელი“ ბავშვი ვარ, ტიპური 90-იანის „ხრუშოვკელი“. თემქიდან დელისზე წაიყვანეს და იქიდან მოყოლებული იქ ცხოვრობს.

რა არის ის, რაც სულ პირველად გახსენდება ხოლმე ამ ხრუშოვკული ბავშვობიდან?

დიდი ბებია. ბებიაჩემის დედა, სახელად – ვარო. ნამდვილი სახელი არ იყო ეს, მაგრამ საიდ-

ან მოვიდა, რას ნიშნავს, კაცმა არ იცის, არადა მაინტერესებდა. 104 წლისა გარდაიცვალა სავარაუდოდ, მაგარი ვინმე იყო. დღემდე მახსოვს, როგორ ვწვებოდი მის ლოგინში და მიყვებოდა რაღაც უცნაურ მეგრულ ზღაპრებს, რომელთა სიუჟეტს ახლაც ვიცნობ, ვინმე რომ მომიყვებს. ჰო, მეგრული მან მასწავლა და ცოცხალი თავით არ ვაპირებ დავინყებას, ან კი როგორ უნდა დავივინყო, მაგრამ მაინც. მის ლოგინში შეწოლილი და საბანამოკეცილი ძალიან, ძალიან მყუდროდ ვგრძნობდი თავს და ეს სიმყუდროვის შეგრძნება არასდროს დამავინყებდა. საბანს დღემდე უკიდურესად პედანტურად ვიკეცავ ლოგინის ქვეშ, არაა გამოორიცხული, იქიდან მქონდეს გამოყოლილი. ვარო პირდაპირი ქალი იყო, ვილაცხევისთვის კი შეიძლება უხეშიც, თუმცა, მე მისი ფავორიტი ვიყავი, შეილიშვილებზე მეტად ვუყვარდი მგონი. როცა წერას უკეთ ვისწავლი, ვარო აუცილებლად იქნება ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მაგარი პერსონაჟი.

ჯაბა – ხუთი წლის, ათის, თხუთმეტის – რა უნდა, რა აინტერესებს, როგორია, რა ადარდებს, რა უხარია, რას უმიზნებს. იცის, რომ ინფექციონისტ გასტროენტეროლოგი (ღმერთო, ნეტა, სწორად თქვი?) უნდა გახდეს?

ვიქნები ბანალური და ვიტყვი, რომ კითხვა ბავშვობიდან მაინტერესებდა. ზუგდიდში როცა ჩავყავი ჩემებს, ვინცობდი ჩემს კომფორტულ კუთხეს ან ლოგინზე ან იზოლირებულ უკანა ოთახში ან სხვაგან სადმე და ვკითხულობდი დღეში 5-6-8 საათი. ჰო, წერაც მიყვარდა. მახსოვს, რაღაც სისულელეებს ვწერდი, ვფანტაზიორობდი. კაპიტან ჰატერასის მოგზაურობა ფოთიდან ავსტრალიამდე თუ რაღაც მსგავსი სათავგადასავლო რომანიც მქონდა დაწყებული – გაშლილი მქონდა პოლიტიკური რუკა (იქ ეწერა დედაქალაქები, ფართობი, მაცხოვრებლები და მსგავსი მშრალი ციფრები) და მიყვებოდი სკრუპულოზურად, პრაქტიკულად ვმუშაობდი. კაპიტანი ჰატერასი კი ყოულ ვერნს მოვპარე. მოვპარე რა, უფრო გადმოვიღე. მაშინ არ ვიცოდი სიტყვა „პოსტმოდერნიზმის“ შესახებ, მაგრამ გული კი მიგრძნობდა, რომ ჩემს საქციელს მთლად ქურდობა არ უნდა რქმოდეს. ექიმობის შესახებ წარმოდგენა მეცხრე კლასში გამიჩნდა. შემომთავაზეს, სამედიცინო კოლეჯში ხომ არ ჩააბარებდი, არ გინდაო? ვიფიქრე და რატომაც არა-მეთქი. ძალიან არასერიოზული და ნაადრევი იყო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა, სიგიჟემდე მიყვარს ჩემი საქმე, ჩემი იდენტობის ნაწილია.

1988 წელს დაიბადე. შესაბამისად, ცხრა აპრილი, მთელი ის ამბები არ გემახსოვრება,



მამასთან ერთად

მაგრამ საიდანაც გახსოვს, რა ქვეყანა იყო, დღეს როგორ გახსენდება?

ბუნდოვნად მახსოვს სამზარეულოში შეეყუთულობა – ჩვენი სახლის ლოჯია ქუჩაზე გადიოდა და იქ არ ვიკრიბებოდით ხოლმე იმიტომ, რომ ვინმე მთვრალ მხედრიონელს შეიძლება კორპუსი დაეცხრილა. ერთ ციდა სამზარეულოში ისხდნენ უფროსები და მე. ძალიან კარგად მახსოვს. კიდევ მახსოვს ჩემი დევენილი ნათესავეები, რომლებიც ომის შემდეგ ჩვენთან ცხოვრობდნენ და საერთოდ, ძალიან ბევრი ხალხი მახსოვს. ოროთახიან „ხრ-უშროკვას“ ამდენის დატევა თუ შეუძლია, დღევანდელი ბავშვი ნალად ვერ წარმოიდგენს ამას და მე კი ჩემი თვალით მიხახავს. და ყველაზე კარგი რა არის, იცით? საერთოდ არ ვწუხდებოდი, რალაცნაირად მშვიდად ვიყავი ამდენი ჩემიანის ყურებით. მერე უფრო ჩაკეტილი გავხდი და პირადი ტერიტორიის თავგამოდებული მძებარი, ბავშვობაში კი, როგორც ჩანს, ასეთი არ ვიყავი.

რა გიყვარდა და რა არ გიყვარდა? ცელქი იყავი?

პირიქით, ძალიან დამჯერი და ავადმყოფი ვიყავი. სერიოზული არაფერი, უბრალოდ ფებრილური გულყრები (მაღალი ტემპერატურისას როცა მოგდის გულყრა, აი, ეგ), ხშირი ავადობები, ამბები... გატანჯული მყავდა ჩემები, თუმცა პედიატრიაში მცირე გამოცდილების მიღების შემდეგ ჩემებს ვეუბნები, რომ ჩემს ავადობებზე ნუ წუწუნებენ, უხერხულია მართლა. მოკლედ, სადაც დამედბდნენ, იქ ვიყავი საათების განმავლობაში. დამიყრიდნენ ქვაბებს, წინიბურას, ბრინჯს, რაღაც მსგავს საყოფაცხოვრებო საგნებს თუ პროდუქტებს და ვთამაშობდი ჩემთვის. რას არ მივცემდი, ჩემი იმდროინდელი ფანტაზიები რომ მაჩვენა, ძალიან მაინტერესებს ქვაბისგან, ბრინჯისგან და სათამაშო მანქანისგან რა სამყარო შეიძლება აავსოს ადამიანის ტვინმა.

ბულალტერი მამა და ექიმი დედა. დედამ თავისი კარიერა ფაქტობრივად, მე შემომწირო, მეუბნება და აი, შედეგიც – მწერალ ჯაბა ზარქუას კარგი ექიმობის ორმაგი მოტივაცია აქვს. ექიმ ჯაბა ზარქუას კარგი მწერლობის? კარგი, მწერლობაზეც, დაბლაც ილაპარაკებს.

რადგან დედა წარმოშობით ზუგდიდიდანაა, მამა კი წალენჯიხიდან (ორმაგად მეგრელია) ბავშვობა და სამეგრელო განუყოფელი იყო. არდადეგები, ჩემოდნები. როგორც ხდება. მერე, დრო

რომ გავიდა, მოხუცებიც ნელ-ნელა გარდაიცვალნენ, იქ ხშირად ჩასვლის მოტივაციაც გაქრა. ახლა უფრო იშვიათად, „მიგადაშიგ“ მოახერხებს ხოლმე ჩასვლას. ჩარბენას – ხო, ეს უკეთესი სიტყვაა.

ექიმის გარდა გინდოდა კიდევ რამე გამოსულიყავი?

ალბათ, ჟურნალისტი. სტუდია „ართ-ჰოლში“ დავდიოდი ბავშვობაში, ჟურნალისტურ წრეზე, გოგა პიპინაშვილის სტუდია იყო. გაზეთს გამოვცემდით, სტატიებს ვამზადებდით, ინტერვიუებს ვწერდით იმდროინდელ „სტარებთან“, საქმეში ვიყავი და ძალიან მომწონდა ეს ფუსფუსი. ახლა ბედნიერი ვარ, რომ ექიმობას ვაყვეყვი და არა ჟურნალისტობას, მითუმეტეს, პრესის ჟურნალისტობას. იმიტომ, რომ ვერ წარმომიდგენია პროფესია, რომელიც შეიძლება ექიმობაზე მეტად მიყვარდეს. რალაცნაირად აროგანტულადაც ვუყურებ ყველა დანარჩენ პროფესიას, არასერიოზულ და გასართობ საქმეებად მიჩვენება ყველაფერი მედიცინასთან შედარებით.

და რა არის მაგ პროფესიაში ისეთი, რამაც ეგ გადამწყვეტილება მიგაღებინა?

გადამწყვეტილება როცა მივიღე, დიდად არ ვიცოდი რა იყო ამ პროფესიაში „ისეთი“, მაგრამ ახლა ვხვდები – საშინლად აზარტული საქმეა, რომლის განვითარებაც არასდროს მთავრდება და სადაც გაჩერების ფუფუნება არ გაქვს. თუ გაჩერდები – მოკვდები. სულ უნდა იარო, მიჰყვე ტენდენციებს, „აფდებით“ გაუკეთო ტვინს, იაზროვნო, ოდნავ მოდუნდები თუ არა უკვე აღარ ვარგიხარ. უდიდესი სიამოვნებაა, როცა კარგად და სწორად მართავ პაციენტს და ისიც მოგყვება და შედეგიც გაკმაყოფილებთ, ამას, ალბათ, არაფერი აჯობებს. ერთი სული მაქვს როდის ავიღებ ლიცენზიას (ეშმაკმა დალაზხროს ბიუროკრატია!) და როდის დაიწყებ დამოუკიდებელ სამედიცინო საქმიანობას. ერთი წელია დამრჩა, უფრო ნაკლები. ფანატიკურად მიყვარს ეს საქმე და თან უანგაროდ – სიტყვაზე მარკეტოლოგი, ფინანსისტი ან რამე სხვა პროფესია რომ ამერჩია, ახლა მექნებოდა მშვენიერი ხელფასი ზრდის პერსპექტივით. როცა ფული არ მაქვს, ზოგჯერ გამკრავს ხოლმე კიდევ გულში, რომ იქნებ მასეც სჯობდა, მაგრამ მერე ვხვდები, რომ არა. როდის ვხვდები, იცი? როცა ჩემს ნაცნობებს და მეგობრებს ვუყურებ, როგორ ეზიზღებათ საქმე, რომელიც მათ აჭმევს. როგორ ერთი სული აქეთ ამ საქმეს დაუძვრნენ. ამ დროს თვითკმაყოფილების განცდა მეუფლება – მე ხომ ჩემი საქმე მიყვარს? აკეთო ის, რაც გიყვარს – დღეს ყველაზე დიდი ფუფუნებაა.

მწერლობას და მედიცინას აქვს რამე საერთო?

მწერლობას არაფრით ჰგავს მედიცინა, ყოველ შემთხვევაში ჩემს მწერლობას. აი, ჰემინგუეი რომ ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ჯაბა ზარქუას მწერლობას არ ჰგავს – მედიცინას სჭირდება რაც შეიძლება მეტი სიმშრალე, მოკლედ მოჭრილი და საქმიანი სიტყვა, უკიდურესი პრაგმატიზმი და ნაკლები ირაციონალიზმი. ჩემი მწერლობა კი რადიკალურად განსხვავდება, თუმცა რალაცებში მაინც მეპარება ხოლმე სამედიცინო სკრუპულოზურობა, თუმცა რა უჭირს, იყოს.

ახალი დღე. ჯაბა ზარქუა სამედიცინო ცენტრ „მრჩვეულში“ მიდის, სადაც ჰეპატოლოგის (გლუხურად – ღვიძლის ექიმი – თან მიხსნის) ასისტენტია და ლიცენზიის აღების შემდეგ ამავე პროფესიის გახდება. ჯერჯერობით, სამედიცინო რუტინაა – მეილების გზავნა, სტიპენდიებისა და გრანტების განაცხადების

შევსება, მეილების ლოდინი, პაციენტები, რუტინული პაციენტები, საინტერესო პაციენტები, ურჩი პაციენტები, უცნაური პაციენტები და ა.შ.

კარგი ექიმი რომ გახდე, მაგისტრის რამე ოქროს წესები არსებობს?

ალბათ, უნდა გიყვარდეს საქმე. მე არ მესმის ძალით სამედიცინოზე როგორ აბარებენ ხოლმე, ძალით ფილოლოგობა გამიგია, ისტორიკოსობა გამიგია და იურისტობაც, მაგრამ მედიცინით რატომ იტანჯავენ თავს, თუ არ უყვართ? ისეთი საქმეა, რომელიც ან ყველაფერს ან არაფერს ითხოვს შენგან. თუ გიყვარს, ფანატიკოსს გხდის და თუ არ გიყვარს – ჯოჯოხეთად გიქცევს ცხოვრებას.

და კარგი მწერალი რომ გახდე, მაგისტრის?

აქაც ალბათ, იგივე – სიყვარული, მულამები, შრომის მართვა (ეს პროზაიკოსებისთვის აუცილებელია. პოეტებს შრომის მენეჯმენტი არ სჭირდებათ, პროზაიკოსებს – კი. ჩვენ ნაწერებს ერთ ლამეში ვერ ვწერთ, ემოციები კი ერთ ლამეში იფანტებიან).

სულ პირველად პატარა მინიატურა „კედელი“ დაწერა – ვილაც ინგლისელ თუ ინგლისურგვაროვან ბიჭზე იყო, რომელიც კედელს ელაპარაკებოდა. რა უნდოდა ამ კედლისგან, არ ახსოვს. მერე ეს ტექსტი სადღაც მიიკარგა და მიივიწყა. „ართ-ჰოლში“ სიარულის პერიოდში წერა და დაწერილის სხვებისთვის გაზიარების სურვილიც გაუჩნდა.

წერას სხვა რა პროცესს შეადარებდი?

ალბათ, რალაც ჰიბრიდია მალაროელის შრომისა და სექსის.

შენი პასუხი არანაკლებ ბანალურ „რატომ წერზე“, რა იქნებოდა?





ვეძებ ჩემს ტერიტორიებს. ტერიტორიების, სახლების ძიების დაუოკებელი სურვილი მაქვს და ალბათ წერით ამ მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებ.

და როცა წერტილს სვამ ხოლმე, ეგ რა შეგრძნებაა?

ენით აუნერელი კმაყოფილების და საშინელი მოთხოვნილების, რომ დროზე ნაკითხო ვინმეს, ნებისმიერს ვინც ხელში მოგხვდება.

და წერის შენეული – მანერა, აკვიატება, ჩვევა როგორია?

ყველა საქმეში მიყვარს „ჩაჯდომა“. აი, რო ჩაუჯდები გემრიელად. წერის დროსაც შუქებს ჩავაბნელებ, დაბალ განათებას დავტოვებ (პრინციპში ისედაც ასე ვარ, დაბალი განათება მიყვარს), ლეპტოპს მოვიმარჯვებ (ხელითაც მიცდია, მაგრამ მაინც ლეპტოპს ვანიჭებ უპირატესობას) და დავინწყებ. ათასნაირი მეთოდი მიცდია, ცხადია, ყველა ჩემი გამოგონილი, თუმცა, ოქროს სტანდარტს ჯერ ვერ მივაგენი. იდეები საკმარისი მაქვს, უბრალოდ, მათ გაფილტვრას ვერ ვახერხებ და ვირევი. ბოლო წიგნის მერე ორი წელი გავიდა და ერთი სამი ნაწარმოები დავინწყე და შევწყვიტე, არც დამენანა. ახლა კიდევ ვწერ რალაცას. მგონია, რომ მუშაობის სქემას ვეძებ, რომელსაც ჯერ ვერ მივაგენი და მაგიტომაც ვიჭედები და არა იმიტომ, რომ სათქმელი და იდეა არ მაქვს. მგონია, რომ ამ ბოლო ნაწერს დავამთავრებ. პრინციპში, წინა სამზეც ასე მეგონა, მაგრამ ამაზე განსაკუთრებულად მგონია მაინც.

ჟანრი, რომელშიც დანერდი, თავიდანვე განსაზღვრული გქონდა?

ასე ძალით და ბაზრის მარკეტინგული კვლევის შედეგად არაფერი ამირჩევია ცხადია – თავისით მოვიდა. წერის დროს მიყვარს ფანტაზიურობა, გამომგონებლობა და ლოგიკური იყო, რომ საიფაიმდე მივიდოდი ადრე თუ გვიან, თორემ საიფაის გადამკვდარი ფანი არ ვყოფილვარ არასდროს.

ზოგადად, სამეცნიერო ფანტასტიკით რის თქმა შეიძლება უკეთესად, როგორ გგონია?

აბსოლუტურად ყველაფრის, ძალიან მაგარი ყალიბი და ფორმაა საიფაი, რომელშიც შეგიძლია ყველაფერი ჩაასხა; ნებისმიერი ჟანრი. გული მწყდება, როცა ბანალურ საიფაის ვკითხულობ ან ვუყურებ, ბანალური სიუჟეტებით და ორგროშიანი სიბრძნეებით. ასე არ ვიზამ. მაქვს ამბიცია ახალი ფორმების დამკვიდრების და ახალი სათქმელის თქმის, რა გამომივა – ვნახოთ.

კარგი და, მკითხველი რატომ უნდა მოკვდეს? ოოო არა, შენ ხარ საიუბილეო მეათასე ადა-

მიანი, რომელიც ამ კითხვას ამ ფორმით მისვამს სიუჟეტურად უწევს სიკვდილი, თორემ ისე რას ვერჩი. საერთოდაც, ეს სათაური იმიტომ დავარქვი, რომ ეს კითხვა გასჩენოდა მკითხველს და ავტორისთვის კი არ ეკითხა, წიგნი წაეკითხა და იქ გაეგო პასუხი.

მკითხველზე ფიქრობ ხოლმე წერის დროს?

წერის დროს არა, წერამდე და წერის შემდეგ ალბათ უფრო. წერის დროს არაფერზე ვფიქრობ პერსონაჟების გარდა. როცა ვფიქრობ, მაშინაც მცირე დოზებით, ათასი რამე მაქვს საფიქრალი ისედაც.

რა გინდა, რომ გაიფიქრონ, როცა შენს წიგნს ხელში აიღებენ და ნაიკითხავენ?

„ვა რა მაგარია, ქართველი ავტორია? ასეთი არაფერი ნამიკითხავს ქართულ ლიტერატურაში“ – ალბათ მინდა ეს გაიფიქრონ, თუმცა წინ ბევრი სამუშაო ჯერ.

„ვარმშტადული პარადოქსიდან“ რომანამდე „მკითხველი უნდა მოკვდეს“ რა გზა იყო? ცვლილებებზე ფიქრობ ხოლმე სტილში, თემებში?

კი, სტრუქტურის ცვლილებებზე ვფიქრობ და ფორმებს ძალიან დიდ ყურადღებას ვანიჭებ, თუმცა ჩემთვის მნიშვნელოვანი და დიდი ცვლილებები ფურცელზე ასე არ ჩანს ხოლმე და შეიძლება მკითხველს გამოეპაროს კიდეც, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, მე ვიცი საითკენ და რა უნდა შევცვალო. თემა ძირითადად ერთი მიტრიალებს თავში და ამ ერთს სანამ არ ამოვწურავ, არ მოვისვენებ ისე. ერთი ცხოვრება ალბათ არ მეყოფა, ვნახოთ.

ძალიან აქტიური ხარ ხოლმე ლიტერატურულ კონკურსებზე – შენთვის რას ცვლის ასეთი პატარა-პატარა გამარჯვება-აღიარებები?

თავდაჯერება მემატება. ძალიან მაკლია თავდაჯერება და როცა ვუყურებ ამდენ თავდაჯერებულ იდიოტს გინდა მწერლობაში და გინდა ზოგადად, ცხოვრებაში, წერვები მემლება. რალაც მხრივ კარგია, რომ თავდაჯერებული არ ვარ, მაგრამ რალაც მხრივ ცუდია და ხელსაც მიშლის.

ვინ არიან შენი მთავარი გმირები, ზოგადად როგორ დაახასიათებდი მათ? უფრო გძულს თუ უფრო გიყვარს ისინი?

არცერთი არ მძულს. მინდა, რომ საძულველი ტიპები შევექმნა, რომელიც მკითხველს შესძულდება, მაგრამ მე მეყვარება. ყველა მიყვარს, რალაცნაირად მეცოდება ზოგიერთი მათგანი, თუმცა არა არაოგანტულად და ქედმაღლურად, აი, ადამიანურად მეცოდება, ალბათ ისევე, როგორც საკუთარი თავი – ზოგჯერ.

რას ჰგავდა ის შეგრძნება, როცა პირველად წერას შეუდექი და და დღეს რად იქცა ის – შენს ჰობად, საყვარელ საქმედ? პროფესიადაც?

არ მახსოვს ასე პირველი წერის შეგრძნებები და ვისაც ახსოვს – მგონია რომ იტყუება და იგონებს. ახლა წერა ჩემი მეორე საქმეა, პირველი მედიცინაა. მიმართლებს საქმიანობებში – ყველა მათგანი სიამოვნებას მანიჭებს.

როგორ ფიქრობ, რა არის 21-ე საუკუნის მწერლობის მთავარი სათქმელი? დარჩა რამე რაც არ თქმულა?

სათქმელს რა დაღვეს, ფორმებს რა დაღვეს... არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ „ყველაფერი უკვე ბიბლიაში ჩაინერა, ახალი რალა უნდა თქვა“ და ა.შ. არ ვართ მასეთი პრიმიტიული



არსებები. ტექნოლოგიური პროგრესი ახალ შრეებს გვიხსნის ცნობიერებაში, რასაც სჭირდება ანალიზი, აღწერა, გამოთქმა. ასეთ დროს ხომ არასდროს გვიცხოვრია? როგორ შეიძლება სათქმელი არ გვექონდეს არაფერი ყველაფრის გადაფასების და გადააზრების ეპოქაში.

ამბიციური ხარ? და თუ კი, რაში გამოიხატება? და თუკი არა, რა არის ის, რაც გეხმარება წინ წახვიდე?

ვარ ამბიციური და მიმანჩია, რომ ნიჭიერი მწერალი ვარ. მეტ-საც გეტყვი – ბევრი აღიარებული ნიჭიერი ახალგაზრდა საერთოდაც უნიჭოდ მიმანჩია. იმდენად ამბიციურიც არ ვარ, რომ თავს ვაბეზრებდე ამით გარშემომყოფებს და იდიოტივით ვიქცეოდე. კონტროლი არ დამიკარგავს საკუთარ თავზე და იმედია, არც დავკარგავ არასდროს. პარადოქსია ისე, ზემოთ ვამბობდი, თავდაჯერება მაკლია-მეთქი, ახლა გეუბნები, თავი ნიჭიერ ადამიანად მიმანჩია-მეთქი. ასე ვარ – ხან როგორ, ხან როგორ.

როგორ ფიქრობ, რა ენაა ის ენა, რითიც დღეს ქართველი მწერლები წერენ?

ფეისბუქის სტატუსების ენაა ალბათ ის ენა, რასაც ქართველი მწერლები ხმარობენ წერის დროს. სიზარმაცის ბრალია ან ნიჭის ნაკლებობის ეს ამბავი. ფეისბუქის სტატუსების ენაში არ ვგულისხმობ სიმარტივეს და უბრალოებას, არამედ უფრო ერთფეროვნებასა და ზედაპირულობას, ერთნაირობას, არაფრისმთქმელობას.

შენ რა გიყვარს და რა არ გიყვარს ლიტერატურაში ზოგადად?

მიყვარს მეტი ფანტაზია და მიმზიდველი სტრუქტურა ლიტერატურაში. არ მიყვარს ბლოგი ლიტერატურაში, მეჯავრება უსახური ბლოგურატურა.

სადაც გადავწყვიდი, რომ დოსტოევსკი და კაფკა გიყვარს, ისინი კვლავ შენს უცვლელ ავტორებად რჩებიან?

პირველად მაინც ესენი მახსენდებიან, თუმცა, საუკუნეა არ წამიკითხავს არც ერთი და არც მეორე. უბრალოდ ჩაჯდნენ ტვინში, დამავირუსეს და ვარ მას მერე ასე. სხვა ავტორები მიდიან და მოდიან, ესენი კიდევ ჩაილექნენ მძიმე მეტალებით.

შეგიძლია თქვა რომელიმე მწერალზე – აი, ასე მინდა ვწერო. არ შემიძლია.

რისი მიღწევა გინდა მედიცინაში და რისი მწერლობაში?

მაქსიმუმის, რასაც ჩემი ძალები მიმალწევინებენ. რა არის ეს მაქსიმუმი კონკრეტულად – არ ვიცი, დრო გვანახებს. უბრალოდ

მინდა, რომ სიკვდილის პირას მისულს უკმაყოფილების განცდა არ დამრჩეს, რომ რალაცის გაკეთება შემძლო და დავაკელი, ვერ გავაკეთე. მკვდარს ვინლა ამაყენებს მერე ამისთვის.

მგონი რომანზე მუშაობ? რაზე იქნება?

უკანასკნელ ექიმზე პლანეტაზე. მესამე რაიხია, ჯუჯა სახელმწიფოებია (ზემოთ რომ ვამბობდი ჩემს სამყაროს ვქმნით-მეთქი, ეგაა) და კონექტომიკაა, ანუ მეცნიერება უკვდავების შესახებ, განხორციელებული უკვდავება. მედიცინა ირაცხება ანტიჰუმანურ და კრიმინალურ საქმიანობად, ექიმები გადადიან მინისქვეშეთში და მოდის ახალი ტოტემი – უკვდავი ადამიანი. ამ გარდამავალ პერიოდზე მინდა დაწერო და ვნახოთ რა გამოვა, დაწყებული კი მაქვს. ის მოთხრობაც, რომელიც ამ ნომერში იბეჭდება, ფაქტიურად ერთი-ერთი თავია ამ რომანისა.

ადამიანებს რის მიხედვით ან რის გამო ირჩევ? შენს ადამიანებზე გეკითხები.

არ ვირჩევ, მოდიან და რჩებიან ბუნებრივად, ზედმეტი არჩევების გარეშე.

საქართველოში მწერლის ცხოვრებას რას შეადარებდი?

ეთიოპიელი ჰიპსტერის ცხოვრებას – არავის სჭირდება.

ჯავახიშვილზე არ გეკითხები (ვიცი, რომ გიყვარს) და ქართველებიდან, თანამედროვე პროზაიკოსებიდან გყავს ისეთი მწერალი, ვიზეც შეგიძლია თქვა, რომ აი, ის არის მწერალი.

თანამედროვეებიდან აკა მორჩილაძე და ირაკლი სამსონაძე, მწერლები და შემდგარები თან. თანამედროვეებიდან ეს ორი გამახსენდა უცბად.

ზოგადად, როგორ გგონია, რა არის ამისათვის საჭირო? მაგალითად, ერთი თუნდაც ძალიან მაგარი წიგნის დაწერა კმარა?

კი, შეიძლება ერთიც კმაროდეს, თუმცა ერთნიგნიანი მწერლები არ მიყვარს. ციკლების და სიმრავლეებისკენ მაქვს მიდრეკილება. ამონურული სათქმელის არ მესმის, როგორ შეიძლება რამე ამონურო ამ საოცარ დროში და სამყაროში? რამხელა ამბიციია რამის „ამონურვაზე“ პრეტენზია, ღმერთო ჩემო.

შენი ყველაზე დიდი თავგადასავალი რა არის, რაც გადაგხდენია?

ომში ვიყავი 2008 წელს სამი დღის განმავლობაში, ამაზე დიდი და დასამახსოვრებელი და მსგავსი სიმძაფრის იმედია არაფერი გადამხდება არასდროს.

ტაბუირებული თემები არსებობს შენთვის? არანაირი.

ცდუნებებს შორის რაზე არ/ვერ ამბობ ხოლმე უარს?



გია და მასების მართვა, პროპაგანდა – ჩემი სუსტი ნერტილია, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში არასდროს გამოვიყენებ, თუმცა, ნაწერებში – იცოცხლე.

არის რამე, რაც ძალიან გინდა რომ გააკეთო და იცი, რომ არასოდეს გამოვა?

ყველაზე მეტად მინდა უკვდავები ვიყო და მართლა მჯერა, რომ 2050 წელს თუ გადავაცილე, მერე იქნება რალაც შანსები, სრული სერიოზულობით, არ ვხუმრობ. ეს მინდა რომ მოხდეს და არ მგონია, რომ არასდროს გამოვიდეს, ერთი მეშინია, რომ მე ვერ მოვესწრო და იქითა საუკუნეში გადაინაცვლოს ამის პერსპექტივამ, თორემ აუცილებლად გამოვა ადრე თუ გვიან.

როგორი გინდა იყოს შენი, ჯაბა ზარქუას ადგილი მწერლობაში?

ჩემი სამყარო მინდა შევქმნა, ჩემი ტერიტორია, რომელიც იქნება უნიკალური და მხოლოდ ჩემი სავიზიტო ბარათი. ახლა პირველ აგურებს ვდებ, ვნახოთ რა გამოვა.

რამდენიმე თვის წინ მოხეტიალე წიგნების ამბავი რომ წამოინწყე, თითქოს მიხელდა. ფიქრობ, ხეტიალის დრო დასრულდა?

მოხეტიალე წიგნების იდეა, ისევე როგორც ალბათ ყველა იდეა დედამიწის ზურგზე, გაჩნდა სპონტანურად. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ კვირა საღამო იქნებოდა ალბათ, იმიტომ რომ კვირა საღამოს ვაწყობ ხოლმე გეგმებს წარსული კვირის მივიწყებისა და ორშაბათიდან ახალი ცხოვრების დაწყების შესახებ, ჰოდა, არაა გამორიცხული რომ ერთ-ერთი ასეთი „დალაგების“ დროს მომაფიქრდა წიგნების ხეტიალი. მაშინ მსგავსი უცხოური გამოცდილების შესახებ წარმოდგენა არ მქონდა, არაფერი მომიძებნია წინასწარ, მერე აღმოვაჩინე ბუქქროსინგი, რომელიც კონცეფციით განსხვავდება მოხეტიალე წიგნებისგან. წიგნზე წარწერის გაკეთება საკუთარი ხელით და თვითიდენტიფიცირება წიგნთან იყო ამ პროექტის მყისიერი წარმატების საიდუმლო, ალბათ. ყველას უნდა, ასოცირდებოდეს რაიმე ცალსახად კარგთან. ეს ცალსახად კარგი საგნები კი ცოტაა ამქვეყნად, ამ ცოტადან კი ერთ-ერთია წიგნი, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, პრინციპში. ძალიან მწყდება გული, რომ მიინავლა ეს ამბავი, მგონია რომ ცოტა ფული რომ მქონოდა, ბევრნაირად განვავითარებდი ამ თემას, მოხეტიალე წიგნების სახით ერთგვარი ახალგაზრდული მოძრაობის დაწყებაც კი მინდოდა, მაგრამ მერე დავეწარცხე მიწაზე და მივხვდი რომ ფულის გარეშე იდეები ვერ ვითარდება, როგორც წესი, და ამიტომაც გავიყინეთ ერთ ადგილას. თუმცა, მთავარია რომ სათქმელი ითქვა და დაფიქსირდა, ტვინიდან რა ამოშლის ამ ამბავს, ოდესმე აუცილებლად გავიხსენებ და ამოვატივტივებ ახალი ძალებით, მეორე, მძლავრი ტალღაა საჭირო, წიგნიერების ყოვლისმომცველი ტალღა, რომელმაც უნდა წაღებოს ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ, წიგნების აპოკალიფსი. ცუდია, რომ ცალსახად წიგნებთან ასოცირებულმა ქართულმა კომპანიებმა იდეაში ჩართვაზე უარი მითხრეს. თავიდან აფიტირებულ და ცხელ გულზე ტელეფონი არ ჩერდებოდა, მერე დაიკიდეს, საქმე-საქმეზე რომ მიდგა. არადა მე რომ ფულიანი ბიძა ვყოფილიყავი, ამ იდეას აუცილებლად გამოვიყენებდი თუნდაც კულაბზიკობისთვის და დადებითი. ეგ არაფერი.

შენს თავს რას ჰკითხავდი?

არაფერს ვეკითხები, ძირითადად ვმბრძანებლობ საკუთარ თავზე. მბრძანებელი კი კითხვებს არ სვამს.

სიგარეტს ვებრძვი თავგამოდებით, ჯერ მჯობნის ეგ ძალღისშვილი, მაგრამ ვუძალიანდები და ნერვები მემლება, რომ ბოლომდე ვერ გამოვუყვანე წირვა. მეზიზღება და მიყვარს.

შენს ნაწერებში შენ თავად რა დოზით ხარ?


ყველგან მე ვარ. ამის თქმა საქართველოში სახიფათოა იმიტომ, რომ ვინმე პერვერტი პერსონაჟის მონოლოგებს შენს მონოლოგებად გასაღებენ მერე პერვერტი და გარყვნილი ჟურნალისტები და მათი მკითხველები, მაგრამ მკიდია – ჩემს ნაწერებში მე ვარ დიდი დოზებით, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. ზოგან საერთოდაც შეიძლება ისე ვიყო, რომ ვერც ვაცნობიერებდე.

გერმანია ასე რატომ აჩემე? რამე განსაკუთრებულია, რაც იქით გექაჩება?

მართლა ვიცი ხოლმე რალაცების აჩემება და თავს ვირწმუნებ, რომ ეს რალაც ჩემია, მე მჭირდება და ჯერ ყველა ასეთი აჩემება მართლა ჩემი გამხდარა ორგანულად. გერმანიაზე დარწმუნებული ვარ, რომ საჩემო ქვეყანაა მიუხედავად იმისა, რომ არასდროს ვარ ნამყოფი. მკაცრი სტრუქტურისება, ნესრიგი და ენის ჟღერადობა ისე მომწონს, რომ როცა გერმანული მესმის, ბავშვივით მიხარია. მინდა ამ ენაზეც ვწერდე და ვლაპარაკობდე გამართულად, ქართულივით. საერთოდ ჟღერადობებს დიდ ყურადღებას ვანიჭებ ისევე, როგორც ფორმებს.

ჯაბა და პოლიტიკა – რა კავშირი არსებობს ამ ორ სიტყვას შორის?

დიდი კავშირია და ჩემს შემოქმედებაში ეს აუცილებლად აისახება. მასობრივი ფსიქოლო-



რალაც კარცერ-ლუქსებით, რომელიც თურმე XX საუკუნის რომელიღაც მწერალს ალუნერია პირველად თავის ერთ-ერთ მოთხრობაში. პოსტრევოლუციურ ვარმშტადელეებს ამ იდეისთვის ხორცი შეუსხამთ, კარცერ-ლუქსების გარდა, ვინმე „კლიმბიცი“ ბლომად დაუქირავებიათ და სულ მალე უცნაური შედეგიც მიუღიათ. ერთ-ერთი მთავარი გმირი ასე ახასიათებს ამ შედეგს: „ჩვენ ვოცნებობდით წიგნების დიქტატურაზე და გულუბრყვილოდ გვწამდა, რომ ეს ისევ და ისევ საზოგადოებისთვის საკეთილდღეოდ იქნებოდა... თუმცა, გავიდა დრო... და პოსტრევოლუციურ ვარმშტადელეში ადამიანი სისტემამ შეცვალა არა თავის-სავე საკეთილდღეოდ, არამედ სისტემის კიდევ უფრო გასაძლიერებლად!“

პატარა სახელმწიფოს – ვარმშტადის – სისტემა საათივითაა აწყობილი და იქ ყველაფერი პროპაგანდაზეა დაფუძნელი. ხუმრობა საქმე ხომ არაა, დიდი მეზობელი ნებისმიერ დროს შეიძლება დაგესხას თავს, პროვოკაციაზე წამოგაგოს, ჯაშუშები შემოგიგზავნოს. ამის გამო წიგნი ძალიან აქტუალურ ქვეტექსტებს სთავაზობს მკითხველს, აქტუალურს და ჯანსაღს, მოქნილს, ირონიულს. სხვათა შორის, ავტორს თავიდან სურდა მთელი რომანი პროპაგანდის თემაზე აეგო, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაუფიქრია, მომავლისთვის გადაუღვია. [...]

[...] როგორც წესი, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის უანრში დაწერილი წიგნების ხან ავტორები არ ახსოვთ ხოლმე, ხან სათაურები, ხან სიუჟეტები, ახსოვთ მხოლოდ კომიკური დეტალები და ერთი-ორი პერსონაჟის სახელი – ის, რომ მთავარ გმირს ფარნაოზი ჰქვია, ან ის, რომ უცხოპლანეტელი რაჭაში ან მესტიის რაიონის რომელიღაც სოფელში ჩამოვიდა... მოკლედ, ამ უანრმა ჩვენთან ვერ იხარა და სიმაღლეს გითხრათ, თავიდან არც ის მესიამოვნა, რომ ჯაბა ზარქუა ეგრევე ფანტასტიკას ეტაკა. ამ გულდაწყვეტამ ძალიან მალე გამიარა, რადგან პირველივე გვერდებიდან მივხვდი, რომ საქმე ფანტასტიკასთან კი არა, მახვილგონივრულად გაკეთებულ ანტიუტოპიასთან გვექონდა და იგი უფრო ჰაქსლის, ორუელის, ბრედბერის, ბერჯესის, თუნდაც ჩაკ პალანიკის ტრადიციაში უნდა ჩავგვევა, ვიდრე სტანისლავ ლემის ან არტურ კლარკისაში.

რომანის მოქმედება XXII საუკუნის პირველ მეოთხედში ვითარდება. მსოფლიოში მესამე რაიხის უდიდესი იმპერია ბატონობს, თუმცა არსებობს საქართველოსავით პატარა სახელმწიფო, ვარმშტადი, სადაც 2075 წელს რევოლუცია მოხდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკითხველთა და წიგნების სრული დიქტატურა დამყარდა და მთელი ქვეყანა მოიფინა

[...] ალბათ, ჯაბამ სწორი არჩევანი გააკეთა. პირველ ჯერზე ესეც სრულიად საკმარისი იყო ამ თემის დამუშავებაში. თანაც, მთავარი ისაა, რომ წიგნი მცირე მოცულობისა გამოვიდა და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. რომანში ზედმეტი არაფერია, მასში ძალიან კონკრეტული და საქმიანი ქვესათაურებია, მკითხველის რიტმსაც ზუსტად გრძნობს ავტორი, დროითი უკუსვლები და წინსწრებები, პორტრეტები და რეტროსპექტული თხრობებიც ფუნქციურადაა დატვირთული და ნაწერიც ძალიან კარგადაა გამართული. შეიძლება ითქვას, ავტორი ზედმეტად გამართულადაც კი წერს, თითქმის სტერილურად. ეს კი უანრის სპეციფიკაშიც კარგად ჯდება, მეორე მხრივ კი, ავტორს სრულიად იხსნის უცხო და ქართული ელემენტების კომიკური შერწყმისგან, რაც ხშირად სდევს ხოლმე თან ე.წ. „ქართულ ფანტასტიკას“. პირიქით, წიგნი გარკვეულ პასუხისმგებლობასაც აჩენს მკითხველში და კრიტიკული აღმოჩენებისკენაც კი გვიბიძგებს, ასეთ რამეს კი საქართველოში მხატვრულ ტექსტებში კი არა, პუბლიცისტურ ნაწერებშიც კი იშვიათად შეხვდებით. [...]

მალხაზ ხარბედია
რადიო თავისუფლება, 30.09.2012

ნეტარ არიან თვითმკვლენი, რამეთუ მათია სასუფეველი ცათა

ჯაბა ზარქუა

* * *

კაროლინსკა იყო იმპერიის უკიდურესი ჩრდილოეთი, რომელსაც ერთის მხრივ ერთკუთხედიანი თვალუნდენელი ოკეანე შიგ მოტივტივე ყინულის ნატეხებით, ხოლო მეორეს მხრივ კი დაუსახლებელი ტერიტორია, რომელიც ცივილიზებული სამყაროსგან ჰყოფდა. მიუხედავად ასეთი არასახარბიელო ტოპოგრაფიისა, ის მაინც შედიოდა მესამე რაიხის შემადგენლობაში ალბათ იმიტომ, რომ კაროლინსკა ჩრდილოეთის ოკეანის პირას ასე ახლოს დასახლებულ ერთადერთ საცხოვრებელ პუნქტს წარმოადგენდა.

შობადობის ლიმიტი ამ ადგილისთვის აბსოლუტური 0 იყო და ისეთი პირი უჩანდა, ასეც დარჩებოდა სამარადჟამოდ. სიმართლე რომ ვთქვათ, კაროლინსკელები არც აპროტესტებდნენ ამ ფაქტს და აკმაყოფილებდნენ ის სოციუმი, რომელსაც, აგერ, უკვე 120-ე წელიწადის მანძილზე უცვლელად ინარჩუნებდნენ – 3042 ადამიანი, აქედან 1300 კაცი და 1742 ქალი. მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იყო 43 წელიწადი, რის შემდეგაც უწევდათ სხეულის შეცვლა. სხვათა შორის, ეს იყო ერთ-ერთი არგუმენტი იმპერიის შემადგენლობიდან კაროლინსკას განდევნის მომხრეებისთვის. მათ მიაჩნდათ, რომ კონექტომიკის რესურსების მსგავსი ინტენსიური გამოყენება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ისინი მოითხოვდნენ კაროლინსკას მოსახლეობისთვის რაიმე მკაფიო მოვალეობის დაკისრებას, ან, ყველაზე კომპრომისულ ვარიანტში – მათი რაოდენობის შემცირებას 2000 ერთეულამდე მაინც, რაც კონექტომიკის ხარჯებს მკვეთრად შეამცირებდა. რთული იყო ამ ადამიანებთან ოპონირება, რადგან კაროლინსკა იმყოფებოდა მონინავე ადგილებზე ადამიანების ყველაზე მოკლე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მარჯვენა ბოლოში. ეს მეტწილად განპირობებული იყო იმ მკაცრი გარემო პირობებით, რომელშიც მათ უწევდათ არსებობა. მიუხედავად ყველაფრისა, მმართველი პარტია არ ჩქარობდა კაროლინსკასთან დაკავშირებით რადიკალური ზომების მიღებას და არწმუნებდა მთავარ ოპოზიციურ ძალას, რომ მიმდინარეობდა ამ დასახლებაზე დაკვირვება და მალე ის

გამოყენებული იქნებოდა ერთგვარ მოდელად, რაც თითქოსდა იმპერიას დაუსახლებელ პირობებში თანამოქალაქეების დასახლების საშუალებას მისცემდა. მმართველი პარტიის წევრები არწმუნებდნენ ოპოზიციონერებს, რომ თანდათანობით გაზრდიდნენ კაროლინსკელების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, თუმცა მრუდები და დინამიკა მსგავსს არაფერს პროგნოზირებდა. მმართველი პარტიის რეიტინგიც ნელ-ნელა ეცემოდა მსგავსი სიჯიუტისა და საბიუჯეტო სახსრების სრულიად უაზრო ფლანგვის გამო. ნელ-ნელა ისეთი პირი უჩანდა, რომ მესამე რაიხის ამომრჩეველი მოითხოვდა კაროლინსკას მოსახლეობის არათუ შემცირებას, არამედ მათ განდევნას იმპერიის შემადგენლობიდან, სპეციალური სტატუსის გაუქმებას და თანაბარ კონკურენტულ გარემოში ჩაყენებას, რაც უდიდესი ალბათობით კაროლინსკელების გაქრობას გამოიწვევდა.

120 წელი იდგა კონექტომიკის შემდგომ. ზუსტად 120 წლის წინ, 9 თებერვალს, იმპერიის მესვეურებს საზეიმოდ ეცნობენათ ქვეყნიერებისთვის ახალი მეცნიერების, კონექტომიკის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. კონექტომიკა იყო უკვდავება!

იმპერიის ყველა მოქალაქის ცნობიერების სკანირება და რეგისტრირება მოხდა საერთო ბაზაში. მათი გარდაცვალების შემდეგ კი მათი ცენტრალური ნერვული სისტემის რეინსტალაციას ახდენდნენ ახალ სხეულებში. მოქალაქეებს ახალი სასურველი სხეულის დიზაინი წინასწარ ჰქონდათ შეკვეთილი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად. თავიდან კონექტომიკა თითო-ორთაა მომხმარებლის საკუთრება იყო, რომლებსაც შეეძლოთ საკუთარი ფულით შეეძინათ სერვისი, თუმცა ძალიან მალე მთავრობამ ბიუჯეტი დაგეგმა იმგვარად, რომ ყოველი მისი მოქალაქისთვის გახდა კონექტომიკური სერვისებით სარგებლობა შესაძლებელი. გადასახადების სისტემა შეიცვალა, პრიორიტეტები შეიცვალა, აბსოლუტურად ყველაფერი შეიცვალა, სამაგიეროდ კი დაიწყო ახალი ხანა, კონექტომიკის შემდგომი ხანა ანუ უკვდავების დრო. დრო, სადაც ყველა იმდენ ხანს ცხოვრობდა, რამდენი ხანიც უნდოდა. ჯერ სიცოცხლის შეწყვეტის სურვილი არავის გამოეთქვა, არადა კარგა 120 წელი გასულიყო კონექტომიკის შემდგომ. ყველა დარეგისტრირებული გახლდათ ცენტრალურ ბაზაში, დატოვებული ჰქონდათ სიკვდილის შემდგომ მომდევნო სხეულის აღწერილობა, რომელშიც უნდა გაცოცხლებინათ და იყვნენ მშვიდად და ბედნიერად. რა თქმა უნდა, ამ 120 წლის მანძილზე არაერთხელ მოუწიათ სხეულის გამოცვლა, განსაკუთრებით კი კაროლინსკელებს, თუმცა, რას დაეძებდნენ? სიკვდილი აცრასავით უსიამოვნო პროცედურა გამხდარიყო, რომელიც პერიოდულად ყველას უწევდა რამდენიმეჯერ, მეტი არაფერი. ერთი ეგაა, რომ უკვდავების სანაცვლოდ იმპერიას შობადობაზე

უმკაცრესი კონტროლი დაენესებინა, რადგან უკვდავი ადამიანების უკონტროლო ზრდა კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას. პლანეტა ზონებად დაყოფილიყო. მეტად განვითარებული რეგიონები მაღალი ლიმიტის ზღვრით გამოირჩეოდნენ (ყველაზე მაღალი იყო 3მ ანუ ერთ სულ მოსახლეზე მაქს. 3 შვილის ყოლის უფლება, რომლებიც მიიღებდნენ კონექტომიკის ნაციონალურ ბაზაში დარეგისტრირების უფლებას და სხვა ბენეფიტებს), ხოლო ყველაზე განუვითარებელი რეგიონები კი, ისეთები, როგორც კაროლინსკა გახლდათ, 0მ კატეგორიაში გადიოდნენ. ეს სტატუსები ხშირად იცვლებოდა ხოლმე განვითარების პატერნის ცვლილებასთან ერთად, თუმცა კაროლინსკა იმდენად სტაბილურად განუვითარებელი მხარე იყო, 0მ ალბათ კიდევ დიდხანს არ შეიცვლებოდა. რა მოხდებოდა, თუ აკრძალვის მიუხედავად ადამიანი შვილს გააჩენდა მაინც? ის ვერ ისარგებლებდა ვერანაირი სამედიცინო და სოციალური ბენეფიტებით, რომლებიც იმპერიის მოქალაქეებს ჰქონდათ, არაფერს ვამბობ უკვდავებაზე და კონექტომიკაზე. პრაქტიკულად განწირული იყო ნაადრევ ასაკში უღმობელი სიკვდილისათვის და სწორედ ამიტომ, ადამიანობა ვისაც შერჩენოდა, ბავშვის გაჩენისგან თავს იკავებდა, თუ ეს მის რეგიონში დაშვებული არ იყო.

* * *

– ჩემო ძვირფასებო, – მაღალი, სოლიდურად ჩაცმული და თხელი ადამიანი იდგა ტრიბუნასთან და მის წინ შეგროვილ ხალხს მიმართავდა. ეს ხდებოდა სანაპიროდან დაახლ. 50 მეტრის მოშორებით მდებარე ყველაზე ცნობილ და ყველაზე დიდ ბარში, რომელსაც ერქვა „სლიზკა“ და რომელიც იტევდა 500 ადამიანს. – მინდა გაუწყოთ ახალი მისიის ჩამოსვლის შესახებ, რომელიც იქნება უკანასკნელი მისია იმპერიიდან. გვინდა კარგად გაისიგრძეგანოთ ის პასუხისმგებლობა, რომელსაც თავად იმპერატორი იღებს საკუთარ თავზე. ჩვენ ვიბრძვით თქვენთვის, გვინდა რომ ამ ბრძოლაში მხარი აგვიბათ!

კაროლინსკა ხომ ერთ-ერთ ყველაზე ბოლო ადგილზეა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლით. თქვენ საშუალოდ 43 წელს ცხოვრობთ, გესმით, ეს რას ნიშნავს? იმპერიის საშუალოდ განვითარებული დასახლებების მაცხოვრებლები საშუალოდ ცხოვრობენ 75 წელიწადს და ეს ციფრი უფრო და უფრო იზრდება, თქვენ კი მათზე ორჯერ ნაკლები დრო გჭირდებათ სხეულის შესაცვლელად! ალბათ ისიც არ გესმით წესიერად, თუ რამხელა დანახარჯებთანაა დაკავშირებული კონექტომიკის სიკეთები. თქვენ ხომ პრაქტიკულად არაფერს აკეთებთ და ამ დროს იღებთ ყველაფერს! ასე არ შეიძლება, მეგობრებო!

ჩემო ძვირფასებო, ცენტრში სიტუაცია დღითიდღე იცვლება და მოვლენილი ვარ ამ ინფორმაციის თქვენამდე მოსატანად. მინდა, რომ იცოდეთ – ოპოზიცია ძლიერდება და ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც იგი ქულების დაწერას ახერხებს, აბა, თუ გამოიცნობთ რომელია? ფიქრით თავს ნუ დაიღლით, პირდაპირ გეტყვით – ეს თქვენ ხართ! დიახ, თქვენ გიყენებთ ჩვენი ოპოზიცია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და არ იკითხავთ რას მოითხოვენ ისინი? გიპასუხებთ – ხარჯების ოპტიმიზაციას და რაციონალიზაციას. მოსახლეობის უმეტესობა ნელ-ნელა მათ მხარეს იჭერს და უფრო და უფრო აგრესიულად ითხოვს ისეთი უფარვის რეგიონების, როგორიცაა მაგალითად კაროლინსკა,

შენახვასა და უზრუნველყოფაზე უარის თქმას! ისინი ამბობენ, რომ თუ კაროლინსკელით აძლევთ თავს უფლებას ერთი სხეული ასეთი მცირე ხნის შუალედებში შეცვალოთ, მაშინ ისინიც მოგბაძავენ და თავიანთ ბებერ, თუმცა ჯანმრთელ სხეულებს დაბერებამდე მოიშორებენ და გამოცვლიან! წარმოგიდგენიათ რა მოხდება, თუ ეს ტრენდად დამკვიდრდება და მესამე რაიხის მასშტაბით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაინევს მნიშვნელოვნად? ეს იქნება ნამდვილი კატასტროფა, რომლის მსგავსიც იმპერიას არ გამოუცდია და რომელსაც ის ვერაფრით გაუმკლავდება.

ვიცი, რომ გაშინებთ, ვიცი რომ გზაფრავთ, მაგრამ ეს აუცილებელია! მერწმუნეთ, ამას თქვენივე სიკეთისათვის ვაკეთებთ, რამეთუ გვსურს დაგვეხმაროთ! გვინდა რომ დაგვეხმაროთ თქვენივე გადარჩენაში! ისინი შეგინყვებენ კონექტომიკით სარგებლობის უფლებას და თქვენ ასე წელიც არ დაგჭირდებათ გადასაშენებლად! ნუ დაიღუპავთ თავებს, მოგვეცით თქვენი გადარჩენის უფლება! ეს მიზანი ექნება ამ ახალ და უკანასკნელ მისიას, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოავლინა კაროლინსკაზე. გაიცანით ჩვენი გუნდის წევრები. ისინი უახლოეს დღეებში ჩაატარებენ ტრენინგებს და იზრუნებენ თქვენში უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებაზე, განახებენ თქვენი სიკვდილის ყველაზე ხშირ მიზეზებს და დაგისახავენ გზებს თუ როგორ უნდა აირიდოთ ისინი თავიდან. მე მჯერა, რომ ერთად ყველაფერი გამოგვივა! მე მჯერა, რომ ერთად ჩვენ შევძლებთ თქვენი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდას და ამ მონაცემებს პირში ჩაჭრით ოპოზიციას!

კემა უყურებდა გამომსვლელს და ხვდებოდა, რომ ამ სამი სხეულის მანძილზე, ცხოვრებაში პირველად მოსწონებოდა მამაკაცი.

* * *

კემა ნამდვილი შეშლილი იყო. მესამე სხეულს იყენებდა და სამივეჯერ ეს სახელი ერქვა. პირველი, კემა მამაკაცი იყო და დანარჩენი კაროლინსკელებისგან მძაფრი შეგრძნებების სიყვარულით გამოირჩეოდა. კონექტომიკის გამოგონების შემდეგ კი გასაქანი მისცა ყველა მალულ ფანტაზიას. საქმე ისაა, რომ მანამდე სიკვდილის ემინოდა და ბოლომდე ვერ რისკავდა. როცა თავი უკვდავად იგულა, ყველა ის სარისკო მომენტი გამოსცადა, რაზეც კონექტომიკამდელ ერამი გული ეთანაღრებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა და გარდაიცვალა 22 წელს კონექტომიკის შემდგომ – 44 წლის ასაკში. მისი გარდაცვალების მიზეზი რთული დასადგენია, რად-

გან არავინ იცის გაიყინა თუ დაიხრჩო – არც მეტი არც ნაკლები ოკეანეში შესცურა. მიზნად ჰქონდა დასახული, პირველივე აისბერგამდე მისულიყო და შემდეგ უკანვე გამოეცურა, თუმცა ცხადია გზის მესაღიძე კი ვერ დაფარა და რამდენიმე ხელის გაქნევამი დაიღუპა. მისმა ამ ბრწყინვალემა საქციელმა ერთ-ერთ ბრწყინვალე ტრადიციას დაუდო სათავე – ყოველი წლის 12 დეკემბერს, ანუ იმ დღეს, როცა კეშა ოკეანეში შევიდა, ეწყობოდა საერთო სახალხო ზეიმი-შეჯიბრება ცურვამი. მონაწილეების 99% იღუპებოდა, თუმცა განა ყველა მოზიმი შედიოდა წყალში? უმეტესობა ნაპირზე ცეკვავდა, სვამდა, ესიყვარულებოდა ერთმანეთს, ხოლო რჩეული უმცირესობა კი წყალში ასრულებდა მორიგ სიცოცხლეს.

მის მეორე სხეულს კარგა 50 წლამდე მიეღწია. ისევე კეშა ერქვა, ოღონდ ამჯერად ქალი იყო. 23 წლის ასაკში გადაეწყვიტა, რომ ყველა კაროლინსკელ მამაკაცთან ჰქონოდა სექსი. ასეთების რიცხვი კი, როგორც უკვე იცით, არც მეტი არც ნაკლები 1300 გახლდათ. კეშამ თავიდანვე საჯაროდ გაამხილა თავისი სურვილი და განაცხადა, რომ ოდითგან უნდოდა გამოეცადა ქალის სექსუალობის საიდუმლო და გადაეწყვიტა ეს ცხოვრება ბოლომდე ამ საკითხის ემპირიული კვლევა-ძიებისთვის მიეძღვნა. 27 წელი მოანდომა კაროლინსკელ მამაკაცებთან სექსს, 27 წელი! ზუსტი სტატისტიკა ცხადია კაციშივლიმა არ იცის, რადგან არც არავინ ითვლიდა, მაგრამ დიდი ალბათობით მართლა ყველა მათგანთან ნოლილა კეშა თუ მის დღიურებს და კაროლინსკელი მამაკაცების ცოდნას ვენდობით კეშას ეროტიული საიდუმლოებების შესახებ. კეშას იმდროინდელი დღიურების კითხვა საკმაოდ საინტერესო რამ გახლდათ და მართლა საგულისხმო ინფორმაციას იძლეოდა სექსუალობის შესახებ. იქ ასევე ძალიან კარგად ჩანდა კეშას ფსიქოლოგიური გარდასახვა, რომელიც წლიდან წლამდე ვითარდებოდა შეუქცევადად და ბოლოს სრულ ფეტიშიზმამდე მისულიყო. საქმე იმაში გახლდათ, რომ სექსობრივი ცხოვრების მოვალეობად და წმინდათანმინდა მისიად ქცევის პარალელურად, კეშას ლიბიდო ეკარგებოდა. სურვილის გარეშე სექსი კი ნამდვილ საშინელებას ემსგავსებოდა. დაკარგული სურვილების საკომპენსაციოდ კეშა მიმართავდა სხვადასხვა სასტიკ თამაშებს, რომელსაც სექსუალური ტკობისას სურვილების გასამძაფრებლად იყენებდა. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა იმსხვერპლა კიდევ. როგორც ნარკომანს ესაჭიროება დღითიდღე მომატებული დოზები, ისე ესაჭიროებოდა კეშას მეტი უხეში ფაქტორები დამატებითი ემოციების

გამოსამუშავებლად. საზღვრის შეგრძნება დაეკარგა და შედეგად ამისა უკანასკნელი აქტის დროს საშინელი ტკივილების ფონზე გარდაცვლილიყო კიდევ. შინაგანი სისხლდენაო, ექიმებს უთქვამთ.

ეს მოხდა 72 წელს კონექტომიკის შემდგომ. ამჯერად კი კეშა 48 წლის ცოცხალი და სალ-სალამათი ქალი იყო, სექსუალური პერვერსიების და სხვა უცნაურობების გარეშე, უზომოდ სევდიანი თვალებითა და მომუნული პირით – არ ლაპარაკობდა.

* * *

კრისტოფერი დღე-ღამეს ათენებდა კაროლინსკელებთან მუშაობაში, თუმცა რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ხვდებოდა რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. ხვდებოდა და გული ეთანაღრებოდა კიდევ იმიტომ, რომ მისი საყვარელი ქალი სწორედ კაროლინსკელი გახლდათ.

კეშას მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ ეს მშვენიერი ორატორი, რომელიც მის გადასარჩენად ჩამოსულიყო, პირველივე საღამოს მისი უნდა გამხდარიყო. ჰო, ზუსტად იცოდა კეშამ, რომ ლიტონი სიტყვები კაროლინსკას მოსახლეობისთვის უკვდავების შენარჩუნებაზე ერთი დიდი ნომენკლატურული ზღაპარი იყო, რომლის თქმაც გარდაუვალ აუცილებლობას ნარმოადგენდა. მან ზუსტად იცოდა, რომ სინამდვილეში კრისტოფერს ამხელა მისია იმისთვის გამოეთხოვა ცენტრალური ხელისუფლებისგან, რომ კეშა გადაერჩინა.

– რითი გიშველო? – უთხრა კრისტოფერმა უცნობ ქალს, რომელიც კისერზე შებმული დაფით გადაადგილდებოდა, სადაც სათქმელს მოკლედ სწერდა ხოლმე. კრისტოფერი პირველად იყო კაროლინსკაში, თუმცა წინასწარ შემზადებულიყო ადგილობრივების უცნაურობებისთვის.

„მე კეშა ვარ. შენ ჩემი გადამრჩენელი“.

– ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ლელავ. აი ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. როგორი გაფაციცებული მისმენდა ხალხი, ალბათ შეეშინდათ და ალბათ აცნობიერებენ იმ საფ... – კრისტოფერმა შუა გზაში განწყვიტა სიტყვა, რადგან ფეხებს შუა შეხება იგრძნო. კეშა ეფერებოდა.

კრისტოფერს არ უნდოდა ემოციებს საქმისთვის შეეშალა ხელი, თუმცა ამ უცნაურ მუნჯ ქალსაც ვერ იმეტებდა. იმ დღიდან კეშას მის დროებით რეზიდენციაში დაედო ბინა. დილით გადიოდა კაცი ტრენინგების ჩასატარებლად და სამუშაოდ. გვიან საღამოს მოსულს კი გამთბარი სახლი, მომზადებული ხორცი და ვეშაპის ქონის მლაშე კონსერვი ელოდა მაგიდაზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით უყვარდა ფუმფულა პურთან ერთად.

– რატომ ხარ მუნჯი? არ გინდა სხეული შეიცვალო და აღარ იტანჯო?

„ჩემი არჩევანია“.

– რა? ლაპარაკი შეგიძლია?

„კი“.

– მოიცა, მოიცა...

„არ გვინდა ამაზე ლაპარაკი“.

– კი, მაგრამ...

„მჭირდება ასე. პირობას გაძლევ, შემდეგ სხეულში იდეალური ვიქნები. როგორც შენ გინდა“.

– როგორც მე მინდა?

„ჩემი შემდეგი სხეულის დიზაინი შენ გააკეთე“.


კრისტოფერი ქალების გულთა მკერობელი არასდროს ყოფილა და რა გასაკვირია, რომ ამ სიტყვების შემდეგ კეშას ვერასდროს შეეღებოდა – შანსი ჰქონდა ამ არსებისგან შეემზადებინა იდეალური ქალი, როგორც უნდოდა მომდევნო ცხოვრებისათვის. ამასაც რომ თავი დაეხანებოთ, მართლა შეჰყვარებოდა.

უკანასკნელი მისია 3 წელზე მეტხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ეტყობოდა წერვიულობა კრისტოფერს, რადგან ვინ ვინ, და ის ხვდებოდა ყველაზე უკეთ, რომ კაროლინსკელებთან ამ წლების მანძილზე ვერანაირი პროგრესისთვის ვერ მიეღწია. ყველაფერს რომ თავი დაეხანებოთ, ოკეანეში შეცურვის სრულიად ბრყვეული ტრადიცია ვერ მოეშალა მათთვის. კრისტოფერმა ზუსტად იცოდა, რა პასუხსაც მიიღებდა ცენტრში გასამართ შემაჯამებულ კომისიაზე, სადაც მისი მოღვაწეობის შედეგები უნდა მოეხსენებინა ზემდგომებისთვის, შემდეგ კი მათი იქედნური გამოხედვისთვის და ცინიკური რეპლიკებისთვის უნდა ესმინა, საპასუხოდ ზრდილობიანი ღიმილი შემორობოდა სახეზე, უფროსის მრისხანე მზერისთვის გაედლო, რომელიც ხმას არ ამოიღებდა მთელი ამ ხნის განმავლობაში და ბოლოს ეტყოდა, რომ მომდევნო დღიდან დაქვეითებულიყო სამსახურში, რადგან ეს ავანტიურა კრისტოფერის იდეა გახლდათ და რომ არა კრისტოფერი, ისედაც ზედმეტ ხარჯს კიდევ ხარჯი არ დაემატებოდა და სამი წლის წინ იზამდნენ იმას, რაც ახლა უნდა ექნათ და ამით ბევრ ფულს დაზოგავდნენ და ახლა კი სანაცვლოდ ოპოზიციასთან უნდა ემართლებინათ თავი და იყო შანსი, რომ შემდეგ არჩევნებზე, რომელიც უკვე კარზე მომდგარიყო, ვერ გაემარჯვათ და ამაში დანაშაულის ლომის წვლილი სწორედ კრისტოფერს ექნებოდა, რომელიც დიდი ალბათობით ამ და მომდევნო სხეულის უტილიზაციის ბოლომდე ვერ გამოიყიდიდა დანაშაულს, რისი გარანტიც მისი ამჟამინდელი უფროსი იქნებოდა. კარგი დღე არ ელოდა კრისტოფერს.

საერთოდ რა უნდოდა, რატომ აიღო საკუთარ თავზე ამხელა პასუხისმგებლობა? რატომ ვერ გათვალა საკუთარი ძალები და შეეჭიდა იმხელა საქმეს, რომელიც მოითხოვდა მაქსიმალურ ფსონს – ან ყველაფერი ან არაფერი? კაცმა არ იცის და ამაზე ფიქრი უკვე გვიანი იყო, სანამ ნაბიჯს გადადგამდა, მანამდე უნდა ეფიქრა. ახლა კი წელ-წელა უნდა შეგუებოდა იმ აზრს, რომ მომდევნო 70-100 წლის მანძილზე ერთი რიგითი უამბიციო მონა იქნებოდა თავისი მიზერული ანაზღაურებითა და... კეშა! ახლა გაახსენდა, რომ ასს კი არა, შვიდ მაგდენსაც გადაიჭანდა, ოღონდ კეშას არ მოსვლოდა რაიმე და არადა, მოუყდიოდა – როგორც რიგითი კაროლინსკელი, კეშა დაკარგავდა კონექტომიკის სერვისით სარგებლობის უფლებას და ადრე თუ გვიან და უფრო ადრე, ვიდრე გვიან, ერთხელ და სამუდამოდ მოკვდებოდა და მისი ცნობიერება კი წაიშლებოდა ყველა მყარი დისკიდან, რომელიც ინახებოდა დღეს ერთიან სისტემაში. კრისტოფერი მიხვდა, რომ ეს გამოუვალი ჩიხი იყო. ქვა ქვაზეც რომ არ დარჩენილიყო მთელი კაროლინსკიდან, კეშა უნდა გადაერჩინა როგორმე!

კეშას კი სხვა საფიქრალი გასჩენოდა ამ დროს.

„ორსულად ვარ“.



– არა უშავს, 5 თვეშია ჩანიშნული კომისია. მანამდე მოვიმორებთ.

„არ მოვიმორებ“.

– რა?

„პირველ სხეულში კაცი ვიყავი“.

– ვიცი ეგ, ახლა რატომ მეუბნები?

„კაცი, რომელმაც არ იცის, რა უნდა“.

– რისი თქმა გასურს?

„და მოგვკვი მაშინ, როცა ყველაზე მეტად არ ვიცოდი, რა მინდოდა. ლოგიკურია. აისბერგამდე მიცურვა ილუზორული მიზანი იყო. სულაც არ მინდოდა ეგ სინამდვილეში“.

– ძალიან რთულია, მესმის. ახლა რა შუაშია უბრალოდ? ბავშვს ვერ გააჩენ. მეც მინდა შვილი, მაგრამ კაროლინსკელი ხარ, ომ ლიმიტია თქვენთვის! ბავშვს კი არა, შენ როგორ გადაგარჩენ, ეგ არ ვიცი.

„მეორე სხეულში ქალი ვიყავი, სავსე ათასი პერვერსიით იმიტომ, რომ არ ვიცოდი რა მინდოდა. არასდროს ვიცი, რა მინდა. ამას სხეულების ცვლა ვერ შევლის. ცნობიერება კი უცვლელია“.

– და შვილი რა შუაშია?

„მინდა“.

– იქნებ ესეც ისევე გინდა, როგორც აისბერგამდე მიცურება გინდოდა მაშინ?

„ეს მართლა მინდა“.

– რატომ? რაიმე ობიექტური მიზეზი არის, რასაც გავიგებ?

„კი. მინდა ვინმე გადავარჩინო. ვინმე ძალიან ძვირფასი, ვისი გადაარჩენაც შეუძლებელია. მინდა მეც გადავარჩინო მაშინ, როცა ეს შეუძლებელი იქნება. მეც და შენც ერთნაირი საქმე გამოგვიჩნდა, ხედავ? – გაიღიმა.“

– საიდან ეს მორალისტური ბოდეები? მგონი ვერ ხვდები, რამდენად სერიოზულადაა საქმე. კომისიის სხდომაზე არც ვიცი რა ვთქვა ისეთი, რომ შენი შენარჩუნება შეეძლო მარადიულად,

შენ კი რალაც ბავშვზე მელაპარაკები. თან სადაა პრაგმატიზმი? მოიცადე ახლა და თუ მოვახერხებ შენი დაძვრენა ამ სიტუაციიდან, შეიცვლი სტატუსს და მოიპოვებ შვილის გაჩენის უფლებას ისევე, როგორც ჩემი თანამემამულე ქალები. რამეს ვიზამთ, ახლა ვერ ვფიქრობ ამ ბიუროკრატიულ აუცილებლობებზე, მაგრამ გადაუჭრელი პრობლემა არ იქნება...

„არ გესმის. მინდა, რომ ვინმე ძვირფასი გადავარჩინო, ვისი გადარჩენაც შეუძლებელია“.

– და თუ შეუძლებელია, როგორღა უნდა მოახერხო ეს?

„მთავარი პროცესია. შედეგი თანმდევია ყოველთვის“.

* * *

როცა კრისტოფერი კომისიის სხდომაზე მიემართებოდა, კისერზე ჰალსტუხს ისწორებდა და გონებაში კიდევ ერთხელ ალაგებდა გამოსასვლელ სიტყვას, რომელიც წინა ღამით გაენერა და არაერთხელ ეთქვა სარკის წინ, მაშინ კეშა მშობიარობდა.

* * *

– ძვირფასო ბატონებო, მინდა გაუწყობთ ხმამალა და ზედმეტი მიკიბ-მოკიბვის გარეშე – ჩემი მისია კაროლინსკაზე ჩავარდა! ამიერიდან მომხრე ვარ, ჩემს ყოფილ თანამოაზრებთან ერთად ვიმსჯელო მათთვის კონექტომიკით სარგებლობის უფლების ანულირებაზე და მათ გარიცხვაზე იმპერიის შემადგენლობიდან – დაე, მოკვდნენ ჩვენგან შორს, რაც შეიძლება სწრაფად! მზად ვარ, შევეწინააღმდეგო ყველა ოპოზიციონერს, რომელიც მოითხოვს კაროლინსკელების ლიმიტის დაწესებას. არანაირი ლიმიტი მეგობრებო – არც ერთი კაროლინსკელი არ იმსახურებს იმპერიის მხარდაჭერას, რადგან სამწლიანი მოღვაწეობის მანძილზე დავრწმუნდი ერთადერთ რამეში – ისინი არიან უმადური ბრიყვები, რომელთათვისაც მარადიული სიკვდილი ისევე სულერთია, როგორც მარადიული სიცოცხლე. დაე, ჩვენს ხარჯზე ნუ მიიღებენ ამ უკანასკნელს, არამედ საკუთარი ხარჯებით დაიმსახურონ პირველი!

ოპოზიციური ძალებში პოპულარულია კაროლინსკელების რაოდენობის შემცირების იდეა და ისინი არ ელიან ჩვენგან პოზიციის რადიკალურად შეცვლას. ადამიანებს კი ჯერ შოკში აგდებთ რადიკალიზმი და შემდეგ – მიჰყვებიან მას! ჩვენ, რომლებიც კაროლინსკელების მომხრეები და ლობისტები ვიყავით, ხვალღიანვე გადავიქცევით უკლებლივ ყველა კაროლინსკელის დაუძინებელ მტრად, რასაც არავინ ელის! ოპოზიცია

ალბათ გვხედავს მორცხვად თავჩაქინდრულებს, მაგრამ სულაც არა! ჩვენ მათ პირიქით შევეუტევთ და ვეტყვი, რომ კაროლინსკელები საერთოდ არ იმსახურებენ სიცოცხლეს, არათუ 2000 მათგანი თუ რამდენსაც ამბობენ, არამედ არც ერთი! და ამაში კვლევით დავრწმუნდით. მოვუყვებით იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც ამ წლების მანძილზე დავაგროვე ამ ხალხის შესახებ და მერწმუნეთ, ვერაფერს იზამენ. ადამიანებიც უცბად აიტაცებენ ამ მოსაზრებას და ისევე გამარჯვებულები გამოვალთ. რატომ მგონია რომ აიტაცებენ? იმიტომ, რომ არავის სურს ამ პარაზიტების შენახვა, თუნდაც შემცირებული რაოდენობით! და როცა ვინმე გაბედავს და ამ ნაძალადეგ ჰუმანისტურ ბოძებს არ მოჰყვება და პირდაპირ გაახმოვანებს მათ გულის ნადებს, უმალ მხარში დაუდგებიან!

– შესანიშნავია!

– ყოჩაღ კრისტოფერ, ნამდვილი პოლიტიკოსი ხართ.

– ჩემი მოლოცვები კრისტოფერ, იდეალური გეგმაა, მართალი გითხრათ, მოვლენების მსგავსად შემოტრიალების სცენარი არც წარმოგვედგინა.

– იდეალური კონტრდარტყმა! მადლობა, კრისტოფერ, არადა, თქვენს გაიციხვას ვაპირებდით დღეს.

– თქვენი ადგილი მასების ცნობიერების მართვის განყოფილებაშია, კრისტოფერ, ბრავო!

კრისტოფერი იღებდა მოლოცვებს მოღიმარი სახით და შუბლიდან ინმენდდა ოფლს, რადგან მთავარი ნათქვამი არ ჰქონდა.

– ბატონებო, მინდა გთხოვოთ ჩემი ცოლის გადარჩენა – კაროლინსკელია. მინდა გთხოვოთ გამონაკლისის დაშვება.

პაუზა ჩამოწვა.

– არ გამოვა, ამოგვიქეცავენ!

– გაგვაშავებენ!

– კონტრშეტევა ფასს დაკარგავს! ნეპოტიზმში გვამხევენ!

– ქალები დაილია კრისტოფერ?! ხვალვე მოგიყვანთ ზუსტად მასეთს!

– საბუთები გავუყალბოთ, სადმე გადავმალოთ, გთხოვთ ბატონებო, გეხვეწებით! – თავი ჩახარა კრისტოფერმა.

პარტია შეუვალი დარჩა.

* * *

მასების ცნობიერების მართვის დეპარტამენტის უფროსის ფეშენებელურ სახლში სამინი ცხოვრობდნენ, მსახურებს თუ არ ჩავთვლით – კეშა, ელია და თავად კრისტოფერი. სამიდან ერთს ჰქონდა უკვდავების გარანტია მხოლოდ. კეშას ცნობიერების 3D მოდელი ბაზიდან ნაეშალათ სამუდამოდ, ხოლო პატარა ელიას ცნობიერება კი არც არასდროს შესულა ბაზაში, რადგან ოფიციალურად ის არ უნდა დაბადებულიყო ამ ქვეყნად.

ხუთი წელი იყო გასული ამ ამბებიდან და ამ ხნის მანძილზე კრისტოფერიც დამუწვებულიყო ნანოლობრივ. სამსახურში ჩვეულებრივ დადიოდა. წერდა პროექტებს, ამუშავებდა სხვადასხვა პროპაგანდისტული ლონისძიებების გეგმებს, აანალიზებდა ადამიანების მოთხოვნის მრუდებს და სხვადასხვა სტატისტიკას. მას ექვემდებარებოდა კონექტომიკის დეპარტამენტიც, თუმცა იქ არაფრისთვის ხელის ხლება არ შეეძლო.

კრისტოფერი ერთგულ ჭაწყიკად იქცა. გარშემომყოფების თვალში კი მასზე ბედნიერი ადამიანი რთულად თუ მოიპოვებო-



და მთელი მესამე რაიხის მასშტაბით. ყველა პატივს სცემდა და მონინებით უყურებდა ამ ახალგაზრდა და ენერგიულ ადამიანს.

სახლში მოსული აბსოლუტურად სხვა ხდებოდა. ხმას იკმინდავდა, სახეზე გულწრფელ ღიმილს გადაიკრობდა და ცოლ-შვილს ეთამაშებოდა ქანცის განწყევტამდე. ამას ვერავინ ხედავდა. საერთოდაც, მისი ცოლ-შვილის არსებობის შესახებ არც უწყობდა არავინ. პარტიამ იზრუნა, რომ ამ ისტორიისგან კვალი არ დარჩენილიყო.

სახლის ყველა კედელზე უზარმაზარი დაფა ჩამოეკიდათ ნებისმიერ სიმაღლეზე, რომ ნებისმიერ წერტილში მდგომ ოჯახის წევრს მიენერა სახელდახელოდ საკუთარი სათქმელი. თითო მომცრო დაფა კისერზეც ეკიდათ. ელიამაც არ იცოდა ლაპარაკი, რადგან კონტაქტი არავისთან ჰქონია მშობლების გარდა, მშობლები კი მუნჯები იყვნენ.

„ძალიან ბედნიერები ვართ. არა?“

„კი, თქვენ კი. მე არ ვარ“

„რატომ, კრისტოფერ?“

„იმიტომ, რომ თქვენ ადრე თუ გვიან მოკვდებით და მე არაფერი შემძლია გავაკეთო ამის შესაჩერებლად, მიუხედავად იმისა რომ კონექტომიკის დეპარტამენტი ჩემს მფლობელობაშია. ეს უკანასკნელი ფაქტი ორმაგად უძლურს მხდის“

„დავტკბეთ იმით, რაც დავგრჩენია. ნუ იზხამებ ამაზე ფიქრით დარჩენილ დროს“

„არ შემძლია“

„სხვა გზა არ გაქვს“

„კი, მაქვს. სხვა გზა ყოველთვის არსებობს, უბრალოდ აქამდე უნდა მეთმინა, ასე იყო საჭირო. არის გეგმა“

„აბა, გეგმა?“

„ეს არ შერჩებათ. შეეძლოთ თავის დროზე დამხმარებოდნენ, მაგრამ უარი მითხრეს უაზრო პრინციპების გამო. ახლა კი მიიღებენ დარტყმას იქიდან, საიდანაც ყველაზე ნაკლებ ელიან. ეს არ შერჩებათ.“

„არ მეტყვი, რას აპირებ?“

„ვერა, მაგრამ გაიგებ“

„პირობას მაძლევ, რომ უსაფრთხოდ იქნები?“

„გააჩნია უსაფრთხოებაში რას გულისხმობ“

„დავიძინოთ. არ გინდა ლაპარაკი“

„ჰო, მართალი ხარ. დავიძინოთ, დრო ყველაფერს გვაჩვენებს“

* * *

– გამარჯობა! მნიშვნელოვანი განცხადების გასაკეთებლად მოგიწვევთ საგანგებო ბრიფინგზე. მინდა, გაცნობოთ, რომ მე გადავდექი!

(შრიალი. აპარატების ჩხაკუნი. ფუსფუსი)

თუმცა, ეს არ გახლავთ მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი სხვა ამბავია: ისინი ახლა სახლში მელიან და წარმოდგენა არ აქვთ იმის შესახებ თუ რის გაკეთებას ვაპირებ მომდევნო წუთებში. მნიშვნელოვანი ჩემი ცოლ-შვილია. ჩემი კაროლინსკელი ცოლი – კემა და ჩვენი კაროლინსკელი შვილი – ელია, რომლებიც ჩემთან ცხოვრობენ სახლში და რომლის არსებობის შესახებაც არაფერი იცოდით ამ წლების განმავლობაში, რადგან პარტიამ ყველაფერი ჩაფარცხა.

(კითხვები. ანუული ხელები)

დამშვიდდით. ამ ეტაპისთვის, ისევე როგორც სხვა კაროლინსკელებს, ჩემს ცოლ-შვილსაც არ აქვს კონექტომიკით სარგებლობის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მე მექვემდებარება ეს დეპარტამენტი. ჩემი ძალაუფლება არასდროს გამომიყენებია არაკეთილსინდისიერად და მართალი გითხრათ, ეს უბრალოდ არ შემეძლო, თორემ დიდი სიამოვნებით გამოვიყენებდი – ნყალსაც ნაუღია მთელი მესამე რაიხი, როდესაც ჩემი ცოლ-შვილი მოკვდება!

(გაღებულ კართან მოგროვილი ჩინოვნიკები. გაფართოებული გუგები)

მოკლედ, მინდა გითხრათ, რომ მე ვტოვებ დაკავებულ თანამდებობას და მეტიც, ამ წუთებში ჩემი ლეპტოპიდან ვაკეთებ იმას, რაც ჯერ არავის უქნია და იმედია, არც არავის მოუწევს ამის გაკეთება. საქმე ისაა, რომ კონექტომების ნაციონალურ ბაზასთან წვდომა არ მაქვს ზოგადად, თუმცა შესაბამისი არგუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, ყველა რიგით მოქალაქეს აქვს უფლება საკუთარი კონექტომის 3D მოდელის ხილვისა და... განადგურების! ეს არ იცოდით, ამაზე ყურადღებას არავინ არასდროს გიმახვილებდათ, თუმცა ეს კანონში წერია. თქვენ გაქვთ უფლება განადგუროთ თქვენი უკვდავი კონექტომა და გაქრეთ ბაზიდან! ამ შემთხვევაში სისტემა გაფრთხილებთ, რომ მეორედ კონექტომის აღრიცხვის შესაძლებლობა არ გექნებათ, ამიტომ კარგად უნდა დაფიქრდეთ, სანამ ლილაკის ერთი დაჭერით გადაინაცვლებთ ძველ სამყაროში, რომელიც ას წელზე მეტია მივიწყებული გვაქვს!

მე კარგად ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ნავიდე სახლში, ჩემებთან. კანონის წინაშე მართალი ვარ, სახელმწიფოსთან ვალი არ მაქვს, შეგიძლიათ მიივიწყოთ ჩემი არსებობა ან და მარადის, რამეთუ მე აღმოვჩნდი პირველი, რომელმაც ვულალატე იდეას, რომლისთვისაც 120 წლის წინ ვიბრძოდით და მოვიპოვეთ დიდი ოფლის ღვრის სანაცვლოდ. მე აღმოვჩნდი პირველი, რომელმაც უარი ვთქვი უვალო ოცნებაზე ვადიანი სიმშვიდის სანაცვლოდ. კარგად იყავით.

(კედელზე დესკტოპის გამოსახულება. „Do you want to delete your connectome from UNSC?“). ლილაკი „Yes“. “Your e-Signature here“. ხელმოწერა. „Your connectome was successfully deleted from UNSC“).

კრისტოფერი ადგა და უხმოდ ჩაუარა და მუნჯებულ ჟურნალისტებს, რომლებიც გახევებულები უყურებდნენ კედელზე დარჩენილ გამოსახულებას. მხრებით გასანი-გამოსნია კართან შექუჩებული თანაპარტიელები და სახლისკენ გაემართა.

ლიუდმილა ულიცკაია



Людмила Улицкая

ლიუდმილა ულიცკაია დაიბადა 1943 წელს, ბაშკირეთში, სადაც მისი ოჯახი მეორე მსოფლიო ომის დროს ევაკუაციაში იმყოფებოდა. მისი ორივე ბიძა რეპრესირებული და დაპატიმრებული იყო. ომის შემდეგ იგი მოსკოვში დაბრუნდა, დაამთავრა სკოლა და ჩააბარა ბიოლოგიის ფაკულტეტზე. მხოლოდ ორი წელი იმუშავა მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი გენეტიკის ინსტიტუტში, რის შემდეგაც ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. წერდა საბავშვო მოთხრობებს, სცენარებს, თარგმნიდა. ულიცკაიას ნაწარმოებები თავდაპირველად 80-იან წლებში, საფრანგეთში გამოიცა და რუსმა მკითხველმა ისინი მხოლოდ მოგვიანებით გაიცნო. პირველი მოთხრობები, რომლებიც 1991 წელს ჟურნალ „ოგონიკ“-ში დაიბეჭდა, შემდგომში კრებულში „ლარიბი ნათესავეები“ გაერთიანდა (1993). მწერალმა ჟურნალ „ნოვი მირ“-ში ვრცელი მოთხრობის „სონეჩკა“ (1992) და რომანის „მედეა და მისი შვილები“ (1996) გამოქვეყნების შემდეგ მოიპოვა პოპულარობა. სწორედ ამ ნაწარმოებებმა მოუტანა ულიცკაიას წარმატება და ბუკერის პრემიის ნომინანტთა სიაშიც შევიდა. 1993 წელს „სონეჩკა“ დაჯილდოვდა მედიის პრემიით საუკეთესო თარგმანისათვის, 1999 წელს კი – ჯუზეპე აჩერბის სახელობის იტალიური პრემია მიენიჭა. 2001 წელს მისი რომანი „კუკოცკის კაზუსი“ (2000) დაჯილდოვდა ლიტერატურის სფეროში ყველაზე პრესტიჟული პრემიით – ბუკერით. რეჟისორმა იური გრიმოვმა ამ რომანის მიხედვით თორმეტსერიანი ფილმი გადაიღო. 2004 წელს მოსკოვის წიგნის მე-17 ბაზრობაზე ლიუდმილა ულიცკაია არაკომერციული ლიტერატურის ნაწარმოებთა სარეკორდო პოპულარობისათვის წლის მწერლად გამოაცხადეს. რომანი „დანიელ შტაინი – მთარგმნელი“ 2006 წელს გამოიცა და ავტორს ერთი წლის შემდეგ რუსეთის ყველაზე უფრო „ფულადი“ ლიტერატურული პრემია „Большая книга“ მოუტანა. ისიც პრესტიჟულ ევროპულ „ბუკერზე“ იქნა ნომინირებული. ულიცკაიას წიგნები მსოფლიოს 25 ენაზეა თარგმნილი.

ლიუდმილა ულიცკაია:

„კულტურა ქმნის პოლიტიკას“

მარტის ბოლოს მწერალთა სახლის მოწვევით თბილისს ცნობილი რუსი პროზაიკოსი, ლიუდმილა ულიცკაია სტუმრობდა. მან მონაწილეობა მიიღო ბორის პასტერნაკის საიუბილეო საღამოში, წაიკითხა საჯარო ლექცია დიდი რუსი პოეტის შესახებ და გამართა შეხვედრა ქართველ მკითხველთან.

შეიცვალა თუ არა მწერლის როლი თანამედროვე მსოფლიოში?
ვფიქრობ, დღეს მსოფლიოში მწერლის როლი სხვადასხვანაირია. უფრო სწორედ, თვითონ მწერლები ირჩევენ სხვადასხვა როლებს. ზოგიერთი თავის დროსა და ადგილს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, არიან ისეთებიც, რომლებიც არ ტოვებენ ლიტერატურის ველს და არასდროს გადადიან პოლიტიკურ ან სოციალურ სივრცეში. პოლიტიკა არ მიყვარს და სულაც არ შევიმჩნევდი მის არსებობას, იძულებული რომ არ ვიყო, თანამედროვეობის რაღაც შეკითხვებს ვუპასუხო, რომელთა შესახებაც, ჩემი ნება რომ იყოს, სულაც არ მეცოდინებოდა არაფერი. მწერლობის სოციალური უღერადობა რუსეთში ყოველთვის მიღებული და შესამჩნევი იყო. ჩემთვის იდეალური მწერალი მაინც ნაბოკოვია, რომელიც ამ სივრცეების მიღმაა, თუმცა, რას ვიზამთ, პოლიტიკამ მასაც ძალიან გაუმწარა ცხოვრება.

რა იცვლება რუსეთში უკანასკნელ წლებში? შეგიძლიათ თქვათ, რომ მდგომარეობა გაუარესდა?

პუტინი სულ ძალების მოსინჯვაშია. ამონებებს, რამდენის გაკეთება შეუძლია. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის საზოგადოებას ეს ყველაფერი მოსწონს, რაც კარგად გამოჩნდა ყირიმის ანექსიის დროსაც. ეს სინამდვილეში, ცდა იყო, ცდა, რომელმაც გაამართლა. ვნახოთ, რა იქნება შემდეგ. დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა არანაირი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა.

რუსეთში თვალნათლივ ჩანს სტალინიზმის აღორძინების მცდელობა. ამის შესახებ თქვენც გისაუბრიათ. როგორ ფიქრობთ, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეს პროცესი?

რუსეთში ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავია და ყოველდღიურად ხდება. ამ გზაზე უკვე კარგა ხანია, ვდგავართ. საქმე ის არის, სად გაჩერდება დღევანდელი ხელისუფლება. აქაც ისეა, როგორც ვთქვი, – ცდიან, რამდენის უფლება შეიძლება მისცენ საკუთარ თავს. და, როგორც ჩანს, ყველაფერი შეიძლება გაუვიდეთ, იმიტომ, რომ საზოგადოებას არცერთ შემთხვევაში არ უთქვამს მკაფიო და გასაგები უარი. ყველაფერი ისე მიდის, როგორც ხელისუფლებას უნდა. თუკი მას დღეს შეუძლია ქალაქ იალტაში სტალინის მონუმენტი დადგას, და არც აღშფოთებაა ამ ფაქტის გამო და არც – პროტესტი, ე.ი. ყველაფერი რიგზეა. ეს ძალიან სამწუხარო ამბავია.



თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელი ხელისუფლება ნაკლებად სისხლისმსმელია, ვიდრე საბჭოთა – 37 წელი ჯერ არ დაწყებულა, გაცილებით ნაკლებ ადამიანს იჭერენ, პოლიტიკურ პატიმართა რაოდენობა ათობით და ასობით იზომება არა – ათასობით და მილიონობით. სტალინის პერიოდს თუ შევადარებთ, ლამის ჰუმანიზაცია მიდის.

ეს ხელისუფლება არ მომწონს, მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე მუდმივად ვერ ვიტანდი ხელისუფლებებს – ნებისმიერს, რომელიც კი ყოფილა რუსეთში და ზოგადადაც, მომწონს, როცა ხელისუფლება მინიმალურად მართავს და როცა ქვეყნის სათავეში პროფესიონალები, იურისტები და ეკონომისტები არიან. ჩვენი მთავრობა ამ თვალსაზრისითაც სრულიად უვარგისია.

ხელისუფლებას რუსეთში იმის ილუზიაც აქვს, რომ კულტურას ხელმძღვანელობს და გეგმავს, არადა, პრინციპული, ანთროპოლოგიური ამბავია, რომ კულტურა ქმნის პოლიტიკას და არა – პირიქით. სწორედ ისეთია დღეს რუსული საზოგადოების კულტურა, როგორი ხელისუფლებაც გვყავს.

დღეს საქართველოში გარკვეულ წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ კულტურა და ხელოვნება ცალ-ცალკეა და არ იკვეთებიან. ამიტომაც, უნდა გავითანოთ ქართული კულტურა რუსეთში. აქ რატომღაც გულისხმობენ ქართული ანსამბლების ცეკვას და სიმღერას კრემლში...

ეს ტიპური საბჭოთა სქემაა. ჩვენ ვცხოვრობთ იმ პირობებში, როცა ხელისუფლება კულტურას თავისი მიზნებისთვის იყენებს. ცეკვისა და სიმღერის ეს შესანიშნავი ანსამბლები, რომლებიც წარმოადგენენ კულტურას – ქართულს, სომხურს თუ უკრაინულს, სინამდვილეში საშინლად არქაული მოვლენაა, კრემლში ცეკვაც საბჭოთა ნარატივია – არის უფროსი ძმა და აი, ახლა, უმცროსი ძმა ამ უფროსს საკუთარ ხელოვნებას უჩვენებს. ახალი რა უნდა ვთქვა ამაზე? რაც შეეხება თანამედროვე ქართულ კულტურას, მას ჩვენ თითქმის არ ვიცნობთ. ჩვენთვის ძალიან ძვირფასია საბჭოთა დროის ქართული კინო, მაგრამ უკანასკნელ წლებში ახალი არაფერი გვინახავს. ეს არ ნიშნავს, რომ არაფერია ახალი, უბრალოდ, ჩვენამდე ვერ აღწევს. სწორედ ამიტომ მინდა, რომ თანამედროვე ქართველი მწერლების ანთოლოგია გამოვცეთ რუსულად. მეც მაინტერესებს, რა ინერება და როგორ. მალე გამოვა უკრაინელი მწერლების ანთოლოგია, ეს მართლა მნიშვნელოვანი საქმე მგონია, იმიტომ, რომ ადამიანებს შორის ჰორიზონტალური ურთიერთობები ყოველთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მთავრობების ძალისხმევები.

დღეს მთელ ევროპაში არის რუსული კულტურის ცენტრები, რომელებიც პოპულარიზაციას უწევენ რუსულ კულტურას და დამიჯერეთ, ამას საშინლად აკეთებენ. ძალიან სამარცხვინოა ეს ყველაფერი. დღეს აღმოჩნდა, რომ რუსეთში სპორტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კულტურა. მესმის, რომ სპორტიც კულტურის ნაწილია, მაგრამ ეს ხომ ვერ ჩანაცვლებს ხელოვნებას? თურმე ფეხბურთი და ოლიმპიადაა მთავარი. არადა, ნამდვილი კულტურა ყოველთვის ცოცხალია,

უმეტესწილად არ ამართლებს მოლოდინებს, მოულოდნელია და სწორედ ამითაა საინტერესო. ვინ იფიქრებდა, რომ სამოციან წლებში ჩვენამდე ნაბოკოვი მოაღწევდა, რომელიც სრულიად თავზარდამცემი იყო? მაშინ მეჩვენებოდა, რომ რუსული ლიტერატურა არ შეიძლებოდა, ასეთი ყოფილიყო. არადა, ეს სწორედ რუსული მწერლობა იყო, მჭიდროდ დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნესთან და კლასიკური რუსული ლიტერატურიდან ამოზრდილი. ასეთივე მოულოდნელი იყო პასტერნაკის პროზაც. კულტურა სწორედ იმითაა უნიკალური, რომ მისი დაგეგმვა ვერ ხერხდება, თუმცა, ჩვენს ხელისუფლებას ჰგონია, რომ ამას გააკეთებს.

თქვენ ბიოლოგი ხართ. რა მნიშვნელობა აქვს დღეს თქვენთვის პირველ პროფესიას?

ძალიან მოკლე დროით ვიყავი ბიოლოგი – ბიოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე და შემდეგ, ორი წელი ვიმუშავე ზოგადი გენეტიკის ინსტიტუტში, მაგრამ ეს ამბავი ჩემს ცხოვრებაში დღემდე დიდ როლს თამაშობს – მაინტერესებს და მიყვარს სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა. ბიოლოგია, იმის შემდეგ, რაც მე ვსწავლობდი, წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა. შეიძლება ითქვას, რომ ცოტათი ვნანობ კიდევ, ბიოლოგი რომ ვერ გავხდები და მეჩვენება, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიაა დღეს. ზოგადად, მეცნიერებამ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე იძენი რამ გაიგო ადამიანის შესახებ, რაზეც ადრე ოცნებაც კი არ შეგვეძლო.

თქვენ ქალების ძალიან მრავალფეროვანი, საინტერესო და ცოცხალი გალერეა შექმენით. გაქვთ თუ არა რაიმე დამატებითი პასუხისმგებლობა, როგორც ქალ მწერალს?

საკითხი მგონი სხვანაირად დგას. რუსეთში არსებობს ტერმინი (არ ვიცი, შეიძლება საქართველოშიც არსებობდეს) ქალური ლიტერატურა, რომელიც გარკვეულწილად უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. აქ გულისხმობენ, რომ მამაკაცების მიერ შექმნილი ლიტერატურა უკეთესია, ქალებისა კი – მეორეხარისხოვანი. არადა, ქალების კულტურული ისტორია დაახლოებით 100 წლის წინ დაიწყო – იმ აზრით, რომ ქალები გახდნენ მწერლები, მხატვრები, პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები. ეს მხოლოდ ასწლიანი ისტორიაა. ფორმალურ კულტურულ ისტორიას ვგულისხმობ და არა ფოლკლორს, სადაც ქალი ყოველთვის იყო წარმოდგენილი. ისე კი, უფრო მეტი ცუდი წიგნი, რა თქმა უნდა, სწორედ მამაკაცებმა დაწერეს, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი გაცილებით უფრო მეტი ხანია, წერენ.

იმ ნახევრად დასავლურ სამყაროში (ასეთია რუსეთი), სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, რამენაირად უნდა მოვახერხოთ თანაბარი და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება. დღეს ქალების და მამაკაცების ბრძოლა ყველა დონეზე მიდის – ოჯახურ, სოციალურ, პოლიტიკურ დონეზე. დღევანდელი მსოფლიო ანთროპოლოგიური თვალსაზრისით იცვლება. ვფიქრობ, მომავალ 100 წელიწადში ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულება ნამდვილად აღარ იქნება ისეთი, როგორც ახლაა. ქალები ბევრად უფრო დამოუკიდებლები და ძლიერები ხდებიან, მთელ დასავლურ მსოფლიოში მიდის მამ-



სინამდვილეში ეს უძველესი თეზისი სარწმუნოებას არ უკავშირდება და გაცილებით ძველია, ვიდრე ისლამი ან ქრისტიანობა. შეიძლება, გწამდეს სამების, ან არ გწამდეს, მაგრამ ეს პრინციპი, რომ სხვას არ მიაყენო ტკივილი, ფუნდამენტურია.

დღევანდელი მოვლენები, როცა ადამიანებს ცოცხლად წვავენ და თავებს აჭრიან, უბრალოდ, გონების დაბნელება და ადამიანის არსის დამახინჯებაა, და ისიც ცხადია, რომ ევროპას, თავისი პოლიტიკორექტულობის ფარგლებში არ შეუძლია ამ ველურობას დაუპირისპირდეს. დღეს არსებობს ისრაელის სახელმწიფო, რომელიც ნამდვილ ფარად დგას. ხვალ, შეიძლება, ის ალგავონ პირისაგან მიწისა, რადგან გაცილებით დიდი და საშიშია ისლამური სამყარო, ვიდრე პატარა ისრაელი, რომლის ტერიტორიაც მოსკოვის ოლქზე მცირეა. მერე ეს ყველაფერი ევროპაში შემოვა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იქნება. დამახინჯებული, არასწორად გაგებული ისლამის მიერ მსოფლიოს დაპყრობის მცდელობა მართლა ძალიან მაშინებს. მეორე მხრივ, სამყაროს ახსოვს რელიგიური ექსპანსია წინა საუკუნეებში. თავის დროზე ასე გაფართოვდა ქრისტიანობის არეალი, ასე მოხდა მეშვიდე საუკუნეში, როცა მუსლიმანური სამყარო სულ რაღაც 50 წლის მანძილზე წარმოუდგენლად გაიზარდა – ასეთი იყო არქაული სამყარო. მგონია, რომ დღეს მსოფლიო ცოტა სხვანაირადაა მოწყობილი. თუმცა, ეს არქაული და ველური ნაწილი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე დანარჩენი და რაც ყველაზე საშიშია, უამრავი ადამიანია, რომელიც მზადაა იომოს და მოკვდეს ალაჰისთვის.

თქვენ უკვე წლებია, გამოსცემთ საგანმანათლებლო წიგნებს ციკლიდან „სხვები, სხვებზე, სხვების შესახებ“, ამ პროექტის მიზანი ტოლერანტობის კულტურის გაზრდა იყო. რამდენად შედეგანია ის?

პირველი წიგნი 1996 წელს გამოვიდა, სულ 15 წიგნია ამ პროექტის ფარგლებში გამოცემული. მინდოდა, მოგვეყოლა ბავშვებისა და მოზარდებისთვის, თუ როგორ ცხოვრობენ სხვა ადამიანები, რადგანაც სწორედ ცოდნა გვათავისუფლებს ცრურწმენებისგან. ესაა წიგნები სხვადასხვა თემებზე: საქმელი, ჩასაცმელი, სასჯელი, დღესასწაულები, პროფესიები, ავადმყოფობები, შშმ პირები, ოჯახი, სიკვდილი და სიცოცხლე – ბავშვებს გასაგებ ენაზე ვუამბობთ იმის შესახებ, თუ როგორ

აკაცების ფემინიზაცია და ქალების მასკულინიზაცია. დღეს ძალიან ხშირად ვხვდებით ძლიერ, დამოუკიდებელ ქალებს, რომლებიც მამაკაცების გარეშე წარმართავენ საკუთარ ცხოვრებას. და იმიტომ არა, რომ მათ ასე სურთ – კაცები ცოტანი არიან და იმაზე გაცილებით სუსტები, ვიდრე ჩვენ გვინდა. ჩვენ ახლა, ამ პროცესში ვართ და დღეს ძნელია მისი განსჯა, თუმცა, 50-100 წლის შემდეგ იმედია, ამას მსოფლიო გაიგებს და მიიღებს.

ისიც ცხადია, რომ ქალები და კაცები, ბევრ რამეს სხვადასხვანაირად აკეთებენ. აქ არაა საუბარი იმაზე, ცუდად თუ კარგად. ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგია ერთმანეთისგან განსხვავდება და ეს განსხვავება ღრმავა, ბიოლოგიის დონეზეა – ომის თემა, ომის პრინციპები სწორედაც რომ მამაკაცურია, ქალებს კი ომი არ გვჭირდება, ქალის ბიოლოგიური როლი შთამომავლობის დაცვაა. ამიტომაც, მგონია, რომ ქალების ხელოვნება შეიძლება ჩაითვალოს ქალურ ხელოვნებად. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნების ხელისუფლებებში, რაც შეიძლება, მეტი ქალი მოვიდეს, გასაგებია, რომ არსებობს ისლამური სამყარო, რომელიც დღეს ამ გზისგან ძალიან შორსაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ იმ სივრცეში, რომლის ნაწილიც ჩვენც ვართ, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რაც შეიძლება, მეტი ქალი მმართველობაში. ვფიქრობ, სამყარო უკეთესი გახდება, თუკი ის ბევრად უფრო ქალურ სახეს მიიღებს.

ისლამური სამყარო ახსენეთ. როგორ უყურებთ და რითი ხსნით იმას, რაც დღეს ხდება ისლამური სახელმწიფოს სახით?

დღეს მუსლიმების დიდ ნაწილს, როგორც მე ვხედავ, არასწორად ესმის ისლამი. ისლამი არ შეიძლება იყოს ადამიანის-მოძულე რელიგია და კაცისკვლისკენ მოუწოდებდეს. არადა, დღეს ის ასეთად აქციეს ადამიანებმა, რომლებიც ხედავენ, რომ დასავლეთი გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ისინი. შეიძლება, ესეც იყოს მიზეზი, არ ვიცი...

უძველესი დროიდან არსებობს ეთიკის ოქროს წესი – ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა, რომ შენ მოგექცნენ.

უყურებს სხვადასხვა კულტურა ყველა ადამიანისთვის პრინციპულ მოვლენებს. წიგნებს სხვადასხვა ავტორები, ძირითადად, მეცნიერები წერენ, მე მხოლოდ რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი ვარ.

სკანდალსაც ვერ ავცდით. წიგნში „ოჯახი ჩვენი და სხვებთან“, სულ რამდენიმე წინადადება იყო ჰომოსექსუალურ ოჯახებზე. სპეციალურად ჩავსვით ეს ნაწილი, იმიტომ, რომ დღევანდელ სამყაროში, მათ შორის მოსკოვშიც, არიან ბავშვები, რომლებიც ჰომოსექსუალურ ოჯახებში იზრდებიან. მათ სკოლებში დასცინიან, ჩაგრავენ და სწორედ ამ ბავშვების დასაცავად დავწერეთ, რომ დიახ, არის ასეთი ოჯახებიც, რომ კულტურის ისტორია უძველესი დროიდან იცნობს ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს და ა. შ. ამან რუსეთში უამრავი ადამიანი საშინლად გააღიზიანა და მე უკვე „ჰომოსექსუალობის, პედოფილიის და ზოოფილიის პროპაგანდისტი“ გავხდი. ახლა თავიდან გამოვცემთ ამ წიგნს (პირველი ტირაჟი უკვე გაიყიდა) და შეიძლება, ოდნავ შევარბილოთ ტექსტი, თუმცა, ამ ნაწილს არ ამოვიღებთ. არ მინდა, ვინმე გაღიზიანდეს, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენი მიზანი ბავშვების დაცვა და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებაა, რუსეთში კი, ძალიან ძლიერია ჰომოფობია.

თქვენ გამოეცით წიგნი – „ბავშვობა 49-53. ხვალ ბედნიერი დღე გათენდება“, რომელშიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი აღწერილი ზეპირ ისტორიებზე დაყრდნობით. რატომ ფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ამ დროის გახსენება?

ჩემს შვილიშვილს ლავრენტი დაარქვეს, მე ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებდი, დღევანდელ ახალგაზრდებს კი ამ სახელთან არანაირი ასოციაცია აღარ უჩნდებათ. ცუდია, როცა ადამიანებმა აღარაფერი იციან იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა 50 წლის წინ. ამიტომ შევადგინე ეს წიგნი. საშინელებაა უწარსულო ადამიანი, საშინელებაა, როცა ის ნულიდან იწყებს მოქმედებას. არადა, შესაძლებელია, რომ არ დაინყოს ნულიდან. ოდესღაც ერთ მოხუც მუსლიმს ველაპარაკე და ეს საუბარი დღემდე მახსოვს: მითხრა, აი, ჩვენს სოფელში არ არსებობს ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს შვიდი თაობის წინაპრების შესახებ და თუ არ იცის, მაშინ უწარსულო სალახანააო. ჩვენ ყველანი სწორედ ასეთები ვართ – უწარსულო სალახანები. საბჭოთა ადამიანს ზოგადად, ემ-

ინია ხსოვნისა. ჩემი თაობა მდუმარე თაობაა, რომელიც წინაპრებზე არ ლაპარაკობდა. არადა, ვილაცას ბაბუა გაუკულაკეს, ან მღვდელი ეყოლებოდა წინაპარი, ან მეცნიერი – უამრავი მიზეზი იყო, რის გამოც ადამიანებს იჭერდნენ. მე მაინც მგონია, რომ ქართველებს ეს პრობლემა არ გიდგათ – ფაქიზი და დელიკატური დამოკიდებულება გაქვთ თქვენი წინაპრების მიმართ. რუსეთში კი საშინელი მდგომარეობაა. ერთი კარგი ამბავი მაქვს, რომელიც ძალიან მომწონს: ჩემი მეგობარი საზოგადოება „მემორიალში“ მუშაობს. „მემორიალს“ სულ ამომეებენ, სულ ნაირნაირი კომისიები უზით ოფისში. ერთხელაც, უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის და ბულალტრული შემონმების პროცესი დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს „მემორიალის“ თანამშრომლები უკვე კომისიის წევრებთან ერთად სვამდნენ ჩაის, ერთად სადილობდნენ. ფედერალური სამსახურის ერთმა თანამშრომელმა, ახალგაზრდა ბიჭმა, ჩემს მეგობარს უთხრა – სულ დაჭერებზე რომ ლაპარაკობთ, ყველას ხომ არ იჭერდნენ, აი, ჩემი არავინ დაუჭერიათო! მეგობარმა გვარი ჰკითხა და მეორე დღეს ბაბუქამისის ანკეტა დაახვედრა – თურმე 1937 წელს დაუხვრიტავეთ. მან კი არაფერი იცოდა, რადგან მამას არასდროს მოუყოლია რეპრესირებული ბაბუის შესახებ. კარგი ისაა ამ ამბავში, რომ ის ბიჭი წამოვიდა უსაფრთხოების ფედერალური სამსახურიდან, სხვა სამუშაო იშოვა.

არის ძალიან კარგი უნგრელი მწერალი, პეტერ ესტერგაზი. ესტერგაზი მთელ ევროპაში ცნობილი არისტოკრატიული გვარია. პეტერი აღმერთებდა მამამისს, რომელმაც იცოდა ბევრი ენა, იყო მომხიბვლელი მამაკაცი, ნამდვილი არისტოკრატი. ესტერგაზიმ წიგნი დაწერა მასზე. გავიდა ხანი, პეტერთან ერთი ნაცნობი მივიდა და მამამისის დოსიე აჩვენა. აღმოჩნდა, რომ მამამისი ომის შემდეგ საბჭოთა საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობდა და ნათესავებზე, რომლებიც მასთან სტუმრად ჩამოდიოდნენ მთელი ევროპიდან, მონდომებით და გულდასმით წერდა გრძელ წერილებს – თანაც, ამას დიდი შემოქმედებითი უნით აკეთებდა. პეტერმა მეორე წიგნი გამოსცა – „შევსებული გამოცემა“, სადაც ეს ყველაფერია აღწერილი. ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესი წიგნია. საქმე იმაშია, რომ პეტერს ძალიან უყვარდა მამამისი და ახლაც უყვარს, მაგრამ ის სიმწარე, რაც მას სიმართლის გაგებაში მოუტანა, არაფრით არ განელდება. ესაა წიგნი მთელ ჩვენს თაობაზე. ახლა რომანს ვწერ და ბაბუაჩემის მთელი მიმონერა წავიკითხე. ბაბუა მეცნიერი, დემოგრაფი იყო და სამჯერ იჯდა – 1954 წლამდე. დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვეკარებოდი მის წერილებს, მეშინოდა და იმიტომ. მიმონერა 1911 წლიდან იწყება. ასე წელი რომ გავიდა, გავბედე და გავხსენი. შიშით ვკითხულობდი, ვფიქრობდი, აი, ახლა დამეყრება თავზე ჩონჩხები-მეთქი, მაგრამ ბაბუა სრულიად სუფთა და უმნიშვნელო აღმოჩნდა, მისი საქმეც ვნახე არქივში – სწორად და კარგად იქცეოდა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი მამაჩემზე.

ესაუბრა ნინო ბექიშვილი

საშიში მგზავრობის ისტორია

ლიუდმილა ულიცკაია

წინა საუკუნის ოთხმოცი ან ოთხმოცდაერთი წელი იდგა. იმდროინდელ გაზეთებს თუ ჩაზეხდავთ, ამ ამბის დროის ზუსტად დადგენაც შეიძლება, დღის და საათისაც კი. თბილისიდან ვბრუნდებოდი, სადაც თეატრს, რომელშიც ვმუშაობდი, გასტროლები ჰქონდა. დასი კიდეც ორი კვირით უნდა დარჩენილიყო, მე კი შინ მივიჩქაროდი: შვილები ახლო მეგობარს დავუტოვე და უფრო მასზე ველავადი, ვიდრე ბავშვებზე – ხანშიშესული, ნერვიული და უშვილო ქალისთვის, ორი ყველაზე რთული ასაკის, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, დიდი გამოცდა უნდა ყოფილიყო.

თბილისის აეროპორტში ქართველ ნაცნობს მივყავდი, ბილეთი ჯიბეში მედო, არ გვაგვიანდებოდა, პირიქით – დრო ბლომად გვქონდა. მაგრამ გზაშივე შევეშფოთდი – მილიციის უამრავმა მანქანამ გადაგვისწრო, რაღაც უცნაური დაძაბულობა იგრძნობოდა, იქ მისულემა კი აღამოვაჩინეთ, რომ აეროპორტი დაეკეტათ. შესასვლელთან ავტომატიანი ადამიანები იდგნენ, კითხვებზე არ გვპასუხობდნენ და შესტებით გვანიშნებდნენ, აქაურობას გაეცალეთო.

დათო მანქანიდან გადმოვიდა და ჩვენსაირი, აეროპორტში ვერშესული მგზავრების ჯგუფს შეერია. ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა – საგანგებო შემთხვევაა: რამდენიმე ახალგაზრდამ თვითმფრინავი გაიტაცა. ან უნდოდათ, გაეტაცათ. თვითმფრინავი დაჯდა, ან ვერ დაჯდა. მაგრამ დასვამენ... კიდევ ამბობდნენ, რომ გამტაცებლები უბრალო ხალხი კი არა, მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ... ან ვილაც მაღალი თამამდებობის პირთა შვილებიო.

საათი საათს მისდევდა. ჰაერში რაღაც ავი ჯანლი ეკიდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მგზავრები. აღელვებული ბრბო იზრდებოდა. ფანტასტიკური ხმები დაირხა, სრულიად დაუჯერებელი დეტალებით. ბოლოს და ბოლოს ოპერაცია დამთავრდა, მილიციის და სამხედრო მანქანებმა აეროპორტი დატოვა, მგზავრები კი შეიჭრნენ და დარბაზი გადაავსეს. დათო წავიდა, რომ გაერკვია, როდის გაფრინდებოდა მოსკოვის რეისის თვითმფრინავი და ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა. მოსკოვისა ჯერ არაფერი იყო ცნობილი, გაურკვეველი დროით გადაედოთ, მაგრამ ვორონეჟის თვითმფრინავი 20 წუთში მიფრინავდა და ბილეთიც ეყიდა. გამიხარდა. როცა თბილისში ხარ, ვორონეჟი მოსკოვის გარეუბნად გეჩვენება.

თვითმფრინავი შემოდგომის ნათელი თბილისიდან აფრინდა და სამსაათნახევარში ზამთრის ვორონეჟში დაეშვა. ტრაპიდან პირდაპირ თეთრ ფაფაში აღმოვჩნდი. ისე ციოდა, რომ სანვიმარმა ერთი ჩაისუნთქა ცივი ჰაერი და ჩემ უკან რკინის იაღქნად აფრიალდა, რომელსაც მხოლოდ მხარზე გადაკიდებული სპორტული ჩანთა და იჭერდა.

აეროპორტის შენობაში მყოფი ყველა მგზავრი სალაროს

მიანყდა – მოსკოვი, მოსკოვი! ბილეთებს არსად ყიდდნენ – აეროპორტი ქარიშხლის გამო დაიკეტა. კედელივით რიგი მაინც იდგა, თან ვერსად ნახვიდოდი: სკამები მსხდომიარეებს გადაევსოთ, იატაკი – მწოლიარეებს. ჩემ წინ მგლოვიარე ქართველების ოჯახი იდგა, მათ განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდათ, რაც შეიძლება მალე გაფრენილიყვნენ. უკან კი უბრალო შესახედაობის, კეპიანი და შალის კაშნეიანი ორი ქართველი მომადგა. მალევე გავიდნენ, დაბრუნდნენ და ახლა წინ ჩამიდგნენ. სულ უბრალო სამართლიანობის გრძნობამ მიბიძგა და ერთ-ერთს ვთხოვე, უკან გადასულიყვნენ, მაგრამ გალანტური ქართველები თბილისის თეატრების დარბაზებში დარჩნენ, ამან კი ხელი ამიქნია და მითხრა: „დგახარ, და იდექი“...

რაღაც ნამოვიკნავლე შინ მარტო დარჩენილი ბავშვების შესახებ, მაგრამ ვითომ ვერც გაიგეს. გამწიეს და წინ ჩამიდგნენ.

გაბრაზებულმა დავტოვე რიგი და ტაქსის გაჩერებასთან მივედი, ვიფიქრე, რკინიგზის სადგურში წავალ და რომელიმე გამვლელ მატარებელს გავყვები-მეთქი. მაგრამ მარტო მე არ აღმოვჩნდი ასეთი ჭკვიანი, იქაც ტაქსის მომლოდინეების დიდი რიგი დამხვდა. თუმცა, უცებ მოვიდა ერთი ტაქსისტი, ამომირჩია რიგიდან და სადგურზე წამიყვანა. დიდხანს ვიარეთ, სოფლელი ყოფილა და გზა აებნა.

სადგურზეც იგივე ამბავი დამხვდა. ბრბო იდგა სალაროს წინ, ბრბო იდგა ბაქანზეც – გამვლელ მატარებელს უცდიდნენ, იმედი ჰქონდათ, გამცილებლისთვის ფული მიეცათ და ისე ემგზავრათ. მე კი რაც დამრჩა, მარტო ბილეთზე თუ მეყოფოდა.

ჩამოდგა სამხრეთიდან მომავალი რომელიღაც მატარებელი, რომელსაც მოსკოვში უნდა გაეყო. კარი გააღეს, რამდენიმე ადამიანი გადმოვიდა და მაშინვე დაკეტეს. გამცილებლები არ ჩანდნენ, ისინი კი, ვინც დავინახეთ, მაშინვე გაქრნენ – ბრბოში ჩაიკარგნენ. ცხადი იყო, მგზავრებს უკვე შეევსოთ ყველა თავისუფალი ადგილი. უხალისოდ მივუყვებოდი მატარებელს – მეჩვენებოდა, რომ მუხლებში სახსრები ახმაურდნენ, თუმცა, შეიძლება, ამ

ხმას გაყინული ტყავის ფეხსაცმლის ქუსლები გამოსცემდა ბეტონზე შეხებისას – ჩხაკ-ჩხაკ! ქარმა მიმართულება შეიცვალა – ახლა ყველა მხრიდან აღარ ქროდა, როგორც აეროპორტი და ძლიერად მიბერავდა პირდაპირ სახეში. ღმერთო, როგორ მინოდოდა ვყოფილიყავი შინ, ვმჯდარიყავი მეგობარ ირასთან და ჩემს საყვარელ ბიჭებთან ერთად და ჩაი დამელია! რა ჯანდაბამ წამიყვანა თბილისში!

ვაგონის კარი გაიღო და ნაპრალიდან შავი კეპი გამოჩნდა:

– ჰეი, გოგონა, მოდი აქ!

წუთითაც არ დაფიქრებულვარ, ისე მოვეჭიდე რკინის სახელურს. ვაგონში ამათრიეს და ჩემ წინ კუპეს კარი გამოაღეს. გაუხდელად, გაყინული სანვიმრითვე დავეხეთქე საბანს.

ისინი იყვნენ, წელან რომ გამაბრაზეს. კეპიანი ქართველები.

– გმადლობთ, – ძლივს ამოვთქვი გაყინული ტუჩებით, ჩანთა მივაგდე და ხელები დავიორთქლე.

ამ დროს მატარებელიც დაიძრა. იმ ქართველმა, მალალი რომ იყო, კარი დაკეტა და გასაღებიც გადაატრიალა.

საინტერესოა, როგორ გამოვძვრები, – გავფიქრე ყოველგვარი შიშის გარეშე, მთავარი მაინც ის იყო, რომ მოსკოვისკენ მივდიოდი.

– ეგებ გამცილებლისთვის ცხელი ჩაი გვეთხოვა – მორცხვად დავინყე ნაცნობობის გაბმა.

– რად გვინდა ჩაი? გაიცინა იმან, რომელიც უფრო დაბალი იყო და პატარა ჩემოდანი გახსნა: იქ სამი ბოთლი კონიაკი ედო, დანარჩენ სივრცეს კი ძვირფასი ბოთლების შესაფუთ მასალად ქცეული მანდარინები იკავებდა.

ჩაი მაინც მოიტანეს. კონიაკი თავიდან ჩაიში ჩამისხეს. მე და ჩემი სანვიმარი ნელნელა ვლღევბოდით – ვმსუბუქდებოდით და ვსველდებოდით. ფეხები ჯერ მემტვრეოდა, მერე უკვე ნემსები მესობოდა. სახე მიხურდა, ცხვირიდან მომასხამდა. მალაღმა ზედა თაროდან საბანი ჩამოიღო და ფეხებზე დამაგდო – სქელი, ფუმფულა და თბილი. მაშინლა მივხვდი, კუპეში კი არა, რბილ ვაგონში ვიჯექი. მოვძებნე საფულე, გადმოვყარე მაგიდაზე ყველაფერი, რაც შიგ იყო და ვთქვი:

– მადლობა, რომ ამომიყვანეთ, მაგრამ სულ ესაა, რაც მაქვს.

ერთი გაბრაზდა, მეორემ – გაიცინა. მე დაფიქრდი – კაცმა რომ თქვას, წინააღმ-



დეგობის განწევას აზრი არ ჰქონდა და ფული ისევ საფულეში ჩავაბრუნე.

– მადლობა, ბიჭებო!

არადა, სულაც არ იყვნენ ბიჭები – ოცდაათიდან ორმოც წლამდე უღვაშა კაცები, ვაჭრებს ან გლეხებს ჰგავდნენ და ნამდვილად არ ეკუთვნოდნენ იმ წრეს, ჩვენი პატარა, სულელური თეატრის სპექტაკლებზე რომ დაიარებოდა.

– ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა რატომ დადიხარ მარტო? ქმარი როგორ გიშვებს? – დაიწყო გამოძიება პირველმა.

არავითარი ქმარი, გარდა ყოფილისა, იმ დროს არ მყავდა. მაგრამ მეყო ჭკუა და მოვიტყუე. ქმარი თბილისში დარჩა, თეატრის დირექტორია, მე კი, შინ, ბავშვებთან გამომიშვა.

– რატომ დატოვეთ ბავშვები? თბილისში უნდა წაგეყვანათ! – მიჩიჩა მეორემ.

– ჩემი ბიძაშვილიც თეატრის დირექტორია – გამომეპასუხა პირველი. და მივხვდი, რომ დირექტორი ქმრის შესახებ ზუსტად გავარტყი.

ჩაი დავლიე, ეგრევე დამისხეს ნახევარი ჭიქა კონიაკი. მიყვარს კონიაკი. შემიძლია, ერთი სირჩა დავლიო, იშვიათად – ორიც. დიდხანს თუ ვზივარ სუფრასთან – სამი.

თეატრის დირექტორის ბიძაშვილი გვერდით მომიჯდა და ფეხიც ჩემკენ გამოსწია. ამასობაში ფეხი გამითბა, ვიგრძენი და გავინიე.

– რომელი თეატრის? თბილისის? – დიდი ინტერესით ვკითხე.

– ქუთაისის! – მითხრა და უფრო ახლოს მოჩოჩდა.

მაგიდასა და მის ფეხებს შუა ჩავძვერი და ჩანთიდან უკანასკნელი, დაჭმუჭნილი პროგრამა ამოვიღე. ეს იყო ჩემი სარეკლამო პროდუქცია: მსახიობების ფოტოები, სცენები სპექტაკლებიდან და პატარა შრიფტით, სულ ბოლოში მიწერილი ჩემი გვარი.

– ამ მსახიობს ხედავთ? ვარსკვლავია! ულამაზესია! და რა ხმა აქვს! კონკურსის ლაურეატი გახდა სამხრეთ ამერიკაში... დავინყე... ნახატების მიხედვით ვყვებოდი... ვიცოდი,

რამდენი ფოტო იყო იქ. თავიდან ყველა სოლისტის შესახებ მოვეყვი. ამას საათნახევარი დასჭირდა. მთავარი იყო, ქვედა სანოლზე, გივის გვერდით არ დავმჯდარიყავი. ის კი ცდილობდა, შეენყვებინებინა, გვერდით მოვესვი და სულ სხვა მიმართულებით წაყვანა საუბარი. ვიცოდი, ამის უფლება არაფრით არ უნდა მიმეცა. ეს ჩემი მთავარი მონოლოგი იყო – ყოფნა-არყოფნისა. გაუჩერებლად ვლაპარაკობდი.

არადა, მოძალადეები კი არა, ჩვეულებრივი ქართველი მამაკაცები იყვნენ, რომელთაც ბავშვობიდან იციან, რომ ქართველ ქალებთან ისე უნდა მოიქცნენ, რუსებთან კი – ასე. ჩვენ, სამწუხაროდ, ცუდი რეპუტაცია გვაქვს!

გივი მისხამდა და მისხამდა კონიაკს. და შეევსვით ჩვენი თეატრის ყველა მსახიობის, ქუთაისის თეატრის და მსოფლიოს ყველა თეატრის ყველა მსახიობის სადღეგრძელო. მე არ უნდა დავმჯდარიყავი და ლაპარაკი არ უნდა შემეწყვიტა. ყველა თეატრალური ანექდოტი მოვეყვი, რაც ვიცოდი, ყველა ჭორი ცნობილ და უცნობ ადამიანებზე.

ორ სანოლს შუა ვიდექი და ხელებს ვაქნევდი, ვმღეროდი და ლექსებს ვკითხულობდი, მერე ისევ ანექდოტებს ვყვებოდი. საკუთარი თავი შეჰკრეზადა მეგონა, მაგრამ ვიცოდი, მარტო ერთი ღამე უნდა გამეძლო. მატარებელი მოსკოვისკენ მიდიოდა.

გივი მაინც ცდილობდა, ხან ხელით შემხებოდა, ხან – ფეხით, მაგრამ თანადათან თვრებოდა. მეც მათნაირად ვსვამდი კონიაკს და მანდარინს ვაყოლებდი. ახლა ზუსტად ვიცი – მანდარინი გაცილებით უფრო მეტად უხდება კონიაკს, ვიდრე ლიმონი. ჩემი თანამეინახენი ორჯერ გავიდნენ ტულეტში, მე კი მტკიცედ ვიდექი, ვიცოდი, ბრძოლის ველის მიტოვება არ შეიძლებოდა.

– მისმინე, ეგებ დანვე, ჰა? – შემომთავაზა დაბალმა, რევაზმა.

– რად გვინდა დანოლა? ისე საინტერესოდ ვსაუბრობთ! რამდენჯერმე მოვახერხე შესვენება. გივი მოკლედ მოჰყვა ამბებს ჯარის შესახებ, მერე რევაზმა ილაპარაკა ბებიანზე, რომელიც ოსი ყოფილა. ისევ პაუზა ჩამონვა, რომლის შემდეგაც რევაზმა დააპირა ზედა სანოლზე ასვლა, გივიმ კი მიანიშნა, კარგია, მოგვმორდი თავიდანო. მივხვდი, საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს ვიყავი, დრო გადიოდა – უკვე ოთხ საათსაც გადასცდა. ორი ბოთლი გამოვცალეთ. სულ სამი საათი უნდა გამეძლო.

რალა მექნა – ოჯახური ისტორიები გავიხსენე, – ჯარისკაცი პაპის პაპისა და მესაათე ბაბუის ამბებს გულითადი გამოხმაურება მოჰყვა: რევაზმა თავის მედუქნე ბაბუაზე გვიამბო, გივიმ – ექიმზე. მე კითხვას კითხვაზე ვუსვამდი. გავარკვიე, რომ ერთი სოხუმიდან იყო, მეორე – კახეთიდან. ამ დროს მოულოდნელად რალაცაზე ქართულად წაიკამათეს, როგორც ჩანდა, რალაც მნიშვნელოვანზე. თან საათსაც დახედეს. ხომ ვიცოდი, დრო ჩემკენ იყო, მაგრამ მომეჩვენა – რალაც ახალი იწყებოდა და ეჭვიც არ შემპარვია, რომ ეს ყველაფერი სწორედ მე მეხებოდა.

უცებ გივიმ პალტო ჩაიცვა, აიღო პატარა ჩემოდანი და

გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და რევაზს რალაც ძალიან საქმიანად უთხრა. ახლა რევაზი გავიდა და მივხვდი, უკვე ფიზიკური თავდაცვისთვის უნდა მოვმზადებულიყავი.

გივიმ ჩემოდნიდან დარჩენილი მანდარინი ამოიღო. ეს იყო მშვენიერი მანდარინები სოხუმიდან, მაგრები და მწვანეები, მწვანე და მომწარო გემოსი, სულ რომ არ ჰგავდა იმ რბილ და მომარჯარულ საქონელს, ნაძვის ხის ზეიმებზე რომ არიგებდნენ ჩვენთან.

მერე ხელი მხარზე დამაღო.

– მანდარინი ბავშვებს ნაუღე. საინტერესო ქალი ხარ. თუ გინდა, მოვალ შენთან. იცრუე, რომ თეატრის დირექტორი ქმარი გყავს. თქვენი თეატრის დირექტორი ქალია, ზუევა, იქ, პროგრამაში ასე წერია, არა? ორი ვაგონი მანდარინი მოგვაქვს სოხუმიდან და უნდა დავხვდეთ. ახლა, მალოიროსლავეში ჩამოვალთ. მანდარინი ვერ მოიცდის, გაიყინება.

– გივი, მატარებელი მოსკოვამდე არ აჩერებს. მე ისევ მანდარინის ბედზე ვწუხდი.

– ნუ დარდობ, გამცილებელელს გადავუხადე, გავაჩერებ მატარებელს და ჩავალთ.

მთელი ტანით გაიზმორა და ოქროს კბილებიც გამოაჩინა.

– ტელეფონი დამინერე. მანდარინს დამკვეთს ჩავაბარებთ, ფულს ავიღებთ და კარგად გავერთობით – რბილი, მძიმე ხელიც დამაღო მუხლზე. ტელეფონი პროგრამაზე დავუწერე, ოღონდ, ბოლო ციფრი მოვიტყუე – ცხრის მაგივრად – რვა ჩავწერე. არადა, სულ ორი საათი სჭირდებოდა პროგრამის მიხედვით თეატრში ჩემს პოვნას. თუმცა, არავის მოუძებნივარ. ძალიანაც არ სჭირდებოდათ და იმიტომ.

მოსკოვშიც თოვლი დამხვდა. მაგრამ ისეთი გამყინვარება არ იყო, როგორც ვორონეჟში. სახლში რომ შევედი, ბავშვებს ისევ ეძინათ. ირინამ, ჩემი წმინდანმა მეგობარმა, სკოლის გაცდენის უფლება მისცა მათ უეცრად დაწყებული ყინვისა და დედის სავარაუდო დაბრუნების გამო. მე მანდარინები ჩამოვიტანე.

ის ბიჭები კი, რომლებმაც სცადეს, მაგრამ ვერ გაიტაცეს თვითმფრინავი, ყველანი დახოცეს: ორნი თვითმფრინავის გათავისუფლების დროს, დანარჩენებს დახვერტა მიუსაჯეს. როგორც გაირკვა, თვითმფრინავი თურმე არც აფრენილა. ღმერთო, სად იყო ამ დროს მგზავრის ანგელოზი?

ლიუდმილა ულიცკაია:

ეპოქისაგან დამოუკიდებლად, მუდამ შემოქმედებითად უნდა იცხოვრო

ვერონიკა შაროვა

ლიუდმილა ულიცკაიას უკანასკნელი რომანი, „მწვანე კარავი“ წიგნის მაღაზიებში ახალი წლის წინა დღეებში გამოჩნდა. 2012 წლის იანვარში მოსკოვის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ოვალურ დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია, რომლის დროსაც ავტორმა დამსწრეთ წიგნის შესახებ მოუთხრო და ჟურნალისტების შეკითხვებს გასცა პასუხი.

შეხვედრის შესავალში უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის დირექტორმა, ეკატერინა გენიევამ განაცხადა: „ალარც კი გვახსოვს, უკანასკნელად როდის მოიყარა აქ თავი ამდენმა ადამიანმა. ეს სრულიად გამართლებულად მეჩვენება, რადგან რუსეთის დღევანდელ სინამდვილეში არ მეგულება მეორე მწერალი, ვისაც ამდენი მშობლიური თუ უცხოური ლიტერატურული ჯილდო აქვს მიღებული – მათი რიცხვი ოცს აღწევს. სწორედ ამიტომ, როდესაც მასთან მიმართებაში ნობელის პრემიაზე საუბრობენ, ლიუდმილა ევგენიევას ეს სასაცილოდაც კი არ ჰყოფნის, მე კი ამგვარ პერსპექტივას სრულიად სერიოზულად ვუყურებ.“

„ეს წიგნი წესითა და რიგით არ უნდა დაწერილიყო, რადგან უკანასკნელ რომანზე მუშაობა რომ დავასრულე, დავიფიცე, ამ მასშტაბის სამუშაოს ხელს აღარასოდეს მოგვიდებდი, – ამბობს ლიუდმილა ულიცკაია, – როგორც ადამიანი და როგორც მწერალი, სპრინტერად ვარ დაბადებული... ჩემთვის საცხებით ნორმალურ და მისაღებ მდგომარეობას მოთხრობა წარმოადგენს. რა სჯობია 21 გვერდს: ორშაბათს დაიწყე, პარასკევს დაასრულე, შაბათ-კვირას ისვენებ. სქელტანიანი ნაწარმოები კი სამუშაო პროცესისადმი სრულ მორჩილებას, მონურ, საგალერო შრომას ნიშნავს. მაგრამ უკვე ვცდილობ ალტერნატიული გეზის აღებასაც: ვმუშაობ სცენარებზე, მაქვს თეატრალური ჩანაფიქრებიც...“

„საგალერო შრომის“ ახალ ნაყოფს საინტერესო ისტორია აქვს. ეს რომანი მოთხრობიდან ამოიზარდა. „ჩემი მოთხრობების უკანასკნელი კრებულიდან „ჩვენი ხელმწიფის ხალხი“ ერთ-ერთი, ბოლო მოთხრობა ამოვიღე, რომელსაც ასევე „მწვანე კარავი“ ეწოდება, და მის გარშემო რომანი ავაგე. მოთხრობა ძალზე მნიშვნელოვანია, საგანგებო მუშაობას მოითხოვდა. მივხვდი, რომ ვერ მოვახერხებ მასში მთელი სათქმელის გამოხატვა იმ დროის – სამოციანების, ოთხმოციანების, ოთხმოცდაათიანების შესახებ... შედეგად გამომივიდა წიგნი, რომელიც მოთხრობების კრებულის იმიტაციას ახდენს, მაგრამ სინამდვილეში მოთხრობების კრებულს არ წარმოადგენს,“ – განმარტავს ულიცკაია. თავდაპირველად აპირებდა, წიგნის მთავარი იდეის მიხედვით მისთვის „იმაგო“ დაერქმია, მაგრამ მას მერე, რაც გამოცემლობის თანამშრომლებს შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ



ადამიანთა უმრავლესობამ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცის, ამიტომ ამ იდეაზე უარის თქმა მოუწია. დღევანდელი თაობა, არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, ერთგვარი სოციალური ნეოტენისის, „პიტერ პენის სინდრომის“ ნიმუშად გვევლინება, რასაც მუდამ როდი აქვს უარყოფითი სახე, აცხადებს ავტორი. „ეს გარკვეულწილად შესანიშნავიცაა – ალარც ცხოვრებისაგან დალლა, ალარც სიბერისათვის ჩვეული ნუნუნი, მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანი არანაირ პასუხისმგებლობას აღარ კისრულობს. ეს ძალზე ორაზროვანი მდგომარეობაა, რომელიც თანამედროვე კაცობრიობის გამჭვირვალე მეტაფორად მესახება.“

„მწვანე კარვის“ ერთ-ერთ ცენტრალურ თემას ზრდის, ზრდასრულობის თუ ბავშვური უმწიფარობის საკითხები შეადგენს. მეორე თემა დროის, ეპოქისა და იმ ადამიანთა თემაა, ვინც ისტორიულ გარემოებებში აღმოჩნდა მომწყვდეული. მაინც რას ნიშნავს რომანის პერსონაჟის მიერ სიზმარში ნანახი მწვანე კარავი? „ეს დღევანდელი დღის გუშინდელთან შერიგების სიმბოლიკაა, იმ გუშინდელ დღესთან, როდესაც სამზარეულოებში ნამდვილი ბრძოლა მიმდინარეობდა, ხდებოდა სულიერ სფეროში შეხლამემოხლა, რომლის პირობებშიც ნიგნის პერსონაჟები იზრდებოდნენ, შემდეგ კი ერთუროს შორდებოდნენ და თავ-თავიანთ პირად ცხოვრებას აშურებდნენ. მათგან ყველა როდი გახდა გმირი, ბევრი დამარცხებული და დაზარალებულიც აღმოჩნდა. კაცმა რომ თქვას, იმ ეპოქაში ყველა დაზარალებული იყო, რადგან ყოველი თავისუფალი აზრი ადამიანს ძვირად უჯდებოდა. მათ ყველას ეს მწვანე კარავი აერთიანებდა.“ – ამბობს ავტორი.

ულიცკაიას ორ ბოლო რომანს ის აერთიანებს, რომ ორივე მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტკას შორის ზღვარზე ბალანსირებს და ისეთ საკითხებს სვამს, რაც დღესაც ალღევებს არამხოლოდ ლიტერატორებსა და მკითხველებს, არამედ სპეციალისტებსაც – სოციოლოგებს, ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებს. „სულაც არ ვიყავი იმაში დარწმუნებული, რომ „მწვანე კარავი“ ინტერესს გამოიწვევდა. მაგრამ უშუალოდ მისი გამოცემის წინ ერთბაშად გავაცნობიერე, რომ აქტუალური ნიგნი დამინერია, – ალიარებს ლიუდმილა ულიცკაია, – ამაში არანაირი მარკეტოლოგიური გათვლა არ ყოფილა. გაიხსენეთ სამოციანი წლები. სრულიად არ მომწონს ის, რაც ამჟამად ხდება. ამ დინებას, მგონი, მცდარი გზით მივყავართ. სულ ცოტა ხნის წინ სიზარულით დავემშვიდობეთ საბჭოეთს. ის თავისით დაინგრა, მაგრამ დღეს ზოგჯერ ისეთი ჰაერით გვიწევს სუნთქვა, რომელშიც ნაცნობი სუნი ტრიალებს. თითქოს ქარით მონაქროლი უკვე თითქმის მივინყებულები შიში იღვიძებს. მაგრამ ეგ არის, ახალი თაობა სულ სხვაგვარია, უშიშარი. ვგულისხმობ ოცდაათი წლის ადამიანებს. მაგრამ მთლიანობაში ქვეყანაში ხელისუფლების წინაშე შიში და მლიქვნელობა შეიმჩნევა. სწორედ ის მაშინებს, აკაკი აკაკიევიჩს რომ ვემსგავსებით. მაგრამ თუკი გიჩნდება იმის განცდა, რომ ვილაც რალაცას თავს გახვევს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი გაბითურება უკვე აღარ გამოვა, უკვე ველარაფერს მოგახვევენ თავს.

ემიგრაციის, როგორც ერთგვარი თვითგადარჩენის თემა, ერთ-ერთი ძირითადია „მწ-

ვანე კარავი“. რატომაა ასე და რას ნიშნავდა ემოგრაცია თვით ლიუდმილა ულიცკაიასთვის?

„ძირითადად რუსეთში ვცხოვრობ, მხოლოდ ამ ზაფხულს ვიმყოფებოდი უცხოეთში მკურნალობის მიზნით, – აცხადებს მწერალი, – ზოგჯერ მართლაც ემოგზაურობ და, უნდა გითხრათ, დიდი სიამოვნებითაც. გამოგოცდებით იმაშიც, რომ, განსაკუთრებით ბოლო დროს, ყოველი დაბრუნებისას ადაპტაციის სულ უფრო ხანგრძლივი პერიოდი მჭირდება. ზღვის სიღრმეში ჩაყვინთვის განცდა მეუფლება: სულ უფრო მიჭირს სუნთქვა... ნიგნში გავაანალიზე ადამიანების მიერ სამშობლოს დატოვება-არდატოვების მიზეზები და რამდენიმე პერსონაჟიც გამოვიყვანე. 70-იან, 80-იან წლებში ეს საკითხი მართლაც აქტუალური გახლდათ. ახლა გარემოებები სრულიად შეიცვალა: ადამიანები მიემგზავრებიან, მერე უკან ბრუნდებიან, რადგან იქაურობას ვერ მოერგნენ. იმხანად კი ქვეყნის დატოვება სიკვდილის სრულ ანალოგს წარმოადგენდა. სამუდამოდ გინედა ახლობელ ადამიანებთან, ნაცნობ ქუჩებთან გამოთხოვება. დღეს ემიგრაცია სრულებით განსხვავებულ აზრს იძენს. რა გამოსავალი არსებობს? დანამდვილებით ვიცი, გამოსავალი ერთია: შემოქმედება. ეს აბსოლუტურად ეგზისტენციური პასუხია შეკითხვაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ. ადამიანმა შეიძლება მხოლოდ შემოქმედებითად იცხოვროს. სულ არ არის აუცილებელი, შემოქმედება მხოლოდ ხელოვნებას უკავშირდებოდეს: მისი რეალიზება ცხოვრების ყველა სფეროშია შესაძლებელი. ჩემი მეგობრებიდან ბევრი გაემგზავრა უცხოეთში. მაგრამ მოტივირებული ადამიანი, რომელმაც იცის, რისთვისაც ცოცხლობს, სამშობლოშიც ისეთსავე წარმატებას მიაღწევს, რასაც სხვაგან. სამყარო ძალიან დაპატარავდა. და ჩვენი არაერთი გავრცელებული ცნება – სამშობლო, მამული, – ერთგვარად დაკნინდა. დღეს ყველანი კოსმოპოლიტებად ვიქეცით და ეს ძალიან კარგია!“

რომანში კიდევ ერთი თემა მეორდება – ესაა მუსიკის თემა. ამასთან, დეტალები იმდენად ზუსტადაა დაცული, რომ იქმნება სრულიად პროფესიული მიდგომის შთაბეჭდილება, არადა, ლიუდმილა ულიცკაია თავს სრულიად არამუსიკალურ ადამიანად თვლის. „მუსიკა ხან იყო ჩემს ცხოვრებაში, ხან არა, – აცხადებს მწერალი, – მაგრამ ზოგადად, ჩვენს სინამდვილეში შემოქმედებითი სანყისის არსებობა მუდამ გვაცოცხლებდა: ვილაც ლექსებს წერდა, ვილაც მეცნიერებით იყო დაკავებული, ვილაც კი მუსიკით. ადამიანისათვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებიდან, რითაც იმდროინდელი დახშული, მძიმე რეალობიდან სამშვიდობოზე გაღწევა შეიძლებოდა, მუსიკა უდავოდ ყველაზე ამაღლებული და დიალია. მის სფეროში ყველას როდი შეუძლია შეღწევა. ბევრი მუსიკოსი მეგობარი მყავს, რომლებსაც ასე ვეუბნები: თქვენ რა გიჭირთ, მე თქვენს ტყვეს გარს ვუვლი, თქვენ კი მისი საოცარი ტევრებით ტკებებით. ჰოდა, ამ რომანის წერისას გარკვეულწილად მოვახერხე, შევალნიე. ამდენი მუსიკა არასოდეს მომისმენია, რაც ამ ნიგნის წერისას მოვისმინე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გავიზარდე, როგორც მსმენელი. ადამიანი სწორედ ასე იზრდება, მუშაობის პროცესში... ჩემი მუსიკოსი მეგობრების წყალობით, ყველაფერი, რაც ამ ნიგნში მუსიკას ეხება, გადამონმბებული და აწყობილია. ასე რომ, გარკვეულწილად, ეს კოლექტიური ძალისხმევის შედეგი იყო, რისთვისაც მათ უზომოდ ვემადლიერები.



ერთ-ერთი იმ კითხვათაგანი, რაც ულიცკაიას ყველაზე ხშირად ესმის მკითხველების მხრიდან, ასეთია: „რატომ არის თქვენს წიგნებში ამდენი უბედური ადამიანი?“ თუმცა, ულიცკაია ამ აზრს ზოგადად არ ეთანხმება, ის მას მინც ეხმაურება: „რუსეთი, ბევრ სხვა რამესთან ერთად, უბედო ქალთა ქვეყანაცაა. ამდენი ცხოვრებისაგან დაჩაგრული, უიღბლო ქალი სხვაგან არსად მინახავს. შესაძლოა, ეს სიმართლეს მთლად არ შეესაბამებოდეს, მაგრამ ძალზე ახლოა სიმართლესთან.“ ამ კონტექსტში პორტალ „Новости литературы“-ს კორესპონდენტმა სთხოვა ულიცკაიას, ორიოდე სიტყვა ეთქვა სიმონ დე ბოვუარის პრემიის შესახებ, რომელიც მას ცოტა ხნის წინათ მიენიჭა და რომელიც ქალთა უფლებების დაცვის სიმბოლოს წარმოადგენს.

„ეს თავისთავად საინტერესო ისტორიაა, – აცხადებს მწერალი, – ყველაფერი ძალზე მოულოდნელად მოხდა. პრემიის გადაცემა კაფე „დე მაგო“-ში შედგა. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც არაერთხელ მსხდარან სარტრი, ჰემინგუეი... მათგან არცერთს არ ვიცნობდი, თუმცა, ამ მწერლების ახლო ნაცნობის, ილია ერენბურგის ქალიშვილთან, ირინა ერენბურგთან ვემეგობრობდი. დარბაზში კი ისხდნენ მამა ზონინა, რომელმაც ჩემი წიგნები პარიზში ჩაიტანა, და მისი დედა, ელენა ზონინა, ერენბურგის მდივანი; ორივეს მოუწია სიმონ დე ბოვუართან, სარტრთან და სხვებთან ურთიერთობა. და ამ წუთებში გამიჩნდა საოცარი განცდა იმისა, რომ მსოფლიო კულტურასთან გადახლართულნი ვართ, რომ ჩვენც მას ვეკუთვნით, რაღაც უცნაური, ირიბი, გრძელი გზით, მაგრამ ერთი ადამიანის მაგალითზე ამ საერთო კულტურის ძალზე ფართო, კოლოსალური შრე იკვეთება. სასწრაფოდ შევუდექი სიმონ დე ბოვუარის მთავარი წიგნის, „მეორე სქესის“ გადაკითხვას. ეს ფემინისტური მოძრაობის კატექიზმო გახლავთ. ჰოდა, ვკითხულობ და თანდათან ვხვდები, რომ ეს ყოველივე ძალზე მოსაწყენია და, რაც მთავარია, სრულიად მოძველებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ყოველივე უკან მოვიტოვეთ. მაგრამ მაშინვე მიჩნდება მეორე აზრიც. 50 წლის წინათ ამ წიგნმა სკანდალი მოახდინა, მთელი მსოფლიო თავდაყირა დააყენა. ამ წიგნის ჯერ დაწერის, შემდეგ კი მისი მოძველების წყალობით უმნიშვნელოვანესი პროცესი განხორციელდა. და თვით სიმონი ამ ფაქტმა ძალიან გაახარა – მასთან მოგვიანებით ამ გამონათქვამს მივაგენი. მან თქვა: რაც ძალე მოძველდება ჩემი წიგნი, მით უფრო დასრულებულად ჩავთვლი ჩემს მისიასო. ის, რაც წინათ გამანადგურებელი სიახლე იყო, ახლა ყველასათვის ცხადია. ზოგადად, უკანასკნელი 100 წელიწადი

მსოფლიოს ქალთა არსებობაში უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო. თუკი სათვალავში არ ჩავადებთ მატრიარქატის, ამორძალებისა და მსგავსი მოვლენების შესახებ ლეგენდებს. უპირველეს ყოვლისა, განათლებასთან დაკავშირებული ეს ვითარება მხოლოდ XX საუკუნემ შეცვალა. XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ქალებმა უმაღლესი განათლების მიღება დაიწყეს. დღეს რუსეთში უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცზე უფრო მეტი ქალია. მომდევნო რევოლუცია კი სარეცხმა მანქანებმა, სამზარეულოს კომბაინებმა და მსგავსმა მექანიზმებმა მოახდინა. ის სფეროები, ქალისათვის წინათ წარმოუდგენელი რომ იყო, ახლა ხელმისაწვდომი გახდა. თუმცა, ჩემი სიტყვები მხოლოდ დასავლური, იუდეო-ქრისტიანული ცივილიზაციის თვალსაზრისითაა მართებული, აღმოსავლეთს ეს არ ეხება. დღემდე გაურკვეველია, დაინგრევა თუ არა ის რკინაბეტონის კედელი, სამყაროს ამ თვალსაზრისით რომ ჰყოფს. ფემინიზმის იდეებმა რომ იმუშაოს, საამისოდ მამაკაცები უნდა შეიცვალონ. მამაკაცები კი დღემდე პატარა ბიჭებად რჩებიან, მათ ისევ ის ბიჭური თამაშები იზიდავთ: ძალაუფლება, ომობანა, მანქანის გადაბრუნება და აფეთქება...“

„ულიცკაიას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი „კუკოცკის კაზუსი“ ორიოდე წლის წინათ იქნა ეკრანიზებული. ცნობილია, რომ მწერლები არაცალსახად რეაგირებენ იმ ფაქტზე, რომ მათი ნაწარმოების მიხედვით ფილმი იქმნება: ზოგიერთს ეს აკმაყოფილებს, ზოგს კი აღიზიანებს. ავტორისა და რეჟისორის მიერ მხატვრული სამყაროს „შინაგანი ხედვა“ ერთუროს თითქმის არასოდეს ემთხვევა. „იურა გრიმოუს ტექსტი მივეცი და ვუთხარი, აწი თვითონ იმუშავე, მე აღარაფერი ვიცი-მეთქი. მან კი დამარწმუნა, რომ საქმეს თავს გაართმევდა და ის, რაც მან გააკეთა, ჩემში წინააღმდეგობას არ იწვევს, პირიქით, მზად ვარ, ყველაფერი მივიღო. სერიალი მე რომ გამეკეთებინა, სულ სხვანაირად გავაკეთებდი, მაგრამ რაც შემეძლო და საჭიროდ რაც ჩავთვალე, მანც გავაკეთე. ვთვლი, რომ „კუკოცკის კაზუსი“ დღეს რუსეთში გადაღებული სერიალებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. თუმცა, მის გარდა სხვა არცერთი სერიალი არ მინახავს“, – ლიმილით ამბობს ავტორი.

ლიუდმილა ულიცკაია მხოლოდ მწერალი არ გახლავთ, ლიტერატურის გარდა ის სოციალური პროექტების მონაწილეცაა. ერთ-ერთი მათგანია „კარგი წიგნები რუსეთის ბიბლიოთეკებისთვის“. „ამჟამად დიდი პროექტის ფარგლებში მცირე პროექტზე ვმუშაობთ, რომელსაც „კეთილი მეგობრები“ ეწოდება. ის გულისხმობს კარგი წიგნების გაგზავნას ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ასამდე ნერტილში, რომლებსაც უკვე 20 წელია, არ მიწოდებათ რუსული წიგნები – ვგულისხმობ ბალტიისპირეთს, კავკასიას, შუა აზიას, უკრაინასა და მოლდავეთს. არამხოლოდ რუსულენოვანი ადამიანებისათვის, არამედ მათთვისაც, ვინც რუსეთში სწავლობდა და ვისთვისაც რუსული ენა ჯერ ისევ ახლობელია. ბიბლიათეკათმორისი კავშირი თითქმის მთლიანადაა შეწყვეტილი, ამიტომაც მოვამზადეთ 100 ამანათი და ვაპირებთ დედაქალაქებისა და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში მათ დაგზავნას. თითოეულში 94 წიგნი ჩავდეთ, ახლა ვფიქრობთ, კიდევ 6 სახელწოდება დავამატოთ თუ ასევე გავგზავნოთ. ეს ძალზე რთული აღმოჩნდა, ისევე, როგორც წინა პროექტი – წიგნები ბავშვთა სახლებს – მაგრამ თანდათან ესეც კეთდება.“

ქალღმის გამარჯვება

ლიუდმილა ულიცკაია

როცა მზემ შავ კომტებად ქცეული თოვლი დაადნო, ბინძური ნყლიდან ზამთრის ნაგროვები ადამიანური ყოფის ნაშთები – ძონძები, ძვლები, მინის ნამსხვრევები – ამოტივტივდა და ჰაერში სუნების კორიანტელი დატრიალდა, რომელთა შორის უმძაფრესი მაინც გაზაფხულის ნოტიო მინის სუნი იყო, ეზოში გენია პირაპლიოტრიკოვი გამოვიდა. მისი გვარი ისე ბრიყვულად ინერებოდა, რომ, მას მერე, რაც წერა ისწავლა, საკუთარ გვარს დამცირებად აღიქვამდა.

გარდა ამისა, დაბადებიდან რალაც სჭირდა ფეხებზე, ამიტომ უცნაურად, ხტუნვა-ხტუნვით დადიოდა.

გარდა ამისა, სულმუდამ ცხვირში უჭერდა და პირით სუნთქავდა, რის გამოც ტუჩები უშრებოდა და ხშირ-ხშირად უწევდა მათი გალოკვა.

ყველაფერთან ერთად, გენიას მამა არ ჰყავდა. თუმცა, ბავშვების ნახევარს არ ჰყავდა მამა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით გენია ვერ გეტყოდათ, მამაჩემი ომში დაიღუპაო: მამა საერთოდ არ ჰყოლია. ამ ყოველივეს გამო გენია თავს ძალიან უბედურად გრძნობდა.

მამ, როგორც უკვე ვთქვით, ზამთრისა და გაზაფხულის მანძილზე ნაავადმყოფარი გარეთ გამოვიდა. ნაქსოვი სათხილამურო ქუდის ქვეშ თავსაფარიც ჰქონდა შემოკრული, ყელზე კი გრძელი, მწვანე შარფი ეკეთა.

მზის გულზე დაუჯერებლად ცხელოდა, პატარა გოგონებმა წინდები ჩამოინიეს და კოჭებზე მკვრივ „ძებვებად“ დაიხვიეს. მეშვიდე ბინაში მცხოვრებმა დედაბერმა შვილიშვილის დახმარებით ფანჯრის წინ სკამი გამოათრია, დაჯდა და სახე მზეს მიაფიცხა.

ჰაერიც, მიწაც, ყველაფერი ნყლით გაჟღენთილი და დაბერილი იყო, ყველაზე მეტად კი – შიშველი ხეები, ყოველ წუთს ნორჩი, ბედნიერი ფოთლების ამოსახეთქად რომ ემზადებოდნენ.

გენია იდგა გაოგნებული და ცისქვეშეთის გუგუნს ისმენდა, მსუქანი კატა კი ამ დროს ძალიან ფრთხილად ახებდა თათებს სველ მიწას და ირიბად კვეთდა ეზოს.

ტალახის პირველი გუნდა ზუსტად შუაში, კატასა და ბიჭს შორის დეცა. კატა მოირკალა და განზე ისკუპა. გენია შეკრთა – ტალახის შხეფები მძიმედ შეესხა სახეში. მეორე გუნდა ზურგში მოხვდა, მესამეს კი აღარ დალოდებია, თავისი კარისაკენ გაიქცა. სახელდახლოდ შეთხზული ლექსიც დაადვენეს:

– გენკა კოჭლი, ცინგლებს სტყორცნი!

ბიჭმა უკან მიიხედა: გუნდებს კოლკა კლიუკვინი ესროდა, გოგონები მასხრად იგდებდნენ, ყველას ზურგსუკან კი ის იდგა,



ვისთვისაც ასე ირჯებოდნენ: ყველას მტერი, ვინც კი ფიანდაზებს არ უგებდა – მკვირცხლი და უშიშარი ყენკა აიტირი.

გენია თავის კარს ეცა: კიბეზე უკვე მოიჩქაროდა ბებო: ჩია დედაბერი მოყავისფრო ქუდით, რომელზეც მარადმწვანე და მარადცისფერი ყვავილები ებნია. ერთად აპირებდნენ მიუღის სკვერში გასეირნებას. ბებოს მხარზე ბრტყლად ეწვინა მკვდარი ქარვისთვალეზა მელა.

...სალამოს, როცა გენია მწვანე შირმის იქით ჩუმად ხვრინავდა, ბებო და დედა დიდხანს უსხდნენ მაგიდას.

– რატომ? რატომ აწვალევენ ასე? – მწარე ჩურჩულით იკითხა ბებომ.

– ვფიქრობ, ბავშვები გენიას დაბადების დღეზე სტუმრად უნდა დავპატიჟოთ, – უპასუხა დედამ.

– რას ამბობ? – შეწუხდა ბებია, – ბავშვები კი არა, ყაჩაღები არიან.

– სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, – პირქუშად თქვა დედამ, – ნამცხვარი გამოვაცხოთ, სუფრა გავანყოთ და, საერთოდ, დღესასწაული მოვანყოთ.

– ქურდები და ყაჩაღები არიან-მეთქი. მთელ სახლს გაზიდავენ, – არ ნებდებოდა ბებია.

– რამე გაქვს მოსაპარი? – ცივად ჰკითხა დედამ. მოხუცმა ქალმა დუმილით უპასუხა.

– შენი ძველი ბოტები არავის სჭირდება.

– რა შუაშია ბოტები... – ამოიხვნეშა ბებიამ, – ბიჭია ცოდო.



გავიდა ორი კვირა. მშვიდი და ნაზი გაზაფხული დადგა. ტალახი აშრა. ბასრად აწვერილმა ბალახმა დანაგვიანებული ეზო დაფარა. მოსახლეობა ბერს კი ეცადა, მაგრამ ველარაფრით დააბინძურა. ეზო სუფთად და მწვანედ რჩებოდა.

ბიჭები დილიდან საღამომდე ლაფტას თამაშობდნენ. ღობეები ცარციითა და ნახშირით მიხატული ისრებით აჭრელდა: „ყაჩაღები“ „კაზაკებს“ რომ გაურბოდნენ, ამგვარ მინიშნებებს ტოვებდნენ.

უკვე მესამე კვირა შესრულდა, რაც გენია სკოლაში დადიოდა. დედა და ბებია ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვან მზერებს ესროდნენ. ბებია ცრუმორწმუნე იყო და სამ-სამჯერ მხარსუკან აფურთხებდა, აქაოდა თვალი არ ეცესო: ავადმყოფობებს შორის შუალედები ჩვეულებრივ ერთ კვირაზე მეტხანს არ გრძელდებოდა.

ბებია შვილიშვილს სკოლამდე აცილებდა, დღის ბოლოს კი სკოლის ვესტიბულში ელოდებოდა, ყელზე მწვანე შარფს შემოახვევდა და ხელჩაკიდებული მიჰყავდა შინ.

დაბადების დღის წინა დღეს დედამ გენიას გამოუცხადა, ნამდვილ დღესასწაულს მოგიწყობო.

– კლასიდან ვინც გინდა, ის დაპატიჟე, და ეზოდანაც, – შესთავაზა შვილს.

– არავინ მინდა. არ არის საჭირო, დედა, – სთხოვა გენიამ.

– საჭიროა, – მოკლედ მიუგო დედამ და მისი წარბების შეტოკებაზე გენია მიხვდა, რომ თავს ვერ დაიძვრენდა.

საღამოს დედა ეზოში გავიდა და ბავშვები თვითონვე დაპატიჟა სახვალიოდ. ზოგადად ყველას მიმართავდა, მაგრამ აიტირს გამორჩეულადაც მიუბრუნდა:

– შენც მოდი, ყენია.

აიტირმა ისე ცივად და კაცურად შეხედა, რომ ქალი დაიბნა.

– რატომაც არა, მოვალ, – მშვიდად უპასუხა ბიჭმა.

დედა ცომის მოხელას შეუდგა.

გენია ნაღვლიანად ათვალეირებდა ოთახს. ყველაზე მეტად შავი, მზინავი პიანინო ეუხერხულებოდა: ასეთი ნამდვილად არავის ჰქონდა შინ. წიგნების კარადა, თაროზე ნოტიები – ამას კიდევ რა უჭირდა. მაგრამ ბეთჰოვენი! ბეთჰოვენის ეს შემზარავი ნილაბი! ვინმე უთუოდ იქედნურად ჰკითხავს: „ეს რა, პაპაშენია? თუ მამაშენი?“

გენიამ ბებიას სთხოვა, ნილაბი ჩამოეხსნა. ბებია ძალიან გაიკვირვა:

– ასე ერთბაშად რით შეგიშალა ხელი? ის ხომ დედას მასწავლებელმა აჩუქა... – და ისევ წამოიწყო კარგად ნაცნობი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორი ნიჭიერი პიანისტი დედა და ომი რომ არ ატეხილიყო, აუცილებლად დაამთავრებდა კონსერვატორიას...

ოთხი საათისთვის ფართოდ გაშლილ მაგიდაზე ელაგა წვნიანის დიდი ჯამი წვრილად დაჭრილი ვინეგრეტით, გახუხული პური ქაშაყით და ბრინჯიანი ღვეზელები.

გენია მაგიდისკენ ზურგმუქცევით ფანჯრის რაფასთან იჯდა და ცდილობდა იმაზე არ ეფიქრა, რომ სულ მალე სახლში ხმაურიანი, მხიარული და შეუპოვარი მტრები შემოუცვივდებოდნენ... გარეგნულად მთლიანად თავის საყვარელ საქმიანობაში ჩაფლულიყო: გაზეთისაგან იალქნიან გემს აწყობდა.

ამ ქალაქის ხელოვნების ნამდვილი დიდოსტატი გახლდათ. გენია ხომ თავისი ცხოვრების ათასობით საათს საწოლში ატარებდა. ჰოდა, ფურცლების კუთხეების გადაკეცვასა და ნაკეცების გასწორებაში გართული, მოთმინებით იტანდა შემოდგომის კატარებს, ზამთრის ანგინებსა და გაზაფხულის გაციებებს. გვერდით განუყრელად ედო მოცისფრო-მორუხო წიგნი, ყდაზე ამოტვიფრული ჟირაფით. წიგნს „მხიარული საათი“ ერქვა, ის ბრძენმა ჯადოქარმა, ქვეყნად საუკეთესო ადამიანმა, ვინმე მ. გერშენზონმა დაწერა. ის დიდი მოძღვარი არ ყოფილა, სამაგიეროდ გენია იყო დიდი მონაფე: ამ ქალაქით თამაშის არნახული ნიჭი აღმოაჩნდა და ბევრი ისეთი რამ მოიგონა, რაც გერშენზონს არც კი დასიზმრებია...

გენია დაუმთავრებელ გემს ხელში ატრიალებდა და შიშის კანკალით ელოდა სტუმრებს. ზუსტად ოთხზე ყველანი ერთად შემოლაგდნენ. ქერა დებმა ბაბუნავერების დიდი თაიგული მოიტანეს. დანარჩენები უსაჩუქროდ მობრძანდნენ.

ყველანი დინჯად მიუსხდნენ მაგიდას. დედამ თვითნაკეთი შუშხუნა წვენი ჩამოასხა, რომელშიც ყავისფერი ალუბლები დაცურავდა და გამოაცხადა:

– მოდით, გენიას გაუმარჯოს. დღეს მისი დაბადების დღეა.

ყველა ჭიქებს დასწვდა და მოაჭახუნა, დედა კი ბზრიალა სკამზე დაჯდა და „თურქული მარში“ დააგუგუნა. დები მონუსხულნი შეჰყურებდნენ კლავიშებზე მოფარფატე ხელებს. უმცროსს ისეთი შეშინებული სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, საცაა ატირდებო.

აიტირი უდრტვინველად მიირთმევდა ვინეგრეტს ღვეზელით, ბებია კი ყოველ ბავშვს ზუსტად ისევე დაფუსფუსებდა, როგორც ჩვეულებრივ გენეჩკას.

იუბილარი იჯდა და თეფშს აშტერდებოდა, ხელისგულები ოფლიანი ჰქონდა.

მუსიკა შეწყდა, ღია ფანჯარაში გაფარფატდა, მხოლოდ რამდენიმე დაბალი ბგერა ჭერთან, ჭალის გარშემო შეყოვნდა, მერე კი ისინიც ნელი ცურვით გაჰყვნენ სხვებს.

– გენეჩკა, – უცრად ტკბილი ხმით წამოიწყო ბებია, – იქნებ შენც დაგეკრა?

დედამ ბებიას შემფოთებული მზერა ესროლა. გენიას ღამისგული გაუჩერდა: ისედაც ყველას სძულს ბრიყვული გვარის, ხტუნვა-ხტუნვით სიარულის, გრძელი შარფის და ბებიას

გამო, სულ ხელჩაკიდებულს რომ დაასეირნებს. ახლა კი მათი თანდასწრებით პიანინოზეც დაუკრავს!

დედამ გადაფითრებულ სახეზე შეხედა, მიხვდა და უშველა:
– სხვა დროს. გენია სხვა დროს დაუკრავს.

თამამმა ვალკა ბობროვამ ეჭვითა და თითქმის ალტაცებით იკითხა:

– იცის რო, დაკვრა?

...დედამ ტკბილი ნამცხვარი შემოიტანა. ფინჯნებში ჩაი ჩამოასხეს. მრგვალ ლარნაკში ყველანაირი კანფეტი ეყარა, სულო და გულო: ბალიშაც, კარამელიც, ფოჩიანიც. კოლკამ უსინდისოდ ბევრი შესანსლა და ჯიბეებშიც ჩაილაგა. დები ბალიშა კანფეტებს ნუნნიდნენ და წინდანინ ათვალეიერებდნენ, კიდევ რომელი აელოთ. ვალკა ბობროვამ გაჩხეკილ მუხლზე ვერცხლის ფოლგა დაიდო და ასწორებდა. აიტირი ყოვლად მოურიდებლად ათვალეიერებდა ოთახს. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ბოლოს მზერა ნილაბზე შეაჩერა:

– დეიდა მუსია, ეს ვინაა? პუშკინი?

დედამ გაუღიმა და ალერსიანად უპასუხა:

– ეს ბეთჰოვენი, ჟენია. იყო ასეთი გერმანელი კომპოზი-ტორი. ყრუ იყო, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივ მუსიკას წერდა.

– გერმანელი? – ფხიზლად მზერა მიაპყრო აიტირმა დედას, მაგრამ ქალმა საჩქაროდ გაამართლა ბეთჰოვენი:

– ძალიან დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. ას წელიწადზე მეტი ხნის წინ. მაშინ ფაშიზმის ხსენებაც კი არ იყო.

ბებიამ უკვე პირი დაალო, მოყოლას აპირებდა, ეს ნილაბი დეიდა მუსიას მისმა მასწავლებელმა აჩუქაო, მაგრამ დედამ მკაცრად შეხედა და მოხუცმა ქალმა პირი ისევ მოკუმა.

– გინდათ, ბეთჰოვენი დაგიკრათ? – იკითხა დედამ.

– მიდით, – თანხმობა მისცა აიტირმა. დედამ ისევ გამოსწია მრგვალი სკამი, დააბზრილა და დაუკრა გენიას საყვარელი სიმღერა ვირზაზუნაზე, რომელიც ბიჭს რატომღაც მუდამ ებრალებოდა.

ყველა ჩუმად იჯდა, მოუთმენლობას არავინ ამჟღავნებდა, თუმცა, კანფეტები უკვე გათავებულიყო. გენიას ის საშინელი დაძაბულობა მოეხსნა, მანამდე რომ სტანჯავდა, და რალაც სიამაყის მსგავსიც კი იგრძნო: ეს მისი დედა იყო, ბეთჰოვენს რომ უკრავდა, არავის ეცილებოდა, ყველანი ყურს უგდებდნენ და მის ძლიერ და მკვირცხლ ხელებს თვალს ადევნებდნენ. დედა დაკვრას მორჩა.

– გვეყოფა მუსიკა. მოდით, რამე ვითამაშოთ. რისი თამაში გიყვართ?

– კარტი შეიძლება, – გულუბრყვილოდ შესთავაზა კოლიამ.

– მოდით, ფანტი ვითამაშოთ, – მიუგო დედამ.

ეს თამაში ყველასათვის უცნობი გამოდგა. აიტი-რი ფანჯრის რაფასთან იდგა და დაუმთავრებელ გემს ათვალეიერებდა. დედამ თამაშის წესები აუხსნა, მაგრამ არცერთ ბავშვს არ აღმოაჩნდა ფანტი. ლილკა, რომელსაც თმა რთულ ნაწნავებად ჰქონდა დანწული, მუდამ ჯიბით ატარებდა სავარცხელს, მაგრამ მისი ამოღება ვერ გაბედა, ვაითუ დაიკარგოსო. აიტირმა ქალაღდის გემი მაგიდაზე დადო და თქვა:

– ჩემი ფანტი ეს იქნება.

გენიამ გემი თავისკენ მიწია და რამდენიმე მოძრაობით დაასრულა მისი შენება.

– გენია, გოგონებსაც გაუკეთე ფანტები, – უთხრა დედამ და მაგიდაზე გაზეთები და მუყა-ოს ორი ფურცელი დაანყო. გენიამ ფურცელი აილო, წამით დაფიქრდა და სიგრძეზე მოკეცა...

ბიჭების ხოტორა და გოგონების კიკინე-ბიანი თავები მაგიდასთან შეგროვდა. ნავი... გემი... იალქნიანი გემი... ჭიქა... სამარილე... საპურე... პერანგი...

როგორც კი გენია ბოლო მოძრაობას გააკე-თებდა, ვინმეს მომლოდინე ხელი იმწამსვე სტაცებდა გამზადებულ ნივთს.

– მეც, მეც გამიკეთე, რა!

– შენ ხომ უკვე გაგიკეთა, შე უნამუსო! ახლა ჩემი ჯერია!

– გენეჩკა, გთხოვ, მე ჭიქა გამიკეთე!

– კაცუნა, გენია, მე კაცუნა გამიკეთე!

ფანტის თამაში ვილას ახსოვდა! გენია სწრაფი მოძრაობებით კეცავდა ფურცლებს, ასწორებდა ნაკერებს, ისევ კეცავდა და კუთხ-ეებს უპრეხდა თავის ნაკეთობებს. ადამიანი... პერანგი... ძაღლი.

ბავშვები გენიასკენ იშვერდნენ ხელ-ებს, ბიჭი მათ თავის ქალაღდის საოცრებებს ურიგებდა, ყველანი უდიმოდნენ და მადლობას უხდიდნენ. თვითონაც არ შეუნიშნავს, ისე ამოილო ჯიბიდან ცხვირსაბოცი, ცხვირი მოი-წმინდა და არც სხვებს, არც თვითონ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ასეთი რამ მხოლოდ სიზმარში ჰქონდა განცდილი. ბედნიერი იყო. აღარც შიშს გრ-ძნობდა, აღარც მტრობას თუ სიძულვილს. სხვებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მეტიც: ყველა აღფრთოვანებით უქებდა იმ არაფრის მაქნის ნიჭს, რასაც თვითონ არაფრად აგდებ-და. თითქოს პირველად დაინახა ამ ბავშვების სახეები. არცერთი აღარ იყო ბოროტი. აღარც ერთი...

აიტირი ფანჯრის რაფაზე გაზეთის ფურ-ცელს ატრიალებდა. გემი დაშალა, თავიდან ანყობას შეეცადა და, რომ არაფერი გამოუ-ვიდა, გენიასთან მივიდა, მხარზე ხელი შეახო და პირველად მიმართა სახელით:

– გენ, ნახე აბა, მერე როგორ უნდა?..

დედა ჭურჭელს რეცხავდა, ელიმებოდა და საპნიან წყალში ცრემლები უცვიოდა.

ბედნიერი ბიჭი ქალაღდის სათამაშოებს იჩუქებოდა...

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ


2 ჰოეზია

თეა თოფურია

რა თქმა უნდა, ასეც შეიძლება,
 უფრო მეტიც, სწორედ ასეა ბუნებრივი,
 გული დაგწყდეს და გზა განაგრძო.
 ვინ გამოდგება შუა ქუჩაში,
 გააჩერებს მომავალ პროცესიას,
 დაიძახებს: „დადეთ კუბო, შენ კი ადექი!
 ვინმე სხვა იტირეთ, ეს მე მჭირდება“.
 იქნებ, მართლა რომ გიყვარდეს,
 ქრისტესავით მხოლოდ ნახევრად უნდა იყო ადამიანი
 და არა დედითაც და მამითაც...
 როცა ვკვდებით, თითქოს ესეც მშვენივრად ვიცით,
 მაგრამ მკვდრებსაც თავიანთი ჯიუტი მოლოდინი აქვთ,
 რადგან ყველაზე მძიმე და სანუკვარი, რაც დღემდე ითქვა,
 სწორედ ეს არის:
 „აღდექ, ალილე ცხედარი შენი და ვიდოდე“!
 და თუ არა,
 რატომ ვერ ერევა მიწა ძვლებს,
 რატომ ადგას დღემდე ყელზე ათასი წლის მიცვალებულიც?!
 მისი ნეკნები, ქვეშინურით მიწყობილი ერთმანეთზე,
 გაუთავებლად რალაცას ანგარიშობს.
 მისი ნეკნები,
 ცალხაზიანი რვეულის ორი ფურცელი –
 ღმერთი არჩევს, მანდ რაც წერია.
 მისი ნეკნები,
 ნება რომ დართო, გაცოცხლდება და საკუთარ ამბავს მოგიყვება.

ღმერთო,
 ჩვენი თავი ამ ცხოვრებაში, არათუ შენ,
 ჩვენც სხვაგვარად წარმოგვედგინა,
 ორივე მოვტყუვდით.

ეს ცხოვრება,
 ასე გაურეცხავად მოტანილი სუფრამდე,
 ყველა ზეიმს გააფუჭებს, თუკი შეიმჩნევ.
 რაშიც გინდა ხარშე,
 რითიც გინდა შეაზავე,
 თუნდაც სახლისხელა ქვაბი შემოდგი ცეცხლზე,
 იქაც მოიძებნება ერთი კოვზი წვნიანი,
 უქველი სიკვდილის გემოთი.



სიმართლე რომ ვთქვა,
მრცხვენი კიდეც, ასე უცებ ვერ გავამხელ,
უფრო სწორად, თავს ვერ ვაბამ, მოვყვე,
როგორ გაველურდა ჩემი სახლი,
იატაკზე მინა გადაიკრა, კედლებზე მწერები დაბობლავენ.
სახურავიდან ხშირად ცა ჩანს, თავისი ყველა ატრიბუტით,
ღრუბლით, ვერტმფრენით.
სათითაოდ მიატოვა სკამმა, მაგიდამ
და მოედენენ ქალაქს ისე, რომ როდესაც მეც წამოვდები,
ბევრი მათგანი ვერც ვიპოვე.
მე კი ახლა (თქვენ, ეჭვი მაქვს, ვერც შემატყობდით),
მთელ ქალაქში ცალ-ცალკე ვცხოვრობ.
ჩემი საწოლი – გადებული შუა ხიდზე – ქვეშ წყალი გადის,
მანქანები გვერდს ძლივს მიქცევენ,
მათი საყვირი ჩემი დილის მალვიძარაა.
ვდგები... რა ვუყოთ, შიშველი ვარ.
აბაზანა სულ სხვა უბანში,
სადღაც ორ ბოძთან ატუზულა.
კომოდი, ჩემი ტანსაცმელით, ჭადრის ქვეშ დადგა.
მთელი ქალაქი შემომცქერის, სანამ ვბანაობ.
მერე ვიცმევ და სამსახურში ისე მივდივარ,
თითქოს მეც ჩემი სახლი მქონდეს და შიგ ვცხოვრობდე.
სადღაც ექვსისკენ, შეიძლება, სადმე დაღმართზე,
შევხვდე საკუთარ პიანინოს, შორს რომ მიგორავს.
სავარძელი კი, მე რომ მიყვარს, უნდა დავეფიქრდე,
დღეს ალბათ ქუჩის ბოლოშია, ვერ დავენევი,
ხიდზე, საწოლთან თუ მივედი, ისიც კარგია.

გულაღმა ვწვები, ცა მიყურებს, ამ ღამეს ისევ
ინვიმებს, ანდა შეიძლება სულაც მოთოვოს...

ერთხელ რომ მოხდეს,
შემოტრიალდეს დრო წეროების გუნდით:
დავიკლო ოცი კილო,
ჩავეტო სტუდენტობისდროინდელ ჯინსში,
დავიბრუნო ოკუპირებული ფორთოხლები,
ზღვაც იყოს იქვე, აივანთან, თითქოს არსად გადაკარგულა,
ვიღაცას მართლა შევუყვარდე,
დაიძინოს ჩემზე ფიქრში, სად ვარ, როგორ ვარ...
დედა, ბებია, დეიდები იყვნენ ისეთი ახალგაზრდა, როგორც სურათში...
ჯერ არ ვიცოდე, ღმერთი ყველაზე საჭიროა,
ულოცველად გავდიოდე დილით სახლიდან...
დაბრუნდება ის სიმსუბუქე, ოდესღაც რომ თითქოსდა მქონდა?
და იმდენად შორს იყო ეს დრო,
არც კი ვიცი, მართლაც იყო თუ მომეჩვენა.



ერთხელაც იქნება, ყველა მინას დავიბრუნებთ,
იმ მინასაც კი, ემიგრანტებმა რომ გაზიდეს მუჭა-მუჭა.
საზღვარს იქით დაკრძალული ჩვენი მიცვალებულები
თავიანთ საფლავებს მოიტანენ.
ჩიტები ბუდეებს დაშლიან და გოროხებს უკან მოგვიყრიან.
ჩვენ კი ვკითხავთ ყველას ერთად –
ასე რა გრჯით? ამ ნამცეცებს არც კი ვითვლიდით.
რამ წამოგყარათ საფლავებიდან?
იქ თბილად იყო თქვენი ძვლები.
ახლა სადღა უნდა ჩაიმარხოთ?
მატლი სად შეგჭამთ?

იტყვიან, ამისთვის დავიხოცეთ,
ამისთვის გავცოცხლდით!

* * *

როგორ უცებ მოადექი,
როგორ უცებ მოაგნებ ხოლმე ყველანაირ უფსკრულს,
თითქოს თავიდანვე ასე დაგგეშეს, უფსკრულების მაძიებლად,
როგორც ძალღი – მელიაზე, ძალღი – კურდღელზე...

როგორც გოგო მოკლე კაბას,
ქვევითკენ ვენევი ცხოვრებას და ის ზევით მიდის,
შორს ჩემი ხელისგულებიდან,
რომელზეც მინისთხილსაც
თხილზე მეტად მინის გემო აქვს.

* * *

გადაღებული კადრიდან გასვლა მე ვერა, მათ გამოსდით.
აჰა, ხე, აჰა, სკამი... არც მიყუდებული, არც ჩამომჯდარი არავინ ჩანს.
სათითაოდ გაიკრიფნენ თავიანთ ცხოვრებაში,
თითქოს თავიდანვე ასე გადაიღეს,
ჩემ გვერდით არავინ იცინოდა.

არ ვბერდები, მინდა,
დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა,
თუ ომის მერე უნახავმა თანაკლასელებმა ადვილად მიცნონ.
მთელ მსოფლიოს მოდებულებს დაბრუნება რომ მოეპრიანოთ,
ჰო უნდა ჰყავდეთ ვინმე აქაც,
კიბის საფეხურივით ჭრილა და მშობლიური.

* * *

შენ იქნებ გეგონა – ეს ისეთია,
ქვას გახეთქავს, ომებს მოიგებს,
დაჭრი – მორჩება,
მოკლავ – ვილაცა მოვა, გააცოცხლებს!
მე კი ასეთი ვარ – პასკის ცომივით სათუთი და სანვალელები,
ლექსის მწერალი და ქალღმერთ აკრული, მიმწვარი ნამცხვარივით,
საკუთარ თავზე ორსული,
გაზრდილ მუცელს ხელს რომ აშველებს,
წელს იკავებს,
გულთან ცუდი არაფერი მიაქვს,
აქაოდა,
დროზე ადრე არ დაიძრას ეს უდღეური ბავშვი,
სამოთხემდე ვერ მიტანებული, ისევე აქ არ დაიბადოს,
მკვდრადმოხილი, ფილტვებჩაკეტილი...
არ დაეკარგოს მომავალი –
საიდუმლო ადგილი ცაში,
სადაც სამყარო ყველაფერზე პასუხს ინახავს.



* * *

გზებმა ქვა-ღორღი წაიფარეს,
ტყეებში გაიხვეწნენ სოფლებიდან.
მზე ცისკარს ანკესივით წამოედო,
ჯერაც გუშინდელ დღეში მიდგას
ტერფები – რამდენი ვილაყბე და
როგორ მიყვარდი, ეგ არ მითქვამს.



3 კროზა

დედა ჩვენს მკვლელობას თამაშობს

ლაშა ბულაძე

.....მე ვეუბნები: მეძინება, დავწვეთ. ის ამბობს:
მე არ მეძინება, არავინ არ გვეუბნება, რომ დავწვეთ

.....
მე ვეუბნები: ვეტყვი, რომ არ იძინებ. ის მეუბნება:
ეტყვი და გცემ.

.....მე ვეტყვი.
- ეტყვი და მოგკლავ, - მეუბნება.
მატირებს.

მე ვეტყვი და შენ გცემენ.
ის ხელს მკრავს, მატირებს. როგორ მინდა, მოკვდეს,
ამ ღამით თავი დამანებოს და ხვალ დილით მოკვდეს.
ერთი კვირით მოკვდეს.
შემორბის... დედა არაა.

- რა ხდება?
- მცემს, - ვამბობ, - არ იძინებს.
- რატომ ცემ, არ გრცხვენია ამხელა ბიჭს?
- მირტყამს, - ეუბნება.
- დამაგდო, - მეტირება.

მეფერება.
ახლა მის ეტირება. ვითომ ტირის, რომ არ ეჩხუბონ.
მართლა არ ტირის, მე ვიცი, მართლა როგორც ტირის,
ახლა ეს გავა და ტირილს შეწყვეტს.

- დედა სადაა? - ეკითხება.
- დედას თავი ტკივა, ამიტომ არ იყვიროთ.
- წავიდა დედა? - მეტირება.
- წევს, თავი ტკივა.

მე ვწვები.
გადის.

ალარ მეტირება.
- იტყუება, - ამბობს ჩემი ძმა, - დედა ეზოშია და
ტირის.
- რატომ ტირის?
- ფეხსაცმელები დაკარგა.

.....
მელვიძება.

ვისი ხმაა? მამა დედას ზევიდან უყვირის.

დღეს დედამ თქვა, რომ მამა უცხოეთში წავიდა,
მაგრამ მამა უკვე ჩამოსულა.

სანოლიდან ვხტები.
- ინექი, - მეუბნება.
- მამაა, - მეტირება.

გამიშვას!
- ჩხუბობენ, - მეუბნება.
- არ ჩხუბობენ.
- ყვირიან.

კარს ვუყურებ. არ უნდა გავიდე? არ ჩამოვიდა?
ვალბ კარს, გავრბივარ. მამა მე მიყურებს.

დედა მიყვირის:
- შედი უკან, შედი ოთახში!
მამა მოდის, მწევს, ვეპოტინები, უკან მწვევენ, ფეხს
ვახვევ, დედა უკან მქაჩავს, ძირს ვერ მაყენებს, ფეხებს
არ ვამაგრებ, მიმანახილებს, მამა დგას.
- შედი ოთახში, დაიძინე!

შეყვავარ.
- გამაღვიძა, მე მეძინა, - ეუბნება ჩემი ძმა.
- შენ კარგი ბიჭი ხარ, - ეუბნება დედა.

მანვენს, გადის.
მე ისევ ვდგები.
- გცემს, - მეუბნება.

ვწვები.
- მამაა? - მეკითხება.

არ ველაპარაკები.
მამას საპნის სუნი აქვს, თუ დილით მკოცნის, ეს სუნი
მალვიძებს.
- მამა იყო?

ამას არ ველაპარაკები.
.....ქვევით არ მიშვებენ. ჩემს ძმას
უშვებენ. ზევიდან ვიყურები.
- ჩამოვალ, - ვუძახი.

არ მპასუხობს.
დედამ არ ჩამიშვა, იმიტომ რომ გუშინ გავედი.
თავს ვყოფ რკინებს შორის, ვხედავ, ჩემი ქუდი
ახურავს.

კარგია, ვიტირებ - ჩემი ქუდი არ უნდა აელო!

არავინ გამოდის. ძალი შემოვიდა, აღარ
მეტირება..... აქეთ არ მოვა? ყეფს.
სახლში ვილაც ტირის (მე - არა).

დედა?

შევრბივარ. დედა ძირს ზის და ტირის. მინდა
მოვეხვიო, მაგრამ მეშინია.

ვიცი, რა უნდა ვქნა.

- მინდა, მინდა, - ვცმუკავ, - ჩქარა.

იცის, თუ არ მოვა, ჩემით ვერ მოვფსამ, ამიტომ
ტირილს უნდა მორჩეს.

არ ესმის.

იცის, რომ ვატყუებ.

ჩერდება, მიყურებს..... დიდი შავი თვალები და
დიდი შავი ტუჩები აქვს.....

არ მინდა აქ.

უცებ მაღლა ვინევი, ფეხები ჰაერში მიქანავებს,
დერეფანში მიმაქროლებს, კისერში მკოცნის, მუცელზე
მიბჯენს.

- ქვევით ჩავიდეთ, რატომ შეხვედი?

- ტიროდა.

- არ ტიროდა, ნუ გეშინია.

- ნავიდა მამა?

- მამა მოვა.

- როდის მოვა?

- მალე მოვა.

- დედა ტიროდა.

- არ ტიროდა.

ქვევით ჩავყავარ, ძალი ნასულა.

დედა გვეუბნება:

- მამას აღარ ვუყვარვარ, ნავიდა და სხვა ცოლი
მოიყვანა, მაგრამ არც მე უნდა გავბრაზდე და არც
თქვენ, თქვენ უნდა ნახვიდეთ, მამას ცოლი გაიცნოთ
და ჩემი საჩუქარი მისცეთ.

- არ მინდა, - ვამბობ, - არ ნავალ.

- მამას სხვა ცოლი ყავს? - ეკითხება ჩემი ძმა.

- ხო, სხვა ცოლი ყავს.

- რატომ ყავს სხვა ცოლი?

- მე აღარ ვუყვარვარ.

- აღარც მე?

- არ ვიცი, ეგ შენ თვითონ უნდა გითხრას.

- მე? - ვეკითხები.

- არ ვიცი, თქვენ უყვარხართ თუ არა. ალბათ,
უყვარხართ, მაგრამ ჩვენთან ერთად აღარ იცხოვრებს.

- სად იცხოვრებს?

- სხვა სახლში, სხვა ცოლთან ერთად.

- იმ სახლში სხვა შვილებიც იქნებიან? - ეკითხება.

- არა, არ იქნებიან.

- როდის მოვა?

- სად?

- ჩვენთან?

- აღარ მოვა. თქვენ ნახვალთ და იმ ქალს გაიცნობთ,



მამათქვენის ახალ ცოლს.

- მე არ გავიცნობ.

- ჩემი ხათრით უნდა გაიცნოთ. ქორნილი ექნებათ და
თქვენც იქ უნდა იყოთ, რადგან ის თქვენი მამაა. ცოტა
ხნით მიხვალთ, მიულოცავთ და წამოხვალთ.

- შენ არ წამოხვალ?

- მე საჩუქარს გაგატანთ, თორემ იტყვიან, რომ
ვბრაზობ და ის ქალი არ მიყვარს, ამ დროს, იმ ქალს
არც ვიცნობ და არ მინდა, ჩემზე თქვან, რომ ბოროტი
და ცუდი ვარ. ხომ არ გინდათ, რომ დედაზე ასე
თქვან?

- არა.

- ვცემ მე, ვინც იტყვის.

- ყოჩაღ.

- მამა არ მოვა?

- არა.

- რატომ არ მოვა?

სულ მეტირება, რა სირცხვილია...

- აღარ უნდა ჩვენთან ერთად ცხოვრება.

მაგრამ ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან
ჩვენი ბაბუა მზეზე ცხოვრობს და იქიდან
დაგვიცავს.....

შარვალი მიჭერს. ძირები მინაზე ეთრევა და ქუსლს
ვაბიჯებ სიარულის დროს.

ჭალარა კაცი ლოყაზე მკოცნის, პირში სუნი აქვს.

- მოდით აქეთ, მოდით, - გვეძახის მამა.

მე ჩემს ძმას მივყები.

მაღალ ქალს მწვანე კაბა უჭირავს და ჩემი ძმისკენ იხრება, მაგრამ ჩემი ძმა უკან სწევს თავს.

– არ გინდა, რომ გაკოცო? – ეკითხება.

ეს არაფერს პასუხობს.

– მაშინ მე შენ ძმას ვაკოცებ, – ამბობს და ჩემკენ იხრება, მარჯვენა და მარცხენა ლოყაზე მკოცნის. მერე შუბლზე.

იცინიან.

ჩემზე იციანინან?

– ძალიან ლამაზია, – ამბობს.

ჰაერში ვინევი, ფეხები მეკიდება, მამას ზევიდან დავყურებ, მის

ხელლებზე ვზივარ, თავისი სახისკენ მხრის, ლოყებზე მკოცნის. ძირს მსვამს. ამას ჰკიდებს ხელებს, ეს უკან იწევს.

„აკოცინინოს“, ვფიქრობ, „აკოცინინოს“.

მამა თმაზე უსვამს ხელს.

მაღალ ხალხში ვდგავარ. შარვალი მიჭერს. კაცს ლოყები ებერება – უკრავს.

მამა მარჯვენა ხელს ჰკიდებს იმ ქალს, რომელიც დედაზე მეტად უყვარს, მარცხენა ხელს შლის და ძუნძულით ურტყამს წრეს, ის ქალი მარცხენა ხელს ჰკიდებს მამას და მარჯვენა ხელს სწევს განზე.

ყველა ასე შვება, ცალ ხელს ერთმანეთს ჰკიდებენ და მეორეს ჰაერში სწევენ.

– წრეში შედი! – მიყვირის ვიღაც და ხელს ზურგზე მკრავს.

სად შევიდე?

შუაში ვდგები.

ჩემ გარშემო ცეკვავენ.

არ მინდა აქ, ვცმუკავ.

– წავიდეთ, – ამბობს კაცი, ვისაც დედამ გამოგვაყოლა.

– მამა არ წამოვა? – ვეკითხები.

მამა მე მკოცნის.

მერე ჩემს ძმას.

მაღალი ქალი ჩემს ძმას კოცნის.

მე კაცს აქედან ვკიდებ ხელს, ჩემი ძმა იქიდან. გარეთ ვართ.

– გამიხსენი, გამიხსენი, – ვეუბნები ჩემს ძმას. მე არ ვიცი ამის გახსნა, მაგან იცის.

ჩემი ძმა ღილს მისხნის შარვალზე.

– არ ჩაგძვრეს, – მეუბნება.

.....

დედა სკამზე ზის, ჩვენ ფეხზე ვდგავართ.

– მოეწონა? – გვეკითხება.

ჩემი ძმა თავს უქნევს.

– აკოცინინა ამან, – ჩემზე ეუბნება, – მე არა.

– არა, თვითონ მაკოცა. ამანაც აკოცინინა.

დედა იცინის. ხელს პირზე იფარებს.

მე კისერზე ვეხვევი.

.....

ლამე დედა მალვიძებს, ჩემს ლოგინში წვება და

მეხუტება. ხელებს მიკოცნის, ილიაში მკოცნის, მუცელზე მკოცნის, თმაში მყნოსავს და მკოცნის. მე ვითომ მძინავს.

მერე დგება და გადის.

იმას არ აკოცა? თუ ჯერ იმას აკოცა და მერე გამალვიდა?

.....

ძალღს მაფერებინებს, თვითონ უკან ზის, ძალღი დაბმულია, ენა აქვს გადმოგდებული და დაღლილი სუნთქავს.

ამან ჩემი ქუდი დამიბრუნა და მე ზევით დავმალე. წინ თეფში მიდევს, თეფშზე დაჭრილი ვაშლი, მე ჯერ ერთს ვიღებ, ვჭამ, მერე მეორეს..... ეს არ ჭამს.

– რატომ არ ყეფს? – ვამბობ.

– უცხოებს უყეფს, – მეუბნება.

მართალია, დედას არ უყეფს. არც მამას.

– დატოვოს, – ვამბობ, – უნდა წაიყვანონ? მხრებს იჩეჩავს.

– არ გინდა, რომ დაგვიტოვონ?

– ლეკვებს დაყრის.

– არ გინდა, რომ ლეკვები ყავდე?

– არავინ არ მოუფლის.

– დედა მოუფლის.

– დედამ თქვა, რომ მე და შენ უნდა მოგვკლას.

– რატომ უნდა მოგვკლას?

– იმიტომ რომ, გაბრაზებულია.

– არ არის გაბრაზებული.

– მუხლებზე იდგა და ამბობდა, რომ მე და შენ უნდა მოგვკლას. მე გავიგონე.

– რატომ იდგა მუხლებზე?

– მუხლებზე დგება ხოლმე.

ძალღი ამთქნარებს.

– ამთქნარებს! მეტს არ დაამთქნარებს?

ძალღს ვუყურებთ, ძალღი ხმამაღლა სუნთქავს, პირიდან დორბლი გადმოდის.

– რომ მოგედოს, ვერასდროს ველარ მოიშორებ, – მეუბნება.

– არ მომედება, – ვიჭყანები.....

მე კარისკენ ჩამოვრბივარ, ამას ჩემი ძმა აღებს ხოლმე, ოღონდ ახლა იქით წევს, იატაკზე..

გაუნძრევლადა..... და ხმას არ იღებს, არ მოდის... მე..... მე ვერასდროს ვწვდებოდი კარის გასაღებს..... ვერ ვწვდები სახელურს.....

დედა უკან მომყვება.

– გეხვევები, მოდი აქ.

არ მინდა მისვლა, შუბლს ხელით მიჭერდა და გამოვიქეცი.

– ჩვენ ვთამაშობთ, – ამბობს, – ეს თამაშია.

ხელში დანა უჭირავს.

მორჩილება

თონა დოლენჯაშვილი

წესის მიხედვით, ცხოველთა ერთობა მორჩილების გარკვეულ სისტემას ემყარება. ამ სისტემას მკაცრი იერ-არქია განაპირობებს. ხროვის ყველაზე ღონიერ მამრს „მხეცი ალფა“ ეწოდება. მას ღონით მეორე, „მხეცი ბეტა“ მოჰყვება და ასე გრძელდება. იერარქიაში როგითობას ბრძოლის რიტუალი ადგენს. დაბალი ხარისხის ცხოველები საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მათზე ძლიერებს ბრძოლაში ინვესტენ. თუმცა, ყველაზე სუსტ ცხოველს შეუძლია ბრძოლას თავი აარიდოს და საკუთარი ქცევით ძლიერს მორჩილება გამოუცხადოს.

ფრანგი მწერალი

ნატამ სამზარეულოს სათავსოს კარი გამოაღო და სათაგურში გაბმული თავი დაინახა. სათაგური თითქმის ერთი კვირის წინ დააგო და უსიამო სუნით შეწუხებულს ახლავდა გაახსენდა. თავი ალბათ კარგა ხნის მკვდარი იყო. კისერზე სისხლმიმხმარი და ტიტველი კანი გაშავებოდა, სათაგურის ეშაფოტს კისერთან ერთად ზურგის ნაწილიც ჩაეტეხა. რკინას ერთგან ხორციც გაეხვრიტა და საზარლად ამოჩრილიყო, გადმოკარკლული თვალებითა და გაფშეკილი თათებით საშინელებათა ფილმების პლასტმასის ბუტაფორიას წააგავდა. ნატას გააჟრიალა. შეეცადა, გულზიდვა შეეკავებინა. ხელზე მაგიდის ტილო დაიხვია და სათაგური ისე აიღო. თავისუფალი ხელით სადარბაზოს კარი გამოაღო და კიბეები ჩაიარა. თავი გახრწნილი ლემის საზოზლარს უნს აფრქევდა. სათაგურს სანაგვე ურნაში გადაუძახა, ტილოც ზედ მიაცოლა და სახლში შებრუნდა. ჯერ ხელები იხეხა საპნითა და ჯვარისით, მერე ოთახის ფანჯრები გამოაღო, კარადის სათავსოები გამოხვეტა და სადებინფექციო ხსნარი მოასხა. იატაკი სარეცხ ფხვნილში დასველებული ტილოთი გულმოდგინედ მოწმინდა. იანვრის ცივმა, სუსხიანმა ნიავმა მკვდარი თავის სუნი მალევე გაქარა, მაგრამ ნატას ფანჯრები საღამომდე არ დაუხურავს, ცდილობდა, სუნი კი არა, სიკვდილი გაედევნა, რომელიც რამდენიმე დღე უჩუმრად ცხოვრობდა მის სახლში.

იმ დღეს თითქმის არ უჭამია. მხოლოდ საღამოსკენ შიმშილმა შეაწუხა და ტელეფონით იაპონურ რესტორანში ზღვის პროდუქტების წვნიანი და ულუფა სუში შეუკვთა. ჭამისას წვნიანში მოტივტივე შუაზე გაჭრილი რვაფეხა თავის გაფშეკილ კუდს მიამსგავსა და წამოაზიდა. ვახშამი მაგიდაზევე მიატოვა. სამუშაო ოთახში გავიდა და წინა დღეს გადაღებული ფოტოების დათვალიერებას შეუდგა. ფოტოების გადაღება მას შემდეგ დაიწყო, რაც პარიზში ჩამოვიდა და წერასაც დაანება თავი. სიტყვების გამოსახულებებით ჩანაცვლება გაცილებით იოლი აღმოჩნდა. გარემოც მუდმივად იძლეოდა რალაც ახლის აღმოჩენის საშუალებას. უცხო ქუჩებში დაეხეტებოდა და მექანიკურად აჩხაკუნებდა აპარატს. განურჩევლად იღებდა ყველაფერს. ილუზია, რომ რალაცას ქმნიდა, რამდენიმე თვის

განმავლობაში კვებავდა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს მხოლოდ ჰობი იყო. ფოტოგრაფიას ისედაც აღარ ერქვა ხელოვნება. იდუმალი დაგეროტიპებისა და ინფრანითელი შუქით განათებულ ლაბორატორიებში გამჟღავნებული ფირების დრო წავიდა. მხოლოდ საკუთარი თავის ისტერიული დაფიქსირების, ტოტალური სელფების ეპოქა დადგა. და ციფრული ფოტოებიც ისეთივე მშრალი და ზუსტი იყო, ისეთივე პროზაული და ფოტოგრაფიული, როგორც თავად ცხოვრება.

შემოქმედების ილუზია მალევე გაქარა, მაგრამ გადაღებებისთვის თავი არც მას შემდეგ დაუნებებია, რაც სამსახური იშოვა და სახეტილოდ შედარებით მცირე დრო დარჩა. სიამოვნებდა, რასაც აკეთებდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა, ეს „ხელოვნება“ ხალხისთვის იყო თუ მხოლოდ მისთვის. თუნდაც მხოლოდ ყოფის ვიზიონირება ყოფილიყო, მისი პირადი, ინდუსტრიულ ჯუნგლებში ჩაკარგული ცხოვრების მუნჯი კინო, წუთების, საათების, დღეების დამახსოვრება. დღის განმავლობაში გადაღებული ფოტოების დახარისხება, კომპიუტერში ჩატვირთვა და მათგან შექმნილი სლაიდ-შოუების ცქერა ნატას მთავარ გასართობად იქცა. პარიზის სრულიად უცნობი ქუჩები, ადამიანები, სახეები, დეტალები.. ყველაფერი, რაც შემთხვევით მოხვედრილიყო კადრში და მათი ასე, ახლა უკვე ფოტოაპარატის ობიექტივიდან დაკვირვება ნატას თითქოს უკვე მომხდარისა და განვილიის განმეორებითი განცდის, განმეორებითი ცხოვრების საშუალებას აძლევდა. შესაძლოა, ეს უხარისხო „სექენდ ჰენდი“ იყო, უკვე ნანახის ბანალური და უხეშად კოპირებუ-

ლი ასლი, მაგრამ დროთა განმავლობაში, გადაღებებს შორის, ბალებსა და სასაფლაოებზე ჩამომჯდარი, ფოთლების შრიალსა და მზის თბილ სხივებში გახვეული ნატა რწმუნდებოდა, რომ მთავარი სწორედ ეს იყო. რომ ცხოვრება ჭვრეტისაა. გარინდების. გაშეშების. გახვეების... სიკვდილთან მიახლოების და მასთან შეგუების...

ამ პერიოდში უკვე სრულიად მარტო იყო. პატარა პარიზულ ოფისში შეკეტილი სამსახური ახალი ადამიანური ურთიერთობების აგების საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. ნატას არც ჰქონდა სურვილი, ვინმეს დაახლოებოდა. მისი ერთადერთი კომპანიონები მანსარდის აივნის ღრიჭოებში მცხოვრები მტრედები იყვნენ. როდესაც აივანზე გასული პარიზის ქუჩებს უცქერდა და მტრედების მონოტონური ლულუნითა და მომწვანო სკლინტის სუნით გარემოცული სიგარეტს აბოლებდა, რაღაც ლეთარგიულ, სრულ და უზინჯო სიმშვიდეში იძირებოდა. ლევთან განშორების შემდეგ მსუბუქი სოციალური შიშიც დასჩემდა. ლევი ჩეხი ბიჭი იყო, რომელიც თბილისიდან პარიზში მომავალმა სატრანზიტო ხაზზე, სტამბოლი-პარიზის თვითმფრინავში გაიცნო. მათი ურთიერთობა რომანტიულად დაიწყო, ვენებიანად გაგრძელდა და ერთი წლის თავზე დრამატულად, ლევის მიერ Threesome-ის შეთავაზებით დასრულდა. ნატას უგონოდ შეყვარებული და არც ისე ადვილად მოწყვლადი, მაგრამ რბილი, ქალური ბუნება, ლევის სადო-მაზოხისტურ მიდრეკილებებს სიყვარულად რომ ნათლავდა და ჩუმად იმუშებდა ჯინსის შარვიდან სახელდახელოდ გამოძრობილი ქამრით ანთილელულ უკანალსა თუ სექსშოპში ნაყიდი პატარა, კუდიანი მათრახებით ნაკვეთ სასქესო ბაგეებს, ამჯერად საბოლოოდ გატყდა. ლევს მათ საიდუმლო სასიყვარულო კავშირში მესამე პირის შემოყვანა სურდა, ქალის თუ კაცის, ნატას აღარ ურკვევია. იმ დღესვე საბოლოოდ და უკანმოუხედავად განცვიტა ბიჭთან ყოველგვარი კავშირი და ახალი ნაცნობობისადმი, თუ საერთოდ ადამიანებისადმი შიშიც დასჩემდა.

ლევთან დაშორების შემდეგ ნატა ფოტოგრაფირების ახალი ხერხების ძიებას შეუდგა. აარჩევდა რამდენიმე კადრს და სხვადასხვაგვარ ფილტრს ადებდა, შუქს, განათებას, ფერებს უცვლიდა. ნომრავდა და სრულიად სხვადასხვა სივრცესა და სიტუაციაში გადაღებულ კადრებს ერთმანეთს ადებდა და უხამებდა. სიტყვებით აბამდა ერთმანეთზე. უსაგნო და ფუტურისტული ციტადელეებისგან აბსურდულ ან სრულიად რეალისტურ ისტორიებს ჰყვებოდა. მაგალითად, პარიზის კაფეში ჩამომჯდარი ახალგაზრდა გოგოს შავ-თეთრ, სავარაუდოდ, ანრი კარტიე-ბრესონის გავლენით შექმნილ ფოტოპორტრეტს, ფონად კაფეს ინტერიერი კი არა, პერლაშეზის სასაფლაოს თეთრი ქვა და მის ირგვლივ ამოსული მწვანე ხასხასა ბალახი ედო, რაც არაორაზროვნად მიუთითებდა ახალგაზრდა, ლამაზი ქალის შესაძლოა შორ, მაგრამ გარდაუვალ მომავალზე, ან სექსშოპის მანეკენების ოდნავ გაბუნდოვანებული გამოსახულებები შანხელიზეზე ჩახვეული შეყვარებული წყვილის სხეულებზე და ამგვარად კოლაჟირებული ადამიანების და თოჯინების ორგია, რაც ნატას აზრით სხვა არაფერი იყო, თუ არა სექსის, როგორც ხორცის დაამებისა და სიყვარულის მარადიული იდეის შეუთავსებლობის აქტი. ან სულ ბოლო, ექსპრესიული ფოტოკოლაჟი: ფეხბურთის

მოთამაშე პატარა შავტუხა ბიჭები ფრინველების ფერმაში გადაღებული, სპეციალურ კონვერზე დაკლული ნითელიბილოანი მამლების ფონზე, რომლის ინსპირირება ალბათ ფეხბურთის თამაშისთვის ISIS-ის მიერ დახოცილი ბიჭების ამბავმა მოახდინა.

მცირეოდენი ანალიზის შემდეგ ნატამ დაასკვნა, რომ ეს მხოლოდ გართობა ან თერაპია აღარ იყო და რაღაც უფრო სერიოზულთან ჰქონდა საქმე. თითქმის ყველა მათგანში ირიბად თუ პირდაპირ დომინირება სიკვდილი. „ფოტოგრაფიის გრანელი ვარ,“ – გაიფიქრა ირონიულად და უცნაური, ლამის ფსიქიური აშლილობის ზღვარზე შექმნილი სერია გრანელის სახელით რამდენიმე ფრანგულ ფოტოურუნალს გადაუგზავნა.

იანვრის იმ ჩუმ, ნისლიან საღამოს კი ფოტოებს სხვადასხვაგვარ ფილტრს რომ ადებდა, დაინახა, როგორ დაიწყო თოვა. ვინრო პარიზული მანსარდის ფანჯრიდან უცქერდა ჰაერში მოტრიალე ფანტელებს, უამრავ პატარა ფიფქს, თეთრი თვითმფრინავებით მიწაზე დასაჯდომ ადგილს რომ ეძებდნენ და ბავშვობიდან შემორჩენილი სიხარულის ნაცვლად უმწეობის და მიუსაფრობის გრძნობა იპყრობდა. რაღაც საბოლოოდ იცვლებოდა მასში. რაღაც მნიშვნელოვანი სრულდებოდა. იქნებ ეს სიყვარულის და სასწაულების რწმენა იყო, იქნებ რაღაც უფრო დიდისაც. ტელეფონზე რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებული მშობლიური სახლის ნომერი აკრიფა. დედის ხმა ალბათ ერთადერთი იყო, რაც ახლა, ამ ცივი და თანაგრძნობის ვერსემძლე საგნებით გარშემორტყმულს, აპოკალიფსური მარტოობის განცდისგან იხსნიდა.

„დღეს თავგი დავიჭირე“, – ეს ნატას ახალი ამბავი იყო. ახალი და უჩვეულო, რადგან პარიზულ ბინებში მღრღნელების არსებობა ალბათ გასაკვირიცაა. „თავგი?“ – შემფოთებული ხმით იკითხა დედამ, რომელიც ახლა სავარაუდოდ სამზარეულოში იჯდა, ქვაბებისა და ტაფების გარემოცვაში. ნატამ თითქოს ფოტოზე დაინახა დედის მუქი ფერის კაბა, ჩაით სავსე ჭიქა, ახლადგამომცხვარი საშობაო ღვეზელის თბილი ცომიდან ამობურცული კვერცხის ზურგი. „ჰო, საშინელი სანახავი იყო. სჯობდა, კატა ამეყვანა,“ – თქვა ჩაფიქრებით, მაგრამ იმის წარმოდგენამ, თუ როგორ დაძიძგინდა თავის ჯერ ისე ცოცხალ სხეულს მისი საყვარელი ფისო, კიდევ უფრო უსიამო გრძნობა მოჰგვარა. ბუნების ლოგიკური კანონები ისევე უშფოთებდა გონებას, როგორც ადამიანების სრულიად ალოგიკური სისასტიკე.



ფანჯრებს იქით აუჩქარებლად წვებოდა ბინდი. ცაზე ისევე დაკარგულიყო ვარსკვლავები, როგორც კომუნიკაციის სუსტი და შორეული ნერტილები სამყაროს ორ სხვადასხვა კუთხეში ჩამომჯდარ მარტოხელა დედასა და არანაკლებ მარტოსულ შვილს შორის. დედის სიტყვები „თავს გაუფრთხილდი“, ნატას სათქმელიც იყო დედისთვის. ვინ იცის, ვის მეტი საფრთხე ემუქრება – ახალგაზრდობას თუ სიბერეს, სად მეტი სათაგურია დაგებული – ყრუ კედლებს შორის თუ უკიდევანოდ გაშლილ ველებზე.

მეორე დილით, როდესაც ნატამ გაიღვიძა, ქალაქი უკვე თოვლით იყო დაფარული. სუფთად, ფაფუკად დათოვლილი ქუჩები და სახლის სახურავები, საახალწლო ბარათებზე დახატულ ზღაპრულ ფრაგმენტებად რომ აღიქმებოდა, ნატა ახალი ფოტოების გადაღების სურვილით ანთო. თოვლის ფაქტურა ის იყო, რაც იდუმალების, სევდისა და სინათლის ელფერს აძლევდა მკვდარ ციფრულ გამოსახულებებსაც კი. ჯინსი და სქელ-ლანჩინი ფეხსაცმელი ჩაიცვა, შედარებით თხელი და მსუბუქი ქურთუკი. კისერზე კაშნი, მხარზე – ჩანთა და ჩანთაში ფოტოაპარატი. სწრაფად ისაუბრა სახლთან ახლოს კაფეში. ვიდრე თბილ კრუასანს ლეჭავდა, გონებაში გეგმას აწყობდა სად, რა და როგორ უნდა გადაეღო. ის დრო წავიდა, როდესაც აპარატს ანგარიშშიუცემლად და სპონტანურად აჩხაკუნებდა და უამრავ კადრში ერთ ილბიანს არჩევდა. შემთხვევითი შემოქმედება არ არსებობს. მან შეიძლება მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ გაამართლოს. ყველაფერს შრომა უნდა, გააზრება და დაგეგმვა. ამას უკვე გზაში ფიქრობდა. ჯერ ტრამვაის ფანჯრიდან გადაიღო რამდენიმე კადრი, მერე უკვე ფეხით მიმავალმა – ღია კაფეების დათოვლილი სკამები, ლუქსემბურგის ბაღში მოთამაშე ბავშვები, პანთეონის გუმბათის კონტურები მრუმე ნაცრისფერ ცაზე, რომელიც სამხატვრო გალერეის კედელს მიყდრნობილი ღამენათევი სექსამუშაკი...

შუადღის ორ საათამდე გატაცებით იმუშავა. თავს ამ ქალაქის ნაწილად გრძნობდა. ისეთივე ორგანულ ნაწილად, როგორც შიშველი ხეები ორიოლის ბულვარზე, თუ ზარების რეკვის ხმა ნოტრდამის ტაძრიდან. დაღლილი კაფეში ჩამოჯდა, კერძი შეუკვთა და ცხელი ყავა მოსვა. თმანენილი და ლოყებავარდისფერებული იყო, ანთებული, საინტერესო და ამ ყველაფრის გამო ალბათ ძალიან ლამაზიც. ბედნიერების ნამცეცები თოვლის ფიფქებით ეფინებოდა სულის თხელ, ახალი ყინულივით იოლად მსხვრევად ფსკერზე და ეს ცოტადენი სისავსეც უკვე გამარჯვება იყო. გუშინდელ, გუშინდელ დღეზე, გამოვლილ სევდასა და ტკივილზე გამარჯვება.

სადილის შემდეგ, ფოტოაპარატის არქივში კადრების დათვალიერებას შეუდგა. ამიტომ ვერ მიხვდა, როდის და რატომ ატყდა კაფეში ჩოჩქოლი. თავი რომ ასწია, ბარის თავზე დაკიდებულ ტელევიზორში მაზარინის ბიბლიოთეკის ულამაზესი და უძველესი დარბაზი დაინახა და იატაკზე დაფენილი ათობით სისხლიანი გვამი... კადრები თრილერის ან საშინელებათა ფილმის სცენას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალურად მომხდარ ამბავს. კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს. წამყვანის ხმა აცხადებდა, რომ დახოცილთა რიცხვი ორმოცდაათს აჭარბებდა, რომ ტერაქტზე პასუხისმგებლობა უკვე აიღო ალ-ქაიდამ. უცნაურად,

თითქოს ერთ ვერტიკალურ ხაზზე ჩანყობილი სისხლიანი გვამების შორეული კადრი ერთადერთი იყო, რაც იმ დღეს საინფორმაციო გამოშვებებმა აჩვენა და რაც მსოფლიოს გაზეთებისა და ჟურნალების პირველ გვერდებზე მოხვდა. ტერორისტული აქტი ბიბლიოთეკაში, სადაც ცნობილი მწერალი მკითხველს ხვდებოდა, მაშინ მოხდა, როდესაც შეხვედრა დასრულდა და მკითხველები მწერლის ახალ წიგნზე ავტოგრაფის მსურველთა გრძელ რიგში ჩადგნენ. რამდენიმე, სავარაუდოდ ხუთმა, ტერორისტმა ცეცხლი ერთდროულად გახსნა და სისხლიანი სასაკლავოს მონყობის მერე მიძალაც მოახერხა. ბიბლიოთეკის იატაკზე გვამებიც იმიტომ დაეფინა ასე. მწერალი მსუბუქად, მხოლოდ მხარში იყო დაჭრილი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ტერორისტებს იმდენად მწერალზე შურისძიება არ სურდათ, რამდენადაც მისი წიგნით აღფრთოვანებულ მკითხველებზე.

ნატამ დაახლოებით იცოდა წიგნის შინაარსი. პოლიტიკური, ანტიუტოპიური რომანის სკანდალურობაზე ბევრს საუბრობდნენ. Le Monde-ში რომანიდან რამდენიმე ამონარიდიც დაიბეჭდა, თუმცა მათ მიხედვით რაიმე დასკვნის გაკეთება ძნელი იყო. ძრწოლამ შეიპყრო. ეკრანზე ნანახის აბსურდულობა და ალოგიკურობა ვერც ტერორიზმის ფანატიკური იდეოლოგიურ საფუძველს მიუსადაგა, ვერც დასავლური სისტემის და მისი სიმბოლოების წინააღმდეგ აქამდე გამოცხადებულ ომს. სამიზნედ ახლა ფეხბურთის მოთამაშე ბავშვები და წიგნის მკითხველები ქცეულიყვნენ. რიგითი ადამიანები და მათი ჩვეული, ყოველდღიური ყოფა...

პოლიციითა და სპეცსამსახურის თანამშრომლებით სავსე ქუჩაში გასული ნატა სწორედ ამ ადამიანებს უყურებდა. ეჩვენებოდა, რომ ახლა განურჩევლად ყველას სათაგურში მომწყვედილი თავის თვალები ჰქონდა. მისდაუნებურად ფოტოაპარატი მოიმარჯვა და გადაღება განაგრძო. სალამოს უკვე ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სერია ჰქონდა – პარიზი ტერაქტამდე და ტერაქტის შემდეგ. კომპიუტერთან ჩამომჯდარი, კურსორით ერთმანეთის მიყოლებით რომ ცვლიდა სურათებს, ფიქრობდა: სამყაროს ადამიანების აღქმა ცვლის. მათ არჩევანამდე თუ გადაწყვეტილებებამდე სწორედ ამ სამყაროს აღქმა და ხედვა.

სიგარეტის მოსანევად აივანზე გავიდა. აივნის ცივ მოაჯირს დაეყრდნო, ალაგ-ალაგ თოვლიც რომ მიყინვოდა. მტრედები არსად



ჩანდნენ. ალბათ უკვე ეძინათ. ესამოვნა სიჩუმე და სუფთა ჰაერი, რომელსაც ნიკოტინთან ერთად უშვებდა ფილტვებში. ისევ ჩვეულმა, ძილ- ბურანში გადასულმა სიმშვიდე მოიცვა. თითქოს არაფერი მომხდარიყო, თითქოს საზარელი ტერაქტი და ბიბლიოთეკაში ჩახოცილი ათობით მკითხველი სკანდალისტი მწერლის ახალი წიგნის გასაპიარებლად დადგმული სცენა იყო და მეტი არაფერი.

ოთახში დაბრუნებულს ტელეფონზე შემოსული ზარი დახვდა. ნომერი არ ეცნო, ტელეფონმა რამდენიმე წუთში ისევ დარეკა და ყურმილის მეორე ბოლოდან უცნობი კაცის ხმამ მადმუაზელ გრანელი იკითხა. „გემულებათო“, ვიდრე უპასუხებდა, გაახსენდა, რომ ერთი კვირის წინ გრანელის სახელით რამდენიმე ჟურნალში ფოტოები გადააგზავნა. როგორც ჩანს, სწორედ ერთ-ერთი ჟურნალიდან უკავშირდებოდნენ. იფიქრა, სერია მოეწონათ და დაბეჭდვა გადაწყვიტესო, მაგრამ ცდებოდა. ვინმე ჟუდი თუ ჟადი ურეკავდა. სახელი კარგად ვერ გაიგო. საუბარი რომ დაასრულა, კარგა ხანს გაოცებული უყურებდა მონიტორს შერჩენილ ფოტოს. ვერ დაეჯერებინა, რომ რედაქციის ნაცვლად პოლიციის განყოფილებიდან დაურეკეს. მეორე დილით, ათ საათზე, დომრემის ქუჩაზე უშიშროების სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო. საქმე პირადად მას ეხებოდა და „გრიფით საიდუმლო“ ედო, რაც იმას ნიშნავდა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის გახლდათ.

* * *

პოლიციის გამომძიებელმა, მელოდრამატული გარეგნობისა და განკეპილი უღვაშის გამო ფილიპ ნუარეს რომ მიახსენებდა, მუყაოს ჭიქაში ყავა ჩამოსახა და ნატასაც შესთავაზა. მაგიდაზე ნატას მიერ გადაღებული და გრანელის გვარით გაგზავნილი ფოტოები ენყო. გამომძიებელმა უკვე გაარკვია, რომ გრანელი ნატას გვარი არ იყო და ის მისი თანამემამულე, რომელიღაც უცნაური პოეტის ფსევდონიმის გამო აიღო. ვრცლად გამოიკითხა ფოტოგრაფირების გარდა რას საქმიანობდა პარიზში და ბოლოს საქმეზეც გადავიდა. მაგიდაზე დაწყობილ ფოტოებს შორის ერთ-ერთს დაწვდა და წინ დაუდო.

- ეს რა არის?

ნატამ ფოტოს დახედა. სადღაც ერთი თვის წინ ბაღში მკვდარ შავ ჩიტს გადაუღო. ჩიტი უცნაურად იწვა. ფრთაგაშლილი. თითქოს ცაში ფრენისას ჩამოვარდა. თითქოს სიკვდილი ფრენისას ეწვია და მინაზე ისე უსულოდ დაემუვა, ფრთების დაკეცვაც ვერ მოახერხა... ნატამ მტრედის გამოსახულება დააპატარავა, გაამრავლა და ერთ ვერტიკალურ ხაზზე მკვდრად მფრინავი ჩიტების მთელი გუნდი ააწყო. გუნდი პარიზის რომელიღაც ქუჩის კადრს დაადო. ქვემოთ - ქუჩაში მიმავალი ადამიანები, ზემოთ - სამოთხეში გადამფრენი ჩიტები.

- ფოტოკოლაჟია. ჩიტების გადაფრენა. უფრო სწორად, ერთი ჩიტის გამოსახულება გაავამრავლე და...

- ეგ გასაგებია, სხვა რამეს გეკითხებით.
- რას?

გამომძიებელმა კომპიუტერი ჩართო და კედელზე დაკიდებულ ეკრანზე ნატას ფოტოს გადიდებული ვერსია გამოჩნდა. მერე კურსორს ხელი დააჭირა და ქუჩის ის კუთხე გაადიდა, სადაც ზებრაზე გადამსვლელი ადამიანები ჩანდნენ.

- ამათგან ვინმეს თუ იცნობთ?
- არა, რა თქმა უნდა. კადრში შემთხვევითი მოხვედრილი გამვლელები არიან.

ფოტო კიდევ უფრო გაადიდა და ფოკუსში ახლა მხოლოდ ერთი ადამიანი ჩანდა. ახალგაზრდა კაცი რუხი ფერის ლაბადის ჯიბეებში ხელჩანყობილი კვეთდა ქუჩას.

- არც ამას?
- პირველად ვხედავ. ვინ არის?
- ტერაქტში ეჭვმიტანილია, რომელიც ფოტოზე, როგორც თქვენ ამბობთ, შემთხვევითი მოხვდა.

- ეჭვმიტანილი? - შოკში იყო.
- დიახ. ეს ფოტო სად გადაიღეთ?
ნატამ გონება დაძაბა.

- ვერ გეტყვით. ძალიან ბევრს დავდივარ და ქუჩებს არ ვაკვირდები. ქუჩის სახელებს ვერც ვიმახსოვრებ.

- რამე მაინც არ გახსენდებათ, რაც იმ ქუჩაზე იყო? კაფე, კინოთეატრი...
- არა...

- აუცილებლად უნდა გაიხსენოთ. მოგიწევთ, - მძიმედ ამოისუნთქა გამომძიებელმა, - როდის გადაიღეთ, ის თუ გახსოვთ?

- ალბათ ერთი თვის წინ.
- რედაქციებში კი ტერაქტამდე ერთი კვირით ადრე დააგზავნეთ.

- გასულ სამშაბათს რადენიმე ფოტოჟურნალს გაუუგზავნე სხვა ფოტოკოლაჟებთან ერთად.

- ძალიან უცნაურია...
- რა?

- ეს ყველაფერი. და განსაკუთრებით ის, რომ... - ახლა ცის ნაწილი გააღიდა, - აი, ეს მკვდარი ჩიტები ზუსტად ისე არიან განლაგებული, როგორც ტერაქტის დროს დახოცილი ადამიანები.

- ზუსტად ისე? - ნატა გაოცებას ვერ ფარავდა, - რას ნიშნავს ზუსტად ისე?

- ერთ ხაზზე. მოკლედ, ფოტოზე ქვემოთ - ტერორისტი, ზემოთ - ტერაქტის მსხვერპლნი.

ნატა ხან გამომძიებელს შეხედავდა, ხან ფოტოს. ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს.

- კი მაგრამ... ეს ხომ კოლაჟია. რალაც სულელური ფოტოკოლაჟი. რა შუაშია ტერაქტი? ადამიანები. ჩიტები. ეს... ეს უბრალო შემთხვევითობაა, მხოლოდ დამთხვევები, - ვერაფრით იჯერებდა, რომ ახლა თავადაც ეჭვმიტანილი იყო და სადღაც ჩაჩხაკუნებული კადრის გამო დიდ, ძალიან დიდ გაუგებრობაში გახვეული.

- მეტისმეტად ბევრი დამთხვევაა, ვალდებულები ვართ გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ, მართლაც შემთხვევითობის მთელ წყებასთან გვაქვს საქმე, რაც ძალიან უცნაურია, თუ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებულ კონკრეტულ გზავნილებთან. დაკითხვაზე უნდა გამომყვეთ.

ნატამ ერთბაშად იგრძნო სიტუაციის მთელი აბსურდულობა, ისე, როგორც მოულოდნელად თავსდამტყდარი უბედურება. რა უნდა ეთქვა? ის, რომ აბსურდის კანონზომიერებანი რეალურ ცხოვრებაში უფრო მოქმედებს და რომ ახლა თავადაც კაფკას „პროცესში“ მოხვდა? ის, რომ შემოქმედება ხშირად მართლაც არის წინასწარმეტყველება? ვის აინტერესებდა ეს ლირიკა. ცხადია, მისგან კონკრეტული ფაქტები უნდოდათ. ამბები, რასთანაც ნატას კავშირი არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა.

- არ მესმის, რა დაკითხვაზე უნდა წამოგვყვეთ. ამ კაცს არ ვიცნობ. შემთხვევით გადავუღე, ისევე, როგორც სხვა მრავალს... ამ საქმეზე არაფერი ვიცი. ან საიდან? რატომ?!

- სწორედ ეგ უნდა გავარკვიოთ, - უხალისოდ ჩაიბურტყუნა ნუარეს შემთხვევითმა პროტოტიპმა.

- ადვოკატის გარეშე არ გამოგვყვებით, - თქვა და ახლა საკუთარმა სიტყვებმა შეაშინა. ადვოკატი ნიშნავდა დაცვას. და ეს უკვე იყო კავშირი.

* * *

მაზარინის ბიბლიოთეკაში ორ გამომძიებელთან და ადვოკატთან ერთად შევიდა. პოლიციის ყვითელი ლენტებით შემოსაზღვრული და ზამთრის მკრთალი მზით განათებული ეზო გადაჭრეს, შესასვლელი კიბეები აიარეს და ულამაზეს პოლში რამენიმე წამით შეჩერდნენ.

- იმედია, მყარი ფსიქიკა გაქვთ, - მხოლოდ ეს თქვა გამომძიებელმა, რომელსაც ხელში ნატას ფოტო ეჭირა.

ნატამ თავი დააქნია. საკუთარი ფსიქიკის მდგრადობაში დარწმუნებული არ იყო, მაგრამ ახლა თავის კანტურის გარდა რა გზა ჰქონდა.



სამკითხველო დარბაზი მკვეთრი სინათლის გამო გაფუჭებული ფოტოკადრით იყო გადანათებული. თაღვანი, ჭალებით განწყობილი და ნიგნების თაროებით სავეს მქრალი და უგრძესი დერეფნის შემდეგ თეთრი, წმინდანებითა და მნიგნობრებით მოხატული დარბაზის სინათლემ ტყვეობიდან თავდაღწეული და დღის შუქში უეცრად გასული პატიმარივით მოსჭრა თვალი. პირველად სწორედ ჭერისა და კედლების მხატვრობას შეხედა, როგორც თავდაცვას. როგორც შეელას. იქამდე, ვიდრე ძირს დაიხედავდა და სისხლიანი გვამებით მოფენილ იატაკს დაინახავდა. გვამები ერთ ვერტიკალურ ხაზზე ეყარა. ცხადი იყო, ერთდროულად რამდენიმე ტერორისტი ისროდა. ისე, რომ მწერლის ავტოგრაფისთვის რიგში ჩამდგარ მკითხველს გონს მოსვლა და გაქცევა ვერ მოესწრო და იქვე დაეღია სული.

ნატამ ხელი თვალებზე აიფარა. ფეხები სისხლის გუბეში ედგა. სისხლი იყო ყველგან და ის უცნაური სიკვდილის სუნი, რომელიც უკვე ასე გამჯდარიყო ბიბლიოთის დარბაზებში, ყველა ნიგნსა თუ მანუსკრიპტში. ყველა დაწერილ თუ მომავალში დასაწერ სიტყვაში. სუნი, როგორც გაფრთხილება. სუნი, როგორც დასასრული. სუნი, როგორც დასავლური ცივილიზაციის და კულტურის სასიკვდილოდ მხუთავი აირი. ნატას წარმოდგენები და შიში გაცილებით შემზარავი იყო, ვიდრე დარბაზში შემოსვლისთანავე შემოგებებული გვამების „აღლუმი“. ეს არ იყო კიდევ ერთი ტერაქტი, თუნდაც ყველაზე უღმობელი და სასტიკი... ეს უკვე შეუქცევადი პროცესი იყო. ხელოვნების, რელიგიის და საერთოდ, ადამიანური არსებობის აპოკალიფსი.

რამდენიმე წამი იდგა ასე. მერე ძალა მოიკრიბა და თვალები გაახილა. რაც არ უნდა ყოფილიყო, რეალობა ახლა ეს იყო და მისთვის თვალის გასწორების გარდა სხვა არაფერი



დარჩენოდა. თავს სძლია თუ არა, ფოტოხელოვანის ამბიციაც ეწვია. თავისი კამერით ნანახის უჩუმრად გადაღება ინატრა, სამყაროს დასასრულის დასაწყისის აღნუსხვა. იმ სისხლის სუნსა და სასტიკ შეშლილობაში კიდევ კარგ ჭკუაზე იყო.

– აი, შეხედეთ. ეს კადრი რომ ზემოდან გადავიღოთ, ზუსტად გაიმეორებს იმას, რაც თქვენს ფოტოზეა, – ნატას ფიქრებს გამოეხმაურა გამომძიებელი

– ვერტიკალური ხაზია ფოტოზეც და აქაც. და რატომ არ შეიძლება ვერტიკალურ ხაზზე დამენყო ჩიტები? რატომაა ეს უცნაური? – თავადაც გაუკვირდა, რომ საუბარს და აზრების დალაგებას ახერხებდა.

– ვერტიკალურ ხაზზე მწყობრად დანყობილი არ არის. რამდენიმე გადაცდომაა და თქვენი მკვდარი ჩიტებიც გეომეტრიული სიზუსტით იმეორებენ ამ ტრაექტორიას. ცენტრიდან ბოლომდე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფოტო ერთგვარი გეგმაა. ან შესაძლოა ვილაციისთვის გაგზავნილი შეტყობინება, მინიშნება. ყველაფერი ზუსტად იყო განსაზღვრული. ნამებსა და სანტიმეტრებში გათვლილი. ისიც, რომ სროლა უნდა ამტყდარიყო მაშინ, როდესაც მკითხველები ერთმანეთის მიყოლებით ჩადგებოდნენ რიგში. ასე ხომ არცერთს არ აცდება ტყვია. უკლებლივ ყველა მკვდარია.

ნატა გამომძიებელს მორჩილად მიყვებოდა გვერდით. ისინი ისე მიდიოდნენ საშინელი სასაკლავოს გასწვრივ, როგორც მეთევზეები მდინარის სანაპიროზე. სისხლის გუბები, სიკვდილის სხმარტალა თევზები... ჭერის ლურჯად მოხატული ზეცა და წმინდანები, ერთმანეთზე დომინოს ქვებივით დანყობილი, დაცხრილული სხეულები. ნატა ისევ კარგავდა რეალობის შერძნებას. ნელ-ნელა უმტიციცდებოდა აზრი, რომ ეს იყო სცენა, რომელიც სპეციალურად მოაწყვეს. იქირავეს მსახიობები, იყიდეს ბლომად წითელი საღებავი. რალაც მიზნისთვის. ცხადია, რალაც ძალიან მნიშვნელოვანი მიზნისთვის... ამ აზრსა ჩაბლაუჭებული ინარჩუნებდა წონასწორობას. იქამდე, ვიდრე პატარა ბავშვები არ დაინახა. ოთხი-ხუთი წლის ბიჭი და გოგო. ალბათ დედას ახლდნენ. ბიჭი პირქვე ეგდო ხელეფაშლილი, მისი შავი ფრთაგაშლილი ჩიტებით. გოგო პირაღმა იწვა და სისხლისგან მოსვრილი ქერა თმა ტყვისგან გაგლეჯილ პატარა გულზე ეფინა. „რა პატარები არიან. ამდენ ხანს ასე გაუნძრევლად როგორ ძლებენ,“ – გაიფიქრა და შეტოვრტმანდა. ვიდრე ხელს შეაშველებდნენ, იქამდე დაკარგა გონება.

* * *

გონს სასწრაფო დახმარების მანქანაში მოვიდა. თავთან ექიმი უჯდა და წნევას უზომავდა. ნატას სისხლით დასვრილი ქურთუკის მკლავი აენია და ვენაზე ცივი ფონენდოსკოპი დაედო. „უკეთ ხართ?“ – ჰკითხა და გაუღიმა. ნატამ ხმისამოულებლად დაუქნია თავი. ისევ ის სუნი სცემდა და გულს აზიდებდა. წამოჯდომა და ქურთუკის გახდა სცადა. მაშინ დაინახა, რომ ხელისგულიც სისხლით ჰქონდა დასვრილი. ექიმმა სპირტში დასველებული დოლბანდი მიანოდა. კარგი ქალი იყო...

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ყალბი ნუარეს ოთახში იჯდა და ხელისგულს დაჟინებით იწმენდა ექიმის მიერ მიცემული სპირტიანი დოლბანდით. წინ ისევ ყავით სავსე მუყაოს ჭიქა

ედგა. უკვე დარწმუნებული იყო, რომ ასე უკვე გრძელდებოდა უსასრულოდ. მაზარინის ბიბლიოთეკის დარბაზებში გასეირნება, ბრალდებები რალაც მინიშნებებსა და შეტყობინებებზე მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ გამოძიება ჩიხში იყო და პრესას თვალს უხვევდნენ. რეალური დამნაშავეების აღმოჩენამდე ილუზიას ქმნიდნენ, რომ რალაც ძაფს მიაგნეს. ცხადია, ნატაც ამ სპექტაკლის მონაწილე იყო. დიდი თამაშისთვის ამ ეტაპზე საჭირო პერსონაჟი, სპეცსამსახურების სათაურში შემთხვევით გაბმული დაბალი ხარისხის ცხოველი, მესამე სამყაროს ემიგრანტი, რომელსაც პარიზში ცხოვრების და მუშაობის დროებითი უფლება ჰქონდა და მისი უფლებების დარღვევისთვის არავინ მოსთხოვდათ პასუხს.

– ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენთან თანამშრომლობა არ გასურთ, – ისევ ნატას ფიქრების პასუხად, თავისგადაქნევით თქვა გამომძიებელმა.

ნატას ხმა აღარ ამოუღია. სიტყვებს კარგა ხანია დაეკარგა აზრი. გამოძიების მიერვე დანიშნულ ადვოკატს გადახედა. შველას სთხოვდა. ელოდა, რომ ვინმე მის ნაცვლად ალაპარაკებოდა და ამ ვინმეს მაინც დაუჯერებდნენ.

– ფოტოების გადაღება რატომ გადაწყვიტეთ? სადმე დაბეჭდილხართ? გამოფენები გქონიათ? – უცბად სულ სხვა თემაზე გადავიდა გამომძიებელი.

– არა. ეს მხოლოდ ჰობია.
– საფრანგეთში ჩამოსვლამდეც იღებდით?
– არა. აქ დავიწყე. ვიდრე სამსახურს მოვძებნიდი და ბევრი თავისუფალი დრო მქონდა, მაშინ.

– იქნებ თქვენი სხვა ფოტოებიც გვაჩვენოთ.
– ჩემი გვერდი მაქვს სოციალურ ქსელში. ინსტაგრამზე, აი აქაც... და ნახეთ, – ფურცელზე მისამართები ჩამოწერა და გამომძიებელს მიანოდა.

– სახლის მისამართიც დამინერეთ. უნდა გავჩხრიკოთ. ორდერს ახლავე წარმოგიდგინო. მარტო ცხოვრობთ?

– დიახ.
– ტერაქტის დღეს სად იყავით?
– ქუჩაში. თოვლიან ქუჩებს ვიღებდი. კონკრეტულად იმ დროს არ ვიცი. ალბათ უკვე კაფეში.

– ვინმე გახლდათ, ნატალი?
– არა. მარტო ვიყავი.
რა თქმა უნდა, იმას არკვევდნენ, ჰქონდა თუ არა ალიბი. ნატა გრძნობდა, როგორ

ექცეოდა ჩიხში. კიდევ უფრო როგორ მძიმდებოდა, მუქდებოდა და ბნელდებოდა სურათი.

- პარიზში მეგობრები არ გყავთ?

- მეგობრები? - ლევი გაახსენდა, - მეგობრები არა. უფრო თანამშრომლები, ნაცნობები.

გამომძიებელი მის წინ დაიხარა და თვალეში ჩახედა.

- და იმ კაცს ნამდვილად არ იცნობთ? მითხარით, ნატალი!

ნატას თითქოს მათრახის ტკაცუნის ხმა მოესმა და ზურგიც აენვა. „ნატალი“, - სწორედ ასე ეძახდა ლევი სექსის დროს, კულმინაციურ მომენტებში. აგრესიის შემოტევებისას. სახელი, რომელიც სრულებით არ იყო მისი. „ლი“-ზე მკვეთრი მახვილით. და ამ ერთ მარცვალში იყო მთელი სურათიც - მუხებზე მდგარი მორჩილი ნატა, ლევის ძლიერ ხელზე დახვეული მისი გრძელი თმა და მათრახის მწარე, მტკივნეული დარტმები ზურგსა და უკანალზე. „მითხარი რომ გსიამოვნებს! მითხარი, ნატალი!“ ახალი დარტყმის მოლოდინში შეკუმშული გული, ბოძვაში გადასული სიტყვები. ტკივილით, შიშითა და სიამოვნებით დაბინდული გონება. სხეული, რომელიც აღარ ეკუთვნოდა. სული, რომელიც თითქოს ტოვებდა და მისგან გარიყულ ნატას ახლა უკვე ზემოდან, ცალკეულ კადრებად იმახსოვრებდა.

ეს მისი არჩევანი იყო. თითოეულ დარტყმასა და ბიძგზე ნატალი აღიარებდა საკუთარ სისუსტეს. ცრემლნარევი კვნესითა და გავის აწევით უდასტურებდა მორჩილებას კაფკას ქალაქიდან მოვლენილ კიდევ ერთ აბსურდულ პერსონაჟს მის ცხოვრებაში. ბრძანების, უინისა და ბატონობის, სიყვარულის სახელით შენიღბული პროცესი.

სულე ლი ნატა ლი!

სწორედ იმ მორჩილების გამო იყო, რომ დღეს ეს დაიმსახურა. სამყაროში ყველაფერი უხილავ კავშირშია. ამგვარად გამოდის, არც ტერორისტი გადაუღია შემთხვევით. ეგ კი არა, არც ის ჩიტი მომკვდარა შემთხვევით. როდესაც ეს კოლაჟი აანყო, ნატა მაშინაც სისტემის იერარქიას დაემორჩილა, მის მწყობრ კანონებს. და თუ თავის დროზე წინააღმდეგობის განმცხადებდა და ბრძოლაზე უარს ამბობდა, ახლა სხვა რაღა დარჩენოდა გარდა იმისა, რომ გამომძიებელს დასთანხმებოდა, ელიარებინა, რომ ეჭვიმტანილს იცნობდა, გამოეგონებინა ათასგვარი სისულელე, რაც უფრო დაემსგავსებოდა სიმართლეს და უფრო ლოგიკური იქნებოდა, ვიდრე თავად სიმართლე. თუკი ნებისმიერი დამრეცი ზედაპირიდან წყალი ქვემოთ მიედინება და საყოველთაო ბარბაროსობის პირობებში სისასტიკეც ვირუსივით გადამდებია, თუკი ჩვენი ქმედებები წინასწარ განსაზღვრულია და როლებიც კარგა ხნის წინ გადანანილებული, არსებობს კი სხვა გზა?

* * *

ერთი კვირის შემდეგ გაანთავისუფლეს. წინასწარი დაკავების საკანში გატარებული უძილო ღამეებით, იმ საბედისწერო ქუჩის ძებნაში ბადრაგთან ერთად უსასრულო ხეტიალითა და აბსურდული დაკითხვებით გატანჯული და საბოლოოდ გატეხილი. ტანსაცმელი რომ დაუბრუნეს, ქურთუკსა და ჯინსზე შერჩენილი სისხლის ლაქები წარმოიდგინა და თავბრუ დაეხვა, მაგრამ გაეცხვებოდა და ალბათ გამოეხარებოდა კიდევ.

ვიდრე პოლიციის მანქანაში ჩაჯდებოდა, რომლითაც სახ-

ლამდე მიიყვანეს, პოლიციის ოფიცერმა რაღაც ფურცელი გადასცა და იქვე მოუხადა ბოდიშიც. საუბრისას თვალს არიდებდა. მხოლოდ ის უთხრა, რომ ეჭვიმტანილები აიყვანეს, რომელთაც მასთან ყოველგვარი კავშირი უარყვეს. ნუარეს პროტოტიპი არსად ჩანდა.

- უცნაურია, როდესაც მკვლელები განთავისუფლებენ, მაშინ როდესაც დამცველები გაპატიმრებენ, - მხოლოდ ეს უთხრა და მანქანაში ჩაჯდა.

პოლიციის განყოფილებიდან მის სახლამდე კარგა ხნის გზა იყო. ათი დღის წინ მოსული თოვლი სახლის სახურავებსა და ხეებს ისე ადგილ-ადგილ შერჩენოდა, როგორც სისხლი მის თმასა და ხელისგულს. თოვლი, რომელიც სისხლისგან განსხვავებით დნება და კვალს არ ტოვებს. ნატას შემთხვევაც ამ თოვლივით იყო. იყო და თითქოს არც ყოფილა. მხოლოდ დაკითხვების ოქმებში თუ დარჩა, რომელსაც გამომძიების არქივებში წლობით და უჩუმრად დაედება მტვერი.

ნატა მანქანის ფანჯრიდან უყურებდა პარიზის ქუჩებს, შენობებს, ხეებს. რამდენიმეჯერ ტერორისტების ფოტოები გამოეკრათ. მათ შორის მის მიერ გადაღებული კადრიც დალანდა. მწარედ გაეცინა. ასე მაინც დააჩნდა მისი „შემოქმედება“ ქალაქს... გრძნობდა, წარსულის აღფრთოვანება და სიყვარული როგორ უთმობდა ადგილს გულის შემკუმშვავ სიბრალულსა და იმედგაცრუებას. აქაურობის ნაწილი არასდროს ყოფილა, მაგრამ ახლა უკვე მისი სიყვარულის უფლებაც ჩამოართვეს. თუნდაც ცალმხრივი და გაუზიარებელი სიყვარულის. „ნუ შეგეშინდებათ ბედნიერების. სიყვარულის... ის არ არსებობს“, - გაახსენდა სწორედ იმ ფრანგი მწერლის რომანში ამოკითხული სიტყვები.

ლუქსემბურგის ბაღს რომ ჩაუარეს და მანქანა ხიდზე რამდენიმე წუთით შეჩერდა, მინა ჩამოსწია და სველი მიწის სუნი ეცა. ბაღს ზემოდან დაჰყურებდა, რომლის მიწაზეც ჯერ ისევ სქლად იდო თოვლი. ნატამ თვალთ სასურველი კადრი შეარჩია და წარმოსახვითი კამერით თავისი ბოლო და ცხადია, უკანასკნელი ფოტო გადაიღო, როგორც არარსებული და ბედნიერი სამყაროს შემთხვევით დაჭერილი სურათი:

თოვლით დაფარულ ლუქსემბურგის ბაღში ბავშვები თამაშობენ. ხედი ზემოდანაა აღებული, თითქოს ღმერთის მზერაში წამით მოქცეულა ბაღის ეს კუთხე, ბავშვები, როგორც მიწაზე მოთამაშე ჩიტები, გამჭვირვალე ჰაერს შეყინული თოვლის ფიფქები.

ყარანბოზის ფარა

ეს ტექსტი წარმოადგენს მეორე მოთხრობას ციკლიდან, რომელსაც ახლა წერს ავტორი.
პირველი მოთხრობა შეგიძლიათ იხილოთ „ახალი საუნჯის“ 2014 წლის N 10 (18) ნომერში

დიმიტრი ნიკლაური

1.

ევროპის დიდებულ მინაზე მრავალი ღირსეული ავაზაკი აღზრდილა, მაგრამ ბილნი აბდიაზე მოღვაწე და აღმატებული ყაჩალი, არა მგონია ბევრი ჰყოლოდა. მშვენიერი პირისახის მქონე ქალწულიც არცთუ ისე ცოტა შობილა, თუმცა ანა-პრინცესას დარი გოგონა მთელ კონტინენტზე თითზე ჩამოსათვლელად იქნებოდა. აქაური მგოსნებიც თავიანთი სამსიმიანი ჩონგურებით გაცილებით ფაქიზ ფლერადობას აღწევდნენ, ვიდრე ამას ახერხებდნენ დასავლეთის მოწინავე მუსიკოსები თავიანთი თანამედროვე ინსტრუმენტებით, ოღონდ ევროპის შუაგულ ნაწილში მცხოვრებნი მის უკიდურეს აღმოსავლეთში მომხდარი ამბებით, სადაც უკანასკნელი ქრისტიანები სახლობდნენ, ყოველთვის ნაკლებად ინტერესდებოდნენ. აქ ბევრგან აღემართათ ეკლესიის სვედიანი გუმბათები, რომლის მწირ ეზოებშიც განლაგებული ჯვრის ფორმის აუზები სანათლავის როლს ასრულებდა. ლურჯი მთებით შემოგარსული ბუნებაც საოცარ სინანულს აღძრავდა, რომლის იდუმალ სულს შორეული ექოები ეხმიანებოდნენ. სანდომიანი ამბები ხომ გაცილებით გვიან ვრცელდება, ვიდრე გულის შემმუსვრელი.

ზღვა თეთრი ქალაქით თავდებოდა. ამ ზღვისპირა ქალაქში, სადაც დილა კატების მჭმუნვარე ჩხავილით იწყებოდა, ერთი ხანობა მეც დავყავი. მანამ კი მთებში ვცხოვრობდი, მაგრამ ძალზე გაჭირდა. ამიტომაც იძულებული გავხდი აქ ჩამოვსულიყავი და დახლში დავდგომოდი ერთ ბუზლუნა მოხუცს, აბეზარი ხასიათი რომ ჰქონდა და თავისი ახირებებით ცხოვრობდა. მათგან ერთიც არ ეთობოდა. იგი დიად ომში მონაწილე პირქუში თაობის ტიპური წარმომადგენელი იყო, რომელთა მკაცრი და შეუპოვარი ხასიათი ცივილიზაციის შემდგომმა განვითარებამ ბოლომდე მოაშთო და ისინიც მოსაბეზრებელ, ჭიჭყინა ბერიკაცებად ჩამოყალიბდნენ. მათი დრამატული გამოხედვაც ამაზე მეტყველებდა. თუმცა ლუკმა-პურზე ხომ უნდა ეზრუნათ. ამიტომაც შეაკონინეს გარეუბანში (სადაც იჯარა ნაკლები ჯდება) ბაზრის

უბადრუკი დეკორაციები თავიანთი მწირი დანაზოგებით. მისასვლელი გზები დახლებით ჩახერგეს და ზედ ათასგვარი ნუგბარი დაალაგეს. ზოგიერთი დახლი კალმებით და სანური ქალაღდებით იყო გაძეპილი. ზოგან ნახატები გამოეფინათ. იქვე საგალანტერიო ჯიხურიც ჩაედგათ, სადაც ათასგვარ წვრილმანს ჰყიდდნენ. გამყიდველებსაც უცნაური ერთობა ჰქონდათ, მზერით ერთმანეთს რომ ხოცავენ და ბაგეებით უღიმიან.

ჩემ ბედს ძალი არ დაჰყეფდა, მოხუცს თავიდანვე რომ არ ავეთვალწუნებინე. იგი ყოველ დილით საქონელს მიტოვებდა, თვითონ კი შინ ბრუნდებოდა, ვეება ტახტზე რომ გამოტილიყო და ძილს მისცემოდა. მე საქონლის შესაღებაზე არც ვფიქრობდი, ისე კი დროდადრო გავიძახობდი, რასაც გთავაზობთ, ყოველი მათგანი საუკეთესოა-მეთქი. არადა რაც მეტს გავყიდდი, მხოლოდ იმის გამო კი არ მიხაროდა, პატრონთან მეტი ფული მიმეტანა, არამედ იმიტომ, ასეთ შემთხვევაში ნაკლების ზიდვა რომ მომიწევდა. გაუყიდავ საქონელს ვერსად დავტოვებდი და შინ მიმქონდა. ფულს რომ ჩავუთვლიდი, ისე მიყურებდა, მედიტაციიდან ახალი გამოსული გეგონებოდათ. მაცდური ღიმილი სახეზე დაჰფენოდა, არც კი ეცადო, მაინც მიგიხვდებო. ბებერ ხელიკს მიჰგავდა, ქვებიდან ახლახან რომ გამოძვრა. ტანისამოსი ნაფტალინის სურნელით უყარდა, მაგრამ ამას აინუნშიც არ აგდებდა. მერე ხელებს ისე გამლიდა, თითქოს აკორდეონს წელავსო და იცოცხლე, თავის როხროხა ხმით შთამბეჭდავად იწყებდა ბუზუნს, აბა, ახლა საქონლის აწონვას შევეუდგეთო.

ისე რომც მდომოდა, მაინც ვერაფერს გამოვაპარებდი. ნაშთს ზედმიწევნით აღრიცხავდა, საბოლოო რიცხვს მგონი შვიდგან მაინც აფიქსირებდა, ყველა ეს მნიშვნელოვანი საბუთი კი ერთ მთლიან საქალაღდედ ჰქონდა აკინძული, რომელსაც სეიფში ინახავდა, ხოლო გასაღები მუდამ გულისჯიბეში ედო.

ხმას თუ გაგცემდა, გაგრძნობინებდა, ხედავ რას მოესწარი, ჩემთან საუბარი გელირსაო. ალბათ ასეთი მიდრეკილება ჰქონდა, თავი განსაკუთრებული ჰგონებოდა. ჭრიალა და მოყანყალეულ სარწვეულა სავარძელშიც ისე ამაყად მოენყობოდა ხოლმე, თითქოს იერარქიის უმაღლეს საფეხურზე სუფევსო. მიყრუებულ ადგილებშიც თავი ალბათ კვეხნით გაჰქონდა, ხოლო მისი საყვარელი საზოგადოება უძღურნი ამა სოფლისანი იყვნენ, რომელთა შორის გაცილებით აღმატებულად გამოიყურებოდა. სხვის ცოდნას დაბალი ნიშნულით აფასებდა, საქებარი სიტყვა კი კანტიკუნტად თუ დასცდებოდა, ისიც მხოლოდ უმნიშვნელო საკითხებში.

– შენ საქმეში ყოველდღე უნდა იზრდებოდე! – მეტყობდა დამრიგებლური ტონით, როცა ნავაჭრით კმაყოფილი რჩებოდა – ზრდას როგორც კი შეწყვეტ, ჩათვალე სიკვდილი დაწყებულა, თუმცა ჩვეულებრივ დიდხანს გასტანს ხოლმე. ყოველ ნაბიჯს უნდა გეგმავდე, თორემ ირგვლივ ჭაობებია. იქ თუ ჩაეფლე, ველარ გააღწე. დაგეგმა კი გზას გვიმსუბუქებს!



დილით ადრე მიხდებოდა სავაჭროდ წასვლა, მყიდველის მოსვლამდე საქონლის დალაგება რომ მომესწრო. რომ არ ჩამძინებოდა, საათს მოვმართავდი ხოლმე, თუმცა ისეც ვიღვიძებდი. მალეობა საათის მარადიული წუნწინი წინასწარ ჩამესმოდა, თითქოს შიმშილით კბილები უკანკანებოს, მაგრამ თვალებს მაინც არ ვახელებდი, რადგან ლოგინის მიტოვება მენანებოდა. მერე გაბმული წკრიალი გაისმოდა, თითქოს უამმა ჩამოჰკრაო. გარეთ ჯერაც ბნელოდა, სახლიდან რომ გავდიოდი. გაყოლებზე განლაგებული კაშკაშა ლამპიონები ზოგან ჩაქრობის პირას იყო, ზოგან კი ისე ციმციმებდა, თვალებს მოგჭრიდა. ბაზრისკენ მიმავალს ხშირად თავზე დამთენებია.

იმ პერიოდს, ჩემ თავს მხიარული ამბები რომ ხდებოდა, დიდი ხანია გავცდენოდი და იმ სოციალურ ფენას ვეკუთვნოდი, შიშით შეპყრობილნი რომ ხვდებიან ღამეს და დაზაფრულნი ელიან გათენებას. მდარე ცხოვრება ჭაობში ნაოსნობასავითაა, სათუთი გრძნობები ქვევით ჩაქოლილ მსხვერპლს რომ ემგვანება. შენობა და ეზო, სადაც ღამებს ვატარებდი, ავადმყოფის სარეცელს ნააგავდა. კედლებს ნატყვიარები ეტყობოდა, თითქოს ვეებერთელა ფრინველებს ბათქაში ბასრი ნისკარტებით აუკენკიათო. სადაც შორს კი მშვიდობა სუფევდა. დატბორილი გუბებები გასართობ ადგილებად გადაეკეთებინათ, სხვა ფერებს ყვითელი და ვარდისფერი რომ ჭარბობდა. შავსა და თეთრ ფერს იშვიათად დალანდავდი. მოტიტვლებულ ადგილებზე ბრწყინვალე სასახლეები წამოეჭიმათ, რომლის ვერანდებზეც ადამიანები უგემრიელეს კოკტილებს წრუპავდნენ და თვალებს ნეტარად ნაბავდნენ. იქ გადავეყარე სულ პირველად ანა-პრინცივსას, ულამაზეს ნიშვას. ასეთ ქალს მარტო ვერასოდეს ნახავდი, მუდამ მსლებლებით და თავყანისმცემლებით იყო გარემოცული, უმეტესობა უტიფრად რომ უმზერდა, თუმცა მალულად, საყოველთაო აღფრთოვანება სახეზე რომ არ დატყობოდათ. თუმცა კი ფარ-ხმალს მალე ჰყრიდნენ. ისე დაკვირვებული ვარ, როცა ადამიანები გარეგნულად ცდილობენ გამოხატონ, თუ რაოდენ ბედნიერები არიან, ძირითადად სულელებივით იტყანებიან ხოლმე.

მოხუცი არავის ენდობოდა, ნიღბი თავის სისხლსა და ხორცსაც კი არ ჩაიჯენდა. ხშირად ფხუკიანობდა. ერთ დღესაც აღრენილი დამხვდა. ისეთი აფორიაქებული სახე ჰქონდა, თითქოს აფთიაქიდან ეს-ესაა გამოსულიყო საშინელი სნეულების დიაგნოზით. თვალბუბი სასტიკი საყვედურები უელავდა, როგორც ლუმლის ნაკვერჩხლები, ფრჩხილები კი ისე დახეთქოდა, თითქოს თითებზე მჭავა გადასხმოდეს. დამინახა თუ არა, ჩემს ლანძღვას მოჰყვა უშვერი სიტყვებით. მაშინ კი, ვეღარ მოვითმინე და რასაც მასზე ვფიქრობდი, ყველაფერი პირში მივახალე. გული გახეთქვაზე მქონდა.

- ჰეი, უმაქნისო არსებავ, ადამიანური ღირსება ფუჭი ამპარტავნებით რომ ჩაგინაცვლებია, ეს ერთი და იგივე რამე ხომ არ გგონია?! უგვანო ბებერო, შენი მედიდურობა დეკორატიულ იერსახეს ატარებს, რადგან ამის საფუძველი არ გაგაჩნია. ეგებ იმიტომ აგიზიდავს წარბები, ეშმაკთან რომ დადე ხელშეკრულება, ჰოდა პატიოსან ანაზღაურებას ნულარ მოელი, რადგან ეშმაკები მხოლოდ ჯოჯოხეთში სწორდებიან თავის კლიენტებთან. იქიდან კი არავის უშვებენ. ან იქნებ ფიქრობ რომ ეშმაკები უკუგების გარეშე გაიღებენ მონყალბას? შენი განზრახვა ტლანქი წამოწყებაა, რომელიც სასტიკი მარცხით დამთავრდება!

ალბათ ჩემი გამომწვევი მზერა ნათლად წარმოაჩენდა ჩემი განრისხების მიზეზს, მაგრამ ზღვისპირა ქალაქიდან სინამდვილეში იმიტომ გადავწყვიტე წამოსვლა, რადგან წინა დღით ჩემებმა ცუდი ამბავი შემატყობინეს. მამაჩემი სასტიკად გაციებულა და ლოგინად ჩავარდნილა. მას იმ ხმების გაგონება აღარ ძალუძდა, ცხოვრების ბრძოლისკენ ყიჟინით რომ უხმობდნენ. დაჟინებული ლაპარაკი ისედაც არ ჩვეოდა, გულხელდაკრეფილი ინვა მოლოდინის ურყევი რწმენით და ყურს მხოლოდ საათის ნიკნიკს უგდებდა. საათები მხოლოდ წერილი მარცვლებია უზადრუკად მსხმოიარე ხისა, ნაყოფი ძლივს რომ გამოაქვს ალაგ-ალაგ, მაშინ როდესაც აყვავებული ხე ქორწინებაში მყოფ პატარძალს ნააგავს. მამაჩემს სახეზე ნათელი ედგა და უცხო შეგრძნებებს შეეპყრო. ეს ჰარმონია რომ განიცადო, სულში ქაოსი არ უნდა გააჩნდეს. იგი ისეთივე თანმდევი ამბავია, როგორც მარწყვი და ნერწყვი. ვინ იცის მისი გონება რომელ დეტალებს დასტრიალებდა, რა წერილმანებაში ცდილობდა გარკვევას. საით მიჰყვებოდა თავის შინაგან გზას და რას ეწურჩებოდნენ შრიალით გზის გასწვრივ აღმართული ხეები. ეს მარად დაუღლელი მოსიარულე ადამიანი ხომ ნაბიჯსაც ვეღარ დგამდა. ოდესღაც ერთი მთიდან მეორეზე შეუსვენებლივ რომ გადარბოდა, ახლა ერთი ოთახიდან მეორეშიც კი ვერ გადაადგილდებოდა. ამის მერე ყველაზე ხანგრძლივი გზა მაშინლა განვლო, სასაფლაოს გორაკზე რომ წავასვენეთ დასაკრძალად. მე ყველაზე გულწრფელი ცრემლები მაშინ მქონდა, მამაჩემის ნეშტს რომ დავტიროდი, თითქოს ამ დღეში ჩემი მიზეზით ჩავარდნილიყოს. მამაჩემი იმდენად დიდ პატივისცემას იმსახურებდა, მისი შეყვარება შეუძლებელი ხდებოდა. მთელი თავის დღე და მოსწრება უზარმაზარ ფარას მწყემსავდა და მეც გული მწყემსობისკენ მიმინევდა. მეც წინაპართა საქმეების განგრძობა მენადა. სანამ მოხუცთან ვმუშაობდი, სახლში მხოლოდ ერთხელ გამომიშვა, ისიც სამი დღით. აქედან ორი დღე გზაში დამჭირდა, ხოლო როცა მშობლიური სოფლიდან მონაქროლი ჰაერი შევიგრძენი, სისხარულმა შემიპყრო და სიმშვიდე დამეუფლა. შინ მისვლისას დედაჩემი და ჩემი უმცროსი დები უმიზეზო ჩხუბით დამხვდნენ, ალბათ იმის გამო, რომ ეჩვენებინათ, იოლი ჯაფა არც ჩვენ გვადგას, ხომ ხედავ ნერვები დანყვეტაზე გვაქვსო. ახლა კი რალაცნაირად მშვიდად ისხდნენ დაღვრემილნი და სევდიან ფიქრებს მისცემოდნენ.

ცხვრის ფარა, რომელსაც მამაჩემი დაჰყვებოდა, ყარანგოზებს ეკუთვნოდათ. ეს უნარჩინებულესი მოდგმა გახლდათ და ისეთი მდიდრები იყვნენ, ასე მეგონა, იმ ქუჩაზეც კი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ბლომად ფული ეყრებოდა. პაპაჩემი პაპამისის ცხვრებს მწყემსავდა. ეს საქმე მერე ჩვენმა მამებმა გადაიბარეს და ისეთი პირი უჩანდა, რომ ჩვენც, მათი შთამომავლები, ასევე გავაგრძელებდით. ჩემ ნინაპრებს ყარანგოზებზე ყოველთვის გული შესტკიოდათ, ახლა კი ჩემი ჯერი დამდგარიყო.

თუმცა უმცროსმა ყარანგოზმა მოულოდნელად სახლი გაყიდა. მაშინ მივხვდი, რომ ურიცხვ ცხვართა ბატონს აქეთ გული არ უჩერდებოდა. მას განათლება დასავლეთის სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული და ეტყობოდა, მის სულშიც გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო. რალა მექნა? თავის საქმეში ცხვირს მაინც არავის ჩააყოფინებდა. მითქმა-მოთქმას კი, რომელიც ამ ამბავს მოჰყვებოდა, მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს კი განმიცხადა, ფარის გაყიდვას ვაპირებო. მე მწყემსობა მენადა და მოსვენება დავკარგე. ჩემი ბატონი თავის განზრახვას მაინც მოიყვანდა სისრულეში. თუმცა მამხნევებდა, უფულოდ არ დაგტოვებ, იმდენს გიბოძებ, ერთი ხანობა რომ გეყოს, მერე კი რაიმე გზას გამოხახავო.

ჩვენ როცა დავიძარით, განთიადი კეკლუცად შემოგვეგება. ისედაც საუცხოო ამინდი იდგა, სიო კი თავისი უხილავი აბრეშუმის ბოლოებით დროდადრო სახეზე გველამუნებოდა. ურიცხვი ფარა მინდორზე რომ გამოვრეკეთ, თითქოს სოფლიდან მთელი სინათლე გამოგვეზიდოს. სასაფლაოს გასწვრივ ერთხანს შევეყოვნდით. უმცროსმა ყარანგოზმა იქვე მინდორის ყვავილები მოკრიფა და ნინაპართა საფლავის ქვებზე დაალაგა, თითქოს ყველას ემშვიდობებო. აქ დაბრუნებას აღარ აპირებდა, სინყნარეს ხომ კაცი დიდხანს ვერ ეგუება და მშფოთვარე ცხოვრებას ესწრაფვის, რათა ისევ სიმშვიდე მოენატროს. ქვებს დასჩერებოდა და წყლით სავსე თუნგივით უძრავი მზერა ჰქონდა. უმცროს ყარანგოზს შორიდან ვუმზერდი და ვიმეორებდი, იმდენხანს გეცოცხლოს, როგორც ეს ფარაა მეთქი ურიცხვი. ამდენის მყიდველი ჩვენ მხარეში არავინ გვეგულებოდა და ალბათ ამიტომაც გავეშურეთ ზღვისპირა ქალაქისკენ, სადაც დღესასწაული ახლოვდებოდა. უფსკრულს რომ გავცდით, კიდევ კარგა ხანს ვიარეთ მდუმარედ. ირგვლივ მხოლოდ ცხვრების კიკინი გაისმოდა. მერე ერთი უცნაური კაცი შემოგვხვდა. ურემზე ვება ქვა ედო, რომელსაც მწვანე შეფერილობა დაჰკრავდა. ჩემი ბა-

ტონი მას გამოელაპარაკა, მაგრამ მე მხოლოდ ის გავიგონე საუბრისას გოლგოთის ტაძარი რომ ახსენა.

2.

ზღვისპირა ქალაქში ფარას რომ შემოვუძეხით, თითქმის მთელი მოძრაობა გადაიკეტა. გზები უსიამოვნო ცურცლით აივსო და ჟანდარმებმა სტვენით და ჯოხების ქნევით გამოგვრეკეს. უკუქცეულბმა ვერც კი დავიმახსოვრეთ, ფერდობს რომელი ქუჩიდან მივადექით. მერე ზემოთ გავწიეთ და ხასხასა მდელიოზე დავბანაკდით. იმის დანახვა კი მოვასწარი, ქალაქში ბევრი ხალხი რომ ირეოდა და ისეთი პირი უჩანდა, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ფულის საშოვნელად საუკეთესო ფონი იქმნებოდა. ერთ მდელიოზე აღმოვჩნდით, უცნაური თავშეყრის ადგილას და პირველ რიგში ცხვრები გადავთვალეთ. ზუსტად ათასი სული აღმოჩნდა, თუ არ გავითვალისწინებდით ერთ მათგანს, მატებას რომ ელოდა. მერე მწვანე შეტონების რაოდენობა გადავამოწმეთ, რომელიც ბატონს ტომსიკაში ეყარა. ათასი ერთეული რომ გადავთვალეთ, უმცროსმა ყარანგოზმა ისევ ტომსიკაში ჩააბრუნა და ამ სიტყვებით მხურვალედ გამომემშვიდობა:

- მე ქალაქში წავა და ცხვრის რეალიზაციაზე ვიზრუნებ, მყიდველებს მწვანე შეტონებს გამოვაცან რაოდენობის შესაბამისად. შენ მხოლოდ ცხვრის გაცემა მოგიწევს!

მარტო რომ დავრჩი, სადგომი გავმართე და დიდხანს ვიჯექი გამოყრუებული. ნამგალა მთვარე ტბორის გედივით იღერებდა ყელს. მე ლამის სიჩუმეს ვუგდებდი ყურს და კოცონს ვანთებდი. ქალაქიდან ალბათ ვინმე შეამჩნევდა შორეული ცეცხლის ბუუტვას. თასმები შეხსნილი მქონდა და აღს ვეფიცებოდი. შორს ბაყაყების ყიყინი გაისმოდა. ბაყაყების ყიყინს დილაობით ფუტკრების ზუზუნის ცვლიდა. ეს ზუზუნი მაშინ მატულობდა, ფუტკრები ყვავილნარს როცა შენიშნავდნენ ხოლმე. ერთხელაც ადამიანთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ჩაიარა ცხენებით და ურმებით. თავდაპირველად მსხვილი შემსყიდველები მეგონენ, მაგრამ ისე გამცდნენ, არც გამომლაპარაკებია. დღესასწაულის დადგომა იმით შევიგრძენი, ცა ფერადმა სალუტებმა რომ გადაახაზეს. სროლის ხმა ყრუდ გაისმოდა და ქალაქის მხრიდან დენთის სურნელმაც მოაღწია ჩემამდე. ერთი ხანობა კვლავ სიჩუმემ დაისადგურა, მერე კი ხალხი ჩემსკენ დაიძრა და უტყვი მდელი საგარძობლად ახმაურდა. იმ დღიდან მწვანე შეტონები მრავალ მათგანს მოჰქონდა ჩემთვის და მაგიერ ცხვრები მიჰყავდათ, გულსაკლავად რომ ბლაოდნენ განშორებისას, თითქოს აქვე იწყებოდა მათი სასაკლაო. ეს სცენა გულს ძალუმ მიკლავდა, მაგრამ ვერაფერს შეეცვლიდი. მიწაზე ალბათ იმიტომ ვიბადებოდით, უსამართლობა რომ დაგვეთმინა. მისი აღმოფხვრა ხომ მაინც არავის ძალუძდა. ამასობაში დღეები გადიოდა. სულ მალე ცხვრის ფარამ იმ რაოდენობას მიაღწია ჩვენ მხარეში უბრალო გლეხსაც რომ ეყოლებოდა. მე სიბრაღულით შევცქეროდი დარჩენილებს, მორჩილად რომ ჩაჰყურებდნენ ბალახს. ტომსიკაც ნელ-ნელა ივსებოდა უსარგებლო შეტონებით, მხოლოდ აღრიცხვისთვის რომ იყო საჭირო და სხვა ღირებულება არ გააჩნდა. დანაშაულის გრძნობა კი დიდხანს მტანჯავდა და ამას ძლიერ განვიცდიდი. უმცროს ყარანგოზთან ყოფნა მირჩევნოდა, იქნებ რაიმე უჭირს მეთქი, თუმცა უნებართვოდ ვერც მის ფარას მივატოვებდი. მალე უკანასკნელი ცხვარილა დამრჩა, რომელმაც სვლამოს ბეკეკა გააჩინა.

3.

მეორე დილას ანა-პრინცესა დამადაგა თავზე, სხეული აბრე-შუმისა რომ ჰქონდა და თვალები ცის სარკეს მიუგავდა. მას თეთრ სამხედრო შესამოსელში გამოწყობილი კაპიტანი მოჰყვებოდა. მხრებზე ეპოლეტები უბრწყინავდა, ლილები კი თითბრისა ჰქონდა. ბავშვივით ცმუკავდა და ფართო მხარ-ბეჭით თვითონ-აც იალქნიან გემს წააგავდა. ანა-პრინცესას თვალს არ აშორებდა და ენად იყო გაკრფილი. შენ რომ იშვი, იმ საღამოს მდინარის ფსკერზე ბევრი ქარვა აღმოაჩინესო, ქარვის ძენკვებით გაავსეს სკივრი ლამენათევმა მენიჩბებმა, მთვარის შუქი ქარვას ყვითლად აელვარებდაო, ბრწყყიალა საბადო გეგონებოდაო... სიტყვებს სწრაფად ამბობდა, ძალისხმევის გარეშე. თუმცა ერთი სული ჰქონდა აქედან წასულიყო და ანა-პრინცესაც თან გაეყოლა. ზღვისპირა ქალაქი თუმცა ხელის განვდენაზე მოჩანდა, მაგრამ მაინც შორს ვიყავით, მდინარის ერთ-ერთ შესართავთან. უცხო ჭაჭანებას ვერ გაიგონებდი. მხოლოდ დაღლილი ჩიტები თუ შემოსკუპდებოდნენ ტოტებზე. იდუმალი ხევი ერთი ბენო ნაკადულს მოაგორებდა. ზღვისპირა ქალაქის თავზე კი მზის მოლოდინში გარინდებული გამჭვარტლული ცა გრძელ საკვამურებს დაყრდნობოდა. მზეს უთვალავი მწველი სხივი გააჩნდა, ალიონზე ყოველ კუთხე-კუნჭულს რომ მოაფენდა, ხოლო სადაც ვერ მისწვდებოდა, მყრყოლავი ჩრდილი შეიქმნებოდა.

- ანა-პრინცესა მომენდე და წყალქვეშა გემით მთელ ფსკერეთს მოგატარებ, ჭეშმარიტ სილამაზეს გაზიარებ!

- განა მიწის ზედაპირი არ ჯობს?! - ჯიუტად იჩეჩდა მხრებს ანა-პრინცესა.

- ოდესღაც ისიც მიწის ზედაპირი იყო, თავის შეფარება რომ არჩია! - განაგრძობდა ოფიცერი. დიდი შებერტყილი ვინმე კი ჩანდა, მაგრამ ანა-პრინცესაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა - ხედავ, მოზღვავებული ტალღები როგორ შემართულან ძველი ემოციებით ალტკინებულნი. არნახული ტაიფუნებით მსოფლიო ომებს იხსენებენ, მომცრო ტალღებით მცირე რაზმთა პატარ-პატარა შეტაკებებს... - ხელს იშვერდა ოფიცერი სიბნელეში, თან ანა-პრინცესას მონუსხულ მზერას გრძნობდა, რაც სიმხნევს და ზეშთაგონებას მატებდა. - იცი, რა ხდება იქ, წყლისქვეშეთში? როცა თავზე სწრაფად მიმავალი შხუნები გადაგვივლიან ხოლმე, ილუმინატორებში ვიყურებით. ასეთ მგრავინავ ხმებს მხოლოდ დამზობილი ტატნობი თუ გამოსცემს. ეჰ, დიდებულო ანა-პრინცესა, ყველაზე დამთრგუნველი ომები რისთვისაც მოხდა, დღეს ის მიწები ზღვის ფსკერეთია. დაპყრობილი და დაკარგული ტერიტორიები მლაშე წყლების სადგომად ქცეულა. მეომრებიც თევზებად გარდაისახნენ, თბილ დინებებში რომ ნებივრობენ. ვისაც ჯავშანი ემოსა, კიბორჩხალად იქცა, ვისაც ხმალი ეყურა - ხმალთევზად. გრანდიოზულობის მანიით შეპყრობილი ბელადები - ვეშაპებად, შადრევნებს რომ აფრქვევენ გეიზერებივით, საკუთარ თავს ქებას უძღვნიან, დიდებით ტკებნიან, შხეფებს თავს უშვერენ, ერთ დროს ცეცხლისმფრქვეველი ბაგეები მოუკუმავთ და ღვთაებრივი ჩანაფიქრის ამოცნობას ცდილობენ. წითელი ფარფლებით ჩაივლიან ოდესღაც ომში დაჭრილები, თითქოს საზეიმო მეჯლისიაო. კარჩხანებივით ბზინავენ ვერცხლის მოყვარულნი. ღორჯოებივით დამახინჯდნენ მრავალ ბოროტებათა ჩამდენნი. ფსკერის თევზები ვერც ხვდებიან მდინარის თევზებს, ყველას თავისი მიეგო. ღრმა ღრმულებში ჩანოლილ ლოქოებს

ველარ შველით მოხვეჭილი სიბრძნე. ორავლენი ბი დანიწკლულან ვარსკვლავთა მუდმივი ჭვრეტით. ზვიგენები წვრილი თევზების გუნდებს ხარბად მისჩერებიან, როგორც ნადავლის ზვინებს და იქ შერევა ერთ რამედ უღირთ... ანა-პრინცესა, აქ რატომ მოვედით? - იკითხა უცებ და აქეთ-იქით მიმოიხედა.

- აქ სადღაც ცხვრებს უნდა ჰყიდდნენ! - უპასუხა მან და ჩემ მხარეს გამოიხედა. კვამლის ბოლქვები ირეოდა, ხოლო ცეცხლის სამყოფელს ხომ ბოლით აგნებენ.

- დღე რომ იყოს, ჭრელ პეპელას დაგიჭერიდი, ან სულაც ყვავილს მოგინყვეტდი! - განაგრძობდა ოფიცერი. ჯობდა, თაიგული ეთქვა.

- პეპელა სულ ერთ დღეს ცოცხლობს და მაშინაც მოსაკლავად დასდევენ! - გულისტკივილით აღნიშნა ანა-პრინცესამ.

- თქვენ, ეტყობა, მე მეძებთ! - სიბნელიდან გამოვედი მე და ისინი კოცონთან მივიპატიუე. ჩემ დანახვაზე ოდნავ შეკრთნენ, მაგრამ არ შეიმჩნიეს. კოცონთან მდგარ ანა-პრინცესას მზერას ვერ ვაშორებდი, თითქოს შემცივნული მზეთუნახავი დრაკონის ცეცხლოვან ხახასთან თებოდა. მერე ხელში ბეკეკა შევაჩეჩე და ვუთხარი:

- ესეც საჩუქარი ფარის პატრონისგან!

იგი აღტაცებული დარჩა, მაგრამ ოფიცერმა იუკადრისა:

- ჩვენ უფულოდ არ გვინდა, საფასურს გადავიხდით!

- არ არის საჭირო, სათვალავში მაინც არ გყავდა, სწორედ გუშინ გაჩნდა...

წასვლისას ანა-პრინცესას მადლიერი მზერა ვიგრძენი.

4.

შემდეგ ისინი გამოჩნდნენ, ათიოდე კაცისგან შემდგარი პროცესია, რომელთაგან ცხენებზე ორნი ისხდნენ, ხოლო დანარჩენები ფეხით მოჰყვებოდნენ ჭრილა ურმებს, ერთზე ვეება, მწვანე ქვა რომ დაედოთ, ხოლო მეორეზე მიცვალებული დაესვენებინათ. მწვანე ქვა მოშორებით გადმოაგორეს, სადაც ოდითგან დებულა და ხელები საქმიანად დაიბერტყეს.

- ესეც ასე! - თქვა ერთმა მათგანმა და დანარჩენებს მიუბრუნდა. - ახლა ნეშტი მიწას მივაბაროთ, ოღონდაც ჯერ მღვდელს შევატყობინოთ და მოვალეობა მოხდილი გვექნება!

ერთ მათგანს, ჩემთან ყველაზე ახლოს რომ იდგა, გამოველაპარაკე. მალე ყველაფერს ნათელი მოეფინა. როგორც აღმოჩნდა, იმ კაცის ნეშტზე იყო საუბარი, მაშინ მე და ჩემს ბატონს გზაზე რომ გადაგვეყარა. თურმე ფეხი

დაცდენოდა და უფსკრულში გადავარდნილიყო. ამათ რთული რელიეფი არაფრად ჩაუგდიათ. ციცაბო ფერდობზე თოკები ჩაეშვათ და ისე ჩასულიყვნენ. საკაცე კი უფსკრულის ძირას აენყოთ. მიცვალებული ჯიბიდან გავარდნილი ვინმე იყო, კარაბოკს ეძახდნენო, თქვა მან. რა ვიცი, ჩემი ბატონი რომ ესაუბრებოდა, მსგავსი ვერაფერი შევატყვე. სევდიანი კაცი უფრო ჩანდა. შენ აქ რის გამო ხარო, ახლა მე მომიბრუნდა და გამოკითხვა დამიწყო.

- ცხვრები გავყიდე, აგერ, იმ მთებიდან ჩამოვრეკე! - გავახედე შორს.

- იქით მიმავალმა შეგნიშნე, ცხვრებთან რომ იდექი! - აღმოთქვა მან ხანგრძლივი დაკვირვებისა და ღრმა ანალიზის შედეგად მიკვლეული ჭეშმარიტება და უკანასკნელ ცხვარს გაყოფილებული სახით დახედა.


- მთებში რა ხდება, მტერს აღარ იგერიებთ? - თავის ქალაქელობას გაუსვა ხაზი.

- რაო? - გავიკვირვე მე მხრების აჩჩევით - რა უნდა მტერს იმ მივარდნილ საძოვრებზე? იქ თუ ვინმე ვინმეს იგერიებს, ეს აბეზარი ბუზანკალია, ჩვენი ძროხები რომ აფრთხობენ კუდებით. ალბათ თქვენც ამას გულისხმობდით!

მან ცალყბად ჩაიციხა, მერე პროცესია დაიძრა და ამბის მაუნყებელი დანიინაურდნენ.

- კარაბოკს მოასვენებენ! - გაჰკიოდნენ ისინი დროდადრო.

გარდაცვლილს დავხედე, რომლის სიცოცხლეც სამუდამოდ ქცეულიყო წარსულად და სევდამ მომიცვა. წამით ის სპეტაკი წლები მომაგონდა, როცა პატარა ვიყავი და ცხოვრება საუკეთესო რამ მეგონა. მომაგონდა კამეჩების ზმორება მინდვრის პაპანაქებაში, სალამოს შუქი და ფარდებჩამოფარებული წიგნების კარადა, ჩრჩილს ეს ფარდებიც რომ გამოეჭამა და წიგნებში გადმოცემულ სიბრძნეს მიდგომოდა. ზამთრობით ნაძვებს თოვლის ნამქერი ფარავდა. დღის მიწურულზე საათს აღარც ვკითხულობდით, რადგან ძილი თავდავიწყებამდე გვიპყრობდა. მღვრიე წყლებში ვიყავი და ანკარა ჭავლებს ვიგონებდი. მერე უკანასკნელ ცხვარს ხელი დავავლე და ბატონის მოსაძებნად გავნიე. ვამჯობინე, ამათ გაველოდი, პროცესიას შეუერთდი და კარაბოკის ცხედარს გავყევი. ქალაქში რომ შევედით, გამვლელები ჩვენსკენ უთითებდნენ, ვილაცამ ყვაილებიც ისროლა. მღვდელი უკვე გაფრთხილებული ჰყავდათ, რადგან ჩვენს დანახვაზე მნათეს ანიშნა, ზარებს შემოჰკარაო. ნემსი ურმიდან გადმოასვენეს და ტაძრის შუაგულში დააბრძანეს. გუმბათის ქვეშ წინასწარ ჰქონიათ ტახტი გამზადებული. მასთან მიახლოება ყველას ენადა და ამდენ ორომ-



ტრიალში ერთ ჯგუფს შევრჩი, ყურადღების ცენტრში ვილაც მოლაპარაკე კაცი რომ მოექციათ. მას თვალეზე პენსნე ეკეთა და ეტყობა ქალაქის ყველა ავან-ჩავანი იცოდა. იგი ენას არ აჩერებდა. სხვებსაც მეტი რა უნდოდათ, ახალ ამბებს უკეთ ვისგან გაიგებდნენ. ეტყობოდა, ზოგიერთი რამ ისედაც იცოდნენ, მაგრამ მაინც ეკითხებოდნენ, ეჭვები რომ გაფანტვოდათ.

- ხედავ პრეფექტიც აქ ბრძანებულა! - თქვა ვილაცამ.

- ჰო, აბა, სახალხო ლიდერის შთაბეჭდილება ხომ უნდა შექმნას! - უპასუხა მან. ამის მერე ყველა საკითხს, რომელიც წამოიჭრებოდა, დამაჯერებლად განმარტავდა.

- ის ვინლაა, მის გვერდით რომ გამოეჭიმულა?

- სოლომონი ჰქვია, ბილნ აბდიას ნათესავად ერგებოდა!

- მაშ ეგ ბრძანდება სოლომონი? ბევრი რამ მსმენია მის შესახებ, მაგრამ პრეფექტთან რატომ დგას?

- გარიგება შედგა მათ შორის!

- რა გარიგება?

- პრეფექტმა თავისი ასაკოვანი გოგონა აჰკიდა, თან განუცხადა, ან ჩემი სიძე გახდები, ან მთელ შენ საქმეებს გამოვამკარავებო!

- სოლომონი დათანხმდა?

- სხვა რა გზა ჰქონდა, კარგი ცხოვრება თუ უნდოდა, ასეც უნდა მოქცეულიყო. ასეთი შანსი სადღა მიეცემოდა!

- მაგაზე ამბობდნენ, ანა-პრინცესა უყვარსო!

- ანა-პრინცესა ვის არ უყვარს, მაგრამ ეტყობა, ასე არჩია!

- ხედავ, მისკენ არც იყურება!

თუმცა ანა-პრინცესაც არ ინტერესდებოდა დიდად. იგი კარაბოკის ცხედართან მისულიყო და ჩურჩულით მოთქვამდა, შემინდე, კარაბოკ, შენ სიყვარულს ჯეროვნად ვერ ვაფასებდიო.

- ის ოფიცერი ვინლაა, ანა-პრინცესას გვერდიდან რომ არ ცილდება?



- მისი დიდი თაყვანისმცემელია. ამბობენ, ზღვის იქით უგრძეს პლანტაციებს ფლობსო. არასდროს მიგატოვებო, შეუფიცია ანა-პრინცესასთვის. ამას მრავალი შესწრება. ისე ეს ამბავი სოლომონსაც აწყობს, თავისი ქმედება რომ გაამართლოს, ვითომ ექვთანონის ნიადაგზე აქცია ზურგი ანა-პრინცესას.

- ეგ სოლომონი დიდი გაქნილი ვინმე ჩანს!

- ჰო, შესაძლოა, მაგრამ თავისი ნათესავის ჩრდილიც არ არის. ბილნი აბდია სულ სხვა იყო, მის გაქანებას სულ სხვა მასშტაბები ჰქონდა. ვითომ პრეფექტის ქალიშვილს ჰყვარობდა, მაგრამ მის მოსატაცებლად მისულმა სასიამაროს სეიფი მოჰპარა!

- მერედა საცოლემ აპატია?

- იცი, რა მოიფიქრა, ეს იმიტომ ჩავიდინე, შენ რომ მიხვედრილიყავი, მართლაც ვიყავი მოსული შენს მოსატაცებლადო. მაგრამ გარემოებათა გათვალისწინება მომიწია და დროებით უკან დავიხიეო. ძალიან ყოჩაღად მოიქცა!

- ფული რაღად მოიპარეო, ეკითხა მისთვის!

- ჰკითხა კიდევ, ანან კი იცი რა უპასუხა, მამ როგორღა მიხვდებოდი, მართლაც მე რომ ვიყავი მოსულიო, ჩემს გარდა სეიფის ნაღებს ვინ გაბედავდაო!

- და ასეთი ამბების მერე მაინც სოლომონს მიჰყვება ცოლად?

- მამ რა ქნას, ცხოვრება ხომ უნდა გააგრძელოს, ბილნი აბდია კარგა ხანია ამ ქვეყნად აღარ არის. თანაც თავს გაიმართლებს, უბინო რომ არ ყოფილიყო, განა სოლომონი მასზე დაინიშნებოდაო.

- ყველანი აქ არიან, მაგრამ ანა-პრინცესას მამინაცვალს თვალი ვერ მოვკარი!

- იგი დიდი კომერციითაა დაკავებული. სარფიან საქმეს გამოჰკრა ხელი. კათედრალურ ბარში სათამაშო ავტომატები დადგა, ცალხელა ყაჩაღებს რომ უწოდებენ, ჰოდა ერთი არიფი ჰყავს გამოქერილი და მთელ ფულს ახარჯვინებს.

- ვინ არის, ვინმე აქაურია?

- ყარანგოზის შესახებ არ გსმენია? დიდძალი ფარის მფლობელები არიან. ყოველ შემთხვევაში იყვნენ, სანამ უმცროს ყარანგოზს არ გადაულოცეს მთელი ავლადიდება. უფრო სწორად, მემკვიდრეობით არგუნეს. ამ ბრიყვმა კი სახლის ფულიც წააგო და ახლა ფარასაც მოუთავა ხელი!

- მამ, ანა-პრინცესას მამინაცვალს დიდხანს ველარც ვნახავთ!

- რატომ ვერ ვნახავთ? ყარანგოზი უკვე გაკოტრდა და ფსონს რითი ჩავა?

5.

ეს ამბავი რომ მოვისმინე, ცუდ ხასიათზე დავდექი. ტაძარში ჯერ ისევ სულთათანას გალობდნენ, გარეთ რომ გამოვედი და ზღვის სანაპიროსკენ გავიწიე. კარგა ხნის ხეტების მერე კათედრალურ ბარსაც მივაგენი და შიგნით რომ შევედი, ცხვარი გულზე მყავდა მიკრული. ორიოდე კაცის გარდა არავინ ჩანდა. ყველანი კარაბოკის დასაფლავებაზე წასულიყვნენ. უმცროსი ყარანგოზის დანახვისას გული შემეკუმშა. იგი პიანინოს სახურავს დაყრდნობოდა განადგურებული. ანა-პრინცესას მამინაცვალი (როგორც შემდგომში შევიტყვე) ისეთი თვალებით მისჩერებოდა, თითქოს მის მოქრთამვას ლამობსო, თანაც

ამისთვის რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი უნდოდა გაეღო. იგი მხნედ გამოიყურებოდა, ჩემს ბატონს კი სახე ნაშლოდა და როცა შემომხედდა, დარწმუნებული ვარ, ერთხანს ვერც კი მიცნო. მეტყველი თვალები კი შერჩენოდა, თითქოს საზრუნავები ცხრა მთას იქით დარჩენიანო. სახეზე მღელვარება აღბეჭდოდა, მაგრამ მისი მზერა მაინც ლოიალობას გამოხატავდა. იჯდა პიანინოსთან მდუმარედ, რომლის სახურავზეც შუშუნა სასმელები ეწყო და გრძნობდა, თავის წარსულს ვერასდიდებით რომ ვერ შეცვლიდა. წარსული ანმყოზე ძლიერია, რადგან ანმყოსაც თავის გავლენის ქვეშ ამყოფებს. მე მაშინ ორიოდე მანუგუმებელი სიტყვა წარმოვთქვი, გულს ნუ გაიტყვ, აღზევებას შეფერხება სდევს მეთქი, ცხოვრება კი მონაცვლეობაა, როგორც დღე და ღამე, ერთმანეთის განუყოფლობით რომ ხასიათდება. განა შეიძლება ეს განრიგი დაირღვეს? კიდევ მრავალ საჭირობოროტო საკითხს შევეხე, მაგრამ მივხვდი, რომ უმცროსი ყარანგოზი არ მისმენდა. უფრო მეტიც, ჩემსკენ არც კი იყურებოდა. თუმცა ჩემი ხმა ნელ-ნელა იზარებოდა და მოვალეობის ზედაპირულ აღსრულებას ემსგავსებოდა. როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ასეთი იყო თანამედროვე ეპოქის მიერ შემოთავაზებული გულწრფელობის სიყალბე.

- არ გმია? - შემანყვებინა მან და თეფში გამომიჩოჩა. ზედ ცოტაოდენი ჩირი, კაკალი, თხილი და ნესვის ნაჭრები ელაგა. სიამოვნებით შევექეცი და ხმა აღარ გამიღია. მან კარაბოკის შესანდობარი დალია. მისი ამბები ზედმიწევნით ცოდნია. იქნებ სწორედ ამან განუმტკიცა აზრი ცხოვრების ამაოების შესახებ.

- ეს რაღა არის? - ცხვარზე მიმითითა მან.

- უკანასკნელი წარმომადგენელი შენი ფარიდან, აი ჟეტონების ტომსიკაც, პირთამდე სავსე!

- თუმცა ამ სიტყვებს მისი დაინტერესება არ გამოუნვევია.

- შენთვის ესა მაქვს! - ხელი ჩაიქნია მან მან და ჯიბიდან ვერცხლისფერი ნახატი ამოიღო, სპილოსძვლისფერი წარწერებით, მოოქროვილ ჩარჩოში რომ იყო ჩასმული. კი არ გადმომცა, შემომჩაჩეჩა. ასე ჩვეოდა, მონყალებისთვის რომ არ შეგექო. ყოველი ქმედების მიზეზი ხომ ან სიძუნწეა, ან ხელგაშლილობა.

- ვფიქრობ, ხელოვნების ქუჩაზე სარფიანად გაიყიდება. ფული კი აღარ მაქვს, ცალხელა ყაჩაღებმა წამართვეს! - მან ხელი სათამაშო ავტომატებისკენ გაიშვირა.

ნახატი მართლაც უბადლოდ შესრულებული იყო. მის შესაძენად კარგა ბლომად გაიღებდნენ. ჩემს ბატონს სევდიანი განწყობა დაუფლებოდა. მელანქოლიკები იმ ალქიმისკოსებს მაგონ-

ებდნენ, დიდხანს რომ იწვალეს, მაგრამ ოქროს ფორმულას ვერაფრით მიაკვლიეს, ხოლო სხვა პერსპექტივები არ ხიბლავდათ, რადგან ციებ-ციხელებით იყვნენ შეპყრობილი. ისინი გულის-ნადებს არიან უმხელდნენ. არც ტყვიისფერი ღრუბელი და არც ჭახჭახა მზე არ გახდებოდა მათი ამოოხვრის მიზეზი. სცენა ბრძოლის ველად მიაჩნდათ, სადაც ან მარცხდებოდნენ, ან იმარჯვებდნენ. შედეგი სცენაზე არ იყო დამოკიდებული. უმცროს ყარანგოზს ფულის შოვნა ცალხელა ყაჩაღებთან სურდა, რომლებიც არაფერს დათმობდნენ, რადგანაც მხოლოდ მიცემული პროგრამის აღმსრულებელი იყვნენ.

ჩემს ბატონს დიდხანს შევეყურებდი უნიათოდ, რადგანაც ვიცოდი, თავის ნამდვილ ნაფიქრალს არასოდეს გააჟღერებდა, თითქოს ასე იმიტომ იქცეოდა, სხვებს რომ არ მიდგომოდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მას არ აკლდა განსაცდელები და შინაგანი გლოვა და თუ წვრილმანი გაუგებრობაც კი წარმოშობს მომცრო ტალღებს, ნაპირს თავდაუზოგავად რომ ენარცხებიან, იგი გაცილებით დიდ გაუგებრობაში მოდიოდა სამყაროსთან.

– ამ უკანასკნელ ცხვარსაც ფსონად დადებ? – მლიქვნელურად ჰკითხა მას ანა-პრინცესას მაინაცვალმა.

– ჰო! – უხალისოდ დაუქნია თავი უმცროსმა ყარანგოზმა – მხოლოდ აქ კი არა, სხვაგან!

ჩვენ ერთად წაშოვედით. მოედანთან წამით შევეჩერდით. ხალხი იშლებოდა, რომელთა უმეტესი ნაწილი პროცესიას შეუერთდა. კარაბოკის დაკრძალვა იმ მწვანე ქვასთან გადაენწყვიტათ. ურმით ისევ იმ გზას დაადგნენ, საიდანაც იყვნენ მოსული.

– მზად ხარ უკანასკნელი სამსახური გამიწვიო? – მკითხა უმცროსმა ყარანგოზმა.

– ჰო! – თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

– მე იმ მწვანე ქვასთან დაგიცდი, კარაბოკის ქვასთან. შენ კი ნახატი წაიღე ხელოვნების ქუჩაზე გასაყიდად, თქვი, რომ ბატონმა გამოგაგზავნა და შეძენის შემთხვევაში ქვითარი მოითხოვე. მაშინ შენ გაცურებას ნაკლებად შეეცდებიან. მერე გაიკითხე, სად მდებარეობს გოლგოთის ტაძარი და იქ ერთად გავნოთ!

ასეც მოვიქეცი. ხელოვნების ქუჩაზე ძვირფასეულობის შემსყიდველებს მივადექი, თუმცა მხოლოდ ერთი მათგანი დამიხვდა და მას, როგორც ჩემმა ბატონმა დამარიგა, ისე დაველაპარაკე. ფასზე მალე შევთანხმდით. იმაზე მეტი ავიღე, ვიდრე წარმომეფინა და ქალაქის ფოსტისკენ გავიწვიე. გოლგოთის ტაძრის შესახებ იქ უფრო ეცოდინებათ მეტი. ქალაქიდან მოშორებით ყოფილა, ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ

დაბაში. მდებარეობა დანვრილებით გამოვიკითხე. მერე კმაყოფილი წამოვედი სანაპიროს ქუჩით, მაგრამ პალმებს რომ გამოვცდი, უცებ ხმა შემომესმა:

– ჰეი, მეცხვარე! – ანა-პრინცესა იყო. ზღვის მხრიდან სწრაფი ნაბიჯებით მიახლოვდებოდა, თითქოს მზის სხივებს მოჰყვებოდა. ხელში ბეკეკა ეპყრა სათუთად.

– შემინდე, ასე რომ მოგმართე, მაგრამ შენი სახელი არ ვიცი. მე წყალქვეშა გემით მივდივარ სამოგზაუროდ. მითხრეს, იქ ვერ გაძლებსო, ჰოდა უნდა დაგიბრუნო. შენზე კარგად ვინ მიხედავს! – ეს თქვა და ბეკეკა ხელში შემომაჩერა, მერე ფაფუკ შუბლზე მიეფერა და დაგვტოვა. მას სახე ნამტირალევეს მიუგავდა, მაგრამ მტკიცედ გადაენწყვიტა, ამ ქალაქში ერთი დღეც აღარ დარჩენილიყო. მე წარმოვიდგინე, როგორ ავიღოდა ანა-პრინცესა წყალქვეშა გემზე, როგორ გაულებდნენ მძიმე და ჭრიალა ლუკს და როცა შიგნით აღმოჩნდებოდა, ზეცას ოხვრა შეძრავდა. გემის ის ნაწილი, რომელიც ზედაპირზე მოჩანდა, კამკამა წყლის სიმწვანეს შეერეოდა და დარჩებოდა სევდიანი ქალაქი თავისი უტყვი ქვაფენილებით ანა-პრინცესას გარეშე. ბედნიერება, მუსიკა და მხიარულება კი უკიდევანო წყლისქვეშეთს შეეხიზნებოდა.

მწვანე ქვასთან სიჩუმე სუფევდა. კარაბოკი მიწას მიეხარებინათ და ნიჩაბს დაყრდნობილი მესაფლავისა და ჩემი ბატონის გარდა აღარავინ იყო. მას ჩემთვის არაფერი უკითხავს. ჩვენ გოლგოთის ტაძრისკენ დავიძარით და დიდხანს მივდიოდით – ორი ადამიანი და ორიც ცხვარი. შეთქმულებს ვგავდით, საგანგებო დავალების აღსრულებამდე ხმას რომ არ იღებენ. ნელი ნაბიჯებით სიარული ხომ ხელის ჩაქნევას განასახიერებს და იგი ბედთან შეგუებულ ადამიანებს ჩვევიათ. დანიშნულების ადგილს ჩვენ მხოლოდ საღამოს მივალნიეთ. ჩემი ბატონი გოლგოთის ტაძრის ეზოში შევიდა და ცხვარი ბალახზე დაანვინა. მან ღმერთს კარაბოკის სული შეავედრა და ბერთან სასაუბროდ განმარტოვდა. მე მთელი ის დრო ფერდობზე ვინეკი. დიდხანს ვუმზერდი ბეკეკას და მწვანე ბალახის ძოვას. მერე უზომოდ დაღლილობა ვიგრძენი და ძილი მომერია. როცა ირიჟრაჟა, ჩემი ბატონი ტაძრის ეზოდან ჩემსკენ გამოემართა. მე ფეხზე წამოვდექი, მან კი მანიშნა, ბალახზე ჩამოვსხდეთო.

– აქ ვრჩები! – თქვა მან – წინამძღვარს ველაპარაკე და თავის საქმეში ჩამრიცხა. ცოტა არ იყოს, გულზე მომეშვა, რადგან გამოსავალი გამოჩნდა!

– შენ რას აპირებ? – მკითხა ბოლოს.

რა უნდა დამეპირებინა? სოფელში დავბრუნდებოდი. ჩემებს მივხედავდი. ამ ბეკეკას დიდ ფარად ვაქცევდი. ყოველ შემთხვევაში შევეცდებოდი. მთავარი ის იყო, რომ გზა გამოიკვეთა, რომელსაც უნდა დავდგომოდი. ყველანი ხომ იქით მივიწვევთ, საითაც ჩვენ-ჩვენ გზას მივიკაფავთ. დიდხანს ვდუმდით, მიდამოს გავყურებდით და ჩვენ ჩვენსას ვფიქრობდით. ბოლოს უმცროსი ყარანგოზი წამოდგა, ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და მე შინისკენ მიმავალ გზას დავადექი. დარწმუნებული ვარ, იგი დიდხანს გამოჰყურებდა დაღვრემილ ლანდშაფტს, რომლის წიაღშიც მე მივაბიჯებდი, როგორც უკანასკნელ კავშირს წარსულთან, სანამდე თვალს არ მივეფარებოდი. მერე კი თავის სენაკს სამუდამოდ მიაშურებდა.

იაკონური ტრადიციები ასუ სველი ლექსები

თემო ჯავახი

აგვისტოს თვეა.

ინვის... ინვის თბილისი და ამის გამო მთლიანად დაცარიელებულია ქალაქი.

გაეცალნენ აქურობას შენუხებულები: ღარიბები და მდიდრები, ბოზები და პატიოსნები, გაქსუებული ბანკირები და ბიზნესმენები, კეთილის მსურველი დიპლომატები და აფერისტი პოლიტიკოსები, ჩლუნგი ჯიპიანები და გონებასუსტი გადამყიდველები, განმანათლებელი პოეტები და ჩათლახი ნომენკლატურის წარმომადგენლები, სადისტები და საბისტები...

ზოგმა ზღვის გრილ ტალღებს მიაშურა, ზოგმა მთას, ზოგი სოფელშია – ზოგიც საზღვარგარეთ. ზოგიერთი კი ჩემსავით სახლშია შეყუყულები და ვენტილატორისათვის მიუშვერია მხურვალე შუბლი.

ისე – აქ ჩარჩენილებსაც გამოგვივიდა ერთგვარი დასვენება, რადგანაც – თუ გაბედავ და გარეთ გახვალ, თავისუფლად გაივლი საყვარელ ქუჩებში, ტროტუარზე... წინა თვეებში ათიათასობით ავტომობილით რომ იყო დაკავებული და ავტოსადგომის ფუნქციას ასრულებდა. აღარავინაა გარშემო და ამიტომაც აღარ ისმის ხმამალალი ლაპარაკი, ყვირილი და გინება. სიმშვიდეა... სიმშვიდე, მაგრამ რად გინდა?

ინვის!... ინვის თბილისი!

ტელეპატია რომ არსებობს... საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში. როდესაც მონყენილობის ყველა ზღვარს გადავაბიჯე და მეგობართან დარეკვა გადავწყვიტე, ზუსტად იმ დროს გაისმა მობილურის ხმა. წარმოიდგინეთ – ერთმანეთის მიყოლებით დამირეკა ორმა ძმაკაცმა და მაუწყა, რომ უკვე დროა, სერიოზული პროტესტი გამომოვუცხადოთ დაუნდობელ ბუნებას და ცივი ლუდის დახმარებით დროებით მაინც ჩავაქროთ ეს საშინელი ხანძარი.

მე, რა თქმა უნდა, დაუფიქრებლად დავთანხმდი და სამივემ სასწრაფოდ მივაშურეთ ამ გაბედული „პროექტის“ განსახორციელებლად შესაბამის ორგანიზაციას.

შევაღეთ კარი და... სიგრილე, ლამაზი მიმტანი გოგონა... და... სამი კათხა ცივი ლუდი.

ოოო!.. ღმერთო!.. განა არსებობს ცივი ლუდის პირველი ყლუპისგან მიღებულ სიამოვნებაზე უკეთესი

რამ ასეთ სიცხეში? გრძნობ, როგორ აგრილებს გზადაგზა შენს სხეულს ეს კეთილშობილი სითხე და ამას ველარაფერი შეაჩერებს. მოიხსნი კათხას ტუჩიდან, ტუჩზე შერჩენილ წვეთსაც მოილოკავ... ამოისუნთქავ და თვალბემილულული დაიბუდებ ნირვანულ განწყობილებაში. გააბოლებ... ღიმილით გადახედავ თანამებრძოლებს და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ჭეშმარიტ გზას დაადექი.

როდესაც ორ-ორ კათხა ლუდს კიდევ შეისისხლხორცებთ... ნეტარებ და გახსენდება, რომ სრული ბედნიერებისათვის ერთი ბოთლი ცივი არაყი და ოცი ხინკალიც არ იქნებოდა ცუდი.

წარმოიდგინეთ – ცხელი ხინკლის ორთქლის სურნელი და კონდიციონერის სიგრილით გაჯერებული სამოთხე, რომელიც დროებით მაინც გავინწყებს ორმოცდაოთხგრადაუსიან ჯოჯოხეთს, რომელიც მინის კარს ლოკავს მხურვალე ენით და შენს გასვლას ელოდება გარეთ. მოკლედ, ერთობ წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი მცირებიუჯეტოანი პროექტი, მაგრამ... ვინაიდან „ყველაფერი წარმავალი და დროებითია“... ჩვენი დროც ამოიწურა.

რას იზამ? რეალობა რეალობაა. თუმცა, ფარ-ხმალი არ დაგვიყრია და ნეტარების გაგრძელების მიზნით ახალი ედემის აღმოსაჩენად გარეთ გამოვედით.

1.

თავი ჯერ კიდევ ბოლომდე არ გვექონდა გამოყოფილი კარიდან, რომ მზის ცეცხლოვანი ისრები მწარედ ჩაგვეჭედა თავში. ცხელმა ჰაერმა სუნთქვა შეგვიკრა. ცივი, კეთილშობილი ლუდის სითხე კი ერთ ნუთში მლაშე ოფლის სახით ჩამოგვეღვენთა შუბლიდან. თვლები აგვეწვა, მაგრამ დანებება არც გვიფიქრია. ვორონცოვის მოედნიდან სწრაფად გადავუხვიეთ ხელმარჯვნივ და... წინ-წინ და ჩრდილ-ჩრდილ გავაგრძელეთ გზა. ეს აყრილ-დაყრილი ვინრო ქუჩა, სადაც უამრავი წვრილმანი ჯიხური და სათავსოა, მიუხედავად „სექენდ ჰენდის“ მალაზიების წინ ფერადოვანი გამოფენებისა, მაინც მონყენილად და მიტოვებულად გამოიყურება, რადგანაც უკაცრიელია და კანტი-კუნტად თუ გამოივლის ვინმე თავზე ხელდაფარებული. თუმცა, ქუჩის ბოლოსკენ რაღაც მოძრაობაა. იქ, სადაც მაცივრებისა და მტვერსასრუტების სარემონტო

სახელოსნოა და ირგვლივ ჟანგიანი დეტალებია გაფანტული, სამი ახალგაზრდა მამაკაცი ტრიალებს. ერთ-ერთს ხელში წყლის შლანგი მოუმარჯვებია და თავის კოლეგას ცივი წყლის ნაკადით უგრილებს ფეხებს. კაცს შარვლის ტოტები აკაპინებული აქვს და წყლის სიცივის გამო ხან ერთ ფეხს ნევს მალა, ხან მეორეს. ასე ხტუნავს ანცი ბიჭივით და სამივე გულიანად იცინის. ხარხარებენ და თანაც აქეთ-იქით იცქირობიან. შეეჩერდით და ჩრდილს შეფარებული ღიმილით ვაკვირდებით მათ ქმედებას. ერთხანს ასე ვიდევით და შევცქეროდით ამ სანახაობას, სანამ ჩვენს სამეულს არ გამოეყო პოეტი მეგობარი და მისთვის ჩვეული უცნაური სიარულის მანერით შლანგიანი მამაკაცის წინ არ აღმოჩნდა. ცოტა დავიძაბეთ. მან რალაც უთხრა შლანგიანს, რომელსაც გაელიმა და თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. ქრისტესავით ხელგებამილი პოეტი შლანგიანის წინ დემონსტრაციულად გაშეშდა და გაინაბა. მოულოდნელად მამაკაცის მალაანეული შლანგიდან სნაიპერის ნასროლი ტყვიასავით ზუსტად დაეშვა წყლის ჭავლი პოეტის თეთრ კეპზე. ესეც იოანე! ესეც ნათლობა! – გავიფიქრე. წყალი ქოლგასავით იშლებოდა პოეტის კეპიდან და მთლიანად ფარავდა მის გახურებულ სხეულს. სიამოვნებისაგან თუ ცივი ჭავლის შეხების გამო, პოეტს უცნაურად შეეკუმშა სხეული. შემდეგ ხელები მალა ასნია მადლობის ნიშნად და ჩვენკენ გამოემართა. ისეთი სახით მოდიოდა, თითქოს ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი დაემარცხებინოს. იცინოდნენ ხელოსნები, ვიცინოდით ჩვენც. იცინოდა ქუჩის კუთხეში ჩამჯდარი მოხუცი ქალიც, რომელსაც მარჯვენა ხელი წინ გამოენია, თითქოს მზის სხივებს აგროვებო, მარცხენათი კი თავის უკბილო, გაცინებულ პირს იფარავდა. ველარ ვიხსენებ, მომეჩვენა

თუ მართლაც შევამჩნიე პოეტის პერანგის ზედა ჯიბეში წყლისგან დასველებული და შენებებული ქალაღდის ფურცლები. – სველი პოეტი!.. სველი ლექსები – ამეკვიატა ეს ფრაზები და დანინაურებული პოეტის გალუმპული შარვლის ტოტებიდან ჩამონადენი წვეთებით ასფალტზე დარჩენილ კვალს გავყევი ჩაფიქრებული. „რა უცნაურები არიან ხელოვანები“... (შერბილებული ფორმით) იტყვის ვინმე. ზოგი სასაფლაოზე იძინებს და ხეებიდან კითხულობს თავის ლექსებს.

2.

ზოგი არაყში ახრჩობს მაცდურ სიტყვებსა და აგრესიულ ფრაზებს. ზოგი ლექსებს ხარშავს და მის „ბულიონს“ სთავაზობს „სმენადაკარგულებს“. ზოგი კი... აი ასეთი ფორმით უბრუნდება საკუთარ ბავშვობას. ათას ჭორსა და მართალს ჰყვებიან პოეტებზე და მხატვრებზე. მათ შეშლილობაზე და უცნაურობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ჯიუტად ვაგრძელებთ გზას... ჯიუტად და თავდაჯერებულად. საით? – იკითხავთ. რას გაიგებ? ალბათ ბავშვობისკენ... ანდა დახატული გზის მიმართულებით, სანამ ფურცელს არ გადაკვეთს. განა შენთვის სულერთი არაა? მთავარია, ამ გაგანია ცხოვრებაში თავი შეაფარო შემხვედრის გულიან ღიმილს. გამონვდილ ხელს – კამკამა წყლით სავსე ჭიქით. მთავარია, არ დაკარგო იმედი და ყოველთვის მოიძებნება ცივი, მაგრამ ერთი ბოთლი ცეცხლოვანი სითხე, რომელიც დაგავინყებს ამ საექსპერიმენტო ქვეყანაში არსებულ ქაოსსა და უსახობას, რომელიც დაგეხმარება, „ღირსეულად“ აღასრულო ეს დედამოტყნული... – ქართული ხარაკირის რიტუალი.

2014 წ. აგვისტო



4

ბიოგრაფიული პროზა

ნაზიმ ჰიქმეტი

ვიტოლდ შაბლოვსკი

ვიტოლდ შაბლოვსკი პოლონეთში, 1980 წელს ოსტროვ მაზოვეცკში დაიბადა. ამჟამად ის ვარშავაში ცხოვრობს და მუშაობს. პროფესიით ჟურნალისტი და რეპორტიორია. თავის დროზე მსახურობდა TVN 24-ში, ჟურნალ "Duzzy Format"-სა და "Zateta Wyborcza"-ში. ის ვარშავის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. პოლიტოლოგიას სტამბოლშიც სწავლობდა. შაბლოვსკი კარგად იცნობს თურქეთს, ვინაიდან სწავლასთან ერთად ის ამ ქვეყანაში, კერძოდ კი CNN Türk-ში მუშაობდა კიდეც. თურქეთისადმი მიძღვნილი რეპორტაჟისათვის – „ეს სიყვარულით, დაო“ – Amnesty International-ის კონკურსზე, რომელიც ადამიანის უფლებების სფეროდან ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებებს გამოარჩევს, ის მედლით „იმედის კალამი“ დაჯილდოვდა. 2010 წელს შაბლოვსკი რეპორტაჟისათვის „დღეს აქ ორი გვამი მოცურდება“, – ევროპარლამენტის მიერ დაწესებული ჯილდოს მფლობელი გახდა. ამ ჯილდოს ევროკავშირში შემოსული არალეგალური იმიგრანტების ცხოვრებაზე დაწერილ საუკეთესო ნაწარმოებს ანიჭებენ.

ყველაზე გამოჩენილი თურქი პოეტის გვარი ბოჟეცკია და ბინა პოლონეთის სეიმში დაუდგია.

ტუვიმი, თუმცა თურქული ერთი სიტყვაც არ იცის, მის ლექსებს მოხიბლული უსმენს. ბრონიევსკი არაყზე პატიუებს. ოსტროლევცკელი ქალბატონი ჰალინა კი ერთ-ერთ წერილში წერს, რომ მასთან ცხოვრება და მისგან ბავშვები სურდა.

ამაში გასაკვირი არაფერია. ნაზიმ ჰიქმეთ ბოჟეცკი ცოცხალი ლეგენდაა. კომუნისტური იდეების გამო რამდენიმე წელიწადი ციხეში გაატარა. მის საავტორო სალამოზე უამრავი ხალხი იკრიბება, ხოლო მისი ლექსების ყოველი ტომი ნამდვილი სენსაციაა.

თურქი პოეტი მუდამ ხაზს უსვამს, რომ პოლონელები სტუმართმოყვარე ხალხია, ხოლო პოლონური ბუნება ულამაზესი. თუმცა, აღიარებს, რომ სტამბოლის გარეთ ცხოვრება მისთვის ძალზე ძნელია. მაგრამ უკან დასაბრუნებლად ყველა ხიდი გადამწვარი დატოვა.

ათათურქი

ვიდრე ამ დიდ პოეტზე საუბარს დავიწყებდეთ, ცოტა წარსულს დავუბრუნდეთ. თავდაპირველად | მსოფლიო ომს. დასა-

შლელად განწირული ოსმალეთის იმპერია გერმანელების მოკავშირე ხდება.

– სულთანი ომს აგებს. მეზობლები და დიდი სახელმწიფოები ჩვენს სახელმწიფოს ისე ჭრიან, როგორც მზარეული ქებაბს – მესაუბრება სულეიმან აქსაი, სტამბულელი ისტორიკოსი – სასონარკვეთილი სულთანი კაპიტულაციის აქტს აწერს ხელს. ეგეოსის ზღვის სანაპიროები ბერძნებს გადაეცათ, ხოლო აღმოსავლეთ თურქეთი ანტანტის სახელმწიფოებმა, ასევე სომხებმა და ქურთებმა დაინაწილეს.

აქსაი ყოველივე ამას ისე აღგზნებული მიყვება, თითქოს ამ მნიშვნელოვან ღონისძიებებში თავად ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული. ხელებს იქნევს, ხმას იბოხებს, პაუზებს აკეთებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასი წლის წინანდელ ისტორიას გადმოსცემს.

ასე იქცევებიან თურქები, როდესაც საუბარი ათათურქს ეხება.

– ქვეყნის დანაწევრებას ახალგაზრდა ოფიცრები წინ აღუდგნენ. ისინი ქარიზმატული ლიდერის, მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით



მეუბნება ერთი ჩემი თურქი ნაცნობი. – ეს იყო ქვეყნის ახლიდან შექმნა. მანამდე ჩვენ მსოფლიო ისლამის ცენტრი, მექასა და მედინას უმთავრესი მფარველები ვიყავით. მოულოდნელად კი რელიგიასთან მებრძოლ ქვეყნად ვიქცით.

საიდან იღებს დასაბამს ეს ცვლილებები? ამ კითხვას გასული საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლებიდან გამუდმებით სვამენ მთელ მსოფლიოში. ამიტომ თურქეთის ხელისუფლების ემისრები მთელ მსოფლიოში დადიან და დიპლომატებს უხსნიან, თუ რაში მდგომარეობს რეფორმების შინაარსი. „ისლამის ერთიანობა მითია, რომელსაც ახალი ცხოვრება შეიძლება მისცეს თურქი ხალხის აღორძინებამ – ამბობს პოლონეთის საელჩოში სტუმრად მოსული თურქეთის ატაშე ბერლინში. – ჩვენ უკვე აღარ ვართ მუეძინებისა და ჰარამხანების ქვეყანა. ამის წყალობით ის ხელოვნური კედელი, რომელიც თურქეთს თანამედროვეობას ამორებდა, დაეცა“.

ბრძოლას იწყებენ – მეუბნება აქსაი – მისი გენიოსობის წყალობით იმარჯვებენ ბერძნებზე და სულთანს ძალაუფლებას ჩამოართმევენ. მუსტაფა ქემალი პირველი პრეზიდენტი ხდება.

ასე იწყება ისტორია, რომელსაც თურქი ბავშვი, შუალამისასაც რომ გააღვიძო, მოგიყვება. პრეზიდენტი ქემალი თავის წინაშე უჩვეულო და გრანდიოზულ ამოცანებს აყენებს. მას ათი წლის განმავლობაში სურს დაქვეუდურ და ჩამორჩენილი ოსმალეთი ცივილიზებულ ქვეყანად აქციოს, ხოლო ჩადრიანი ქალი – თანამედროვე ქალბატონად – ევროპის სრულუფლებიან მოქალაქედ. ამ გეგმის მასშტაბებს დღემდე ალტაცებაში მოჰყავს მისი თანამედროვე დიდი სახლმწიფოების მეთაურები (თუნდაც ირანის ყოფილი შაჰი მოჰამედ რაზა ფაჰლავი, ტუნეზიის პირველი პრეზიდენტი, ჰაბიბ ბურგიბე, პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი, პერვეზ მუშარაფი, ხოლო ბოლო ხანებში საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი).

– ისეთ რეფორმებს ატარებს, როგორც არავინ – ამბობს აქსაი – ნაცვლად ისლამური კალენდრისა – ევროპული, შარიათის ნაცვლად თანამედროვე კანონები და კოდექსები შემოაქვს. სასულიერო პირთა ხელისუფლების ნაცვლად – სეკულარიზმი.

ქალებს საარჩევნო უფლებას გაცილებით ადრე აძლევს, ვიდრე მრავალი ევროპული ქვეყანა, არაბულ ანბანს ლათინურით ცვლის, სახელებს უფრო თურქულით. თავადაც სახელს გამოიცვლის და 1934 წლიდან ათათურქად ანუ თურქების მამად იწოდება.

მის სიტყვებს საფუძველს ათათურქის საქმეები უმაგრებს. ის დაუყოვნებლივ აგზავნის ჯარისკაცებს იმ მამაკაცებისათვის სასროლად, რომელთაც თავიდან ტრადიციული ფესვის მოხდა არ სურთ. „ცივილიზებული, თანამედროვე ტანსაცმელი ღირსი და შესაფერისია იმისა, რომ ის ჩვენმა ხალხმა ატაროს და ვატარებთ კიდევ. ტუფლები, შარვალი, პერანგი და ჰალატუხი, კოსტუმი და ჟილეტი და ასევე – რაც ბუნებრივია მთელი ამ კომპლექტისათვის – თავზე ქუდი. ამ ქუდს კი ცილინდრი ეწოდება. დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ყველასთვის ნათელი იყოს“. – ამბობს თურქების მამა და ეგრეთწოდებულ „ცილინდრის კანონსაც“ შემოიღებს.

სხვა დროს მუსლიმანურ ჩადრს აკრიტიკებს: „დავინახე ქალები, რომლებიც თავზე ქსოვილის ნაჭერს, ხელსანმენდს თუ მსგავს რაღაცას იხვევენდნენ, რათა სახე დაემალათ. [...] რა აზრი და მნიშვნელობა აქვს ასეთ საქციელს? ნუთუ ჩვენმა დედებმა და ქალიშვილებმა უნდა აიტანონ ასეთი ბარბაროსული საქციელი? ეს ისეთი სურათია, რომელიც მთელ ხალხს დაცინვის ობიექტად აქცევს.

ისტორიკოსი სულიემან აქსაი დიდი პატივისცემით ეპყრობა ამ სიტყვებს:

– ძალზე დიდი გაბედულება ჰქონდა! არადა, დედამისიც კი იბურავდა სახეს! დიახ, მაგრამ ის რეფორმებს ვერ მოეხსნო.

ჯალალედინი

1. პოლონეთის სეიმში დასახლებულ პოეტზე მოსაყოლად დროში კიდევ უფრო უკან უნდა დავიხიოთ. 1876 წელია. მამაც გენერალ მუსტაფა ჯალალედინს ჩერნოგორელებთან ომში კლავენ.

ოსმალ ჯარისკაცებს ძალიან შეებრაღათ გმირი გენერალი, რომელიც სულ პირველი ეცემოდა ხოლმე მტერს, ამასთან, მხოლოდ ხმლით.

სამი ცხენი მოუკლეს, თავად კი ექვსჯერ დაჭრეს ადრე, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მუსულმანი, არც გრძელ წვერს ატარებდა და არც ჩალმას. წინა ცხოვრებაში. მაშინ ჯალალედინს კონსტანტინე ერქვა და გვარად ბოუეცკი იყო. ის ვროცლავის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

2. ათათურქის რეფორმებმა თურქული ცხოვრება სულ წაღმა დააყენა. – ეს სულაც არ ყოფილა რეფორმები –



გალატაკებული არისტოკრატიული ოჯახიდან წარმოდგე-
ბოდა; მხატვარი უნდოდა გამოსულიყო. ტალანტი ჰქონდა, ორი
წელიწადი ვარშავის ნატოფი ხელოვნების სკოლაში სწავლობდა.
მაგრამ ოჯახს არ ძალუძდა ასეთი ხარჯების გაღება. კონსტან-
ტინე იძულებული შეიქმნა ხელოვნების სკოლაში სწავლისათ-
ვის თავი დაენებებინა და მღვდელი გამოსულიყო. 1848 წელს
ახალგაზრდა ბოჟეცკი სასულიერო სემინარიიდანაც გაიქცა და
პოლონეთის დიდ აჯანყებას შეუერთდა. როდესაც აჯანყება
დამარცხდა, სასტუმრო „ლამბერტის“ დახმარებით თურქეთში
გაიქცა. ნათესავებს არაფერს ატყობინებს. მისი ბიოგრაფი ეფი
ს. ლატკა წიგნში „ფაშა ლიხისტანიდან“ ეჭვობს, რომ არის-
ტოკრატიული ოჯახი ვერ პატიობდა მას სემინარიის მიტოვებას.

ბოსფორის პირას აჯანყების ყოფილი მონაწილე, ისევე, რო-
გორც ათასობით სხვა პოლონელი, გამაჰმადიანდება და კარი-
ერას ოსმალეთის არმიას დაიწყებს.

2.

ბოჟეცკი ბრწყინვალე კარისკაცია. მაგრამ მან ხალხს თავი
უფრო პუბლიცისტიკით დაამახსოვრა. უკვე ემიგრაციაში საკუ-
თარ თავს ასეთ კითხვას უსვამს: თურქეთი ევროპაა თუ აზია?
და მასზე პასუხს წიგნში, „ძველი და ახალი თურქეთი“, იძლევა.

ბერნარდ ლევი, თურქეთის და თანამედროვე სახელმწიფოდ
მისი დაუსრულებელი მცდელობების შესანიშნავი მცოდნე, მას
ათათურქის რეფორმების ერთ-ერთ მერცხლად მოიხსენიებს.
თურქების მამაზე ნახევარი საუკუნით ადრე ბოჟეცკი ასკვნის:
თურქები ისეთივე ევროპელი ხალხია, როგორც ფრანგები თუ
პოლონელები. ის თავის კონცეფციას თუროარიონიზმად მოიხ-
სენიებს. ის ამავ დროს აყენებს საკითხს არაბული ანბანის
ლათინურით შეცვლის თაობაზე.

ორმოცდაათი წლის შემდეგ ათათურქი ბოჟეცკის წიგნში
მრავალ ადგილს მოინიშნავს. ხოლო იქ, სადაც საუბარი ანბანის
შეცვლას ეხება, მიაწერს: „შესრულდეს“.

და შეასრულებს კიდევ. ანბანის შეცვლა მისი დიადი
რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად ითვლება.

ეფი ს. ლატკა ბოჟეცკის თურქების წინაპრად მოიხსენიებს.

„ეს პოლონელი ბაჯადლო ოქროს ძეგლს იმსახურებს“ –
ამბობს ჯალალედინ-ბოჟეცკიზე თავად ათათურქი.

ჰიქმეთი

1.

ჯალალედინის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის გასე-
ლის შემდეგ თურქთა მამა საბერძნეთთან ომს ამთავრებს და რე-
ფორმებს იწყებს. იმავე დროს კონკიაფლარუნათა რაზმი სტამბუ-
ლიდან ანკარისკენ, – ქვეყნის ახალი დედაქალაქისკენ დაიძრება.
მას ახალგაზრდა პოეტები შეადგენენ. მათ შორის ყველაზე ჭკვი-
ანი და ნიჭიერი ნაზიმ ჰიქმეთია. მამამისი გენერალი იყო. პაპა –
სალონიკის, იმ ქალაქის ბოლო თურქი გუბერნატორი, რომელ-
შიც ათათურქი მოველინა ქვეყანას. მისი პაპის-პაპა კი მუსტაფა
ჯალალედინ-ბოჟეცკი იყო.

ჰიქმეთს მეგობრებთან ერთად სურს თავისი ტალანტით ახალ
ხელისუფლებას ემსახუროს. ათათურქს მოსწონს მათი ენთუზიაზმი.

– ეუბნება, რომ ლექსები დანერონ „რალაცის
გამო“ და არა მხოლოდ წერისათვის – ამბობს რა-
ბია ჩიჩეკი, რომელიც ჰიქმეთის ომამდეღ შემო-
ქმედებას სადისერტაციო ნაშრომს უძღვნის. –
სურს, რომ ამით მის რეფორმებს დაეხმარონ.

ჰიქმეთი ათათურქით აღტაცებულია. მა-
გრამ მალე რუსეთში რევოლუციური ცეცხლი
აგიზგიზდა და პოეტი სასწავლებლად რუსეთში
მიდის. მას აოცებს მეიერჰოლდის ხელოვნება,
მეგობრობს მაიაკოვსკისთან, გულთან ახლოს
მიაქვს ლენინის იდეები.

რაბია ჩიჩეკი: – წლების შემდეგ გაიხსენა, რომ
იმ მარშმა სტამბულიდან ანკარამდე მოახდინა
მისი კომუნისტად ჩამოყალიბება. ზუსტად მაშინ,
ახალგაზრდა, განებივრებული, მდიდარი ოჯახ-
იშვილი პირველად შეეჩეხა სილარიბეს, პირვე-
ლად ნახა ისეთი ადამიანები, რომელთაც ლუკმა
პური ენატრებოდა. მის გონებაში იმ აზრმა დაიწყო
ტრიალი, რომ ამ ხალხისათვის ღირს სამყაროს
შეცვლა. მოსკოვიდან სამშობლოში ასპროცენ-
ტიანი კომუნისტი ბრუნდება: ბოსფორის პირას
პროლეტარული რევოლუციის დაწყება სურს.

2.

ოცდაათიან წლებში თურქეთის ხელისუფლე-
ბა თანდათან ავტორიტარული ხდებოდა. სსრკ-
თან თურქეთის ურთიერთობა ჯერ კიდევ არ
გადიოდა ბენვის ხიდზე. მაგრამ საბჭოთა ამხ-
ანაგებს ჰქონდათ ექსპანსიის გეგმა და მათ შო-
რის, თურქეთის მიმართულებითაც. ბოსფორის
პირას შეუძლებელია, ეს მოსწონებოდათ.

ჰიქმეთი, როგორც ჭეშმარიტი კომუნისტი,
თავისი შეხედულებების გამო რამდენჯერმე
მოხვდა ციხეში. მაგრამ ათათურქს ახსოვს,
რომ ის ჯალალედინ-ბოჟეცკის შვილიშვილია და
ვიდრე ის ცოცხალია, პოეტს დიდი ხნით არა-
სოდეს უწევს იქ ყოფნა.

მას დიდება პოეტურმა ბარათებმა მოუტანა,
რომელთა ავტორიც ახალგაზრდა ეთიოპიელია,
და რომლებიც მისი ცოლის, ტარანტა ბაბუსად-
მია მიძღვნილი.

ცხოვრება მშვენიერია,
ტარანტა ბაბუ!
ძალზე, ძალზე მშვენიერი,
უნდა ვიკითხოთ, როგორც სიბრძნის წიგნი,
შევიგრძნოთ, როგორც სიყვარულის სიმღერა,
გავოცდეთ, როგორც ბავშვი
და ვიცხოვროთ, ვიცხოვროთ, ვიცხოვროთ!

– თავადაც ისე უყვარდა ცხოვრება, რომ
მზად იყო, მისი გულისათვის მომკვდარიყო –
მეტყვის წლების შემდეგ მისი კარგი ნაცნობი.



3.

თურქული პოეზიისთვის ჰიქმეთი ისეთივე დიადი სახელია, როგორც პოლონეთისათვის რეი, კოხანოვსკი და მიცკევიჩი. ასეთი მსგავსება მისთვის მოიგონა მისმა მთარგმნელმა და მეგობარმა ქალმა მარგალიტა ლაბეტკა-კოხენოვამ.

რეი იმიტომ, რომ როგორც რეიმ დაიწყო პირველად პოლონურ ენაზე მხატვრული ნაწარმოებების შექმნა, ისე ჰიქმეთმა დაწერა პირველი თურქული ლექსები. მანამდე ბოსფორის ნაპირებზე ჰქმნიდნენ რალაც გაუგებარ, ფუყე ლექსებს. თურქული ენა მიჩნეული იყო გლეხთა ენად და მას ნაკლებ პატივს სცემდნენ.

კოხანოვსკი იმიტომ, რომ თურქული ენა სრულყო, განავითარა. საინტერესოა, რომ ჰიქმეთმა წერა-კითხვა არაბულ ენაზე ისწავლა, ხოლო ლექსებს დასაწყისში ლათინურად წერდა.

მიცკევიჩი იმიტომ, რომ თავის რომანტიკული ხასიათის ლექსებს უბრალო ადამიანებისათვის წერდა.

პროფესორი თადეუშ მაიდა, თურქოლოგი: – მას სიტყვის უჩვეულო შეგრძნება აქვს. ძალზე ძნელია მისი პოლონურ ენაზე თარგმნა, რადგან ის სიტყვებს მშვენივრად აბამს ერთმანეთს, ერთობა მათი მრავალზროვნებით, ფონეტიკური მსგავსებით.

ქიჩი

1.

თურქების მამა 1938 წელს კვდება. რამდენიმე თვის შემდეგ ჰიქმეთს იჭერენ – ჯარისკაცები ბუნტისათვის განაწყვეო. მტკიცებულება? ერთ კადეტს ლეიბის ქვეშ მისი ლექსების წიგნი უპოვეს. სასჯელი? 28 წელიწადი პატიმრობაში.

2.

ჰიქმეთი ციხეში ზის, ჰაერში კი დენტის სუნი ტრიალებს, საცაა, II მსოფლიო ომი დაიწყება. შემდეგ, როგორც კი ჩადგება ომის ქარბორბალა, ევროპა „რკინის ფარდის“ ჩრდილში გაისუსება.

ამ წლების ატმოსფეროს მშვენივრად ახასიათებს ანეკდოტი:

– მამიკო, III მსოფლიო ომი იქნება?

– არა, შვილო, მშვიდობას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ.

დაახლოებით ამ პრინციპით სტალინმა ჩამოაყალიბა მშვიდობის დამცველთა კომიტეტი, რომელსაც ავენიანები ამხანაგ სტალინის ცირკს ეძახდნენ. ეს კომიტეტი აქტუალურს გახდის დაპატიმრებული თურქი კომუნისტის საქმეს და თურქეთს მისი გათავისუფლებისაკენ მოუ-

წოდებს. მისთვის განსაკუთრებით მემარცხენე შეხედულებების ხელოვანები – პიკასო, წერუდა და სარტრი გამოიდებენ თავს. მათ მთელ მსოფლიოში ათასობით ადამიანი უჭერს მხარს.

თურქეთმა II მსოფლიო ომში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, მაგრამ ცივი ომის დროს დასავლეთისაკენ გადაიხარა და ნატოს წევრი გახდა, ეს კი რეგიონში უდიდეს დაძაბულობას იწვევს. რუსები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ბოსფორის ნაპირებზე სიტუაციის დაძაბვას: აფინანსებდნენ მემარცხენე ექსტრემისტებს, კომპარტიას და ასევე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქურთებს. ყველაფერს, რასაც ოდნავ მაინც შეხება აქვს მოსკოვთან, თურქეთში ცერად უყურებენ. მაგრამ მაინც მათთვის ყველაფერზე მიუღებელი კომუნისმია.

1950 წელს, პოეტის დაპატიმრებიდან თორმეტი წლის გასვლის შემდეგ, თურქეთი ოდნავ მოღბება. ჰიქმეთი ციხიდან გამოდის. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ჯარში გაიწვევენ. მას ქვეყნის აღმოსავლეთში მოუწევს სამსახური, სადაც ძალიან ცხელა, ტემპერატურა 40 გრადუსს აღემატება.

პოეტს ბოლო წლებში გულის ტკივილი აწუხებს, ყოველგვარი ძალისხმევა მისთვის საშიშია.

– იძულებული ვარ, დაგინეროთ, რომ ჯანმრთელი ხართ, მაგრამ თქვენი გული ამ სამსახურისათვის მონოდებული არაა – ეუბნება ექიმი.

რაზიკი

ჰიქმეთს სხვა გამოსავალი არ დარჩენია, უნდა გაიქცეს.

მისი მეგობარი რეფიკ ერდორანი ნაცნობისაგან პატარა ძრავიან ნავს ითხოვებს, რადგან პოეტის ბულგარეთში გადაყვანა სურს იქ პოლიტიკური თავშესაფრის სათხოვნელად.

რეფიკს სტამბოლის კაფეში ვხვდები. ის სამოცდაათს გადაცილებული კაცია, თუმცა, მისი სიცოცხლისუნარიანობის მშურს.

– ნაზიმს ეშინოდა, ეგონა, ნავის ნაყვანა არ შემეძლო, – მეუბნება, – მაგრამ მე ეს ჩემი ბიძაშვილის, თურქეთის ფლოტის ადმირალისაგან მქონდა ნასწავლი. ვუთხარი, რომ ჩვენი გაცურვა კარგი სცენარი იქნებოდა ფილმისათვის, თუ როგორ გადაჰყავთ ხალხი თურქეთიდან ბულგარეთში. ჰიქმეთს ყველაფერი აღელვებდა: სად იქნებოდა საგუშაგო, მისთვის გვერდი როგორ უნდა აგვევლო, ბულგარელი მესაზღვრეების ყურადღება თავიდან როგორ აგვეშორებინა, რათა მათი სამიზნე არ გავემხდარიყავით.

ნაზიმს ეშინოდა ამ ავანტიურის. ათი წლის შემდეგ ლექსში: „ავტოპორტრეტი“, წერს: „1951 წელს ახალგაზრდა მეგობართან ერთად სიკვდილის ხახაში გავცურე“.

– ეს პოეტური სტროფია – იცინის რეფიკა – ივლისის მშვენიერი დღე იყო. ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ ჩანდა.

კაცები დროს კლავენ, პაპიროსს ეწვეიან. მოულოდნელად პორიზონტზე პატარა წერტილი გამოჩნდა; როგორც მალე გაიჩვენა, ეს რუმინული გემი იყო.

ერდორანი: ნაზიმმა ყვირილი დაიწყო, რომ ჰიქმეთია და თავშესაფარს ითხოვს. ჩვენ წყლის შხეფებმა გვიპასუხეს, რადგან მთელი ეს უზარმაზარი გემი ჩვენ გამო უნდა გაჩერებულიყო. მხოლოდ კაი ხნის შემდეგ მიხვდნენ, თუ რაში იყო საქმე.



თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ ცნობილ კომუნისტს ღირსეულად შეხვედროდნენ, გემის კაპიტანმა ის ოთახში გამოკეტა.

- ბედის ირონია იყო, რომ იმ ოთახში ეკიდა პლაკატი მისი პორტრეტით და წარწერით: „თავისუფლება ნაზიმ ჰიქმეთს!“ - ამბობს მწერლის მეგობარი ქალი იანინა მალახოვსკა.

ერდორანი და ჰიქმეთი კაპიტნის გადანყევტილებას ელოდებიან. ის ბუქარესტში რეკავს, ბუქარესტი - მოსკოვში. ბოლოს იქიდან ინსტრუქცია მოდის.

ნაზიმ ჰიქმეთი რუმინეთში ჩადის, ხოლო იქიდან - სსრკში, სადაც მას დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან. რაფიკ ერდორანი უკან, სტამბოლში ბრუნდება. ამ თავისი თავგადასავლის შესახებ თავის ცოლსაც კი არაფერს ეუბნება.

სტალინი

მოსკოვში ჰიქმეთს ხელისგულზე ატარებენ. აეროპორტში მას ხელისუფლების წარმომადგენელი და ცნობილი საბჭოთა არტისტები ხვდებიან.

თუმცა, იმდენი გამბედაობა არავის ეყო, რომ პოეტი სტალინისათვის წარედგინა.

თურქი განთქმულია თავისი გაბედულებითა და ენამოსწრებულობით, სტალინისდროინდელი მოსკოვისათვის კი ეს უცხო ხილია. ეს ქალაქი ძალზე განსხვავდება იმისაგან, როგორც მას თავისი სტუდენტობის დროიდან ახსოვდა. თეატრებში ბელადის საყვარელ პიესებს დგამენ, მთელი ქვეყანა მისი ბიუსტებითა და ქანდაკებებითაა სავსე.

ჰიქმეთს, რომელმაც ციხეში მრავალი წელი გაატარა, სტალინიზმზე წარმოდგენაც არა აქვს. უკვირს, რომ მიეირობოდი და მაიაკოვსკი ცოცხლები აღარ არიან. პირველი, გამოჩენილი რეჟისორი და თეატრის რეფორმატორი, სტალინური წმენდის დროს დახვრიტეს, ხოლო მეორე, - ფენომენალური პოეტი, გაურკვეველ სიტუაციაში გარდაიცვალა. თუმცა, ოფიციალური ვერსიით, თავი მოიკლა.

ჰიქმეთს განსაკუთრებით ის აოცებს, რომ ბევრი მისი ინსტიტუტული ნაცნობი და მეგობარი ცოცხალი აღარ დახვდა. ისინი ხომ ორმოცდაათი წლისაც არ იყვნენ. საბჭოთა მეგობრების კითხვაზე, თუ ვის ნახვას ისურვებდა, ნიკოლოზ ეკისო¹, განაცხადა.

ამან ხელისუფლების განწყობა და დამოკიდებულება მის მიმართ სერიოზულად შეცვალა. ეკისის შემოქმედება აკრძალულია, მის ფილმებს აღარ იღებენ, თავად რეჟისორი გალოთებულა და - როგორც ამას პოეტი ევგენი ევტუშენკო იხსენებს - ბებერი ძალღვივით ყარს.

ეკისი ამხანაგები შეეცდებიან მის ისეთ ფორმაში მოყვანას, რომ შეძლოს უცხოელ სტუმართან შეხვედრა. მას უქნინან ფრჩხილებს, ხელში თაიგულს აძლევენ და ჰიქმეთთან მიჰყავთ.

- ახლა რას აკეთებ კინოსათვის, ძვირფასო მეგობარო? - ეკითხება ნაზიმი.

- გარკვეული მიზეზების გამო ბოლო ხანებში უფრო ცირკის თემაზე ვშუშაობ - პასუხობს ეკი.

2.

ჰიქმეთი მოთმინებით ელის, თუ როდის გამონახავს სტალინი მისთვის დროს. დანიშნულ დღემდე ორი საათით ადრე პოეტი მის საპატივცემულოდ გამართულ საზეიმო ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. უკვე საკმარისი დროა გასული საიმისოდ, რომ შეენიშნათ, თუ რა ძნელად იტანდა იქ შექმნილ ვითარებას. შორ მანძილზე ყნოსავდა მლიქვნელობასა და სიმდაბლეს. მთელი სიცოცხლე კომუნიზმის იდეებს შესწირა, მაგრამ ის ამ სახით როდი წარმოედგინა.

შეხვედრაზე მოთმინებით ისმენს ქება-დიდებას, რომელსაც მას მწერლები, ლიტერატორები უძღვნიან, ვიდრე ბოლოს თავად არ წარმოთქვამს სიტყვას: „ძმებო, ციხეში, სადაც მრავალი წელი გავატარე, მოსკოვის თეატრზე ვოცნებობდი... მოსკოვი იყო ქუჩის რევოლუცია, რომელმაც სცენის რევოლუცია შეცვალა. მაგრამ დღეს რას ვხედავ? გემოვნებას მოკლებულ ხელოვნებას, რომელსაც სოცრეალიზმი ეწოდება. ვხედავ უამრავ ლაქიას, მლიქვნელს; ისინი რანაირად შეიძლება რევოლუციონერები იყვნენ? რამდენიმე დღის შემდეგ ამხანაგ სტალინს შევხვდები. განზრახული მაქვს გულახდილი ვიყო მასთან, როგორც კომუნისტი - კომუნისტთან; ვუთხრა, რომ ეს უამრავი პორტრეტი და ქანდაკება საჭირო არაა და უნდა აიღოს“.

¹ ნიკოლოზ ეკი - (1902-1976), გადაიღო პირველი საბჭოთა ხმოვანი ფილმი „უსახლკარონი“, რომელმაც ვენეციის კინოფესტივალზე ჯილდო დაიმსახურა. მანვე გადაიღო პირველი ფერადი ფილმი.

ამ სიტყვების გაგებაზე რამდენიმე ადამიანი ჩრდილივით გაიპარა. ლონისძიების მასპინძელმა ვითარების ოდნავ შერბილების მიზნით განაცხადა, შესაძლოა სტალინსაც არ მოსწონს თავისი ზოგიერთი ქანდაკებაო და მყისვე მისი სადღეგრძელო წარმოთქვა.

3.

მეორე დღეს ჰიქმეთს კრემლიდან ურეკავენ და აცნობებენ, რომ ბელადი ძალიან დაკავებულია და მას ვერ შეხვდება.

4.

პოეტი აღარასოდეს შეხვედრია სტალინს. თუმცა, სტალინს ის არ დავიწყებია. გენერალისიმუსი 1953 წელს გარდაიცვლება. ორი წლის შემდეგ ჰიქმეთი მოსკოვის გარეუბნის აგარაკზე ევტუშენკოსა და სხვა ახალგაზრდა პოეტს დაპატიჟებს.

– ტელეფონს გამორთავს და კარს დაკეტავს – ჰყვება ევტუშენკო – მაგრამ ისტორიამ ცოტა ნასვამი, მოხუცი ადამიანის სახე მიიღო და ის კარიც შემოალო და ბინაშიც შემოვიდა. შემოვიდა და ჰიქმეთის წინაშე მუხლებზე დაემხო.

– ნაზიმ, მაპატიე! – ყვიროდა და ტიროდა ის – რალაცაში მინდა გამოგიტყდე!

ნაზიმმა ფეხზე ააყენა და უთხრა:

– არაა საჭირო.

მაგრამ მოხუცი ამის აუცილებლობას გრძნობდა.

თურმე როდესაც ჰიქმეთი მოსკოვში ჩაფრინდა, ის კაცი მძლოლად მიამაგრეს. პოეტი მას დაუახლოვდა და დაუმეგობრდა კიდეც. ერთმანეთს სტუმრობდნენ სახლში, არაყს სვამდნენ. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მძლოლი ლუბიანკაზე აღმოჩნდება, სადაც მას თავად ბერია დაკითხავს.

– თუ იცი, ვის ატარებ? – შეეკითხება იგი.

– გამოჩენილ პოეტს... სსრკ-ს დიდ მეგობარს – განცვიფრებული შოფერი საუბარში ცოტა სიმშვიდის შეტანას შეეცდება.

– მეგობარს?! – იყვირებს ბერია – მას ამხანაგ სტალინის მოკვლა ეწადა. მაგრამ ჩვენ მოკვლავთ მას. კონკრეტულად კი – შენ! – და თითს მძლოლისკენ გაიშვერს.

მძლოლს ამაზე ვერც წამებით და ვერც დაშინებით ვერ დაიყოლიებენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ლუბიანკაზე მისი ცოლიც ამოყოფს თავს, დათანხმდება თანამშრომლობაზე. მას შემდეგ დღე და ღამე ბერიას ნიშანს ელოდება.

ოთხჯერ დაუკვეთეს ტელეფონით ჰიქმეთის მოკვლა, მაგრამ შემდეგ ოთხივეჯერ უარყვეს ბრძანება.

– ნაზიმმა – თქვა ევტუშენკომ – ეს ისტორია უალრესად მშვიდად, გაქვავებული სახით მოისმინა და ბოლოს წარმოთქვა: – ამაზე რა შეიძლება კაცმა თქვას? უმჯობესია, თითოც გადავკრათ.

გოტა

ჰიქმეთი გრძნობდა, რომ ვიდრე სტალინი ბატონობდა, უკეთესი იყო, მოსკოვიდან, რაც შეიძლება, შორს დაეჭირა თავი. მალე ის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პროპაგანდისტი გახდა. მთელ მსოფლიოში დადის, ხვდება ხალხს, ჭრის ნითელ ლენტებს, ამშვენებს კონგრესების მუშაობას. ვარშავაში თურქეთის დატოვებიდან რამდენიმე თვეში ჩადის.

მშვიდობის პოლონელმა დამცველებმა მთარგმნელად მას თურქოლოგი მალგოუატა ლაბეცკა-კოხეროვა მიუჩინეს, რომელსაც გოტას ეძახდნენ და რომელიც იმ ხანებში ჰიქმეთის შემოქმედებაზე სადისერტაციო ნაშრომის დაწერას აპირებდა. გოტა იძულებული გახდა, თავიდანვე განესაზღვრა პოეტთან ურთიერთობის ფორმები.

– მას ძალიან უყვარდა ქალები – მომიყვა ის წლების შემდეგ, – ამიტომ გაცნობისთანავე ვუთხარი: შენ ხარ ჩემი აბი, რაც თურქულად ნიშნავს უფროს ძმას, რომელიც მთელ ოჯახზე პასუხისმგებელი. ეს პოეტს ძალიან მოეწონა და ჩვენი ურთიერთობა ნათელი გახდა – მეუბნება ის და ამატებს: ბავშვს ჰგავდა, ისეთი საოცრად კეთილი და იმავდროულად მიამიტი იყო. ქუჩაში რომ შეხვედროდით და ფული გეთხოვათ, რაც კი გააჩნდა, სულ მოგცემდათ.

ევტუშენკოსაც ასე ახსოვს. ერთხელ პოეტმა მას დაურეკა და შეეკითხა, ფული ხომ არ გინდაო.

– არ მჭირდებოდა, – ამბობს ევტუშენკო, – ამიტომ ჰიქმეთს ამ უარით გული ვატკინე. „დარწმუნებული ხარ? – შემეკითხა – სანყენია... დღეს გზავნილი მივიღე და ეს ჩემთვის ძალზე ბევრია“.

გოტა: – ბევრს გამოიმუშავებდა, მაგრამ მით უფრო ბედნიერი იყო, რაც უფრო სწრაფად მოახერხებდა ფულის დახარჯვას. განურჩევლად ყველას აძლევდა, ვინც კი სთხოვდა. არასოდეს მინახავს ასეთი კეთილი ადამიანი.

პოქეცკი

სტალინი არ ჩქარობდა პოეტისთვის საბჭოთა მოქალაქეობის მიცემას. მას კი თურქული მოქალაქეობა უკვე დაკარგული ჰქონდა, რადგან იქიდან გამოიქცა.

რადგან ჰიქმეთს მთელ მსოფლიოში მოგზაურობა უყვარდა, ეს მისთვის სერიოზული შემაფერხებელი იყო.

ვარშაველმა მეგობრებმა იციან მისი პოლონელი პაპის ამბავი, ამიტომ პოეტი გოტასთან ერთად ცდილობს, ამის საფუძველზე პოლონეთის მოქალაქე გახდეს.

ბეირუთს, რომელიც ჰიქმეთს ხშირად ხვდება, არაფერი აქვს ამის სანინააღმდეგო. თუ გადიოდა კრემლთან კონსულტაციებს? ძნელი სათქმელია. ალბათ. ფაქტია, რომ 1952 წელს გენერალ

ჯალალედინის შვილიშვილი მოქალაქეობასაც იღებს და გვარსაც ნაზიმ ჰიქმეთ ბოჟეცკიზე იცვლის.

ვინ მიიღო გადაწყვეტილება? ალბათ სახელმწიფო საბჭომ. ხელი ნამდვილად ბეირუთმა მოაწერა. მაგრამ არქივში ამ გადაწყვეტილების კვალი არ ჩანს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პასპორტი, რომელსაც გაღმებული პოეტის ფოტო ამშვენებს, სტამბოლში, ჰიქმეთის მუზეუმში ინახება. პოეტს უცდია, ხელი როგორც ბოჟეცკის, ისე მოეწერა, მაგრამ ასოების ფორმაზე ეტყობა, რომ ამ გვარს მიჩვეული არაა.

1956 წელს, როდესაც პოლონეთში ეგრეთ წოდებული „დათბობის“ ეპოქა დადგება, დოკუმენტი ნამდვილად გამოადგება. ხელისუფლების სათავეში ვლადისლავ გომულკა მოდის. პოლონელებს სწამთ, რომ ბოლოს და ბოლოს სოციალიზმის პოლონური ვერსიის მშენებლობის დაწყების დრო დადგა. ამ ენთუზიაზმს ჰიქმეთიც იზიარებს. ის ალტაცებაში მოჰყავს გომულკას. ვისლას პირას ნახევარ წლამდე გაატარებს. მისი ბიოგრაფები ერთხმად წერენ, რომ ეს იმ სახის კომუნიზმის დასაწყისი იყო, როგორზეც ის ოცნებობდა.

ანჯეი მანდალიანი: ჰიქმეთი აქებდა პოლონეთში არსებულ ატმოსფეროს. მაშინ სსრკ-ში საშინელი გრაფომანია ბატონობდა, ჩვენ კი დიდად ვაფასებდით შემოქმედებით თავისუფლებას, რაც მას ძალზე მოსწონდა.

ოდნავ მაინც თუ გრძობდა თავს პოლონელად? 1958 წელს საერთაშორისო წიგნისა და პრესის კლუბში მკითხველებთან შეხვედრაზე, იტყვის: „მაქვს პოლონური ცხვირი, თმა, რომელიც გაჭალარავებამდე ქერა იყო, და მგონი, საკმარისი პოლონური რომანტიზმი“.

ერთი წლის შემდეგ ჟურნალ „ორკის“-თვის მიცემულ ინტერვიუში იტყვის: „ქვეყნის არჩევაზე რომ მიმდგარიყო საქმე, პაპაჩემის ქვეყანას ავირჩევდი“.

თუმცა, მეგობრებთან არ მალავს, რომ ეს იძულებითი არჩევანი იქნებოდა.

2.

დათბობის ეპოქაში ჰიქმეთი პოლონეთის მწერალთა კავშირის წევრი ხდება. არქივის გამგე ქალბატონს მის გამო პრობლემა აქვს – ანკეტა პირადად არ შეუვსია. ასევე ძალზე თხელია მისი დოკუმენტების, წერილებისა და სტატიების საქალაქდე. სხვებს, თუნდაც არცთუ ისე ცნობილ მწერლებსა და პოეტებს სქელი საქალაქდე აქვთ, სახელგანთქმულებს – რამდენიმეც კი, თანაც ყველა სქელი.

ჰიქმეთის საქალაქდეში კი ორადორი წერილი დევს – მისი პოეზიის თაყვანისმცემლისგან და მისი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა კავშირში მიღების გადაწყვეტილება (გასაოცარია, – მეუბნება არქივის გამგე, – მან ხომ პოლონეთში უნდა იცხოვროს და იმოღვაწეოს) და ერთიც ფოტოსურათი. მასზე ჰიქმეთი პერანგშია და ვიქტორ ვოროშილკის გაყინული სახით ესაუბრება. მათ ზურგს უკან სიგარეტს ეწევა მარცველ რეიხ-რანიცკი, საკონცენტრაციო ბანაკიდან ცოცხლად დაბრუნებული ებრაელი, გერმანული ლიტერატურული კრიტიკის მომავალი ლიდერი.



მუნევერთან ერთად

3.

ჰიქმეთის მხოლოდ საქალაქდე როდია მჭლე. მსგავსი რამ ხდება მის ნაცნობთა მეხსიერებასთან დაკავშირებით.

იულია ხარტივიგი: – მალალი, წარმოსადეგი, უალრესად კეთილი. მწერალთა კავშირის ბუფეტში სადილობდა ხოლმე. მეტს ვერაფერს გეტყვი მასზე, არ მახსოვს.

ანჯეი მანდალიანი: – ტუვიმი აღფრთოვანებული იყო მისით. მას ძალზე მგრძობიარე სმენა ჰქონდა, ხოლო ჰიქმეთი თავის ლექსებს თურქულად მშვენივრად კითხულობდა. სამწუხაროდ, მეც მეტი არაფერი მახსოვს მის შესახებ.

გოტა იხსენებს, რომ ნაზიმი დაუმეგობრდა ბრონიევსკის. პლოცკელი პოეტი ბევრს სვამდა და მეგობრები შიშობდნენ, რომ ჰიქმეთიც არ აეყოლიებინა.

სამწუხაროდ, გარდა რამდენიმე რუსულიდან თარგმნილი ლექსისა, ამ მეგობრობის კვალი არ შემორჩენილა.

სხვა პოლონელი მწერლების დღიურებსა და ჩანაწერებშიც მსგავსი ვითარებაა. მას ვერ იხსენებს ვერც ვაჟიკი, ვერც სლონიმსკი, ვერც ივაშკევიჩი. ეს უკანასკნელი კარგად იცნობდა ჰიქმეთს, გადათარგმნა მისი რამდენიმე ლექსი. მის ქალიშვილს მარიას ვურეკავ:

– რა გვარია? ჰიქმეთი? ვერა, ვერ ვიხსენებ.

ჩვენს ლიტერატორებს ჰიქმეთთან დაკავშირებით აშკარა პრობლემა აქვთ. უფრო მეტიც: ორი პრობლემა. პირველი: მათ კომუნიზმთან ახლოს გაკარებაც არ უნდათ. პოეტს არა აქვს ეს პრობლემა. როგორც ომი, ისე სტალინიზმის

ეპოქის უდიდესი ნაწილი თურქეთის ციხეებში გაატარა და კომუნისტურ მოსკოვზე ოცნებობდა. ბევრი რამ არ იცის. ბევრი რამის დანახვა არ სურს. თუმცა საკუთარი თვალთ ნახა, თუ სტალინი რას სწავლიდა; მიუხედავად ამისა, ის გულიდან არ ამოუღია.

მეორე პრობლემას მისი ლექსები წარმოადგენს. პროზაგანდა გაჰყვიროს, რომ ის სამყაროს ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი. ეს პოეტი მათი მეგობარია მწერალთა კავშირიდან, ბუფეტში ერთად სადილობენ, მაგრამ მისი ლექსები სრულიადაც არ ეჩვენებათ საუკეთესოდ.

იულიან პრიბოშმა შენიშნა, რომ „პოეტი მეტისმეტად არქაულ სალექსო ფორმას მიმართავს, რომ პოლონეთში მიმდევრები გამოუჩნდეს“. იულია ჰარტივიგი ერთ-ერთი მისი ლექსების ტომის რეცენზიაში წერს, რომ ჰიქმეთი ცუდადაა თარგმნილი. იგი მთარგმნელებს მისი ლექსების პროზად თარგმნას ურჩევს.

გოტამ, რომელსაც ამ პერიოდში ჰიქმეთის თარგმნაზე თითქმის მონოპოლია აქვს, გაღიზიანებულმა შეახსენა ჰარტივიგს, რომ ამხანაგ მას ლექსების თარგმნისას მას პროზისათვის არ მიუმაართავს.

მაინც, რათა ახალ კოლეგას უფრო დაახლოებოდნენ, პოლონელი ლიტერატორები მას მიცკევიჩს ადარებენ. ჯერ ერთი, მიცკევიჩი სტამბოლში გარდაიცვალა და მეორეც, ისევე, როგორც პოლონელი მგოსანი ნალვლობს სამშობლოზე, ასევე ჰიქმეთმაც მოიწყინა თურქეთიდან შორს.

მამულო, ჩემო ტკბილო მამულო,
აღარ მაქვს უკვე თურქული ქუდი,
არც ხამლი, იქ რომ ვიცვამდი ხოლმე,
შემომეცვითა ტანზე პერანგიც,
როსმე შილაში² შეკერილ ფართლის³.

მართლაც საინტერესოდ ჟღერს შედარება. მაგრამ მას თავად თურქივე ანგრევს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს მიცკევიჩზე, პასუხობს, რომ არაფერს, მისი არც ერთი ნაწარმოები არ ნაუკითხავს.

გალა

ჰიქმეთს ბავშვობიდანვე გულის ავადმყოფობა დასჩემდა. 1953 წელს გულის ინფარქტიც გადაიტანა. ძლივს შეუნარჩუნეს სიცოცხლე. ამასთან, როგორც ჭეშმარიტი თურქი მაჩო,

დროს არ კარგავს ჯანმრთელობის აღდგენაზე. სანატორიუმში ახალგაზრდა ექიმს ხელკავს გაუკეთებს და კაფეში ნაიყვანს.

ამიერიდან დღე არ გავა, ყავა არ დალიოს. მისი პარტნიორი და მეგობარი გახდა ექიმი გალინა კოლესნიკოვა. ისინი ერთად იმოგზაურებენ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და უნგრეთში. ვარშავაში სეიმში დაიდება ბინას.

იანინა მალახოვსკა, პოეტის მეგობარი: – სეიმის კანცელარიაში ვმსახურობდი. ჰიქმეთი ჩიოდა, რომ გალასთან ერთად პატარა ოთახი აქვს სასტუმროში. მისი სახელი ბევრს ნიშნავდა, რაც დამეხმარა იმაში, რომ მისთვის სასტუმრო ოთახი მომეხერხებინა. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით სეიმის რესტორანში. ოფიციალტი, ქალბატონი მარისია, ამბობდა: „ჰიქმეთია თუ ვინაა, ლამაზია ბიჭი კია და!“.

გალა მას, როგორც წმინდანს, ისე ექცევა. ამ თავყვანისცემას ჰიქმეთი ისე იღებს, როგორც ბუნებრივს. ეს კი გოტას აღაშფოთებს და გალას არიგებს, რომ პოეტს მცირე ეჭვი მაინც ალუძრას.

– ნუ უძვრები. სხვა მამაკაცთან ბუფეტში მაინც წადი. შემდეგ უამბე ჰიქმეთს, თუ რა სასიძოვნოდ გაატარე მასთან დრო. გალა მოხიბლული უსმენს.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჰიქმეთი, გოტასა და მალახოვსკასთან ერთად სხვა სანატორიუმს ესტუმრება. პოეტს გალინა ხელკავით მიჰყავს. ეს უკანასკნელი პოეტს გაუმხელს:

– ნაზიმ, გოტა მეუბნება, რომ ცოტა დაგაეჭვიანო და ვინმე სხვასთან ერთად ყავის დასალევად წავიდე. მაგრამ მე ეს არ მინდა. მე ხომ შენ ისე მიყვარხარ, რომ ტრაკუნედაც კი გაკოცებ!

მუნევერი

დღეს ჰიქმეთი ყვითელი პრესისათვის საუცხოო პერსონა იქნებოდა.

მისი ოთხი ცოლიდან სამმა მისი გულისთვის ქმარი მიატოვა, სხვა ქალებთან მის რომანებს კი საუკეთესო კალკულატორიც ვერ აღრიცხავს.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი ექო ჰიქმეთის მუნევერ ანდართან, თავის ბიძაშვილთან, ქორწინებამ გამოიწვია.

თურქოლოგი, პროფესორი თადეუშ მაიდა მეგობრობდა ამ ქალთან: – ძალიან ლამაზი, ელეგანტური იყო. უალრესად ინტელექტუალური, ლამაზი ხმის ტემბრით, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია არისტოკრატი თურქი ქალებისათვის.

მუნევერი ესტუმრება ჰიქმეთს, როდესაც ის ჯერ კიდევ ციხეშია. როდესაც ციხიდან გამოვა, ქალი თავის პატარა ქალიშვილს ნაიყვანს და ქმარს დატოვებს. ნაზიმისაგან დაორსულდება და მალე იქორწინებენ კიდევ.

ნაზიმის გაქცევა ქალის ცხოვრებიდან ოქტომბრის რევოლუციის მსგავსი მოვლენაა. თურქეთის ხელისუფლება გაშმაგებულია. ერთადერთი გზა, როგორმე ნაზიმს მიწვდნენ, მის ახლობლებზე ზემოქმედებაა. მუნევერს ბევრჯერ დაიბარებენ მილიციაში დაკითხვაზე. მათი სახლი კონტროლდება. ახლობლები ფრთხილობენ მასთან შეხვედრას. არავის არ უნდა მისთვის სამუშაოს მიცემა.

² ქალაქი თურქეთში
³ თარგმანი რაულ ჩილაჩავსი

პირველ წლებში ნაზიმი ხშირად და გულთბილ წერილებს წერს ცოლს, ჩანს უმისოდ და ვაჟიშვილის გარეშეც, მოწყენილობა ეტყობა. ეს მისი ლექსებიდანაც გამოსჭვივის. გალინა ფიქრობს, რომ პოეტის გვერდით მისი ბედნიერება ხანგრძლივი იქნება. ვიდრე მუნვეერი არ გამოჩნდება.

მაგრამ მოგვიანებით ჰიქმეთის კონტაქტი ოჯახთან სუსტდება, ვიდრე ბოლოს საერთოდ არ მინავლდება და შეწყდება.

პირა

1.

ჰიქმეთის ბოლო სიყვარულს ასეთი სახე ჰქონდა:

მისი მეგობარი ეკბერ ბაბაევი წარუდგენს მას მოსფილმის ორ თანამშრომელ ქალს. ქალებს ალბანურ ეროვნულ ტანსაცმელზე წარმოდგენის შექმნა სურთ; მათ გამოჩენილი თურქის გაცნობაც სურთ.

- ის ქერა ქალი ცუდი არაა, მაგრამ პატარა ძუძუკები აქვს - ეუბნება ჰიქმეთი ბაბაევს. ისინი თათრულად საუბრობენ. ფიქრობდნენ, რომ ქალებს ნამდვილად არ ეცოდინებოდათ ეს ენა და ვერც აზრზე მოვიდოდნენ, თუ მათი საუბარი რას ეხებოდა.

შეცდნენ. თურმე იმ ქალს, პატარამკერდიანს, ომის დროს თავი თათრების სოფლისათვის შეუფარებია და მათი ენაც იმდენად უსწავლია, რომ ჰიქმეთისათვის დიდი სირცხვილი ექმია.

2.

ჰიქმეთი ვერას პირველად მაშინ ხვდება, როდესაც ქალმა სცენარის დახვეწა მოინდომა. მეორედ უკვე ყვავილებით ეახლა და ისინი ყავის დასალევად წავიდნენ.

ვერა გათხოვილია. ამას ჰიქმეთისათვის ხელი არ შეუშლია. სტალინის ქალიშვილი, სვეტლანა მას რომანტიულ კომუნისტსაც ეძახდა.

სამაგიეროდ ამან ვერას შეუშალა ხელი.

ჰიქმეთი მასთან რამდენიმე წელს ივლის. სცენარზე ერთობლივი მუშაობა, საზღვარგარეთ გასვლები, მისგან გამოგზავნილი ყვავილები საკმაოდ მაცდუნებელია. პოეტს რამდენიმე წელიწადი კრიზისის შემდეგ კვლავ ეწვევა მუზა.

როდესაც ჰიქმეთი ვარშავაშია, ვერა ადგილზე ვერ ჩერდება. ურეკავს, მისი ნახვა სურს. პოეტი ჩემოდანს გაამზადებს, ყველა დანიშნულ შეხვედრას გააუქმებს, იმავე დღეს, საღამოს მატარებელში ჯდება და მოსკოვში მიდის.

რამდენიმე დღის შემდეგ ის გალინას ფანჯრიდან ტრუსისა და მაისურის ამარა გადახტება.

- იმის გაბედულება არ ეყო, რომ სიმართლე ეთქვა - ტელეფონზე მეუბნება გალინა - მთელი თვე დღე და ღამე ვტიროდი.

ნაზიმი და ვერა პარიზში მიდიან. ამ დროს გაცოფებული გალინა ჰიქმეთის ბინაში ადგილს ვერ პოულობს, იქაურობას აურ-დაურევს და წავა. ბინაში ბარათს დატოვებს: „ემშაკსაც წაუღიხართ ორივენი“.

3.

ჰიქმეთის მეგობრებს ვერა მაინცდამაინც თვალში არ მოსდოდათ.



ვერასთან ერთად

- მასში იყო რალაც, რაც ახლოს მისვლის, დაახლოების საშუალებას არ აძლევდა ადამიანს - ამბობს იანინა მალეხოვსკა. გალინა პირიქით, თბილი და მეგობრულად განწყობილი იყო. ბაზარში მუნერერის და მისი ბავშვებისათვის რალაცებსაც ყიდულობდა, რადგან ხედავდა, რომ მათ არც თუ ისე უღებინდათ. სამაგიეროდ, ვერა ძალზე უკარება და ქედმაღალი იყო.

სხვები იხსენებენ, რომ ვერასთან ერთად დაიმსხვრა ნაზიმის, როგორც მოთმინებით სავსე ოდისევსის ჭკვიანურად აგებული მითი, რომელიც ბოროტმა ბედმა პენელოპასთან დააშორა.

განსაკუთრებით, როდესაც პენელოპა სასწაულებრივად გამოჩნდა ვარშავის სასტუმრო „ბრისტოლში“. რაც ასე მოხდა.

ჯოისი

1961 წლის დასაწყისში ჰიქმეთი, მშვიდობის დაცვის კომიტეტის ეგიდით, სტოკჰოლმში კონფერენციას ხსნის. იქ მას თვალში იტალიელი მწერალი და მთარგმნელი ჯოის სალვადორ ლუსუ, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლეგენდა ჩაუვარდება.

ისინი ერთად ატარებდნენ დროს - სვამდნენ ყავას, საუბრობდნენ. ჰიქმეთი ჯოისს თავის ლექსებს უკითხავდა და არწმუნებდა, რომ კარგს იზამდა, თუ მათ იტალიელებს გააცნობდა.

მაგრამ ლუსუზე გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას ჰიქმეთის ცოლის ისტორია ახდენდა. ჯოისი მოქმედებას გადაწყვეტს, სტამბოლ-

ში გაფრინდება და მუნვეერს შეხვდება. ხედავს, რომ მისი უბრალო საცხოვრებელი ბინის კედლები ჭერიდან იატაკამდე ნაზიმის სურათებითაა მოფენილი.

ჯოისი მუნვეერთან ერთად გადაწყვეტს გაქცევას და დახმარებისათვის თავის ნათესავს, მილიონერ კარლო გიულინეს მიმართავს:

– ცხოვრებაში ერთხელ მაინც გააკეთე სიკეთე სხვისთვის! – ეუბნება მას. გიულინე სიცილით ეთანხმება მას. ის თავისი იახტით თურქეთში მიცურავს, ხოლო ჯოისი მუნვეერს ბავშვებთან ერთად მიაცილებს პატარა ქალაქ აივალიკის პორტამდე.

სალამოთი ბერძნულ კუნძულ ლესბოსის მიმართულებით გაცურეს. შუა გზაში ქარიშხალი ამოვარდა. ქარი იალქნებს ხევდა და ნავს ფოთოლივით ატორტმანებდა. ბოლოს ტალღამ ნავს დაარტყა და ყველანი წყალში აღმოჩნდნენ. სიკვდილი თითქმის გარდაუვალი იყო.

ქალებს ბერძენი მეთევზეები გადაარჩინენ. მუნვეერი საიმიგრაციო სამსახურს მიაკითხავს. თავს პოლონულად გაასაღებს, გვარად ბოჟეციკი. ამბობს, საბუთები წყალში დამეკარგაო. პოლონეთის მხარე, მშვიდობის დამცველთა წყალობით – დადასტურებს ამ ვერსიას.

რამდენიმე დღის შემდეგ მუნვეერი ჯოისს ვარშავიდან უდებუებს: „ჩვენთან ყველაფერი ნესრიგშია“.

ეს მხოლოდ სიმართლის ნაწილია.

მუნვეერი

1.

ნაზიმი არ ელოდება თავის ოჯახს აეროპორტში. მუნვეერს გოტა ხვდება და ვარშავის ცენტრში, სასტუმრო „ბრისტოლში“ მიჰყავს. პოეტი ერთი დღის შემდეგ, საუზმის დროს გამოჩნდება. ის პირდაპირ ჰავანიდან ჩამოფრინდება, სადაც ფიდელ კასტრო, როგორც აქტიური მშვიდობის დამცველი, მედალით დააჯილდოვა.

მუნვეერი პირველად ახლა გაიგებს, რომ მისი ქმარი სხვა ქალთან ცხოვრობს.

2.

ამის შემდეგ ნაზიმი და მუნვეერი შეხვედრით კი ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ პოეზიაზე საუბრობენ.

3.

ჰიქმეთს სურს, რომ მუნვეერი ლიპსკში, გდრ-ში დასახლდეს. მას შეუძლია ქალს თურქულ რადიოში სამსახური უშოვოს.

მუნვეერს ვარშავაში უნდა დარჩენა. ის ბავშვებთან ერთად ბოჟეციკის გვარს იღებს. მშვიდობის დაცვის ორგანიზაცია მას ბინას ძველ ქალაქში მოუძებნის.

ახალგაზრდა ასისტენტი – დღეს ვარშავის უნივერსიტეტის თურქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, თავდუშ მაიდა – გაოცებული იგებს, რომ ინსტიტუტს მთელი ისტორიის განმავლობაში პირველად ეყოლება თურქი ლექტორი.

შემდეგ კიდევ უფრო გაოცდება იმის გაგებაზე, რომ ეს ლექტორი ცნობილი პოეტის, ჰიქმეთის ცოლია.

მუნვეერი ათი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ამ ინსტიტუტში. ის თავდუშ მაიდასთან ერთად გამოსცემს წიგნს თურქული ენის შემსწავლელთათვის, ხოლო გოტასთან და სტანისლავ პლასკოვიჩ-რიმკიევიჩთან ერთად – „თურქეთის ლიტერატურის ისტორიასაც“.

ეს წიგნი ახალგაზრდა თურქოლოგთათვის დღემდე სამაგიდო სახელმძღვანელოა.

4.

ჯოისს ლუსუს ეს კეთილშობილური გაზრახვა სათანადოდ როდი შეფასებულა.

ნაზიმი ჯერ კიდევ ვარშავიდან წერს მას, რომ სამოთხეს იმსახურებს, თუნდაც რომ „რომის პაპი ამაზე თანახმა არ იყოს“. შემდეგ იმის თაობაზე უყვება ზლაპარს, თუ ქურთი მწყემსი როგორ მიადგა მდიდარ ვაჭარს. ვაჭარმა ის ისე უხვად დაასაჩუქრა, რომ ქურთი ხვდება, მისი ვალიდან მთელი სიცოცხლე ვერ ამოვა. ეს ამბავი ისე არ ასვენებს მას, რომ ბოლოს გადაწყვეტს, ვაჭარს ყელი გამოჭრას.

„მე თავს იმ ქურთივით ვგრძნობ“ – ამთავრებს თავის წერილს ჰიქმეთი.

მუნვეერის წერილი გოტასადმი კიდევ უფრო მკაცრია: „ნაზიმი დღეს, როგორც ფაშა, ორ ცოლთან ერთად ისე ცხოვრობს, მე კი ასეთი სულელი აღმოვჩნდი...“.

ჯოისი წლების შემდეგ იხსენებს: „მისი ისტორია საყვარელი ცოლისა და ვაჟიშვილის შესახებ ჩვენ გულში ხანჯალივით გვესობოდა.“

ვაშუკი

მუნვეერი პოლონეთს 1968 წელს ანტისემიტური კამპანიის დროს ტოვებს. მას არავინ არაფრად არ აგდებას. თუმცა, დედის მხრიდან საკმაოდ ჭარბად აქვს ებრაული სისხლი, მაგრამ ვისლისპირას საკმაოდ ასატანი აღმოსფეროა.

პარიზში ფრანგულად თარგმნის თურქულ ლიტერატურას, ჰიქმეთის თითქმის მთელ შემოქმედებას. მას ძალზე კარგი თარგმანები აქვს. იმას, რომ სენას ნაპირებზე მისი პოეზია პოპულარული გახდა, ჰიქმეთი თავის ცოლსაც უნდა უმაღლოდეს.

სამოცდაათიან წლებში ის პირველი მიხვდება ახალგაზრდა ორჰან ფამუქის ტალანტს, თარგმნის მის შემოქმედებას და დასავლეთის ქვეყნების კარს ფართოდ უღებს.

– ფრანგულის ცოდნა როდია აუცილებელი იმის საგრძნობლად, თუ რა გენიალურად თარგმნის – ამბობს ნობელიანტი მუნვეერზე.



მეხვედი

1.
ჩემი ქვეყანა – გაღმა ნაპირია
გეძახი, გეძახი ვარნადან
მემედ, მემედ
თუ გესმის ჩემი ხმა მემედ
კვლავაც მიედინება ეს შავი ზღვისკენ
ოო, გასაგიჟებელი სევდავ, გიჟო სევდავ
შვილო, – ვყვირი – თუ გესმის ვარნადან როგორ გეძახი
მემედ, მემედ...

ნერს ჰიქმეთი ბულგარეთში ყოფნისას.
მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, მუნევერთან, ვაჟი – მემედ ჰიქმეთი. როდესაც ნაზიმი თურქეთიდან გაიქცა, ის ძუძუმწოვარა იყო.

ჰიქმეთის მოსკოვის სახლის კედელზე სანოლს ზევით მემედის ორი დიდი სურათია ჩამოკიდებული. გაღიმებულ მემედს გრძელ პერანგი აცვია და ზედ ქაშარი აქვს შემოჭერილი. ნაზიმს შეუძლია საათობით იწვეს და სურათებს თვალი არ მოაცილოს.

2.
სასტუმრო „ბრისტოლში“ მამასთან შეხვედრის თაობაზე მემედ ჰიქმეთი მოჰყვება ინტერვიუში, რომელიც ჟურნალ „მილეთში“ დაიბეჭდა. ეს ერთადერთი ინტერვიუა, რომელიც მას მიუცია.

მათი პირველი შეხვედრისას ჰიქმეთი წარმოთქვამს ლექსებს და ჰყვება რამდენიმე კუბურ ანეკდოტს. მემედს არაფერს ეკითხება, თითქმის ყურადღებასაც არ აქცევს. ბიჭისათვის, რომელიც მამის კულტის ატმოსფეროში იზრდებოდა, ეს შოკისმომგვრელია.

მოგვიანებით მემედს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მამა ებრანჭებოდა რამდენიმე მაგიდის იქით მჯდარ ქალს და „ჩანდა, კმაყოფილი იყო, რომ მიუხედავად ასაკისა, კვლავაც შეეძლო ქალებთან არშიყი“ (მაშინ ჰიქმეთი ორმოცდაათს გადაცილებული იყო).

3.
როდესაც ჰიქმეთი მუნევერთან საუბრობდა, მემედი და რენანი გოტას ქალიშვილებს: ბარბარასა და აგნეშკას მასპინძლობდნენ.

აგნეშკა კოეხერ-ჰენსელი: – სასეირნოდ წავიყვანეთ. ხან პარკში ვსეირნობდით, ხან – ძველ ქალაქში. მახსოვს, როგორ უჭირდა სიტყვა „ფოთოლის“ წარმოთქმა და უფრო „ფოჩოლს“ ამბობდა.

მუნევერს პოლონეთში ბევრი საქმე აქვს, ამიტომ მემედი დიპლომატების ბავშვებისათვის განკუთვნილი ინტერნეტით ერთობა. ენას მალე და მშვენივრად დაუფლდება: საყველპუროსაც და შემდეგ – სალიტერატუროსაც. თუმცა, ყოველთვის როდი ახერხებს პირველის მეორესაგან განსხვავებას.

აგნეშკა კოეხერ-ჰენსელი: – სკოლა-ინტერნეტში ერთი წელი სწავლის შემდეგ არდადეგებზე ჩემს ძალოსთან ზღვისპირა კრინიცაში წავედით. მემედი შთაგონებით იხსენებდა რომელიღაც სპირიტუალური სეანსის შესახებ, რომელშიც მან მონაწილეობა

მიიღო და რომლის დროსაც სული გამოიძახა –
– მემო, სულები არ არსებობენ! – უთხრა ძალოჩემმა.

– საინტერესოა, რას იტყოდა ძალო, თუ წახვდა, ჭიქა როგორ ხტუნაობს!

ჰერა

1.
როდესაც ჰიქმეთს ვერა შეუყვარდა, მეგობარმა ექიმმა გააფრთხილა: „თუ შენ თავს ამ რომანში შეჰყოფ, ის სამ წელზე მეტს ვერ გასტანს“.

ამის გაგონებაზე ჰიქმეთმა მხოლოდ გაიცინა. 1960 წელს, ჰიქმეთს, როგორც იქნა, სანატრელი საბჭოთა პასპორტი მისცეს. ახლა უკვე შეუძლია, ვერასთან საქონილო აქტის გაფორმება. როდესაც ქორწინების სახლში მივლენ, უფროსი შეეხუმრება: „ამხანაგო ჰიქმეთ, ამდენი წელი ციხეში გაატარეთ და ახლა მორიგ მონობაში გინდათ თავის ამოყოფა?“.

რაზედაც ჰიქმეთი მხოლოდ გაიცინებს.

2.
ნაზიმ ჰიქმეთ ბოყეცკი გარდაიცვალა 1963 წლის 3 ივნისს, ვერასთან შეუღლებიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ. თურქეთიდან მისი გაქცევის შემდეგ თორმეტი წელიწადი გასულიყო. მას შემდეგ სამშობლოში ფეხი არ დაუდგამს.

მეხვედი

ჩემო შვილო,
მემედ,
შენს თავს თურქეთის კომუნისტურ პარტიას ვაბარებ.

წყნარად, უხმაუროდ
ვტოვებ აქაურობას.
ის სიცოცხლე, რომელიც ჩემში ქრება,
შენში მცირე ხნით კიდევ გაგრძელდება.

ნაზიმი კომპარტიას მხოლოდ ვაჟიშვილს როდი უტოვებს, მას თავისი ნაწარმოებების გამოცემისას საავტორო უფლების მეოთხედსაც აძლევს. ლექსები მოსკოვის გარეუბანში მდგარი აგარაკის მემკვიდრეობაში რჩება.

მამის დაკრძალვაზე მემედი მოთმინებით უსმენს გამომსვლელთ. მაგრამ მაშინ კი, როდესაც ჩასვენებამდე შესთავაზებენ, მამას აკოცოს, სპაზმური ქვითინი აუვარდება.

მომდევნო ხუთი წელიწადი დედასთან ერთად მამამისის გასახსენებელ საღამოებზე – ხან

ლიტერატორთა სახლში, ხანაც წიგნისა და პრესის საერთაშორისო კლუბში, ზოგჯერ სხვაგან მონაწილეობს.

1968 წელს ისინი ერთად პარიზში გაემგზავრებიან. მემედი მხატვარი გახდება. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მათ ბარბარა ლაბეტკა, გოტას უფროსი ქალიშვილი, ესტუმრება:

– მუნევერი უბრალოდ ცხოვრობდა. მე სიტყვაძუნწი ვარ, არც ისაა სიტყვაუხვი, ამიტომ ჩვენი საუბარი მაინცადამაინც ვერ აენყო. მხოლოდ მემედის მოსვლის შემდეგ ამოვისუნთქე. მეტროთი მგზავრობისას მემედი შემეკითხა: „კარგად ვლაპარაკობ პოლონურად? მოკოტოვოს⁴ აქცენტი არ დამიკარგავს?“. მე წარმოდგენა არა მქონდა, თუ რა იყო ეს მოკოტოვოს აქცენტი, მაგრამ არ მინდოდა მისთვის ხასიათი გამეფუჭებინა, ამიტომ თავს ვუკრავდი.

2.

1996 წელს მუნევერ ბოჟეცკი გარდაიცვლება.

2002 წელს მემედ ჰიქმეთ ბოჟეცკი თურქეთის მოქალაქეობის მიღების მიზნით განცხადებას დაწერს, რომელსაც დადებითი გადაწყვეტილება მოჰყვება. ახლა ის ხან სტამბოლში ცხოვრობს და ხანაც – პარიზში. თავისი დიდი ოჯახის წევრების უმეტესობასთან ხშირად კამათი აქვს. მათ არ ესმით, თუ რატომ არ წერს მოგონებებს თავისი დიდი მამის შესახებ.

მემედთან შეხვედრის დიდი სურვილი მქონდა. გავიცანი მისი სტამბოლელი და პარიზელი მეგობრები. შეხვედი მის ორ პოლონელ მეგობარსაც, რომელთაც მითხრეს, რომ დღემდე აქვთ მემედთან ურთიერთობა.

მივალწიე რენანამდე, მის ღვიძლ დამდეც. მან ხომ პირველი წლები პოლონეთში მემედთან ერთად გაატარა, დღეს კი სტამბოლში ცხოვრობს.

ყველაფერი ამაო იყო. მეგობრებს მემედთან ჩემი დაკავშირების თაობაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდათ, მოიგონებდნენ რალაცა მიზეზს და დაუყოვნებლივ ამატებდნენ გაფრთხილებას: „ეს არაა დასაბეჭდი, ეს წიგნისთვის არა“. რამდენიმე დღის შემდეგ კი – ალბათ მემედთან დაკავშირების შემდეგ – საერთოდ ამიკრძალეს ჩვენი შეხვედრის მოხსენიებაც კი.

რენანმა თავდაპირველად დამინიშნა შეხვედრის დრო, – სავანშმოდ უნდა ვწვეოდი, მაგრამ ამ დროის მოახლოების წინ შემეხმინა, ბოდიში მოიხადა და უკან წაიღო თავისი მიპატიჟება.

ყოველთვის, როგორც კი რალაცანიარად ვუახლოვდებოდი მემედს, ჩემ წინ აღმართებოდა კედელი, რომელიც მასთან კვლავ მამორებდა. თითქოსდა თავად აზრიც კი, რომ

იძულებული გახდებოდა თავისი მამის შესახებ ესაუბრა, და დიდ ტკივილს აყენებდა. თითქოს მის ახალგაზრდობაში ისედაც საკმარისზე მეტი ყოფილიყო ეს ფუტურო და გაბერილი აკადემიური სხდომები, საზეიმო ღონისძიებები და მამაზე შეყვარებულ თავყვანისმცემლებთან ურთიერთობა. თითქოს სურდა სრულიად გამიჯნოდა იმას, რომ ნაზიმ ჰიქმეთის, ბრწყინვალე პოეტის, კომუნისტის, იმ ადამიანის ვაჟი იყო, რომელსაც არც ციხის ემინოდა, არც სტალინის, ფულს უშურველად ფანტავდა, თუმცა, რომელიც ვერ ამართლებდა, ვერც როგორც ქმარი და ვერც როგორც მამა.

პირა

ჰიქმეთის გარდაცვალებიდან ერთი კვირის თავზე მისი პერანგის ჯიბეში ვერასადმი მიძღვნილი ლექსი იპოვეს:

შენ მითხარი მოდი ჩემთან
 შენ მითხარი დარჩი
 შენ მითხარი გაიცინე
 შენ მითხარი მოკვდი
 მე მოვედი
 დავრჩი შენთან
 გავიცინე
 მოკვდი.

ათი წლის შემდეგ თურქეთის ხელისუფლება ჰიქმეთის შემოქმედებაზე აკრძალვას მოხსნის. მალე ბოსფორის პირას მისი ლექსების გამოცემა დაიწყება. ამას ჰიქმეთომანია – მისი პოეზიის დიდი მოდა მოჰყვება, რომელიც დღემდე გრძელდება.

2008 წელს სახელგანთქმული თურქი კომპოზიტორი მისდამი მიძღვნილ ორატორიუმს წერს. თითქმის ყველა წიგნი, რომელიც დასახელებაში მის სახელს შეიცავს, მალევე მრავალათასიანი ტირაჟით იყიდება. ასევე იმ ფირფიტებთან დაკავშირებითაც, რომელთა სიმღერებიც მის ლექსებზეა შექმნილი. ფეისბუქზე რამდენიმე ათეული მისი ფანკლუბია დარეგისტრირებული. სტამბოლში მისი სახელობის მუზეუმიც გაიხსნა. მრავალი დამოუკიდებელი კომიტეტი მისი ძეგლის აღმართვისათვის მთავრობის ნებართვის მოსაპოვებლად იბრძვის.

2009 წლის დასაწყისისათვის, პოეტის გარდაცვალებიდან ორმოცდაექვსი წლის გასვლის შემდეგ, თურქეთის მთავრობამ პოეტის რეაბილიტაცია მოახდინა და მას მოქალაქეობა დაუბრუნა. დღეს პოეტი ვერასთან ერთად მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე განისვენებს, ბორის ელცინის საფლავის ახლოს.

ბევრს სურს პოეტის სამშობლოში გადასვენება; მათ საამისო სერიოზული არგუმენტიც აქვთ: ნაზიმი სამშობლოზე წუხდა, მისდამი ნოსტალგია არ ასვენებდა, ხოლო ლექსებში წერდა, რომ სამშობლოში სურდა სამუდამო განსასვენებელი.

მაგრამ მათი ძალისხმევა ამაოა. ამგვარი გადაწყვეტილება მისმა უახლოესმა ადამიანებმა უნდა მიიღონ. ამ დროს მისმა ერთადერთმა ვაჟმა, ადვოკატის პირით განაცხადა, რომ მამამისი მოსკოვში უნდა დარჩეს.

⁴ ვარშავის ერთ-ერთი რაიონი.

5 ხრიბიხა

ოთარ ჯირკვალის „კანფიტი“ ანუ დიალექტიკური აზროვნება ყოფიერებაზე

გიორგი ხარიბეგაშვილი

ყოველი ტექსტი თავისი ეპოქის შვილია, მის განწყობებს ასახავს, მაგრამ ის ეპოქის ზუსტი, სარკული გამოსახულება როდია... ავტორის პრიზმაში გარდატეხილი, ტექსტში მოქცეული სათქმელი, მკითხველის, ადრესატის კარამდე იმ იმედით მიიტანება, რომ ის გაგებული იქნება იმდენად, რამდენადაც მკითხველიც ავტორის მსგავსი პერსპექტივებიდან აღიქვამს სამყაროს და მისი მსგავსი კოგნიტური სქემებით განსჯის. აქედან გამომდინარე, ტექსტი ყოველი მკითხველისათვის ადგილს ტოვებს შემოქმედებითი თავისუფლებისათვის, მის სტრიქონებს შორის სივრცეში ჯიბეებს აჩენს, საიდანაც ახალი სივრცე იჩეკება ახლებური აზროვნებისათვის; ახალი შტრიხების აღმოჩენა და ინტერპრეტაციათა სიმრავლე და შინაარსების ინტენსივობის ქოტური ზრდა რაღაც მომენტში რაციონალურ ნესრიგში ექცევა, მკითხველთა პრიზმებში კვლავ გარდატეხილი ტალღები ზედდებას განიცდიან და ქმნიან ცოდნას, რომელიც უკვე აღარც ავტორს ეკუთვნის და აღარც მის ინტერპრეტატორებს, ის გარდაიქმნება კოლექტიურ ფენომენად, „ყოფიერების ხმად“, რომელიც სახეზემყოფობის მიზნით ახალ სუბიექტებს აჩენს, მას სამყაროზე რეფლექსიას აკეთებინებს და შემდეგ კი ანადგურებს.

ცხადია, ყველა ტექსტი თანაბრად ქმედითუნარიანი ვერ იქნება. ყველას როდი შესწევს ძალა ცნობიერებას კონცენტრირება გაუკეთოს მასზე, მედიტაციის ობიექტი გახდეს, ყოფიერების რაღაც კონკრეტული ქვესიმრავლე შეაკავოს თავის სახეზემყოფობაში, ხოლო სხვა დანარჩენი მის ფონად აქციოს, მის ნებას დაუქვემდებაროს და ამით სამყარო შეცვალოს. ამ თვალსაზრისით, კარგი ტექსტი რეფლექსიისას აღმოაჩენს ეპოქის კრიზისს და მას ადეკვატურად პასუხობს. ის ყურადღებით აკვირდება მდუმარე ყოფიერებას, ზუსტ დროსა და ადგილს არჩევს იქამდე, სანამ არ იქცევა ჰაიდგერის სიტყვებით რომ



ვთქვით ფილოსოფიად, შესაბამებად, „რომელიც არსებულის ყოფიერების მომართვას ამტყველებს.“

ახლა განვიხილოთ, თუ რამდენადაა ოთარ ჯირკვალიშვილის მოთხრობები „შესაბამება“, ერთგვარი პასუხი იმ კრიზისისა, რომელსაც ჩვენს ეპოქაში „პოსტმოდერნული მდგომარეობა“ ეწოდა და რამდენად გადალახავს ის იმ დისკურსულ რეჟიმებს, იდეოლოგიურ კონფიგურაციებსა და აზროვნების წესებს, რომლებმაც, ჩვენი შეხედულებით, საკუთარი თავი უკვე ამოწურეს.

მწერალი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს თავის დამოკიდებულებას ამგვარი „ჭეშმარიტებების“ მიმართ: „ჩვენ პრინციპულად უნდა უარვყოთ რაიმე მყარ სიუჟეტურ ქარგაზე აგებული ნებისმიერი ნაწარმოები. გვეყო მკაცრი სისტემები, ხალხის შებოჭვა იდეოლოგიური მონოთეიზმებით.“ თუმცა ავტორი აქ არ ჩერდება. მისთვის სისტემის წინააღმდეგ ამბოხი თეიზმი-ზანი არ არის. მისეული კრიტიკა კონსტრუქციულია და არა დესტრუქციული. ქაოსი მას შემოქმედებითი ენერჯების გამოსათავისუფლებლად სჭირდება და ისეთ კრედოს ადგენს, რომელიც ინდივიდს სამყაროს შესაქმნის პარადიგმაში აყენებს: „მიეცი ადამიანს ქაოსი, რომ მან თავად შეძლოს სიტყვების მონესრიგება“. მაგრამ ყველას როდი შეუძლია ქაოსი იღოს მუცლად და შვას „მროკავი ვარსკვლავი“. ჩვენს სინამდვილეში, ჰიდრას თავები ჰერაკლემ კი არ მოჰკვეთა, არამედ ცერბერმა მოაჭამა. ამიტომ ჰიდრა მარტივ მამრავლებად დაიშალა, ერთი გველეშაპის ადგილას კი ათასი მაჯლაჯუნა გაჩნდა და მთელ დედამიწას მოედო.

ჩვენი ეპოქის კრიზისის უპირველესი ნიშანი „ღმერთების მწუხრია“, ღმერთის, ავტორიტეტების, ყოვლისმომცველი ფილოსოფიური სისტემებისა თუ მოდერნულობის პროექტების (კაპიტალიზმის, კომუნიზმის და ფაშიზმის) მიმართ ნდობადაკარგული „უკანასკნელი ადამიანი“ უიმედობას მოუცავს: „რას ველოდები, ღმერთის გამოჩენას?“ – იკითხავს ავტორი და თავადვე პასუხობს „არა, ეს ერთხელ იყო როდესაც კარის სახელური ამოძრავდა, ახლა ღმერთები აღარ არიან, აღარც კარის სახელურები მოძრაობენ, რადგან კარს აქეთ მოლოდინი დაშრა.“

მარადიული ჭეშმარიტებების, ღმერთების, უგენიალურესი ფილოსოფოსებისა თუ ბუმბერაზ ხელოვანთა ეპოქა დასრულდა, მაგრამ ჩვენს დროშიაც გაივლის ამ საფეხურს ავტორი და იმავებს განიცდის, რაც ღმერთის სიკვდილის მაუნყებელმა, ფრიდრიხ ნიცშემ განიცადა. „ეს იყო ჩემი აქლემობის პერიოდი, როცა აპოლოგეტების მჯეროდა“. დოგმატური აზროვნებისა და პოზიტივიზმის ფილოსოფიურ თეზისს ნიცშემ „მათრახისა და ჩაქურჩის ფილოსოფია“ – ძალაუფლების ნება დაუპირისპირა „ღვთაებრივ არად“. უდაბნოს ქვიშაში ჩამუხლულ და მორჩილ აქლემს მან შამბნარებიდან „მბრდღვინავი ლომი“ მოაგება იმ იმედით, რომ „შეგვეძინებოდა ძე“ ბავშვი, „პირველი ძვრა, თქმა ღვთაებრივი დასტურისა“ – რომელსაც სახელად დავარქმევდით... ზეკაცს! ეგებ, ოდესმე ასეც მოხდეს, მაგრამ დღეს სახეზე ზეკაცების მაგივრად „სიმულაკრა და სიმულაციების“ ტოტალური ბატონობა, იმიჯების უსასრულო კვლავნარმოება გვაქვს. „ღმერთი მოკვდა,“ მაგრამ ის არც ნიცშეს მოუკ-

ლავს, არც ვინმე დევგმირსა და არც ზარატუსტრას, ის გააზატებული მონების გულღრძო შურისძიებამ იმსხვერპლა. ღმერთის მკვლელს ერთადერთი მოტივი ამოძრავებს, ყველას დაუმტკიცოს, რომ უღმერთოდ დარჩენილ სამყაროში, რომლის ერთი ნაგლეჯიც მას წილისყრით ერგო, მისი კერძო საკუთრებაა. ის ყველას თვალწინ უფრიალებს კვართის სისხლიან ნაგლეჯს იმის დასტურად, რომ ამიერიდან თვითონაა ღმერთი თავის სამფლობელოში და „მათრახით ხელში, ძალაუფლების ნების გამოსახატად ყველას წინაშე, თავის თავსაც უმტკიცებს საკუთრებაზე განუსაზღვრელ უფლებას, საცოდავი კაცუნა...“

ბისმარკის გერმანია ჰეროდების იუდეას როდი ჰგავდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ნიცშესთვის, რომ ფორანში შებმული გახვევებული ცხენის თვალბეში იესო ნაზარეველი ამოეკითხა... მაგრამ ეს ხომ via dolorosa-ა, აქ შესვენებას არავის პატიობენ, მით უფრო ღმერთებს და ღმერთკაცებს. ღმერთის მკვლელობა, ამ „უმსგავსო ადამიანმა“ „არაადამიანური ძალით დასცხო ცხენს მძიმე მათრახი, რომლის მსხვილ ტყავშიც ჩატანებული იყო წვრილი რკინის ბურთულები და ცხვრის ძვლის ნამსხვრევები, ისე, რომ ყოველ დარტყმაზე ცხენის ტანზე სისხლის ზოლები რჩებოდა, ნიცშე ამის შემხედვარე ცხენის მიმართულეობით გარბოდა და თან ღრიალებდა: „რას გიმვრებიან, იესო ნაზარეველო, ეს კაცუნები! ეს კაცობრიობის მტრები!“ გადმოცემის თანახმად, ფრიდრიხ ნიცშე სწორედ იმ დღეს შეიშალა ჭკუიდან, როცა ცხენის არაადამიანური სისასტიკით ცემის შემზარავ ფაქტს შეესწრო...

მაშ, როგორ არის შესაძლებელი წესრიგი, როცა აღარც ღმერთები წერიან ცოცხლებში და ჯერ ზეკაციც არ მოსულა? რა უნდა ვქნათ სანამ არ მოსულა ჟამი და არ დამდგარა „დიდი შუადღე“? რა გზა უნდა განვლოს სულმა, რომ „კაცუნების“ ბატონობას დააღწიოს თავი, ანდა როგორ გაუყვეს იმ „კურდღლის სოროს“ რომელიც მას ზეკაცამდე მიიყვანს?

ბოლო ათწლეულებში დღემდე არსებული ყველა სოციალიზაციის აგენტი: ოჯახი, სკოლა, ქუჩა, მედია, ეკლესია, კულტურა – ძირითადად ორი ურთიერთგამომრიცხავი დისკურსის, ფსევდოკონსერვატორული და ფსევდოლიბერალური დისკურსების კვლავნარმოებას ახდენდა. აქ „ფსევდოს“ იმიტომ ვხმარობთ, რომ „პოსტმოდერნულ მდგომარეობაში“ მოდერნის ეპოქის იდეოლოგიები სიმულაციებადაა



ქცეული, დისკურსებამდეა დაყვანილი და მხოლოდ ნილას წარმოადგენს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული კონფორმიზმისა. ასეთ მდგომარეობაში ყველაფერი ფასადურია, (ჭრელა-ჭრულა ფასადების უკან ჩამპალი კედლებიც ხომ ფასადური დემოკრატიის გრძნობად-კონკრეტული გამოსახვაა), სიმულაციურია, რადგან ღმერთზე წმინდა „მიტრა და საკმეველია“, ანანასზე გემრიელი ლიპიდებისა და ემულგატორების სინთეზით მიღებული საღებო რეზინაა „ანანასის ექსტრაქტით“, ფსევდო, რადგან კონსერვატიზმიცა და ლიბერალიზმიც მოწყვეტილია თეორიულ რეფლექსიებს, ქვეცნობიერ ავტომატიზმებამდეა დასული და ყოველი მათი შვილობილი „დოქტრინაც“ მხოლოდ იარაღია, ტექნეა „ძალაუფლების ნებისათვის“ საკმეველის ასაბოლებლად. იმიჯების, სურათ-ხატებისა თუ სიმულაციების მოზღვაების, მათი ჰიპერინფლაციის ხანაში, ფსევდოლიბერალიზმისა და ფსევდოკონსერვატიზმის დაპირისპირებაც სიმულაციურია, თამაშია აზრის გარეშე; ამ თამაშში ფსონების დადებას აზრი ეკარგება, ვინაიდან მოგების შემთხვევაშიც კი დიდია შანსი, რომ ხელში გაუფასურებელი ბანკნოტები, „ჭეშმარიტებები“ და „ბედნიერებები“ შეგრჩეთ.

ოთარ ჯირკვალისფილის მოთხრობები მხოლოდ ამ სურათ-ხატების დეკონსტრუქცია და ავტორიტეტების დამხობა როდია. ის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ დაპირისპირებებზე მალლა დგება, მათ გაივლის, მოიცავს კიდევ და მათ შორის განსხვავებას არაარსებითად აქცევს, მათ გადალახავს და მკითხველს აიძულებს დაინყოს აზროვნება ყოფიერებაზე, ოღონდ ისე კი არა, რომ უბრალოდ, პასიურად უჭვრიტოს და ამით ნეტარებას მიეცეს, არამედ აქტიურად მიემართება მას სამყაროს შეცვლის, მისი გასაზრისიანების განზრახვით, რათა საბოლოოდ თვითონაც შეიცვალოს და ახალი „უნივერსალობა“ დააფუძნოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ოთარ ჯირკვალისფილის მოთხრობები ყოფიერებაზე დიალექტიკური აზროვნების ნიმუშებია, თანაც არც ჰეგელიანური მკაცრი ცნებებითი აპარატითაა დამძიმებული და არც პათეტიკურ-პოეტური მოთქმა-გოდებაა დიალექტიკური აზროვნების დავეიწყებასა თუ „დაკარგულ სამოთხეზე“.

საინტერესოა, რომ ავტორი შესავალშივე განაწყობს მკითხველს დიალექტიკური აზროვნებისათვის; ის ფორმალური ლოგიკის ნაცვლად, კრიტიკულ აზროვნებას გვთავაზობს. ის უბრალოდ კი არ გმობს ფორმალურ ლოგიკას, არამედ აჩვენებს რომ ეს უკანასკნელი, მხოლოდ კერძო, რედუქციული შემთხვევაა დიალექტიკური ლოგიკისა. ამ არისტოტელეს „მიერ შემოგდებულ ზედაპირულ სატყუარას“ ხშირად ავტორიც მიმართვს, ოღონდ არა იმისათვის, რომ გააფეტიშოს ანდა კანტის „ტრანსცენდენტალური ლოგიკით“ დაუპირისპირდეს, არამედ იმისთვის რომ ამ მეჩხერი ზედაპირიდან სიღრმეში შეგვიტყუოს და დიალექტიკის წრე შემოგვახაზინოს.

„ან-ანის“ ფორმალურ ლოგიკას „არათანაზომადის მოკვეთა“ და მისი სისტემიდან გარიყვა-განადგურება ახასიათებს. ამაზეა დამყარებული კონსერვატორულ-ფაშისტური აზროვნებაც – „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია.“ მის უარყოფელ, კანტიანურ ლიბერალურ ლოგიკას კი ყველაზე მეტად საზღვრების

გავლება უყვარს, დანყებული შემეცნების საზღვრების გავლებიდან ისრაელ-პალესტინისა და მექსიკა-აშშ-ს გამყოფ კედლებამდე (ბერლინის კედელი მათთან რა მოსატანია). რკინაბეტონის ეს კედლებიც იმ უჩინარი კედლის მატერიალიზაციაა, რომელიც უფრო ადრე აღმართა ლიბერალურმა იდეოლოგიამ საზოგადოებაში და ადამიანები უმრავლესობა-უმცირესობად დაყო. „იდენტობების პოლიტიკამ“ და „გონების საჯარო სივრცეში მოხმარებამ“ (კერძოს, ე.ი. ეკონომიურის უგულვებლყოფით) სოციალური საკითხი იმდენად უკანა პლანზე გადაისროლა, რომ ქართველთა ერთ ნაწილს „მარტო ბორჯომით ვიცხოვრებთ“ დააჯერა, ლამის კიბორგების უფლებადამცველად აღანთო და გული აუძგერა (ამ უკანასკნელის ჭეშმარიტებაში მას „ღვთიური ინვესტორი“ არწმუნებდა ფრიად სოლიდური გრანტებით). ეს კედელი „ერთიანი სტრუქტურის მქონე, მეტაფიზიკური წარმონაქმნია“, სწორედ ის უქმნის ბარიერს დაპირისპირებულებს ერთმანეთში გადავიდნენ და სინთეზი განიცადონ. ოთარ ჯირკვალისფილი თავის მოთხრობაში „ხელოვანი“ ამ მეტაფიზიკური კედლის შიგნით აღწევს და როგორც აგურებს, ისე გამოიღებს მისგან ცნებებს, მოითვინიერებს და იმგვარ ენაზე მოთარგმნის, რომ მისი მთლიანობა ირღვევა, სუბსტანციურობისაგან იწინიება, რამეთუ ცხადი ხდება, – კედლებს არანაირი კავშირი არა აქვთ ყოფიერებასთან, აკი „სამყაროს კიდე არა აქვს“. დისკურსების, როგორც იდეოლოგიების იმიჯების ძალაუფლება სწორედ ამ „ზღვრების დადებაში“ გამოიხატება. ყოფიერებასა და ძალაუფლების აპარატებს შორის გამოკიდებული ინდივიდი კი დაბადებიდანვე წინასწარ დასაზღვრულ იდენტობებში გადასაგდებააა განწირული. საოცარია, რომ ამ მდგომარეებიდან ხსნა ვინმე მესიათა ქადაგებანს კი არა, მხოლოდ სიკვდილთან გაბაასებას შეუძლია; მორიელში განსხეულებული არარა ჩვენს ტვინში იჭრება, მარწუხებს გულის სარქველებზე გვიჭერს და ყურში მაცდურად ჩავსისინებს „ის რაც რაიმეს ზღვარია, თავად ვერ იქნება რისი ზღვარიც არის“. საზღვრისთვის ნიადაგის გამოცლა, ზღვარგადასულობა ამბოხია მზვარმდეგელის წინაშე. მისგან გათავისუფლებით, ზარატუსტრას „ბავშვი“ არტახებს ინყვეტს, რაც კიდევ ერთ წინ გადადგმული ნაბიჯად უნდა განვიხილოთ ზეკაცისაკენ მიმავალ გზაზე...

რაკილა ერთი მხრივ, იმიჯების ავტორიტეტია უარყოფილი, მეორე მხრივ კი, ფორმალური ლოგიკის (თეზისი) მნიშვნელობა ზედაპირულობამდეა დამცრობილი, ხოლო ტრანსცენდენტალური ლოგიკისა (ანტითეზისი) – საძირკველგამოცლილი, მკითხველს საშუალება ეძლევა მათი მოხსნითა და გადაღაზვის გზით მიღებული, დიალექტიკური ლოგიკის (სინთეზი) გამოყენებით იაზროვნოს.

ვფიქრობ, ამ მოთხრობების დამწერიც სინთეზის სტადიაზე დგას და ამ რაკურსიდან ხედავს უკან ჩამოტოვებულ თეზისსაც და ანტითეზისსაც. კითხვისას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს გამოუვლია „ფართო გზაცა და ვიწრო გზაც“, თუმცა არც ერთს მიუყვანია დალუპვამდე და არც მეორეს მარადიულ ნეტარებამდე; ავტორი ამ ორივე გზის ბოლოშია, იქიდან იაზრებს, ანდა ორივე მათგანს ზემოდანაც დაჰყურებს, როგორც „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ მდგომი ზარატუსტრა და გახმამყივარებული, მთის მწვერვალიდან „გვასწავლის ზეკაცს“.

უკეთ რომ გავიგოთ, თუ რას ნიშნავს „მიღმურიდან მზე-რა“, წარმოიდგინეთ, რომ ახლა 1871 წლის მარტის ბოლოა და თქვენ პარიზის მცოვანი, ას წელს მიტანებული კომუნარი ხართ. გახსოვთ ბავშვობაში ბასტილიის აღებით გამოწვეული ხალხის აღტკინება, შემდეგ ჟირონდისტებისდროინდელი იმედგაცრუება, იაკობინელების ტერორიც, გახსოვთ როგორ თქვით „ყველაფერი ამაოა“, როცა რევოლუცია იმპერიულ-ბონაპარტისტულ ფაზაში შევიდა, მერე მარცხი გახსოვთ ვატერლოოსთან და ბურბონების რესტავრაცია, თაობათა და კლასთა ბრძოლა („ყველაფერი სულ ერთია“)... აქამდე ამ ყველაფერს ქაოტური სახე ჰქონდა, მაგრამ ახლა, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული ხვდებით, რომ ეს ყოველივე ერთი დინამიკური პროცესის ნაწილები ყოფილა. სწორედ კომუნის დღეებში თუ დაინახავდით ისტორიის დიალექტიკურობას, თავისი თეზისითა (1789-185) და ანტითეზისით (1815-1871). სწორედ ამ სიცოცხლით „დაღლილობაში“ დაინახავდით ნათლად იმ საზრისს, რასაც მანამდე მხოლოდ „მრუდე სარკეში“ არჩევდით ბუნდოვნად. ჰაიდეგერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი მხოლოდ სიკვდილის წინ აცნობიერებს, რომ ის რაიმე იდენტობით კი არა, მხოლოდ „სამყაროში გადაგდებულობითა“ განსაზღვრული, მხოლოდ სიკვდილის, როგორც არარას წინაშე დგომით, მისგან თავის განსხვავების გზითაა შესაძლებელი ყოფიერებასთან მიკუთვნებულობის განცდა. ამგვარად, დიალექტიკური აზროვნება ყოფიერების თვითრეფლექსია გამოდის, ყოფიერებისსავე გარეთ მდგომი სუბიექტის მის წიაღში შემოსაქცევად და ამდენად მის Dasein-ად ქცევად. ავტორის მიერ სიკვდილის გაპიროვნება, მასთან დაპირისპირებაც, სიკვდილისთვის თვალის გასწორებაც, არარასების ხდის ყოველგვარ იდენტობას, არღვევს მეტაფიზიკურ კედლებს. სადაც სიცოცხლეა, იქ მოძრაობაა, მუდმივი ცვლილებაა და ამდენად $A=A$ -ც მხოლოდ უძრავ, მკვდარ სინამდვილეშია ჭეშმარიტი. აკი სიკვდილიც ფორმალური ლოგიკის კანონებით გვესაუბრება. („მართლა გასწავლიდი, როგორ უნდა შემგუებოდი, მაგრამ ეგ არც მე ვიცი, რადგან არ ვარსებობ“). სიკვდილთან

დისტანცირებით კი ფორმალური ლოგიკისაგან დისტანცირებასაც ვახდენთ. ეს უკვე მერამდენედ ყოფიერებაში გადაქანებული, ავტორის მეშვეობით ყოფიერებას ვუბრუნდებით მასზე შესაძლო აზროვნებად კი მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკას ვიხდით.

დიალექტიკური აზროვნების ნათელი მაგალითი და მისი სტრუქტურის სახეა მოთხრობა „მღვდელი“. ნიშანდობლივია, რომ ტექსტის პირველი და უკანასკნელი აბზაცი ერთი და იგივეა და დაუსრულებელი. თუმცა, ეს მხოლოდ, ფორმალური და არა ჰერმენევტიკული თვალსაზრისით. ტექსტის ბოლო აბზაცი ერთსა და იმავე დროს პირველი აბზაციც არის და თან არც არის, რადგანაც კითხვის დასასრულს მასში ჩადებული შინაარსები უფრო განვითარებულ საფეხურებზე აიყვანება, თანაც რჩება განწყობა, რომ ეს დასასრული სულაც არ არის, უბრალოდ ტექსტმა იმ ადგილას მიგვიყვანა, საიდანაც დავინწყეთ და შინაარსობრივად დატვირთვის შემდგომ ვემზადებით ამ უსასრულო ციკლის შემდგომ სტადიაზე გადასასვლელად.

ეს მოთხრობა ყოფიერების სტრუქტურას გვიმჟღავნებს და გვაჩვენებს, რომ ყოფიერება ერთიანი და ლიაა; „მარადიული კვლავდაბრუნება იგივესი“ ციკლური დროის განცდას გვაძლევს და გვაიმედებს, რომ სამყაროსთან დაკარგული „ჰარმონიის“ დაბრუნებას წინ ვერაფერი დაუდგება. თუმცაღა არ უნდა დაგვავინყდეს, რომ დაბრუნებული ჰარმონია თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზეა ასული. თავდაპირველ ჰარმონიაში ბედნიერებაც კი „ზედაპირული და წყალწყალაა.“ სრულყოფილი ადამი და ევა სინამდვილეში მუნჯი პირუტყვები არიან, რომლებიც იმიტომ კი ვერ ლაპარაკობენ რომ ტვინში ბროკას ზონა არა აქვთ, არამედ იმიტომ რომ მათ არაფერი აქვთ ერთმანეთში სათქმელი. ამიტომაც ხვდება ადამიანი, რომ „რალაცა ისე ვერ არის“, მის ბედნიერებას აკლია გააზრება, თვითრეფლექსია. ცალკეული, „ერთი ადამიანის“ წინაშე „შინაარსისაგან განძარცვული, აბსოლუტური ერთი, არარაში ჩანთქმული“ მეტისმეტად პირქუშად და არაფრისმთქმელად გამოიყურება. სტატიკურ ერთგანზომილებიან სამყაროში სიამოვნებაც კი შეუძლებელია, დაპირისპირების არარსებობის გამო, აქ ტოტალური განურჩევლობაა, რაც ყოველივეს აუტანლად მომაბეზრებელს ხდის. ეს სინგულარული მდგომარეობაა – მათემატიკურ ნერტილში

ჩატეულ ვებერთელა უნივერსუმის მასას მხოლოდ „დიდი აფეთქება“ შეუძლია და ისიც სკდება კიდევ. ის აღმოაჩინს, რომ დაძაბულობის მიზეზი მასშივეა, რომ სიკვდილი ანდა არა არა მავანი კი არ არის, მისივე თავისი სხვაა, აბადონია. „დემონთა ენაზე მისი სახელი ნიშნავს: არავინ! ამიტომ, როდესაც ამბობს ფრაზას: მე ვარ! ამ სიტყვების მიღმა მხოლოდ არაფერი იგულისხმება“. თავის ონტოლოგიურ დაფუძნებულობაში, „მე ვარ“ არის ფრაზა, რომელიც მხოლოდ თვითკმარ არსებას, ღმერთს შეუძლია თქვას, რადგანაც სხვა ამ სიტყვების წარმომთქმელი, რამდენადაც ყოველ წამს იცვლება, „მე ვარ“-ის თქმის ბოლოს უკვე „სხვა“ იქნებოდა. ამდენად, ყოფიერება მხოლოდ და მხოლოდ მასში შემოჭრილი და მისგან გამოსული არარას საფუძველზე დაიდგენს თავს, „თვითობას“ ივითარებს და თავადაც ვითარდება...

ისევე როგორც ჰეგელის „გონის ფენომენოლოგიაში“ დასმული უზოგადესი კითხვები მის გვიანდელ ნაშრომებში გამოიშლება, განვითარდება და დაკონკრეტდება, ოთარ ჯირკვალიშვილის დანარჩენი მოთხრობებიც „მღვდლის“ დამინება და განვითარებაა. თუკი აქამდე სამყაროულ ამბებზე ვუბნობდით, ახლა სრულიად ადამიანურს შევხებით. ამ მოთხრობებში ადამიანის მშფოთვარე თვითცნობიერება ისევე ასახავს „სამყაროს გონის“ მოძრაობას, როგორც მიკროკოსმოსი (ადამიანი) თავისი აზროვნებით აირეკლავს მაკროკოსმოსს (სამყაროს) მის ნიშნებს გააცხადებს, სამყაროულ მოძრაობებს იმეორებს და სამყაროს ნიაღში მდგომი დამკვირვებლისათვის თვალსაჩინოს ხდის. აჰა, ეს დამკვირვებელი (ავტორი) მიკროკოსმოსზეც ანალოგიური სქემით გვესაუბრება. „ვუყურებ ადამიანს, რომელიც მომწონს, იგი უცებ თავის თავს გამოეყოფა და ორ ერთი და იგივე მაგრამ სხვადასხვა ადამიანად იშვება, ველარ ვარჩევ, რომელია ნამდვილი და რომელი ყალბი. სულ ეჭვი ვარ, თუმცა ერთნაირად მიყვარს ორივე“. ჭეშმარიტებაში მყოფი შემეცნებელი სუბიექტი ამ გაორებებს ვერ ამჩნევს, მისთვის შეუმეცნებადია ყოველგვარი ამბივალენტობა; „მკვდარი დოგმა“ ჩვენს გონებაში ფილტრითაა ჩაშვებული და ისიც მხოლოდ იმ ინფორმაციას ატარებს გულამდე, რომელიც შესაბამისობაშია მასთან, მხოლოდ „ყურის მამებელი სიტყვები“ თუ შეაღწევს მასში. ამდენად, „ჭეშმარიტებაში“ დგომა კონსერვატორის პოზიციაა, მის ყურს იმის გაგონებაც არ უნდა, რომ „კეთილი ცნობა“ ამავედროულად „ბოროტი ცნობაც“ არის და რომ ყოველგვარი სიკეთე თავის თავში ბოროტებას დაატარებს. ამ ამბივალენტობის გარეშე შეუძლებელია განვითარება, სადაც „ნივთი თავისთავადს“ „თავისი სხვა“ არ დაუპირისპირდება, იქ შეუძლებელია რაიმე ახალი წარმოიშვას. სტატიკური, იდეალური სამყაროდან ყოველი წინსვლა – ნორმიდან გადახვევაა, დევიაციაა, ცოდვაა. მაგრამ ავტორი მორწმუნის პოზიციაში როდი დგას, ის მარად მოეჭვება და ყურადსაღებია, რომ ის წერს „ვუყურებ ადამიანს“ და არა „ვუსმენ ადამიანს“. აკი კარგა ხანია ცნობილია, რომ ყური მორწმუნეა, ხოლო თვალი – მოაზროვნე. მხოლოდ ასეთ მოაზროვნე მოეჭვება არსებას შეუძლია რაღაც ახალი აღმოაჩინოს, რაიმე უნივერსალობა დაადგინოს; თუმცა ავტორი cogito, ergo

sum-ის ნაცვლად წამოიძახებს – ეჭვით ვუყურებ, მაშასადამე ვალიარებ, რომ ყოფიერების ნიაღში ჩემის და ყოველივეს ცვალებადობა, – „სულის გავითარების ცირკულარობა“, სამყაროს უშინაგნესი კანონზომიერებაა.

მიკროკოსმოსიც განვითარებისა იმავე გზას გაივლის, რასაც მაკროკოსმოსი. საკუთარ თავში გასხვისება, მისგან გამოსვლა, განვითარება და კვლავ სანყის წერტილთან შემოქცევა – „გონის განვითარების ცირკულარობა“ თავისი არსით, ჰეგელისეულ „გონის გოლგოთაზე ასვლას“ მოგვაგონებს. როგორი იყო ეს გზა ქრისტეს ცნობიერებამდე? რა აიძულებს პლატონის გამოქვაბულიდან თავდაღწეულ გონს იდეების სამყაროს დაგემოვნების შემდგომ უარი თქვას „ღვთაებრივ ნეტარებაზე“ და გზა კვლავ განაგრძოს? მოვუსმინოთ თავად ავტორს: „მან გამოაღწია გამოქვაბულიდან, თავისი სხეულის ჩრდილებს თვალი აარიდა, გამოქვაბულში დანთებული ცეცხლის მაგივრად შეერწყა მზეს, გაიარა სამყაროს სული, ლამის გადალახა კოსმიური გონება და მიუახლოვდა ერთარსება ერთს, ერთდროულად არსებულ და არარსებულ აბსოლუტურ სიკეთეს და დასვა შეკითხვა: მერე?“ ერთხელ განკაცებული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე-ღმერთი (ანდა ქრისტეს ცნობიერება) კვლავაც დედამიწაზე ეშვება, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მისი „მეორედ მოსვლით“ მსჯავრი დასდოს წუთისოფელს, მას ამჯერად სრულიად სხვა გზის გავლა სწყურია, სახელიც კი სხვა აქვს ხელმეორედ განკაცებულს... მოდით, მას სოლომონის ცნობიერება ვუნდოთ.

ამგვარად, ჰეგელისაგან განსხვავებით, ავტორისთვის ეს გონი თავის დასრულებულ სახეს არა ქრისტეში, არამედ სოლომონბრძენში აღწევს. სწორედ სოლომონმა „დაიწყო დედამიწით და ზეცის გავლით ისევ დედამიწას დაუბრუნდა.“ სანამ გონი გამოქვაბულში იყო მიჯაჭვული, ლანდები რეალური საგნები ეგონა და „ამქვეყნიურ სიამენში“ ჰპოვებდა თავის ნილ ბედნიერებას. გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდგომ კი მას „ყოველივე ამაოა“ აღმოხდა, მან ეს სიცრუენი შეიზიზღა და „ჭეშმარიტებას მიეკრო.“ ამ ყველაფრის მიუხედავად, როგორც კი ის იდეების სამყაროში გადავიდა, ყოველივეზე ამაღლდა, ზემოდან გადმოიხედა და ერთი რამ აღმოაჩინა: ქვემოთ ყველაფერი უზომოდ დაპატარავებული და ერთობ უმნიშვნელო იყო ...ამაოების ჩათვლით. გონი აცნო-

ბიერებს, რომ „ამაოება ჩვეულებრივი, მყარი ცხოვრებისეული კატეგორიაა.“ თუკი მინაზე ყოფნის ჟამს ამქვეყნიური სიამენი ამაოება გამოდგა, ზეციდან ამაოებაზე გოდებაც უმნიშვნელო ფაციფუცად აღიქმებოდა. მაშასადამე, უარყოფის უარყოფა-ფამდე მივედით. „სიამოვნების პრინციპი“, მის უარყოფელ „ყოველივე ამაოა“-სთან ერთად „ყოველივე სულერთიაში“ გადაილახა, მათ შორის არსებული წინააღმდეგობა მოიხსნა; დაპირისპირება, აქამდე სისხლისმხვრეპავი ომი რომ გვეგონა, ბავშვების ღლაბუცობა აღმოჩნდა; ზეციური რაკურსიდან მზერა ფენომენებს სერიოზულობას უკარგავს, აკი ნათქვამია „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“.

გასაგებია, რომ „სიამოვნების პრინციპს“ „ყოველივე ამაოა“ ისევე მიემართება, როგორც თეზისს ანტითეზისი, როგორც რაიმეს ყოფას, მისივე უარყოფა, მაგრამ ეს სინთეზი სადღა ჯანდაბიდან „გამოტყვრა“? მიეყვით „ეკლესიასტეს“ ავტორისეული წაკითხვის დინამიკას: „როდესაც ასეთ აზრებს გამოხატავ – კაცის და ცხოველის ხვედრი ერთია, ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგასო – ეს უკვე იმის ნიშანია, რომ „ამაოებამ“ ამოფრქვევისთვის განწირული ვულკანივით მოქმედება დაიწყო და გადადის შემდეგ ფაზაში „ყველაფერი სულერთიაში“. ამდენად, უარყოფის უარყოფა რალაც გარედან მოსული რამ კი არ არის, არამედ უარყოფის უარყოფითი ბუნებიდანვე გამომდინარეობს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი უარყოფა, ადრე თუ გვიან, თავის აპოთეოზს თვით უარყოფაში აღწევს. სოლომონ ბრძენის შემთხვევამიც ასე მოხდა: ის ცამდე იყო ამალღებული და ამ ამალღებამ საბოლოოდ იმ წერტილამდე მიიყვანა, საიდანაც დაიწყო“ – მიუხედავად ამისა, დიალექტიკური წრის შემოწერისას, პირველ წერტილთან დაბრუნების მომენტი, თვისებრივად სხვა, უფრო მაღალი დონის საფეხურია. თუ სოლომონისათვის სიამოვნება თავდაპირველად „სტიქიური მოვლენა“, მძაფრი შეგრძნებების განცდის წყურვილი იყო, აქ უკვე „ჰედონისტურ მსოფლმხედველობად“ ქცეულა. პოეტური პათოსით დაწყებული თხრობა-ცხოვრება იყო სოლომონი თავისთავად, „ყოველივე ამაოა“ (სტოიკური თვითცნობიერება) – მისი თავისი სხვა, ხოლო როგორც კი თვითცნობიერებამ „ყველაფერი სულერთიას“ სახე მიიღო – ის გახდა სოლომონი თავისთვის. „კვლავაც თხრობის დასაწყისს ვუბრუნდებით. ოღონდ უფრო პროზაულად“.

ცხადია, ამით ყველაფერი არ სრულდება, აკი ჰეგელთანაც ბატონისა და ყმის დიალექტიკის გადალახვაც არ სრულდება „ჰეფი ენდით“. ჰეგელთან, თვითცნობიერების „უბედურ ცნობიერებაზე“ გადასვლის მსგავსად, სოლომონიც თავისი „ცხოვრების უინტერესო ინერციის წერტილს“ – „დაღლილობას“ აღწევს. სოლომონში პროეცირებულ „სამყაროს გონს“, ამ დროისათვის ერთადერთი საზრუნავილა რჩება: სიცოცხლით სიმადრე – სიხარბედ არ ექცეს და ამან უღირსი არ გახადოს. „სული ტკბილიას“ არ უნდა შეენიროს სულის ღირსება. გონი გონებამდე უნდა ამალღდეს, თვითცნობიერების ჭეშმარიტებას მიაღწიოს, საფეხურს, როცა განსხვავება

საბოლოოდ წაშლილია სუბიექტსა და ობიექტს ცნებასა და საგანს, ტრანსცენდენტურსა და იმანენტურს შორის. „უბედური ცნობიერება“ მხოლოდ „მარად უცვლელთან“ შეკავშირებით მოიხსნის საკუთარ პარტიკულარობას და ამ მოხსნით ყოფიერების ჰარმონიულ პულსაციაში მისი გამოისობით გაჩენილ სისტემის ხმაურს შეაჩერებს.

ყოფიერებაში თვითჩაძირვის პროცესი არ უნდა ინელებოდეს მომბებზრებლად, თორემ წარცისიზმი გარდაუვალი იქნება. უარსაყოფ „ეგოზე“ ჩაბლაუჭებას ჰეგელი ცნობიერების განავალზე ფოკუსირებას ადარებს. სიცოცხლით „დაღლილობის ჟამს,“ თავის „ეგოს“ რომ დაჰფოფინებს, „ბედკრული და გასაცოდავებული“, ანალურობაზე ჩაცოკლული ცნობიერება თავადაც განავლად გადასაქცევადაა განწირული. „უბედური ცნობიერება, რომ „საზიზღარ ცნობიერებად“ არ იქცეს, თვითმოკვდინების რიტუალი უნდა აღასრულოს. როგორც ბამ, ერთი ხელის მოსმით (ანდა ხმლის ერთი დაკვრით) უნდა განიცადოს ტრანსფორმაცია და გააკეთოს ნახტომი რაობაში.

ამდენად, დასრულებული გონი თვითმკვლელობამდე მიდის. ეს არაა ბერიკაცის ემოციური გადაწყვეტილება, როცა საკუთარი განვლილი გზით უკმაყოფილო მოხუცს, ყელში ბურთი აწვება და მუჭა-მუჭა იყრის პირში წნევის დამწვე წამლებს. პირიქით, ეს სწორედაც რომ საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილი, ბრძენი-სამურაის ჰარაკირია. მას საკუთარი სიკვდილის თითოეული, ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი წინასწარ აქვს გათვლილი და გაანგარიშებული. მისთვის სიკვდილი მხოლოდ საშუალებაა სამყაროს აბსოლიტურ გონთან შერწყმისა, ამოცანად კი ის დაუსახავს, რომ კი არ ჩაძალდეს, არამედ ღირსეულად მოკვდეს; მოკვდეს, თანაც ისე, რომ ფიზიოლოგიურმა პროცესებმაც კი ვერ შეძლოს მისი შებღალვა. მაშინაც კი, როცა სეკუნდანტი მუცელში ხმაღგაყრილ სამურაის თავს გააგდებინებს და ტვინიც ყოველგვარ კავშირს განწყვეტს სფინქტერის კუნთებთან, ექსკრემენტებმა ვერ უნდა შეძლონ მისი წაბილწვა, უნებლიე დეფეკაცია არ უნდა მოხდეს, ღირსებამ გვამური პროცესებიც კი უნდა გადალახოს! „იმ ადგილას, სადაც მან ჰარაკირი გაიკეთა სისხლის ერთი წვეთიც ვერ იპოვეს,“ „ხოლო სხეულის დათვალეიერების დროს აღმოაჩინეს, რომ თვითმკვლელს უკანალი ბამბის გორგალით ჰქონდა დაცობილი“.

6 ახალი თარგმანები

ჩისტა იასრები

ჩისტა იასრები დაიბადა 1970 წელს, დაამთავრა თეირანის ფათემე ზაჰრას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი და მერე კანადის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურა. ჩისტა იასრები უფრო ცნობილია, როგორც დრამატურგი და თეატრის კრიტიკოსი, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პოეტური შემოქმედებაც. გამოცემული აქვს პიესებისა და ლექსების არაერთი კრებული. ბოლო ხანს დიდ წარმატებას მიაღწია რეჟისორის ამპლუაშიც. დადგა თავისი რამდენიმე პიესა. მანამდე კი, 2008 წელს მოსკოვის კლასიკური მემკვიდრეობის თეატრალურ ფესტივალზე ჩისტა იასრების მიერ სცენაზე გადატანილი დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ დასახელებული იყო რამდენიმე ნომინაციაში, პრემია კი მიენიჭა ამ სპექტაკლში ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელს. ჩისტა იასრების ლექსები ქართულ ენაზე პირველად იბეჭდება.

კროსვორდის ბნელი უჯრებიდან

ნაშუადღევს კაშკაშა ცისფერში,
როცა დედა ფარდებს ჩამოუშვებს,
და მამა იძინებს,
არის კაცი, რომელიც მოდის
სარკიდან,
ნახატებიდან,
კროსვორდის ბნელი უჯრებიდან
ან აუზში მოტივტივე ქალაღის ნავიდან...
და მისი სახელი ყოველთვის ერთი ასოთი მეტია
გაზეთების კროსვორდთა ბნელ უჯრებზე..
ზაფხულის მცხუნვარებისა და ბებიის კომოდების სურნელით,
განძის, ძილისა და დაისის ცდუნებით თვალეში,
მოდის
და გზაზე უჯრებს ხაზავს,
მე კი
წითელი ცარცის უჯრებში კლასობანას ვთამაშობ
და მთელი ტანით ზემოთ ისე ვიმართები,
რომ
ძილი უცებ მიფრთხება თავიდან...
ნაშუადღევს კაშკაშა ცისფერში,
მეც მინდა კარგი გოგო ვიყო,
და ისე, როგორც დედამ და ბებამ,
კარგი სიზმრები ვნახო,
მაგრამ



მუდმივად
არის ერთი კაცი,
რომელიც მოდის
უხმოდ
ხალიჩის ყვავილებიდან
და თავისი ფაიფურის სარკიდან
ზეცასა და ერთ ვარსკვლავს მჩუქნის...
ლიმილს მაგიდაზე შერჩენილ ხელსახოცზე მიტოვებს,
მთელ ჩემს უძველეს სიტყვებს
ერთ კითხვის ნიშანზე ჰკიდებს
და ზამთრის ტანსაცმლის კარადაში ათავსებს.
მე კი მახსენდება,
რომ ვოცნებობ და
ისე, რომ
აღარ მსურს დაძინება...

ნაშუადღევის კაშკაშა ცისფერში,
როცა უკან ჩრდილები მომყვებიან,
კაცს ერთი ყლუპი წყალი სწადა,
თვალები ზღვისფერი უხდება
და მისი მზერიდან
წყლის ფრინველთა ერთი გუნდი
ზეცაში ეშვება.

მე თვალებს ვხუჭავ,
მინდა გავიზარდო და დამავინყდეს,
მინდა ვთქვა, რომ ცუდი სიზმარი დამესიზმრა,
მინდა დროსა და სივრცეს წიხლი მივცხო და
ყველა გავალვიძო.
მაგრამ

ნაშუადღევის კაშკაშა ცისფერში
მხოლოდ მე, ვისაც არა მძინავს, ვიცი:
როდესაც კროსვორდის ყველა ბნელი ფანჯარა
სათითაოდ განათდება,
ფეხაკრეფით მოვა ერთი კაცი.
სადაც არ უნდა იყოს,
მანაც მოვა,
პირისპირ დამიჯდება

და
ჩემ გარდა არავინ იცის,
რომ მისი სახელი
ასო-ასო ჩაკარგულა
კროსვორდის ბნელ უჯრებში.

ქანცის განყოფილება / უბაღლო საქმის ქმნა

ყიბლა იყო
და მიჰრაბი –
ველივით ვრცელი...
ლამე
ოთხივ ფანჯრიდან გადიოდა...
ათასი ყლუპი ფოლაქი და სინათლე დამელია,
ტკივილის ათასი სიტყვა
და ჯერაც ერთი ვარსკვლავი არ მენახა
ლამის მუჭში.
ჩემი დაბრუნების იმედი აღარ იყო,
ლმერთი დუმდა,
მივინყებულები ვიყავ...
გზა იყო და თავგზააბნეულობა,
როცა ჩემმა მწყურვალე ლიმილმა
შენით გაიხსნილა...
და თურმე რა მოულოდნელად,
რა საოცრად
ვქცეულვარ
მორწმუნედ...

საკმარისი არ აღმოჩნდა
ათასი ყლუპი სინათლე და ფოლაქი
და თვალების წვიმამ
შენი ცხელი ქვეყანა
მისაჩუქრა...

შპს

ყველაზე ლამაზი ლექსი, რომელიც მინდა შენთვის ამოვთქვა,
ის ლექსია, ჯერაც რომ არ დამინერია.
მაშ, ამ წიგნს გიძღვნი შენ,
შენ და სიტყვებს შორის სიჩუმეს,
შენ,
ვისაც
ჩვენი ყველაზე ლამაზი დღე ჯერ არ დაგვდგომია.
და ისევ შენ,
ვინც ერთ ლექსს ან ერთი სიტყვასაც კი არ ელოდები,
გვერდს ისე ჩამივლი...

წმინდანად შერაცხვა

გაფიცებ მის გულკეთილობას,
მიტხარი,
ვისი ფეხის ჩქამია,
ჩემი გულის ბავშვს
ხელს რომ ჰკრავს
ბედისწერის სველ ხელისგულზე...

გაფიცებ მის გულკეთილობას,
მიტხარი,
ვისი ფეხის ჩქამია,
ვინც მიდის
და პასუხს მძღვეს
თავისი მდუმარებით...

ჩავლა

ვადის გაგრძელება საჭირო
არ გამხდარა...
სიყვარულიდან სიკვდილამდე
გრძელი გზა არ იდო...
ერთი ნაცრიფერი დილის დასაწყისში
უცხო მხედარი დაბნეული მოვარდა ურჩობის რაშით,
მხედარი, რომლის ჩავლის მძღავრ
ქარბორბალასაც ვერ გაექცეოდი...

მე მზად ვიყავი
და კაცმა დროის იქითა მხრიდან მიხმო,
სწორედ იმან,
ვისი შუბლიც ზეთისხილის ბალს
და ვისი ქარიშხლის დასაწყისიც
მითების სურნელებას გაეჟღინთა...

და შეამაყებოდა კაცი,
რომელიც პირველი დღიდანვე
ბედისწერის ჩვეულებრივ წილს
არა სჯერდებოდა...

ღამე თავისი ღამურებით

ღამეს მივეყრდენი
და შენს ხმაზე ვფიქრობ.
ღამე ჩემთან მუდამ გულწრფელია,
ჩემ გვერდით მოურთხამს მუხლი,
და ჩემი ბავშვობის ფერადი ფანქრებით
მთვარეს მიხატავს,
ხელები კი სავსე აქვს ფანჯრების ნასერებით
და ნელ-ნელა ღეჭავს მდუმარებას...
„ბებიის კრიალოსანი დაიკარგა...“

ღამეს მივეყრდენი...
უკვე თოთხმეტი წლისა აღარა ვარ
და შენი ხმა
ლოცვის სამ სიტყვაში
შიშვლდება
და იძინებს...
შორეულ ტბორებში
ერთი თევზი
ქვირითს ყრის
მთვარეზე...
მინდა სურვილი ჩავუთქვა,
მერე წამოვდგე,
ასო-ასო ავეკრიფო შენი სახელი
ტელეფონის ღილაკებზე
და დავაკავო...
ნეტავ, შეიძლებოდა გაქცევა
უკაცრიელი ეზოს კაფელის ფილებიდან...
არა, ტირილი აღარ მივარდებოდა...
„ბებიის კრიალოსანი დაიკარგა...“

ღამე მხარზე დამყრდნობია
და სიზმარს ხედავს,
ღამურები კი ჭოჭმანით
გვერდს გვიქცევენ...
და მას, ვისაც ჩემდამი საუკეთესო სურვილები ჰქონდა,
ჩემზე თვრამეტჯერ მეტად
გამოუცდია
„კარგად იყავ!“ –
ეს ის მანძილი არ არის,
რომ ლოცვითა და სირბილით ამოივსოს...
„ბებიის კრიალოსანი დაიკარგა“
და მე რაღაც საოცრად მეძინება!

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ

7 არტი

მეკავები სამოთხიდან

მერაბ აბრამიშვილის აბრეშუმის გზამკვლევი

დავით ანდრიაძე

გახსოვთ თუ არა დარბაისელნო, სახელი იმ უხსენებლისა, რელიგია ოპიუმს რომ შეადარა?!

მერაბ აბრამიშვილის მემორიალურმა გამოფენამ გამახსენა ეს შედარება.

დიდი ფასი დასდებია მის ნამუშევრებს;

ოპიუმზე დიდი ფასი...

მერაბის მხატვრობა მართლაც თვალწარმტაცია, მიმზიდველი...

ნეოფიტთათვის – მით უფრო მიმზიდველი.

რელიგიაშიც ასეა – ნეოფიტებთან ურთიერთობა უფრო საინტერესოა.

საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ბევრი რამაა მათთვის გაურკვეველი...

და რწმენაც თავისებური გაურკვეველობაა; მომაჯადოებელი და გამაბრუებელი გაურკვეველობა...

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ისე, მორწმუნე – ჯერაც არ ნიშნავს რელიგიურს; გნებავთ რელიგიის რწმუნებულს...

და როს მორწმუნე ბაასობს რწმენის შესახებ, იქვე იწყებს ხოლმე ქადაგებას.

ეს – რწმენის თვისებაა!

მხატვრობაშიც იგივე სიტუაციაა.

წარმოიდგინეთ, რომ ეს „რწმენა“ – არტბაზარსაც ეხება, ლამაზად რომ ვთქვა: ეხმიანება!

უფრო ზუსტად კი, ბაზრის ალტერნატივა, გარდა რწმენისა (ცხადია, ამ ცნების უფართოესი გაგებით), არც არსებობს.

არტბაზარი ხომ სიმბოლური გაცვლის სფეროა და ხელოვნებაც სწორედ ამ სფეროში უტოლდება კაპიტალს.

დიახ, კაპიტალია ჩვენი დროის „მთავარი მხატვარი“

(ბ. გროსი).



და ეს მხატვარი კაპიტალის „მსგავსად და ხატად“ წარმოგვიდგება, ანუ თავის სტრატეგიებში, დიახაც, კაპიტალს ბაძავს.

მხატვრის ხელიც კაპიტალია.

და ხელის ვნებაც – კაპიტალი...

ოლონდ, ეს ვნებაც ილევა; და ეს დალეული ვნება მით უფრო ეფემერულს და არამინიერს ხდის ხელოვნებას.

მხატვრობაშიც შეიძლება მოვინშნოთ ორი ონტოტექსტი:

დავარქვათ პირველ მათგანს „სიმსუქენ“,

მეორეს კი - „მჭლეობა“.

რატომღაც დავით გურამიშვილის კალმით ნახატი წარმომიდგა თვალწინ - ეს „მჭლე კაცი“, „ერთი ხელით“ - მისტიკოსი, მეორეთი კი „ქაცვია მწყემსის“ ეროტომანი ავტორი.

ჰოდა, ეს „მჭლეობა“ შეიძლება ჰაიდეგერისეულად გაგვეთამაშებინა, როგორც „ხდომა“... აბრამიშვილი „ხდომის“ მხატვარია; და ბიბლიურ ხდომილებათა მხატვარიც...

ეგებ არ-დეკოსეულად დავარცხნილი ოპუსების ტავტოლოგიურობაც ამგვარი ციკლურობით იყოს მოტივირებული?!

მისი „სურათები“ არტიფაქტ(ურ)ულად „ქონებას“ არ წარმოგიდგენენ - მათი თვისება სულაც არაა ფერის „სიმადრე“.

მეტიც, აბრამიშვილი საერთოდ არ არის ფერმწერი, ვიტალური, ქრომატული, მატერიებით „მწერალი“...

ის უფრო „კალი-გრაფიკოსია“.

და ნეოფიტებსაც „ტექსტ-სტილური“ გრაციოზულობით ხიბლავენ მისი ოპუსები.

მერაბი ცდილობს, ღვთაებრივად არსებული თავის უსასრულობაში კი არა, სასრულობაში მოიხელთოს.

ესაა ტეხნე, რომელიც, რაც უფრო რუდუნებით ასურათხატებ, მით უფრო იღვევა...

სხვაგვარად: „სამყაროს უთვალავი ფერის ქონას“ ის უშურველად უძღვნის პირველქმნილი ყოფიერების „ხდომას“.

მოხდა ისე, რომ მისი სიკვდილის შემდგომ ყოველივე, რასაც მიუძღვნა მხატვარმა ყოფიერების „ხდომა“, გინა გან-ღვევა, ბაზრის კანონების თანახმად, ისევ „ქონად“ (და ქონებად) იქცა.

საბოლოო ჯამში, მისი ხელოვნებაც მატერიალიზდა - „ანტიკვარული ნივთის“ სტატუსი შეიძინა.

ესაა რისკ-ფაქტორი, რომლის შედეგადაც, ხელოვნება გაცვლის ობიექტად იქცევა.

დიახ, კი არ „ხდება“, არამედ „სუქდება“...

კი არ მსუბუქდება, არამედ მძიმდება...

ოლონდ, თავად მხატვარი აქ უკვე არაფერ შუაშია.

თუმცა, ის სიცოცხლეშიც არა-ფერს შუაში იყო...

აბრამიშვილის მხატვრობა თანამედროვე ხელოვნების კიდევ ერთ ბედისწერასაა „ნაზიარევი“:

ისიც სულ უფრო კარგავს ისტორიულ კავშირს მის (წარმო)მშობელ ავანგარდთან.



ამ უკანასკნელის ინტენცია ხომ იმთავითვე საკუთარი ავტონომიურობის დაცვა იყო?!

ავანგარდის მთავარი ღირებულება ბრძოლა გახლდათ; ბრძოლა უფლებისთვის, ყოფილიყო „სხვა“ - კაპიტალიზმის ტოტალობასთან მიმართებით.

აი, ბაზარი კი, სწორედაც, ამ ავანგარდისეული „თავისუფლების ზონათა“ ოკუპირებაა, თუმცა, XX საუკუნის ხელოვნების სტრატეგიაც იმაშია, რომ როგორმე დაუსხლტეს ამ ოკუპაციას და რაღაც ახალი სასუნთქი სივრცეები მოიზომოს, ახალი აბრეშუმის გზები დაისახოს...

მგონი, აბრამიშვილიც ინტუიციით მიეღწეოდა ამგვარ გზას - „აბრეშუმის გზას...“

პოეტისა არ იყოს, მის გრაფიკულ პოიესისშიც, „სარკოფაგიდან დგება მუმია, რა სიჩუმეა, ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“.

და ეს „სიჩუმე“ - რაღაცით ასოცირდება ისიხასტურ დუმ-ილთან.

რახან ისიხაზში ვახსენე, გრიგოლ პალამას აჩრდილიც მოვიხმობ.

წმ. გრიგოლისთვის ღმერთი შეუცნობელია და სავსებით ტრანსცენდენტური...

მაგრამ, ღმერთი არც თავის არსთანაა იგივეობრივი, რამდენადაც არსებობს არა მხოლოდ თავის თავში, არამედ როგორც ad extra-ც...

აბრამიშვილიც, ამ ad extra-ში ეძებს ღმერთს და ადამიანსაც... თუმცა, ერთსაც და მეორესაც განძარცვავს ენერგიებისგან და „საეჭვო სიმსუბუქეში“ ძირავს მათ იმპერსონალურ იმიჯებს...

მხატვრის ყოველდღიური ეპიკურეიზში სადღაც ქრება და ერთგვარ ავეროიზმში გარდაისახება: სარკოფაგები, მუმები, სიჩუმეც, ჰაერიც და ლურჯი აბრეშუმიც ჩვენთვის დაუთმია; მაყურებლისთვის...

თავად კი ამ „ენის“ მიღმა რჩება; სამყაროში, რომელსაც სიმჩატის ნეტარებითვე მისცემია...

მისი ენის სიმსუბუქე სინამდვილეში მძიმე, ჩახლართული

და მოუნესრიგებელი „მსოფლ-ხედვის“ ნიღაბია.

სამყაროს ამგვარ სურათში, თითქოსდა, ორი: ალქიმიური და ქრისტიანული დრამა დავობს:

ალქიმიური დრამა ვითარდება ქვემოდან – ზევით, მიწის წყვდიადიდან ფრთოსან *filus macrocosmi*-მდე და *lux moderna*-მდე; ქრისტიანული დრამა კი, პირუკუ: ღვთაებრივი სამყაროდან მიწაზე დაშვებას ნარმოადგენს.

ასე იქმნება სარკისებური სამყაროს მოდელი, რომლის ონტოთემატიზაციაც სეკულარულ არტისტულ პრაქსისში ჩართულ მხატვარს აღარ ხელ-ენიფება...

აბრამიშვილის მოჩითულ „სურათებში“ თითქმის გამორიცხულია ნამდვილად ლირიკული და ექსისტენციალისტური პოზიცია, რომელიც საშუალებას მისცემდა, თავისი არტისტული დრამა გვერდიდან აღექვა და ირონიით შეემსუბუქებინა.

ირონიითაც და იუმორითაც, კომიზმის ამ ნაირსახეობით, სხეულებრივი სიმძიმის გარეშე რომ გვემცნაურება.

სხეულებრივი სიმძიმე ანდა ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე არ ახასიათებს მის მხატვრულ ენას; აქ ყველაფერი ნინასნარ მოცემული ჰარმონიის ნიშნითაა დალდასმული.

ამ ჰარმონიის „აბრეშუმის გზაზე“ დაშვებული ერთი გადაცდომა და, ყველაფერი უნდა ნაიშალოს, ყველაფერი უნდა ჩამოირეცხოს პალიმფსესტივით და ხელახლა დაიწყოს... გზა, რომელიც ისევ აბსოლუტური სიჩუმისკენ მიდის, სიჩუმისკენ ანუ იმ არარასაკენ, რომლის მეორე სახელი – ყოფიერებაც მის პროტოსურათებში ბრჭყალებშია ჩასმული.

სამაგიეროდ, ღიად რჩება ავტორის „მთავარი ბედისწერა“ – შემოქმედება; შემოქმედება, როგორც ერთადერთი გზა („აბრეშუმის გზა“?), რათა ადამიანურად გავატაროთ „არარსის ეს ინტერმედია“ (ჰ. ვალდი).

მოხდა ისე, რომ მერაბ აბრამიშვილმა თავად არ აცალა საკუთარ თავს, გაზრდილიყო, გა-ეხარა... და „თავისით“

მომკვდარიყო...

თითქოსდა, ამიტომაც ერიდებოდა „სხეულს“, როგორც სულის სამარეს...

თუმცა, თავად „მშვენიერ-მშვიდვიერი სამარის“, როგორც გან-სასვენებლის, სავანის ხატი მაინც ეუცხოება...

თანამედროვე ხელოვნების საიდუმლო, გარკვეულწილად, ამ სამარის გახსნაა – ანუ „ხელოვნების სიკვდილისთვის“ თვალეში ჩახედვა...

თუმცა, რაღა თანამედროვე?! კარლ-გუსტავ იუნგი დავიმონნოთ, როცა ალექსანდრემ იპოვა „ჰერმესის სამარე“, მაშინ გახსნაო ხელოვნების საიდუმლო...

ცოტა ქვემოთ კი, თავად იუნგი რიჩარდ უაიტ ბესინგ-სტოკელს იმონნებს, თავის მხრივ, აგათია სქოლასტიკოსისეული ეპიგრამით რომ ამყარებს *Aelia-Laelia*-ს არქეტიპს.

ასეა თუ ისე, მხატვარმა გან-ვითარების საშუალება თვითონ არ მისცა თავის არტისტულ ნატურას; და მისი სინკრეტული ენაც ამიტომ ჩაიკეტა „სამოთხეში“, როგორც ადამ და ევას არქეტიპულ იმაგოებში.

საკუთრივ ხელოვნება კი, სწორედაც სინკრეტული „ჰიმენის“

რღვევაა; მისი სპეციფიკაცია და ინდივიდუალიზაცია... მას ამ გაგებითაც არ გადაუხვევია თავისი აბრეშუმის გზიდან, მით უფრო, რომ ამ გზაზე დგომა მის ხელში იყო და არც იყო.

არ იყო იმდენად, რამდენადაც ის მუდამ რალაცას, ძალზე ძვირფასს და საკრამენტულს თმობდა და ამ მხრივ, ეს დათმობა „ჩინური ძღვენივით“ იყო – როცა ყველა-ფერს გასცემ, სამაგიეროდ კი არა-ფერს იღებ.

ესეც – ბაზარია!

ანუ გაცვლა-გამოცვლა, სიმბოლური ბარტერი ყოფიერსა და ყოფიერებას შორის...

ამ ბარტერის ინსტრუმენტებია ენა და ხელი. მთელი (sic!) მისი მხატვრობა ყოფიერებისადმი მირთმეული ძღვენი იყო; ანდა სულაც – თვითმიძღვნა...

და ამ თვითმიძღვნაშივე დაიღია.

ეს იყო მისი სასრულობის დასტური!

სასრული კი, დიახაც, თავის სასრულობაში მიედღვნება ყოფიერებას, თანაც, უსასრულოდ...

ეს უსასრულობა მის „უცხო სამოთხეებშიც“ გამოკრთის...

გამოკრთის, როგორც პუნქტირებით მონიმნული რუკა ანდა ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელის მეტათოპოლოგიური გენგეგმა...

აბრამიშვილის მხატვრობაში ერთი ლატენტური ადაჟიოც უღერს:

ესაა პიროვნების (და არა ნიღბის) მიუსაფრობა; მისი გან-დევნილობა... განცდა იმისა, რომ ექსისტენციათა „შერევა“ და თუნდაც, ერთი ადამიანის მიერ მეორის გაგება შეუძლებელია, პრინციპულად შეუძლებელი...



და სწორედ ამ პუნქტი თუ punctum contra punctum-ში ხდება (ისევ ხდება!) შესაძლებელი შემოქმედების ტოპოსის მოძებნა, იმ ტოპოსისა (და ჰეტეროტოპოსისა), საიდანაც ისახება გზა (ისევ „აბრეშუმის გზა“) საკუთარი საზღვრებიდან გამოსვლისა, გამოსვლისა და გასვლისა საკუთარი „თვითობის“ მიღმა, თვითობისა, რომლის იუნგიანური სიმბოლოც „მანდალა“.

ამ მანდალას მეტაკომპოზიციურ გრაფიკში ეძებს მხატვარი თვითრეალიზაციის, რომელიც კვლავაც გამოუსავლობის, ლაბირინთულობის სიმპათიური სქემატიზმით გვესალბუნება ხოლმე...

და ასეთივე სქემატიზმით შევყავართ მხატვარს თავის სამოთხისეულ „ტემპერა-ტურებში“...

ეს ერთი შეხედვით ანაქრონისტი მხატვარი მტიკინეულად გრძნობს თანამედროვე სამყაროს, თავისი ატომიზირებული მეტალოგიკით, რომელიც ისევ ხელოვნებით (და არა ხელსაქმით) თუ შეიძლება გადაილახოს.

ოლონდ, ეს „ხელოვნება“ მასთან, ჩვეულებრივად, სასურსათო სიბრტყეზე ცის სივრცის შექმნას ემსახურება:

„ყოველთა შემოქმედისა და ხელოანთ-შემოქმედისა მიერ არსისაგან არსად მოყვანებულ იქნა და შეიქმნა ცის სივრცე“ (თარგმანებაი ეკლესიასტესაი).

მინის სივრცეც ანუ ლანდშაფტიც ამ „ცის სივრცის“ დერივატია „აბრეშუმის“ მხატვრობაში და „აბრეშუმის გზასვე“ კვალავს...

ამ „sacra via“-ს კი, როგორც მერე გამოჩნდება, ქარვასლისკენ მიყვავართ.

ქარვასალაა ის საბოლოო წერტილი, სადაც ეს „საქონელი“ უნდა გაიყიდოს...

ბაზრის ალტერნატივა კი ისევ ხელოვნებაა, ოლონდ, ხელოვნება, რომელსაც ქმნის (რომ არა ვთქვა - აკეთებს) მხატვარი.

რუსული ანდერგრაუნდის პატრიარქს, იური ალექსანდროვიჩ სობოლევს უთქვამს, მხატვარი - ესაა ადამიანი, რომელიც ცხოვრობს თავისივე აშენებულ ოქროს გალიაში.

ასეთი „ოქროს გალია“ აბრამიშვილმაც აიშენა; და ამ გალიაში ძალიან ცოტა ადგილი იყო დარჩენილი საკუთრივ არტისტული რწმენისთვის, რომელიც სხვაგვარ სიმამაცეს, გამბედაობას, თვითშეზღუდვას, თვითფრუსტრაციას, პასუხისმგებლობას საჭიროებს.

ამგვარი „თვითგვემა“ სამაგიეროდ არაფერს გპირდება, არაფერს - გარდა აბსურდული „რწმენისა“; ტერტულიანისეული რწმენისა...

უცნაური კი ისაა, რომ რწმენითვე შეიძლე-



ბა ხელოვნების ქცევა - ობიექტად, ობიექტად არა მსახურების, არამედ მომსახურების ბაზარზე...

ასეთია თანამედროვე ხელოვნების სერვისული (და სერვისული) მენისტრიმიც და მისი ალტერნატივაც.

ასე ხურდავდება რელიგიური რწმენა ფისკალურ რწმენაზე. რას იზამ, ასეთია თანამედროვე ხელოვნების თამაშებრივ-პერფორმატიული ეთიკა და მის სამსხვერპლოზე თავად უნდა მოიტანო თავი, თუ გინდა იყო... არტისტი.

თავად უნდა გაყიდო შენი თავი...

ესეც - არტისტული თვითშეცნობის სადღეისო მორალი! გაყიდე (შეიცან) თავი შენი - აი, არტისტული მორალი, რომელიც სულაც აღარაა დასაძრახი.

მეტიც, ამგვარი „მორალის“ განხორციელებაც რწმენას საჭიროებს.

თუმცა, ეს - უკვე „სხვა რწმენაა, ანდა რწმენის „სხვა“... კიდევ უფრო ზუსტად, რწმენა - „სხვა“ ატრიბუტებით.

რწმენის „სხვა“ ატრიბუტებით...

და ეს ატრიბუტებიც ისევე მატერიალიზდებიან, როგორც სხეულებრივ სამყაროში...

არის კიდევ ერთი მოტივაცია, რომელიც რელიგიურ გამოცდილებას საბაზრო გაცვლასთან აკავშირებს: ესაა საზღაურის, კერძოდ სიამოვნების საზღაურის საკითხი.

საზღაურის მეტაფორიკას კი პროსტიტუციასთან მივყავართ.

აბრამიშვილისეული „პროსტიტუტკებიც“ სამოთხის ბინადარი არიან. პარადიზის მკვიდრნი...

და ამ პარადიზს, ინვერსიის წესით, დროდადრო სტუმრობენ ხოლმე „ნაშები“, მაგ. „ათანასე ნიკიტინის ნაშები“...

და ამგვარ „ნაშათა“ ხატვაც, ეტყობა, ინდულგენციის პრინციპით მიეტევება მხატვარს...

ეს „ნაშებიც“ ჩვენებურები არიან, ჩვენიანები... მეძავეები...

„პროსტიტუტკები“ სამოთხიდან...

ამ სამოთხეს მხატვარი პირდაპირ ხატავს, ფასში...

და ამასობაში მის „სამოთხეებსაც“ ფასი ემატება...

სლიკინა ტრაკი და კულტურულ-შემოქმედებითი ნიშნების, მათი კავშირების ეკონომია

ვიდეოხელოვნება:

ანნა კ. ე. (ეძგვერაძე/კაპანაძე) „სლიკინა შუბლის ნათელი“,
2011 (ერთარხიანი ვიდეო, 8 წუთი 17 წამი)
(გაყიდულია ხელოვნების ორ ევროპულ კოლექციაში)

გამოფენები:

2013
The Car was His and Story Mine, solo show at Simone
Subal Gallery, New York, NY

2013
Body Light, Venus & Apoll, the project space of Julia
Stoschek Collection, Düsseldorf

2012
GROUP SHOW
Cleaning a Bed from Morning Dust, Boutique, Cologne

გია ეძგვერაძე

სრულიად მოულოდნელად ეკრანზე დაზაფრულად მობაჯ-
ბაჯე შიშველი საჯდომი შემოდის, კადრის ცენტრში წამით
ირინდება, მერე კი წაკოჭლებით და უხერხული, კუთხოვანი
მოძრაობებით იწყებს თავის ყოველდღიურ საქმიანობას –
შემოქმედებით აქტიურობას!

არ შეგეშალოთ, ეს საკუთარ სახელოსნოში შიშველი
უკანალით მორბენალი შემოქმედი არ გახლავთ. ეს თავად
შიშველი, სლიკინა ტრაკია, ნერვიული და წყვეტილი მოძრაო-
ბებით რომ მოჰყავს წესრიგში სახელოსნოს სივრცეში მიმო-
ფანტული ხელოვნების ნიმუშების ფრაგმენტები: ერთ ბორც-
ვად აქუჩებს ჯერ კიდევ ნედლ მხატვრულ კომპონენტებს;
კომიკურად ეჭიდება მძიმე ნივთებს გადასაადგილებლად;
გაფაციცებით იქექება უკვე დასრულებული შემოქმედები-
თი ნამუშევრების ნარჩენებში; აკონინებს მისტერიით სავსე
ობიექტებს. მოკლედ, ეს ჩვენი შიშველი ტრაკუცუნა აკეთებს
ყველაფერ იმას, რასაც ჩვენ შემოქმედის სახელოსნოს ფაქიზ
და ნერვიულ ყოველდღიურობასთან ვაკავშირებთ.

ჩახდილი სლიკინა საჯდომი, როგორც
ხელოვანი – უცნაური სანახაობაა...

უი, როგორც ჩანს, ჩვენმა ძვირფასმა
სლიკინა საჯდომმა შეგვნიშნა! და ახლა, რაკი
უცნობებთან შეხვედრა ძალიან უნდა, სწრა-
ფად და ფართხაფურთხით მოინვეს ჩვენკენ.
ერთგვარი უხერხულობაც კი იგრძნობა, ისე
უხამსად მოიჭრა ეს სიშიშველე ჩვენს კამერ-
ასთან, და თავისი ერთადერთი ბრმა თვალით
ჭვრიტინი დაგვიწყო. მაგრამ იცით, რა არის
საოცრად კომიკური? რომ ეს ჩვენი საჯ-
დომი სწორედ ამ მომენტში და ასეთ ახლო
კონტაქტში, რატომღაც, უფრო მეტად პორ-
ნომალაზიაში შექენილ სათამაშო მოხტუნავე
პნევმო-ფალოს წინილას წააგავს და არა სა-
ჯდომს! აი, ასეთი ძირეული მეტამორფოზის
მონმე გავხდით! ჩვენ გარშემო მომხიბვლე-
ლად და მაცდურად მორბენალი კოჭლი ტრა-
კი კამერის სიახლოვეს სკულპტურული ელ-
ეგანტურობის მქონე ერეგირებულ ფალოსად
წარმოგვიდგა, რომელიც ახლა გაცილებით
სერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე
– მოხტუნავე უკანალის ამპლუაში.

სულელური, მაგრამ მართებული შეკითხ-
ვაა: მაინც ვის ეკუთვნის ეს საჯდომი/ფალო-
სი, რომელი სქესის ხელოვანს? ან იქნებ ეს
ამბივალენტურობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ
ქალ-ხელოვანს ფალოსზე სევდა ამოძრავებს,
მამრი-შემოქმედის ფარული მოტივაცია კი
სლიკინა ტრაკია? და რომ ხელოვნება სინამ-
დვილში მხოლოდ კოდირებულ-დამიფრული
სექსუალური დისკურსია და ბებერი ზიგმუნ-
დი მართალს ბრძანებდა, რომ ჩვენ ყველანი
ფრთებდაჭრილი საჯდომები და ბუნდოვანი
მისწრაფების მქონე ფალოსები ვართ, ჩვენს
უიმედო სიბეცეში უკანალით ზეციური ტკპო-
ბის დაუსრულებლად მომლოდინენი.

საჯდომის სილამაზის საფუძველზე,
ამ ვიდეო/პერფორმანსში, სუბიექტის სქე-
სის ამოცნობა ნამდვილად შეუძლებელია –



ხელოვნების სამყაროში ხომ უთვალავი ლამაზი „ცისფერი“ ბიჭუნაა, რომელთა კობტა უკანალები ქალებისას სილამაზით სულაც არ ჩამორჩება! თანაც, ამ მიმზიდველი უკანალების გამოყენება კარგად ეხერხებათ – სიამოვნებისთვისაც და საქმისთვისაც! სილამაზის ამგვარი თვალშისაცემი პიკანტური ორაზროვნებაც პერფორმანსის ნაწილია.

თუმცა, პრინციპში, ხელოვანის სქესს რა დიდი მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ხელოვანმა საცვალის გაიხადა... მაგრამ, ეგებ არც ეს არის მნიშვნელოვანი? ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის – მეასედ და მეათასედ ხდება. ასეა თუ ისე, მაინც უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი ძალიან ეფექტურად გამოიყურება, გონივრულადაც კი... გარკვეულწილად გულზეც გვხვდება და მომაჯადოებელიცაა.

ამკარაა, ჩვენ წინაშე არც ალკოჰოლიკი საჯდომია, არც ნარკოტიკებზე შემჯდარი, არც მაცდუნებელი – ბოჰემური ცხოვრების არანაირი ნიშნები სახელოსნოში არ შეინიშნება და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც პოპ- ან პანკ-ტრაკის რაიმე ნიშნები ატყვია ამ ჩვენს მობაჯბაჯე საჯდომს. ჰო, არა, ეს განსაკუთრებული საჯდომია – ეს გახლავთ დაუღალავი, პატიოსანი, მშრომელი და ერთგული მუშა უკანალი, რომელიც ხელოვნებისა და ჩვენი ეგრეთწოდებული სახელოვანი კულტურის სადიდებლად იღვწის! სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აქ ხელოვნება სიშიშვლესთან რაღაც უცნაურად, და სპეციფიკურად გადაიხლართა – კომიკურად მოფუსფუსე, სერიოზული მიზნის მქონე შიშველი ტრაკი კაცობრიობისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა.

მაგრამ რატომ შიშველი? და რატომ ცდილობს ეს საჯდომი, რომ გვაცდუნოს?

ამ ვიდეოკლიპში შიშველი უკანალი მაყურებელსა და ხელოვანს შორისაა განთავსებული. საჯდომის უკან პატიოსნად მუშაობს ხელოვანი, მაგრამ ამ მისი მუშაობა/ნამუშევრის გასაჯაროება მაყურებლისთვის სწორედ საჯდომის მემწეობით ხდება. აქედან, შესაძლოა, დავასკვნათ, რომ ჩვენ გვეუბნებიან – ყველაფერი, რაც შემოქმედებითი ჭეშმარიტების მედიორების ფუნქციას იღებს თავის თავზე, საჯარო სივრცეში შეიძლება სლიკინა ტრაკის მაცდუნებელ ფუნქციაზე დავიყვანოთ! მახსენდება პარიზის 60-იანების ლიტერატურული „სცენის“ აღწერა ნატალი საროტის ცნობილ რომანში „ოქროს ნაყოფებში“ – მის მიერ ასახული ამაზრზენი სოციალური მექანიზმები და ბერკეტები, რომელთა მემწეობითაც ხორციელდება ლიტერატურული ნაწარმოების ლეგიტიმაცია. ბოლოს და ბოლოს, მისი ეს ნიგნიც ხომ იმავე საჯარო პარადიგმული უკანალის შესახებაა, რომელიც შემოქმედს (მის შემოქმედებით პროცესსა) და შეკითხვაზე პასუხის მომლოდინე ინდივიდის დამმეულ სულს შორისაა მოქცეული – ისე, ეს სული, ჩვენს დროში, მართალი გითხრათ, დაუჯერებელია, რომ კვლავაც ადამიანის ნაწილად მოიაზრება.

ან იქნებ თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ჩვენს ამ შიშველ საჯდომს ნათელი დაადგა და მიხვდა – რაც არ უნდა იტრიალო და იჩალიჩო, ყველა „საქმე“ ბოლო-ბოლო

მაინც ტრაკით კეთდება. რომ შემოქმედსა და შემფასებელს შორის ყველა შესაძლებელ პროცესს მედიტირებს და კატალიზებას უკეთებს ყოჩაღ-გაიძვერა უკანალი – აი, ასეთი უნივერსალური „გიმნიკი“ გამოდგა ზოგადად ეს სლიკინა ტრაკი. ასე რომ, ეტყობა, ჩვენმა მორბენალმა უკანალმა პატიოსანად და უტოდველად გადაწყვიტა: შემოქმედების პროდუქტთან ერთად გულლიად შესთავაზოს ის, რაც ყოველთვის წარმატებით გამოდგება სატყუარად და რაზეც განუწყვეტილად არის მოთხოვნა – ანუ საკუთარი უკანალი... რადგან უამისოდ, კულტურულ-შემოქმედებით გზაზე, შორს ვერ წახვალ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ უკანალს და ხელოვნებას არავინ არ ჰყოფს ერთმანეთისგან – ეს არც უცდია არავის, პირიქით, ყველაზე პოპულარული ფორმულა ასეთია: სასიამოვნო (საჯდომი) და სასარგებლო (ამაღლებულსულიერი ხელოვნებაში) კომბინირებულად უნდა მოვიხმაროთ. ეს ღია შემოქმედებითი სივრცის დაუნერგელი მამოძრავებელი დევიზია (რაც, ზოგადად, მთელ კულტურასაც ეხება, ჩვენ მიერ განდიდებული რენესანსიდან მოყოლებული). ამ დევიზის შიდა კანონი უპირატესობას ნამდვილად სასიამოვნოს ანიჭებს: როცა ხელოვნება აღიქმება და ემსახურება სიმდიდრეს და კომფორტს, საზოგადოების მიერ მოიხმარება გლამურისთვის, „მიკისთვის“; როცა მასში დრამატული და ტრავმატული ისეა მონოდებული, როგორც გარეული ცხოველები ზოოპარკში – უსაფრთხო და კონტროლირებად გარემოში, ანუ „ხელოვნების ზოოპარკში“, როცა ჩვენს გულს არაფერი ეკარება: მდიდრული კერძო ვილების ვრცელ, ჰაერით სავსე ოთახებში, ან გასაოცარი, მომხუსხავი არქიტექტურის მქონე მუზეუმებში, მათი ინტერიერების რბილ და უცნაურად მყუდრო, მშვიდ განათებაში. სამუზეუმო სივრცე ხომ ღვთაების ცნობიერების მოდელირების მცდელობაა – დარბაზებში დასადგურებულ სიმშვიდესა და ღვთიურ განდგომაში აქა-იქ, როგორც უხმო ძახილები, შეკიდებულია ადამიანური უიმედობის ამსახველი ტკივილები, ტრავმები, იმედები, ისტერია, ფანტაზმები; ადამიანური ილუზიები სილამაზის, ჭეშმარიტების, სიკეთის, სიბრძნის შესახებ. ვიჩქაროთ, ვითამაშოთ ეს ღვთაებრიობის სპექტაკლი მუზეუმების დარბაზებში, სანამ ერთ



დღესაც თავს არ დაგვაცხრება საკონაროლა – ასეთი თამაში ხომ მომხიბვლელი განცხრო-
მაა – ყველაფერს „ვარდისფერი სათვალის“
შუქი აფენია, ყველაფერი რიგზეა – ასე თე-
ლიან კოლექციონერები, პრაქტიკულად კურა-
ტორთა მთელი გვარდია და, ასევე... თითქმის
ყველა მხატვარი...

მოაზროვნეთა ახალი, პოსტმოდერნუ-
ლობად წოდებული თამაში იდეები, მალე
გაიშინაურა საზოგადოებამ; სხვა სიტყვებით,
იოლი ცხოვრების უკვე არსებული ფორმუ-
ლის ყალიბში მოაქცია. ახალი ჰორიზონტი
– ფეიერბენდისეული „ყველაფერი მოსულა
(დასაშვებია)“ (anything goes) სწრაფად მოარ-
ჯულეს და სახეცვლილი მოგვივლინეს: „არა-
ნაირ ვალდებულებას არ ვიღებ თავზე!“.

თუკი მეხსიერების საზღვრებს გავაფარ-
თოებთ, კაცობრიობის კულტურის ყველაზე
ძლიერი მახასიათებელი სწორედ „სიამოვნებ-
ის პრინციპია“, რომელიც უხსოვარი დროიდან
განმსაზღვრელია და ხარბად და ვნებით ინელ-
ებს შემოქმედებით ძალისხმევას, გარდაქმნის
რამის შედეგს ეკონომიკურ ღირებულებად,
საკომუნიკაციო ერთეულად ან თავყვანისცე-
მის სიმბოლოდ.

ჰოდა, ეტყობა, ყოველივე ზემოთ აღ-
წერილით დაზაფრულმა ჩვენმა უკანალმა
გადანყვიტა, „უჩვენოს ტრაკი“ კულტურულ
სამყაროს – დაანახოს მას, რომ ის მეტს არ
იმსახურებს!

შესაძლოა, ჩვენი ეს ინტერპრეტაცია მართლაც ახლოს
იდგეს ავტორისეულთან, რაკი ვიდეოკადრის წინა პლანზე
აშკარად ნაგულისხმევად დევს წიგნი „გულისრევა“ (სარტრი)
და მე კარგად მახსოვს, რა გულისამრევად არის გამოხატული
სამყარო ამ ცნობილ რომანში.

მაგრამ, შესაძლოა, ამ ჩვენმა კრეატიულმა საჯდომმა
სულაც მიაფურთხა მთელ ამ სოციალურ გულის გამხვრეტ
ფუთფუთს და უნდა, რალაც ძირეულად მნიშვნელოვანი
გვამცნოს?

ვნახოთ.

უეჭველია, საკუთრივ საჯდომი, როგორც „რეადეცმადე“,
თავისთავად გარკვეული შემოქმედებითი პოტენციის შემცვე-
ლია და მას ნამდვილად შესწევს უნარი სიმბოლური გზით,
ონტოლოგიურად მნიშვნელოვანი კონცეფცია გადმოსცეს;
ორი უნაკლო, იდენტური, ერთმანეთს დაპირისპირებული
ბინარული ნახევარსფერო (უკანალის დუნდულები) და მათ
შორის არსებული სივრცე „არსებობის მოდუსის“ სიმბოლოა.
ამ დუნდულებს შორის მოქცეული ნაპრალ-ნახვრეტი კი ის
სახელგანთქმული „არაადგილია“, რისკენაც, ეტყობა, ყველა
ჩვენგანის სული საბოლოოდ მიისწრაფვის (თანატოსის ად-
გილი).

ანალოგიურად, „სემიო-სოციო-კულტურულ ანალიზს“
ექვემდებარება სამკუთხედად მოკაკული შემოქმედის ფიგურ-
რაც (ასე ვთქვათ, საჯდომის მფლობელის), რომელიც იმგ-
ვარადაა მოხრილი, რომ ამ მოზაჯზაჯე სამკუთხედის პიკს
სწორედ ტრაკი წარმოადგენს. ამით ჩვენ ვხვდებით: ტრაკი
პირამიდალური ფალიკურ-მეტაფიზიკური პრინციპის გვირ-
გვინია.

თუ ამ სამკუთხედის, როგორც იერარქიული სტრუქ-
ტურის, შემადგენლების ანალიზს გავაგრძელებთ, აღმოვა-



ჩენთ, რომ თურმე საჯდომს ამ პოზიციაში დომინანტური პოზიცია უკავია თავისა და გულის მიმართ: ანუ, ეს მიგვანიშნებს – ინსტინქტები პრიორიტეტულია აზროვნებისა და გრძნობების მიმართ. თუ გულწრფელად ვალიარებთ, ინსტინქტები ჩვენს ნებისმიერ ქმედებას (შემოქმედებითი, მენტალური, სოციალური და ა.შ.) განსაზღვრავს და ამდენად, „სიამოვნების პრინციპი“, „მსახურების პრინციპი“ და „შემოქმედებითობის პრინციპი“ სრულიად დაბლოკილი ჰყავს.

მაგრამ მოდით, ყურადღებას ნუ მივაქცევთ საჯდომის რეპრეზენტაციულ-შემოქმედებით ამბიციებს. ის ხომ ბოლოს და ბოლოს მხოლოდ და მხოლოდ უკანალია, ჩვენი სხეულის ნაწილი, რომელიც პირისპირ არც გვინახავს და ვერც ვნახავთ (შეიძლება, მხოლოდ ზე ძალისხმევის მეშვეობით). მისი ნახვა კი მხოლოდ მედიაციის მეშვეობით, ანუ არაპირდაპირი გზითაა შესაძლებელი. მაგრამ განა სწორედ იმავეს თქმა არ შეგვიძლია ჩვენი ყბადაღებული „ჭეშმარიტებისა“ და მისი ძიების შესახებ? რომელიც პრინციპულად ჩვენი ყველაზე ბუნებრივი რაობაა, მაგრამ თვალთ არ გვინახავს და მხოლოდ არაპირდაპირი გზებით ვცდილობთ, როგორმე მოვიხელთოთ და გავეცნოთ. და ასეთი ფიქრებისას უცბად ნათელი გვეფინება და ჭეშმარიტი ცოდნა ისაღვურებს ჩვენში – უკანალი და ჭეშმარიტება უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე ჩვენ (აღამიანებს) და ჭეშმარიტებას. მართლაც, აბსოლუტური ჭეშმარიტება სრული და საბოლოო სიშიშველა და აქ – ამ ტერიტორიაზე – აღამიანს არაფერი ესაქმება – აღამიანის ცნობიერება ხომ ჰაიდგერისეული „მალულობის“ ყველაზე აშკარა მაგალითია. ასე რომ, ახლა ჩვენი დისკუსია სიმბოლოურობის შესახებ, შეგვიძლია, „ბედნიერად შევაჯამოთ“ – ჩვენ თვალწინ კადრში საჯდომი ჭეშმარიტება ყოფილა, რომელიც ასე გადახსნილ-გულმოდგინედ გვთავაზობს თავის თავს ჩვენ, ჩვენ კი ამ მომენტამდე ვერ მივუხვდით და ამით ალბათ გულიც კი ვატყინეთ!

ამ საჯდომ-უკანალის უკან კი ხელოვანი დაფუსფუსებს, ცდილობს, ხელოვნება შექმნას – ასე ვთქვათ, შემოიტანოს სამყაროში ჭეშმარიტების ნამსხვრევი და სწორედ იმ ნუთს, როდესაც თავად ჭეშმარიტება (როგორც დადგინდა – შიშველი ტრაკი) ყოველ-

ნამიერად და კომიკურად ფარფატებს ჩვენ წინაშე და თავაზიანად გვთავაზობს საკუთარ თავს, ვხვდებით, რომ სამწუხაროდ, ისევ და ისევ, ჩვენთვის ის მხოლოდ ბანალურ-ტრივიალური შიშველი ტრაკია და მეტი არაფერი. ანუ ის სიტყვა, რომლითაც ჩვენ ისეთ აღამიანებს მოვიხსენიებთ, რომლებიც არარაობანი ან უმეცარნი არიან (იმათაც დააკვირდით, რომ სიტყვა „არარაობა“ ძალიან ახლოს დგას სიტყვა „ჭეშმარიტებასთან“).

მოკლედ, მთელი ამ დახვეწილი გონებრივი ვარჯიშის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელოსნოს დახურული სივრცის სიმქეაღესა და ბინდუნდში რბილად მოკიაფე და მოციმციმე; მოძრაობის მიმართულებისა და მდგომარეობის უმიზნოდ შემცვლელი; მოფუსფუსე ხელოვანის გვერდით სიმყაროსა და სიმშვიდის შემნარჩუნებელი; ეროსისა და თანატოსის (პენისი და საჯდომი) ბინარული დაპირიპირების წარმატებით გამაერთიანებელი; საბოლოოდ, ჩვენი ძიების მომხიბლავი და მაცდუნებელი ობიექტი, მხოლოდ ჩვენი გონის შემკრები და ინტერპრეტირების თვისების დემონსტრირებაა, რაც კონკრეტულ მომენტში დაკონცენტრირდა შეკიდებულ (ანუ საზრისგამოცლილ) აღმნიშვნელზე, ანუ, საჯდომზე (უკანალზე, ანუ სლიკინა ტრაკზე).

მოდით, ახლა იმაზეც ვიფიქროთ, თუ რა შეიძლება იყოს ის აქტუალური გზავნილი, რისი გადმოცემაც თავად ხელოვანს სურდა ჩვენი კონტექსტუალური და ინტერპრეტაციული ანალიზის მიღმა.

ხელოვანმა ქალმა (როგორც იქნა, მისი სქესი გაირკვა) მოახერხა, გადმოეცა რაღაც უაღრესად თანამედროვე, ის, რაც თანამედროვე ხელოვნების ალქიმიის მთავარი საიდუმლოა, ის, რაც თანამედროვე ხელოვნებას ათანამედროვეებს: „რეალობა“ გაქრა და იგი „რეალურმა“ (ლაკანისეული გაგებით) ჩაანაცვლა, როგორც თავისუფალმა (ავტორისა და ჭეშმარიტებისგან) ნიშანმა, რომელიც თავისთავად არაფერს გვამცნობს, მაგრამ საკუთარ თავში ატარებს სრულიად თავისუფალი (და, შესაბამისად, წმინდა) ინტერპრეტაციებისა და კონტექსტუალიზაციების პოტენციალს.

ამ ნამუშევრის წყალობით ვხვდებით: ამჟამად თანამედროვე ხელოვნების ნიმუში არ არის სპეციფიკური ფორმა, გარკვეული სუბსტანციური თვისებების ერთობლიობის ნიშნის ქვეშ, არც მხატვრის მიერ სამყაროში შემოტანილი დამთრგუნველი ნებელობის აქტია, არამედ დღეს ის დისკურსული ველია, იმ ნიშნის გარშემო, რომელიც ხელოვანმა წარმატებით ისროლა „დაუფარავის“ (ჰაიდგერი) მისანიშნებლად. დღეს, თანამედროვე ხელოვნების ნიმუში გარკვეული მენტალურ-სენსორული ფოკუსის სივრცობრიობა, რომელსაც ქმნის შემოქმედებითი პროცესის ყველა მონაწილე ერთად – შემოქმედი, კრიტიკოსი და აუდიტორია და, რაც უმთავრესია, ეს ნიშანი ღრუბლის ბუნებისაა – კონტურის და მოცულობის არასტაბილური, მარადიული ცვალებადობით, და სწორედ ამიტომ წარმოადგენს ის პოეტურის უმრეტეს საძიებლობას...

B. Gotsa

FAMILY WINES

საქართველოს
გაეროსი

ბაბუ მოსხვის სემპერელმ პერენი



PRODUCT OF GEORGIA



WITH NATURAL
WILD YEAST

FREE OF ANY ADDITIVES, NONE FILTERED

www.gotsawines.com

beka@gotsawines.com

ISSN 0134-9848
9 770134 984002

2019

სამბეჭე

